ეთერ ჭელიძე

# კაცი ლეგენდა

## მიხეილ ხერგიანი

2003

გამომცემელი: ივერი ჭელიძე

წიგნზე მუშაობდნენ: ზაურ ჩართოლანი
ლადო გურჩიანი
ვალერ რატიანი
ერეკლე საღლიანი

მხატვარი: ვახტანგ ონიანი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: გიგა ნოზაძე

წიგნის რედკოლეგია მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის
ბატონ ზაზა ოქუაშვილს,
ბატონ ბადრი პატარკაციშვილს,
ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს

იდუმალებით მოცულია მწვერვალთა საუფლო... ლიანდაგებად გაქრილია ბილიკები მყინვარებისკენ... თეითონ მთებია ლეგენდებად ქცეული, რადგან მთებმა აქციეს თაობები უკვდავქმნილებად...

საუკუნეები მოყვებიან ძველთა-ძველ ამბაეს; რომ სულ პირველად იყო ბეთქილი... ნადირთა ქალღმერთ დალის კერპი... შემდეგ გივარგილი, მურათბი კიბოლანი (შამფრიანი), ალიოშა, გიო, გაბრიელ, ბექნუ, ჭიჭიკა, გოჯი, მაქსიმე, ბესარიონი...

და იყო მიხეილ ხერგიანი... კაცი ლეგენდა კაცი მთებზე ამაღლებული...

იყვნენ ვაჟკაცები, გოლიათ მთებთან შესისხლხორცებული, დინჯი და ამაყები...

იყვნენ ვაჟკაცები, ხარის ტყავისგან გამოქნილი ჯაბრალებით რომ გადათქორეს კლდეთა ნაპრალები...

იყვნენ ვაჟკაცები, მწვერვალებთან შერკინებული და მწვერვალებზე ამაღლებული...

**ეთერ ჭელიძე**



მურათბი კიბოლანი-შამფრიანი — 1906 წელს ინგლისის მთამსვლელთა ექსპედიციასთან ერთად ავიდა მწვერვალ უშბაზე.

## ლარილარის სამაროვანი



1965 წ. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ. ისტ. მეცნ. დოქტორი შ. ჩართოლანი) ს. ჭუბერში ძვ. წ. ა. V-VI საუკუნეების „ლარილარის კრემაციულ სამაროვანზე" აღმოჩენილ (მონადირის სამარხში) ნანახი იქნა მაღალ მთებსა და ყინულებზე გადაადგილების საშუალება (წერაყინი) მასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ჯიხვის ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკებები. რაც მოწმობს საქართველოს მთიანეთში ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ ძნელად სავალი მთების დაპყრობას.



უშბა.

# შესავალი

ქართული და საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმის ისტორია, ოფიციალურად, 1923 წლიდან იწყება, როცა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე, მაგრამ თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, მთამსვლელობის სათავეები, შესაძლოა, უფრო შორეულ წარსულშიც იყოს საძიებელი. ეს სამომავლო საქმეა, მაგრამ თუკი 1923 წლის ასვლებს დავუბრუნდებით, აქ ნიშანდობლივი ისაა, რომ ქართველმა მთამსვლელებმა, გარდა იმისა, რომ საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ალპინიზმს, მათ თავიდანვე განსაზღვრეს მთამსვლელობის არსი და მიმართულება. იმთავითვე იგი ორ გარკვეულ გეზს სახავდა მთამსვლელურ საქმიანობაში — სპორტულსა და სამეცნიეროს.

ქართველ მთამსვლელთა პირველი თაობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სპორტულ ასვლებთან ერთად, სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მაღალმთიანი რაიონების მეცნიერულ შესწავლა-ათვისებას, რაშიც მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის როლი.

მყინვარწვერზე პირველ ექსპედიციებს, სხვა მრავალი ასვლა მოჰყვა, მაგრამ 1926-28 წლებში, ალპინისტური მოძრაობა საქართველოში განსაკუთრებით გაიფურჩქნა. ამ პერიოდში, სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, რომელიც მასობრივი ასვლების მოთავედ ითვლება, მრავალი ასვლა განხორციელდა კავკასიონზე. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოწყობილი პირველი კინოექსპედიცია მყინვარწვერზე, როცა 1928 წლის 8 სექტემბერს, ჯგუფმა 41 კაცის შემადგენლობით მიაღწია მწვერვალს. მთამსვლელობის ისტორიაში პირველად, ასეთ სიმაღლეზე ერთდროულად ამუშავდა 2 კინოაპარატი და გადაიღეს პირველი მთამსვლელური ფილმი „კავკასიის კარიბჭე" („Врата Кавказа"). ეს იყო არნახული მოვლენა მთამსვლელობის ისტორიაში. ექსპედიცია რეკორდული იყო მწვერვალზე ამსვლელთა რაოდენობის მხრივაც — 41 კაცი მანამდე არცერთ მწვერვალზე არ ასულა.

1929 წელს გიორგი ნიკოლაძემ თეთნულდზე ასვლა განიზრახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასვლა ტრაგიკულად დასრულდა — დაიღუპნენ სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი. ეს ქართველ მთამსვლელთა პირველი მსხვერპლი იყო კავკასიონზე.

ამ ტრაგედიის წლისთავზე, 1930 წელს, სიმონის და-ძმა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, მოხევე იაგორა კაზალიკაშვილთან და სვან ადსილ ავალიანთან ერთად პირველად ადიან



გიორგი ნიკოლაძე



გიორგი დიდებულიძე



ალიომა ჯაფარიძე



ალექსანდრა ჯაფარიძე

მწვერვალზე და სამ დღეში ორჯერ, ზედიზედ ლაშქრავენ თეთნულდს. ეს იყო პირველი ქართული ექსპედიცია, რომელშიც სვანი მთამსვლელი მონაწილეობდა (თუმცა სვანებს ადრე უცხოელთა ექსპედიციებშიც მიუღიათ მონაწილეობა. 1906 წელს მურათბი კიბოლანი-შამფრიანი ინგლისელებთან ერთად ავიდა უშბაზე).

1930 წლიდან მოყოლებული, ალიომა ჯაფარიძის მთამსვლელობაში მოსვლის შემდეგ, თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი ასვლა არ განხორციელებულა კავკასიონზე სვანი მთამსვლელების მონაწილეობის გარეშე.

1934 წლიდან, როცა ალიომა და ალექსანდრა ჯაფარიძეებმა, იაგორ კაზალიკაშვილმა და



გიო ნიგურიანი



იაგორ კაზალიკაშვილი



გაბრიელ ხერგიანი



ბექნუ ხერგიანი

გიო ნიგურიანმა პირველი ასვლა განახორციელეს უშბაზე. ახალი ეტაპი დაიწყო მთამსვლელობაში ტექნიკურად რთული მწვერვალების ათვისება. მსოფლიო მნიშვნელობის ამ მიღწევამ, ახალი სული შთაბერა ქართველ მთამსვლელებს და იგი 1937 წელს კიდევ ერთი უდიდესი წარმატების საწინდარი გახდა — გაბრიელ ხერგიანის ხელმძღვანელობით, ერთ მუშტად შეკრულმა ჯგუფმა, ბესარიონ და ბექნუ ხერგიანების, ჭიჭიკა ჩართოლანისა და მაქსიმე გვარლიანის შემადგენლობით, პირველად გაიარეს სამხრეთ უშბის ურთულესი კედელი, რამაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირში კედლოვანი ასვლების კლასს.



ჭიჭიკა ჩართოლანი



მაქსიმე გვარლიანი



ბესარიონ ხერგიანი

სვანების მიერ უშბის კედლის დაძლევა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მან დასაბამი მისცა მთამსვლელობაში გუნდურობის პრინციპის დამკვიდრებას, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩინდა 1950 წელს, როდესაც კაკო მარის ხელმძღვანელობით ბექნუ ხერგიანმა, გოჯი ზურებიანმა, ჭიჭიკა ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა, ბრწყინვალედ გაიარეს შხელდა-უშბის ურთულესი ტრავერსი. რომლის განხორციელებასაც შეეწირა ალიოშა ჯაფარიძე თავის მეგობრებთან ქელეშბი ონიანთან და ნიკოლოზ მუხინთან ერთად 1945 წლის ოქტომბერში.

უდიდესი მნიშვნელობის ამ ასვლებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პატარა მიხეილ ხერგიანის არსებაში, რადგან გმირებად შერაცხული ეს ადამიანები მისი უახლოესი ნათესავები იყვნენ.

მოსვენება დაკარგა მიხეილმა, მასაც სურდა მამა-ბიძებივით სახელოვანი მთამსვლელი გამხდარიყო. მისი ფიქრი, გამუდმებით, კავკასიონის მწვერვალებს დასტრიალებდა და როგორც კი საშუალება მიეცა, პატარა, 13-14 წლის ბიჭი სახლიდან გაიპარა და სანდრო გვალიას ჯგუფს შეუერთდა, რომელიც მწვერვალ ბანგურიანისაკენ მიემართებოდა. ბანგურიანი იყო მისი პირველი მწვერვალი, საიდანაც გადმოიხედა და სხვა, უფრო დიდი სიმაღლეები დაინახა. იგი ამაღლდა ამ სიმაღლეებზე და თავისი წარუშლელი კვალი და სახელი დატოვა მარადთოვლიან, ქარაფოვან მწვერვალებზე...

**იეანე ჯაფარიძე**



უშბა-შხელდის ტრავერსის მონაწილენი -- მაქსიმე გვარლიანი, გოჯი ზურებიანი, ბექნუ ხერგიანი, კაკო მარი და ჭიჭიკა ჩართოლანი  საქართველოდან პირველი სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატები



ბექნუ, გაბრიელ და ბესარიონ ხერგიანები



სხედან: თეიმურაზ კუხიანიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ომარ ბერაძე, გურამ თიკანაძე.

დგანან: ბექნუ ხერგიანი, რეეაზ ხაზარაძე, გიორგი აბაშიძე, ჭიჭიკა ჩართოლანი, ლეეან ახვლედიანი, ზურაბ ახვლედიანი



პირველ რიგში: ა. ჯაფარიძე, ლ. ივანიშვილი, გ. ზურებიანი, მ. გვარლიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, თ. ცერცვაძე, ი. კახიანი, უ. ჭიჭინაძე. მეორე რიგში: ჯ. გუგავა, ლ. აბელედიანი, ცნობილაძე, ს. გუგავა, ს. ცაიშვილი, ... ..., მესამე რიგში: მ. ღოღოხაძე, პ. გვარლიანი, მ. ხერგიანი.



ბექნუ ხერგიანი, კაკო მარი, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკა ჩართოლანი, გიჯი ზურებიანი, უშბა-მხელდის ტრავერსის შემდგომ.

# მიშა

მიხეილ ხერგიანი მესტიაში, ლანჩვალის უბანში დაიბადა 1932 წლის 23 მარტს. ცნობილი მონადირისა და გვარის მახვშის ანტონ ხერგიანის ოჯახში.

ანტონმა ახალგაზრდა უმცროსი ძმის ბექაილის გარდაცვალების შემდეგ, მცირეწლოვანი ბესარიონი და უდროოდ დაქვრივებული რძალი — მარიამი შეიფარა; ბიძამ, საკუთარ შვილთან ალექსანდრესთან და მის ოჯახთან ერთად, იკისრა მათი მეურვეობა.

ათი წელი დაჰყო მარიამმა ამ ჭერქვეშ. შემდეგ მასაც მოაკითხა ბედმა. ადრედაქვრივებულ



მიხეილ ხერგიანი

მრავალშვილიან დიდ ოჯახის მამას, საკმაოდ დიდი მამულების მქონე მახვშის, დავით გვარლიანს მისთხოვდა. გამჟღე და ადათ-წესის მიმყოლმა მარიამმა, კვლავ განაახლა ოჯახის კერა. ახალ ოჯახში მას ორი ვაჟი — იოსიმე და მაქსიმე ეყოლა.

მოსიყვარულე და ხალისიანი ბესარიონი იმთავითვე ოჯახის წევრად მიიღეს. ხშირად ღამეც იქ რჩებოდა.

სამწუხაროდ, ბედნიერი დღეები დიდხანს არ გაგრძელებულა, ერთი მეორის მიყოლებით წავიდნენ ამ ქვეყნიდან დავითის უფროსი ვაჟი ნესტორი და იოსიმე. მწუხარებამ დაასნეულა ჯან-ღონით სავსე კაცი დავითი. მან შრომის უნარი დაკარგა, ქალიშვილები გათხოვდნენ. მთელი ოჯახის სიმძიმე მაქსიმეს დააწვა. ამან ბესარიონზეც იმოქმედა ცხოვრება მაინც თავის კალაპოტით მიდიოდა... ბესარიონი სოფლის თვალზე ფაცუ მარგიანზე დაქორწინდა. მათ ერთი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი შეეძინათ. „მინდოხშა“ დიდ ოჯახში ალექსანდრეს ოთხი შვილი და ბესარიონის ხუთი შვილი, ლაღად იზრდებოდა, ვიდრე 40-იან წლებში სვანეთს ჟამიანობამ არ გადაუარა. მრავალი ოჯახი შეიმოსა ძაძებით, მათ შორის ბესარიონის ოჯახიც. ეპიდემიამ ერთიმეორის მიყოლებით ჯერ უფროსი ქალიშვილი 12 წლის ქერექმეზი, ბიძაშვილი ალექსანდრე და ხუთი შვილის დედა, მეუღლე ფაცუ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მესამე კლასელი, ფრიადოსანი მოსწავლე, ჩხვიმლიანი საავადმყოფოში ლოგინად დატოვა. განგებამ სულ არ განირა ბესარიონის ოჯახი — მიშა და ევა სიკვდილს გადაურჩნენ.

ხერგიანების სახლი დიდხანს გლოვის თალხით იყო შესუდრული. მოსიყვარულე ოჯახში სიკვდილის შიშმა დაისადგურა. ბესარიონს ცოლი გამოეცალა, მარიამულს ქმარი...

მათი უბანი ხელისუფლებამ „შავეუბნად“ გამოაცხადა. ტიფის გადადების შიშით, ნათესაობაც კი თავს არიდებდამათთან ურთიერთობას. გამოსავალი ისევ ბაბუა ანტონმა და მამა ბესარიონმა მოძებნეს. განარიდეს რა სოფელს ოთხი ობოლი შვილი და შვილიშვილი, საგარაკო ადგილს ლაღწუვარს მიაშურეს.

ბესარიონი მალე მოეკიდა ოჯახს. მოსიყვარულე ძმები გვერდიგვერდ დასახლდნენ. მათი მამულები ისედაც ერთიმეორის სიახლოვეს მდებარეობდა.

მან უდროოდ დქვრივებულ მამოლ გვარლიანზე იქორწინა. ცოლ-ქმარმა ობოლი ბავშვები ღირსეულ მოქალაქეებად გაზარდეს. ჩხვიმლიანის და ევას სულს მწუხარე კვალი დაამჩნია იმ ფაქტმა, რომ ისინი თავის დროზე ავადმყოფობის გამო დროებით სკოლაში არ დაუშვეს.

ავადმოსაგონარი განვლილი დღეები თან სდევდა მოზარდს. მამისგან თავდაჭერილობა, მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა ისწავლა მან. მამასთან ერთად სოფელმაც გარკვეული როლი ითამაშა მის ცხოვრებაში.

ის მისაბაძ ახალგაზრდად ჩამოყალიბდა. არც ქეიფი და მოლხენა იყო მისთვის უცხო. ჩხვიმლიანი საუკეთესო მომღერალი და მოცეკვავე იყო. დრო გადიოდა, მიშა მარტო თავისი მშობლიური ლანჩვალისა და ლალამის კი არა, დაბა მესტიის ლიდერი გახდა. მას დიდ პატივს სცემდა სვანეთის მოსახლეობა.

იმ ხანად დიდი ყურადღება ექცეოდა თვითშემოქმედებითი კოლექტივების წარმოჩენას. ახალგაზრდობა ცეკვა-სიმღერაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს — ჩხვიმლიანი იქაც პირველი იყო. სწორედ ამ შემოქმედებითი ურთიერთობის დროს დაუკავშირდა იგი თავის რჩეულს კატო ბარლიანს, რომელიც შემდეგ მისი მეუღლე გახდა.

იყო სპორტული ჟინიც... ჩხვიმლიანი თავს მოუყრიდა თანატოლებს და კოშკის კედლებზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — „მექლდეურობაში". ზოგჯერ ნადირობის ჟინიც აიტანდა... მენახირეობასაც არ თაკილობდა... ამ დროს საშუალება ეძლეოდა განაპირებულიყო და კლდე-კლდე ეცოცა. მერე რა, რომ მაყურებელი არ ჰყავდა. ასეთი თვითნერთნა ერჩია ამ კლდეს შეფიცულ ჭაბუკს.

ლალამი იყო სამეჯლისო თავშეყრის, სპორტული შეჯიბრებების მოედანი. ათასგვარი გასართობებით ერთობოდნენ ახალგაზრდები — ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ძალ-ღონეს სინჯავდნენ ხოლმე საჯილდაო ქვის აწევაში — ჭიდაობაში.

ჩხვიმლიანი წლოვანებით თავისზე უფროსებს ეჭიდავებოდა — თავის წონაში კი მისი მომრევი არავინ იყო. ათი წლიდან თხილამურებით სრიალში გაიწაფა. ტარდებოდა შეჯიბრებები, ის კი პირველ ნაბიჯებს აკეთებდა სლალომის ტრასებზე — ერთხელაც იგი რაიონის ჩემპიონი გახდა სლალომში, შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი.

შესამჩნევი სპორტული მონაცემებით ჩხვიმლიანი, დღითი დღე პოპულარული ხდებოდა...

ბავშვური გატაცება მარტო თხილამურებით და ჭიდაობით არ შემოიფარგლებოდა. ის ყველაზე მეტად ალპინიზმმა გაიტაცა. გულისყურით უსმენდა მამას და მაქსიმე ბიძიას საუბარს მთამსვლელურ ცხოვრებაზე, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მას 13 წლის ასაკში, ბანგურიანის რთული კლდეების დალაშქვრისათვის, ალპინიადის ხელმძღვანელმა სანდრო გვალიამ, სამკერდე ნიშანი — „Альпинист СССР" გადასცა.

ბეჭდაუდებელი ფალავანი და მუხლმოუღლელი მოთხილამურე, დღითი დღე ალპინიზმის ერთ-ერთი სწორუპოვარი მემკვიდრე ხდებოდა. იმ დროს ყაბარდო ბალყარეთში, ყაბარდოელთა და ბალყარელთა ნასახლარ სოფლებში სვანები ცხოვრობდნენ. მათზე მზრუნველობა



მიშა თხილამურებზე

საქართველოს ხელისუფლებას ევალებოდა. მესტიის ხელმძღვანელთა დავალებით, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, მთამსვლელებს ხშირად უხდებოდათ ბალყარეთთან ურთიერთობა, ამდენად ამ ხეობას კარგად იცნობდნენ.

იმ წელს შალიკო მარგიანი წამოსული იყო მესტიაში დროებით, ის მიშას უფროსი მეგო-



შალიკო მარგიანი და მიშა ხერგიანი

ბარი იყო. შალიკო მოუყვა მას, რომ უკვე გამოცდილი მთამსვლელი იყო და მუშაობდა ბაქსანის ხეობაში საინსტრუქტორო სკოლაში. მიშას ოცნებაც ის იყო, რომ მოხვედრილიყო ჩრდილოეთ კავკასიაში და დაუფლებოდა ალპინიზმის ხელოვნებას. იგი სთხოვდა შალიკოს თან წაეყვანა, მაგრამ უარი მიიღო, რადგანაც ალპინიზმი არ არსებობს უმსხვერპლოდ. შალიკო, როცა ბრუნდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მესტიის გადასასვლელზე, მიშა დაეწია, მასაც უარი არ უთქვამს და გადაიყვანა ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ მონახეს მაქსიმე გვარლიანი, რომელმაც თავისი მეგობრების დახმარებით მიშას უშოვა ალპინისტური ბანაკ შხელდას საგზური, ასე მოხვდა ჩხვიმლიანი პირველად ბანაკში.

შალვა მარგიანი, რომელიც შემდეგ, მიშას პირველი მწვრთნელი და მეწყვილე გახდა მეკლდეურობაში, უკვე თანრიგოსანი იყო. რუსულსაც კარგად ფლობდა. ამ ბანაკში ის კვალიფიკაციასაც იმაღლებდა და მიშას თარჯიმნობასაც უწევდა. მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ცნობილი, საკმაოდ პოპულარული მთამსვლელი იყო, ჩხვიმლიანი შესანიშნავად დამკვიდრდა უცხო წრეში, იგი იმთავითვე პოპულარული გახდა, როგორც ალპინიზმში, ისე მეკლდეურობაში. ბანაკში შესანიშნავი პირობები ჰქონდათ ალპინისტად ჩამოყალიბებისათვის, თვითოეულ ბანაკში ყოველ 20 დღიან ცვლაში 200-200 მაღალი სპორტული მონაცემების მქონე მონაწილე იყრიდა თავს. ყოველი შეჯიბრი თავისებური სიახლე გახლდათ — ჩხვიმლიანი ყველგან, ყველაფერში სამაგალითო იყო. მან პოპულარობა მოიპოვა როგორც ძლიერმა სპორტსმენმა.

კლდეზე ცოცვა იმდენად ჩვეული გახდა მისთვის, რომ იგი ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე აიძლიდა ხოლმე ციცაბოებს, ზოგჯერ მწვრთნელები მოგროვდებოდნენ და გაოცებას ვერ მალავდნენ მის მოხერხებულ მოძრაობაზე, ცოცვის მანერებზე, ტექნიკურ ილეთებზე. ახალბედა სტაჟიორი ყველას აოცებდა თავისი თავაზიანობით. მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. სტაჟირების შემდეგ მან მიიღო ინსტრუქტორის წოდება.



სხედან: მიშა ხერგიანი, კაკო რატიანი, არღელიანი, რეჯიბ ჯაფარიძე, გერლიანი, ჩარგოლ გვარლიანი
დგანან: სოფრომ გიგანი, გუალ მარგიანი, გრიშა რატიანი, შალიკო მარგიანი, ვარდენ ნაკანი, ჩიჩო კეიციანი, ილიკო გაბლიანი, მურზაყან ჯაფარიძე

მიხეილ ხერგიანმა მაშინ შედგა ფეხი ალპინიზმში, როდესაც საბჭოთა ალპინიზმის ცაზე უკვე ამობრწყინებული იყო ვიტალი აბალაკოვის ვარსკვლავი. 1952 წელს, მიხეილმა სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა კლდეზე ცოცვაში შალიკო მარგიანთან ერთად.

1953 წელს მიშა ალპინისტურ ბანაკ მეტალურგში, ახორციელებს ასვლას ულუ-ტუ-ჩანას ჩრდილო-დასავლეთის კედელზე. იმ წელს კიდევ განახორციელა ასვლები ჯაილიკზე, იალღუჯზე, ადილსუზე, ადილსუბაშზე... სეზონის ბოლოს მიიღო უფლება, ყველა კატეგორიის მწვერვალის დალაშქვრის...

მისი შემდგომი გამარჯვებები ქართველ მთამსვლელთა მოსიმაღლე ჯგუფთან არის დაკავშირებული. პამირში ქართველი მთამსვლელების მიერ განხორციელებული ასვლები ახალი ეტაპი იყო ქართულ და საბჭოურ მთამსვლელობის ისტორიაში. ამ ექსპედიციებმა ჩვენს რესპუბლიკას წლების მანძილზე ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოუპოვა.

1955 წელს საქართველოს ალპიური კლუბის მეორე ექსპედიცია პამირს ესტუმრა. ქართველმა მთამსვლელებმა დაიპყრეს რევოლუციის, პრავდის და კომუნიზმის პიკი. ჯგუფს ხელმძღვანელობდა მაქსიმე გვარლიანი, ი.კახიანის, მ.ხერგიანის, ლ.ახვლედიანის და ჯ.მეძმარიაშვილის შემადგენლობით (ექსპედიციის უფროსი სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ო.გიგინეიშვილი). კომუნიზმის პიკზე (7495 მ) გაკვალა ახალი გზა სამხრეთიდან. დღეს ეს გზა მთამსვლელურ ტერმინოლოგიაში „ქართველთა გზის" სახელითაა ცნობილი. ამ ასვლისათვის ჯგუფმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული.

1956 წელს ისევ გრძელდება შეტევა კავკასიონის მწვერვალებზე. ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები, ქართველი ალპინისტები მიხეილის ხელმძღვანელობით უტევენ თუთუბაშის ჯერ კიდევ ფეხდაუდგმელ ურთულეს კედელს. მისი დაპყრობისათვის ოთხმა მთამსვლელმა მიიღო ოქროს მედალი. ეს იყო მეშვიდე ურთულესი მარშრუტი.



მარცხნიდან მარჯვნივ: მიშა ხერგიანი, შალიკო მარგიანი, უმცროსი მიშა ხერგიანი, იგორ პალეეთი და იგორ ლეონტიევი.

1957 წელს იოსებ კახიანთან ერთად, დაიპყრობილ იქნა დონლუზ-ორუნის ჩრდილოეთი კედელი. ეს იმდენად რთული კედელი იყო, რომ მისი შეხედვაც ზარავდა კაცს.

1958 წელს მიხეილმა კვლავ გააგრძელა შეტევა თუთუ-ბაშის მთავარი მწვერვალის ჩრდილოეთ კედელზე — ცუდმა ამინდმა ურთულეს მონაკვეთებზე მოუსწრო. სამი დღე და ღამე ეკიდა ექვსი ვაჟკაცი თოკებზე. იერიში წარმატებით დამთავრდა, რამაც მიხეილს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელის სახელი დაუმკვიდრა.

1959 წელს იგივე ჯგუფი იპყრობს მწვერვალ შხელდას ცენტრალურ კოშკს. მიშა ხერგიანი, შ.მარგიანი, უმცროსი მიხეილ ხერგიანი, იგორ პალეეთი და იგორ ლეონტიევის შემადგენლობით. ადიან მწვერვალ გესტოლაზე დაუპყრობელი კედლით. შემდეგ დაიწყო ბეზინგის დიდი მასივით ცხრა მწვერვალის ტრავერსირება. მათ ოთხ დღეში გაიარეს ტრავერსი, რომელსაც წინამორბედი ჯგუფები თორმეტ-თექვსმეტ დღეს ანდომებენ.

1960 წელს ინგლისის ალპინისტურმა საზოგადოებამ მიიპატიჟა მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი. მათ აირჩიეს შოტლანდიის პიტალო კლდის ურთულესი მარშრუტი. მას მეწყვილედ ახლდა ინგლისელი მთამსვლელი ჯო ბრაუნი. მათ სარეკორდო დროში — ოთხ საათში დაიპყრეს 500-მეტრიანი კედელი. აღტაცებულმა მაყურებელმა და ინგლისის დედოფალმა ერთხმად შეარქვეს: „კლდის ვეფხვი".

ამავე წლის შემოდგომაზე მიხეილი გახდა კლდეზე ცოცვაში სსრ კავშირის ჩემპიონი.

1961 წელს მიხეილი ტიან-შანზე ვაჟა-ფშაველას სახელობის მწვერვალს დალაშქრავს ჯ.მეძმარიაშვილთან, თ.კუხიანიძესთან, ი.გაბლიანთან და მ.კ.ხერგიანთან ერთად. მათთან ერთად მონაწილეობდა კირილ კუზმინი. ვაჟა-ფშაველას პიკი ყველამ ერთად გაიარა, ძირითადად უნდა განეხორციელებინათ გამარჯვების პიკის ტრავერსი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს მწვერვალი იმ წელს პირველად დალაშქრეს (6918 მ), რის შემდეგაც დაერქვა მას ვაჟა-ფშაველას პიკი. ამ ჯგუფში ჩართული



მიშას მეუღლე კატი ბარლიანი



მიშა ხერგიანი

იქნა უკანასკნელ მომენტში უმცროსი მ.ხერგიანი, რომელსაც არ ჰქონდა 7000მ სიმაღლის მწვერვალთა დალაშქვრის დიდი გამოცდილება.

ეს ასვლა სამწუხაროდ ტრაგიკულად დამთავრდა. ქართულმა ალპინიზმმა დიდი დანაკლისი განიცადა. გამოაკლდათ სამი შესანიშნავი წარმომადგენელი ჯ.მეძმარიაშვილი, ი.გაბლიანი და თ.კუხიანიძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მ.ხერგიანმა მარტოდ მარტომ 7100 მ. სიმაღლიდან ჩამოიყვანა ავადმყოფი, უმცროსი მიხეილ ხერგიანი.

1962 წელს ზაფხულში მიშამ, მონაწილეობა მიიღო სსრკ ინგლისის ერთობლივ ექსპედიციაში. ამავე წელს მან მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ოქროს მედალი კლდეზე ცოცვაში.

1963 წელს ბულგარეთში, ქალაქ ვრადციში ტარდებოდა მთამსვლელთა საერთაშორისო ფესტივალი. აქ შერჩეულ იქნა მრავალი მარშრუტი, ამ პატარა ქალაქში თავი მოეყარათ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს მთამსვლელებს. ჩვენს ჯგუფში შედიოდნენ მიხეილ ხერგიანი, ვლადიმერ კაუნენკო. შეჯიბრების პირობები ასეთი იყო: მეკლდეური წყვილები უარყოფითი კედლის გავლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

17 სექტემბერს დაიწყო ეს ასპარეზობა. ჯგუფები გასასვლელი ნომრებისდა მიხედვით განლაგდნენ. დროის ფაქტორი, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი გახლდათ. ამასთან, ტექნიკასაც საგანგებოდ ექცეოდა ყურადღება. ხერგიანმა და კაუნენკომ მეხუთე კატეგორიის 400 მეტრი სიგრძის უარყოფითი კედელი აირჩიეს.

ყველა მეწყვილემ გამოიყენა თოკკიბე და... ოი, საოცრება... ხერგიანი ყოველგვარ დამხმარე საშუალებებზე უარსა ამბობს.

წყვილმა ერთ საათში გაიარა აღნიშნული კედელი და ამით გამართლდა კიდეც გ. აფანასევის წინასწარმეტყველება.ხერგიანს და მის პარტნიორს მეტოქე არ ჰყავდათ ამ შეჯიბრებაში.

მომდევნო მარშრუტი, რომელიც უმაღლესი მეექვსე კატეგორიის იყო, წყვილმა სარეკორდო დროში, 4 საათში გაიარა. ამ მარშრუტის გავლა სცადეს სხვა მთამსვლელებმა, მაგრამ ვერავინ ვერ შეძლო, რადგან მონაკვეთი, რომელიც მიშამ ცოცვით გაიარა, სხვებმა დამხმარე ინვენტარის გარეშე ვერ მოახერხეს.

შეჯიბრების ბოლო დღეს შერჩეული იქნა 6ბ კატეგორიის მარშრუტი, რომელიც გაიარეს რუმინელმა, ბულგარელმა და ჩეხმა სპორტსმენებმა. მათ ასვლას 7 საათი მოანდომეს. მიშას წყვილმა ეს მარშრუტი 2 საათსა და 50 წუთში გაიარა.

შეჯიბრი დამთავრდა. მაყურებელმა ერთხმად სთხოვა მიშას, გაეზიარებინა მისი გამოცდილება.

იმავე წლის შემდგომაზე მონაწილეობა მიიღო საკავშირო პირველობაზე მეკლდეურობაში, სადაც ხერგიანი „კოლმეურნის" სახელით გამოდიოდა. შეჯიბრებამდე 5 დღით ადრე მიხეილი მოინამლა და 3 დღე ლოგინში იწვა. სამგზის ჩემპიონის გამარჯვებაში ბევრს ეჭვი ეპარებოდა, მხოლოდ შეჯიბრების წინა დღეს ადგა ლოგინიდან, ამ ფაქტმა მაყურებლის ინტერესი გაზარდა კიდეც. შეძლებდა თუ არა ინგლისში „კლდის ვეფხვად" წოდებული მიხეილი ამ ტიტულის შენარჩუნებას. მაყურებელი გაოცებული უყურებდა ამ საოცარ ოსტატს, რომელიც დინჯად მიცოცავდა მაღლა. თოკზე დაშვებისას ის ისე სწრაფად დაეშვა, რომ არწივის ქროლვას ჰგავდა. ქალებმა კივილიც კი დაიწყეს, ეგონათ მიშა მოწყდაო, მაგრამ მიშა ისე რბილად დაეშვა ფინიშზე, თითქოს ნახევარი მეტრის სიმაღლიდან დაეშვაო — ხერგიანის დრო 5 წთ და 38 წმ. საუკეთესო აღმოჩნდა ჩემპიონობისთეის. მან ზედიზედ მოიგო ოთხი ოქროს მედალი. ამავე შეჯიბრებებზე შალვა მარგიანთან ერთად წყვილებშიც მოიპოვა ოქროს მედალი.

1964 წ. ქართული ალპინიზმის ისტორიაში კიდევ ერთხელ ჩაიწერა ისტორიული ფურცელი — მ.ხერგიანის ჯგუფმა მოახდინა ე.წ. უშბის სარკეზე ასვლა, რისთვისაც სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მიიღეს — ამავე წელს პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე კლდეზე ცოცვაში, რომელიც იალტაში ჩატარდა, მ.ხერგიანი კვლავ ჩემპიონი ხდება.

1965 წელი. მ.ხერგიანი კვლავ კავკასიონზეა, — მწვერვალ ჩათინზე ადის სამხრეთის კედლით: შ.მარგიანთან, რ.გიუტაშვილთან, პ.გვარლიანთან და ჯ.რუსიაშვილთან ერთად.

შემოდგომაზე იალტაში მოეწყო საკავშირო ჩემპიონატი კლდეზე ცოცვაში. სადაც თავი მოიყარა 20 ქალაქის ნაკრებმა გუნდებმა. თბილისმა ორი გუნდი გამოიყვანა. პირველმა გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო პირად პირველობაზე მ.ხერგიანმა კვლავ მეხუთედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.



მიშა ხერგიანი

1966 წ. ეწყობა პირველი საერთაშორისო საიუბილეო ასვლა ლენინის პიკზე (7134 მ). მიხეილ ხერგიანს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე მთამსვლელს და ჯგუფის ხელმძღვანელს, ავალებენ მწვერვალზე პირველმა აიტანოს მონუმენტი.

ამ წელს სასიმაღლო ექსპედიცია მოეწყო ტიანშანში, სადაც ძირითადი მიზანი იყო ილიკოს ჩამოსვენება. სამწუხაროდ, ეს მიზანი არ განხორციელდა, რადგან განსაცდელში მყოფი რუსების ერთი ჯგუფი ითხოვდა შველას, მიშა იძულებული შეიქმნა გადართულიყო სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად, რის გამოც დაიკარგა ძვირფასი დრო. ექსპედიციის ძირითადი მიზანი განუხორციელებელი დარჩა.

იმავე წელს შემოდგომაზე იალტაში მიხეილი მეექვსედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში.

1967 წელი. ამ წლის ასვლებს ასეთი დასათაურება აქვს: „კლდის ვეფხვმა კვლავ განაცვიფრა ევროპა"...

შამონი — საფრანგეთის საკურორტო ქალა-



მიშა თოვლის აბაზანას იღებს

ქია. აქ ყველაფერი მთებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ ქალაქში ჩატარდა მსოფლიოს უძლიერეს მთამსვლელთა შეკრება, რომელშიც 25 სახელმწიფოს 50 საუკეთესო ალპინისტი მონაწილეობდა. აქ ჩამოვიდნენ საბჭოთა მთამსვლელები. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კლასის ოსტატი მიხეილ ხერგიანი და ვიაჩესლავ ონიშჩენკო. ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა ის მარშრუტი აირჩია, რომლის დაძლევის იმედიც ჰქონდა.

საბჭოთა წყვილი დუმს, ზოგი ეჭვის თვალით უყურებს, ზოგიც მათ გაუბედაობას მიაწერს. საბჭოთა წყვილმა მეექვსე კატეგორიის ურთულესი კედლის გრან-კაპუცინის დაპყრობა გადაწყვიტა. იტალიელი ვალტერ ბონატის გაელილი გზით. როცა გაიგეს, რომ მიხეილს მეექვსე კატეგორიის რამოდენიმე მწვერვალი აქვს დაპყრობილი, შეჯიბრების ორგანიზატორთა სახეზე გამოხატული ღიმილი მყისვე გაქრა.

ჯგუფები არჩეულ გზას დაადგნენ. ურთულესი გზით გადიან მიხეილი და ვიაჩესლავი.

საღამოს ჯგუფების დაბრუნებას არავინ მოელოდა, მაგრამ შეკრების ხელმძღვანელების და მთამსვლელების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მათ ბანაკში მომავალი ჩვენი სპორტსმენები დაინახეს. მათ 12 საათში გაიარეს გრან-კაპუცინის კედელი.

მეხუთე კატეგორიის სიძნელის მწვერვალიდან მეორე დღეს დაბრუნდნენ ჯგუფები, ხოლო მეექვსე კატეგორიის მწვერვალებიდან — მესამე დღეს.

ყველა წყვილმა განაცხადი შეიტანა, ვინც გრან-კაპუცინი გაიარა, ახლა პტი-დრიუს დაპყრობა უნდა ეცადა.

სტარტზეა საბჭოთა წყვილი. ყველა მათგანი ცდილობს იოლი გზა მოძებნოს, მათდა გასაოცრად, მიხეილი პირდაპირ ჭრის უფსკრულებს, რომელსაც ფრანგული ალპინისტური სკოლის მამამთავარი პიეს ალენი ასე ახასიათებს: „კედლები აქაც ციცაბოა, ალაგ-ალაგ უკუდაქანების ვერტიკალური კედლები — იცვლება უზარმაზარი გრანიტის ფილებით. მთამსვლელი აქაც უმწეოა".

სწორედ გრანიტის ამ უზარმაზარი ფილების გლუვ ზედაპირზე იპოვნა მიხეილმა ხელის მოსაკიდი შვერილები — იცის საკუთარი თითების ძალა და ენდობა მათ. ეხლაც ყველა ურთულესი მონაკვეთი ჩვეული სიდინჯით გაიარა. ამ



მარცხნიდან: სლავა ონიშენკო, (შუაში ცოლ-ქმარი რომელთაც ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს საბჭოთა მთამსვლელთა ნკეილს) მიშა ხერგიანი

ნკეილმა სამი ურთულესი მარშრუტი, უმაღლესი მე-6 კატეგორიის გაიარა სარეკორდო დროში და ბოლოს გააკეთეს მონბლანის ტრავერსი, რომელსაც 5 საათი მოანდომეს. ტრავერსიდან დაბრუნებულ მთამსვლელებს შამონის ალპინისტური სკოლის შეფმა ჟან-ფრანკომ „მიუსამძიმრასავით" — „არა უშავს, სხვა დროს გაგიღიმებთ ბედი". მას ეგონა, რომ ცუდი ამინდის გამო ისინი უკან მობრუნდნენ. ხოლო როცა შეიტყო, რომ მათ მონბლანის ტრავერსი განახორციელეს, მან წამოიძახა: „თქვენ „ტუპოლევის" თვითმფრინავივით დაჰქრიხართ მწვერვალებზე".

ამავე წლის ოქტომბრის თვეში იალტაში ჩატარდა ჩემპიონატი კლდეზე ცოცვაში. პირად პირველობაში კვლავ ყველა გაასწრო მ.ხერგიანმა. მას ბადალი არ ჰყავდა! 90 მეტრიანი ციცაბო კლდოვანი ტრასა ხერგიანმა 5 წუთსა და 26 წამში „გაირბინა" იგი მეშვიდედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

1968 წელი მიხეილ ხერგიანის ინიციატივით და ხელმძღვანელობით პირველად მთამსვლელობის ისტორიაში მწვერვალ უშბაზე ორმოცდახუთი მთამსვლელი ავიდა. მათ შორის 72 წლის ალმაცგირ კვიციანი. ეს ასვლა იყო ალპინიზმის ისტორიაში განუმეორებელი მასობრივი ასვლა ისეთ რთულ მწვერვალზე, როგორიც უშბაა. მსგავსი ალპინიადა არ ჩატარებულა დღემდე.

იმავე წელს მონაწილეობა მიიღო იალტაში საკავშირო პირველობაზე, ორ სახეობაში, წკვილთა გარბენა და ინდივიდუალური ცოცვა, — პირველში, პირველი ადგილი მიიღო, მეორეში მეორე.

1969 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების გასვლა იტალიის დოლომიტებში 1968 წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ მაშინ სხვადასხვა მიზეზების გამო არ შედგა, — იგი შედგა 1969 წელს. მიშასთან ერთად იტალიაში გაემგზავრა სლავა ონიშჩენკო, ოლეგ კოსმაჩოვი, სლავა რომანოვი, ვლადიმერ კაუნენკო. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მიხეილ ანუფრიკოვი. მათი გეგმა ასეთი იყო: ჩაეტარებინათ ასვლები იტალიის დოლომიტებში კლასიკური მარშრუტით, მერე გაევლოთ რამოდენიმე სარეკორდო კედელი, რომელთა სიგრძე დაახლოებით 1200 მეტრი იყო. მიშა დანიშნული იყო ალპინისტური ასვლების ხელმძღვანე-



მიშა საჯილდაო ქვის აწევის დროს

ლად. საღამოს მან თათბირი ჩაატარა, ჯგუფი გაიყო ორ ნაწილად. პირველი წყვილი უცვლელი დარჩა - მიხეილ ხერგიანი და ონიშჩენკო. მეორე ჯგუფი კოსმაჩოვი და კაუნენკო... პირველი მარშრუტი შერჩეული იქნა მწვერვალ ტორე-ვენეციაზე, ხერგიანი-ონიშჩენკოს წყვილმა აირჩია მეხუთე კატეგორიის მარშრუტი, მეორემ მეოთხე კატეგორიის მარშრუტი ამავე მწვერვალზე. ასვლა ორივე ჯგუფმა სარეკორდო დროში დაამთავრა. ამ ასვლაზე „ილ გადზეტინო ვი ბეტიუ“ წერდა. ექვსივე, კლდეზე მცოცავი ალპინისტი ლაპარაკობს მთისათვის დამახასიათებელ საერთო ენაზე. მათ ხელში აიღეს თოკი და პალოები და ბრწყინვალედ ჩაატარეს ორი საპასუხისმგებლო ასვლა.

მეორე მარშრუტად მ.ხერგიანმა და ონიშჩენკომ შეარჩიეს ბანკონგზე მე-6 კატეგორიის გზა, ხოლო მეორე წყვილმა მიშასა და სლავას მიერ გავლილი გზა გაიმეორეს.

საღამოს ისინი მრავალრიცხოვან მილოცვებს ღებულობდნენ იქ მყოფი ალპინისტებისგან, განსაკუთრებით არმანდო და როიტისაგან. — მიშა სამიოდე თვის წინ ავადმყოფობდა, ახლა კი მის გულს უდიდესი ბედნიერების გრძნობა დაუფლებოდა. მთელი მისი განვლილი ცხოვრება მიზანდასახული და გამართლებული ეჩვენებოდა. მორიგი იერიშისათვის საბჭოთა მთამსვლელებმა ჩივეთის მასივში განლაგებული კედლები ამოირჩიეს — მიშამ და ონიშჩენკომ მიზანში ამოიღეს სუალტოს კედელი, რომლის სიგრძე 800 მეტრია. — მიშა თვლიდა, რომ ჩივეთის კედელზე ასვლის წინ ეს ასვლა გენერალური რეპეტიცია იქნებოდა.

მეორე წყვილმა, ამჟამად კაუნენკოსა და კოსმაჩოვის შემადგენლობით ამოირჩია ტორედი-ეალგრანდეს 600 მეტრიანი კედელი. პირველად სუ-ალტოს მწვერვალზე ავიდა ლივანოს-გაბრიელის წყვილი. სწორედ მის გამო აირჩია მიშამ ეს კედელი. 4 ივლისს დილაადრიანად ორი წყვილი ვაცოლერის ქოხიდან გაეიდა. ერთად გაუდგნენ ბილიკს პლატომდე, ერთმანეთს წარმატება უსურვეს და თავიანთ გზით წავიდნენ. მიხეილი სლავასთან ერთად სუ-ალტოს მისადგომებისკენ გაემართა. მოგვიანებით სუ-ალტოსთან მივიდნენ მეთვალყურენი, ანუფრიკოვი და რომანოვი. ეს იყო დოლომიტებში ყოფნის მეშვიდე დღე.



თეთრი გეტრებით იოსებ კახიანი, მარჯვენივ თეთრი ქუდით ევგენი გიპერნეიტერი, მარჯვენივ ბოლოში თეთრი ქუდით მიხეილ ხერგიანი -- მსოფლიოს უძლიერეს წყვილთა შეკრება ინგლისში. 1960 წელი

პირველი წყვილი VI კატეგორიის III-ე მარშრუტზე ასვლას შეუდგა, შეუსვენებლად აიარეს ქვედა იოლი .... და თოვლ-ყინულოვანი ფერდობები, სადაც წინ ვიაჩესლავი მიდიოდა, მას ხომ ვიბრამები ეცვა, მიშა — კლდეზე საცოცი ფრანგული ფეხსაცმლით იყო, იქ სადაც სირთულე დაიწყო. მიშა წავიდა წინ, როგორც ყოველთვის, რამდენჯერ უნახავს სლავას, მიშას ოსტატური ასვლები და ალტაცება ვერ დაუფარავს.

ვეფხვი უზადო ტექნიკას ფლობდა, გასაოცარი იყო, როგორ ახერხებდა მოსარკულ კლდეებზე ფეხის მოკიდებას. კლდეები თანდათან რთულდებოდა. დაიწყო კარნიზები, მიუხედავად ამისა, ლიდერი ტემპს არ ანელებდა. როცა მიიდნენ პატარა ნიშამდე — სუ-ალტოს პირველდამპყრობთა ღამისათევამდე, ცოტა ხნით შეჩერდნენ და შეისვენეს.

აქედან მშვენივრად მოჩანდა მწვანე ველი — „თვალებს ვხუჭავ და მგონია, რომ სვანეთში ვარ — ჩემს სამშობლოში" — ამბობს მიშა. 13 საათისათვის წყვილმა კედლის 600 მ დაძლიეს, საიდანაც იწყებოდა უკვე იოლი გზა, მეთვალყურეებმა საქმე თითქმის დამთავრებულად ჩათვალეს სუ-ალტოზე და უკვე აპირებდნენ გადასულიყვნენ მეორე წყვილის მარშრუტის დასათვალიერებლად. წყვილს ნახევარი თოკილა დარჩენოდა ასასვლელი რთულ კლდეებზე, წინ უზარმაზარი გადმოშვერილი ბექი შეხვდათ, მიშა მარცხნიდან გავიდა, ვიაჩესლავი ყურადღებით იცავდა და თვალს ადევნებდა მის მოძრაობას. მიშა ტრავერსით გავიდა მარცხნივ, ბუხარში შევიდა და თვალს მიეფარა. ბუხრიდან სიმღერის ხმა ისმოდა — სლავა თოკის მოძრაობას თვალყურს ადევნებდა — თოკი ნელ-ნელა მისრიალებდა, ცოტა ხანში შემოესმა ქვათაცვენის ხმა — ის, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო — ზემოდან, ქვებთან ერთად ბუხრიდან გამოვარდა მიშა. სლავამ თოკი მოქაჩა, რომ მეწყვილე შეეჩერებინა, იგი დარტყმას და ბიძგს ელოდებოდა, თოკი ერთბაშად მოდუნდა, მოსწია და მიხვდა, რომ თოკი ქვებმა გადაჭრა. სისწრაფისათვის ამ სეზონში ცალფა თოკით დადიოდა, იგი მეტისმეტად დიდ იმედებს ამყარებდა ამ სეზონზე... მეორე თოკი და მასთან ერთად შანსი გადარჩენისა აღარ იყო.

**ნაზო ხერგიანი**

მიშას და

# მიშა ჩემი მოუშუშებელი ტკივილია



მიშას დები თინიკო და ნაზო ხერგიანები

მიშა და მისი დედმამიშვილები დავიბადეთ მესტიის რაიონის სოფელ ლანჩვალში. სულ შვიდნი ვიყავით — ოთხი და და სამი ძმა. დედის სიკვდილის შემდეგ მიხეილი და სამი უფროსი და მამამ სოფელ ლალამში გადმოიყვანა. სამწუხაროდ, ერთი ძმა ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. გადმოცემით ვიცი მიშას ბავშვობა. იგი ძალიან ლამაზი და წარმოსადეგი ყოფილა, აგრეთვე, კარგი მოსწავლეც. ჩემი უფროსი და ევა იხსენებს: „ისეთი გონიერი და ნიჭიერი ბავშვი იყო, მე მასწავლიდა გაკვეთილებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე გაცილებით უმცროსი იყოო".

მიშა მტკიცე ბუნების და რაც მთავარია, მიზანდასახული იყო. მთამ ასწავლა სისპეტაკე, მოთმინება და ბუნების დიდი სიყვარული. ალპინიზმის სიყვარული კი წინაპრებისაგან გამოჰყვა (ბაბუა ანტონი განთქმული მონადირე იყო). მამამ დიდი როლი ითამაშა მის ალპინისტად ჩამოყალიბებაში. მახსენდება, მწვერვალებზე წასულ მამას, მიშაც თან დაჰყავდა. მან ბავშვობიდანვე გაითავისა მთის სიყვარული.

13 წლის მიშამ მამას განუცხადა, შენსავით მინდა სიარული მთაშიო. რაც ბავშვურ ახირებად ჩაუთვალა და გამოსცადა. მამასთვის თავი რომ მოეწონებინა, უზარმაზარ სიმაღლეზე სამჯერ შემოუარა გემზათს.

13 წლის მიშა მწვერვალ ბანგურიანზე ავიდა. ამ ასვლას ასე იხსენებდა: „იქიდან რომ გადმოვიხედე, განუმეორებელი სილამაზე ვნახე, და ვინც არ უნდა იყოს წინააღმდეგი, მთამსვლელობა ჩემი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოსო". ასე დაიწყო მის ალპინისტურ ცხოვრებაში მეტად რთული და სახიფათო მწვერვალების დაპყრობა. მან არაერთი სარეკორდო ასვლები გააკეთა ცნობილ მთამსვლელებთან შალვა მარგიანთან და იოსებ კახიანთან ერთად.

მიშა მიუჯდებოდა ლუმელს და სიყვარულით ესაუბრებოდა დედ-მამას. უყვარდა დედას გამომცხვარი შოთი და ლუმელში შემწვარი კარტოფილი.

მიშას ხშირად ჩამოჰყავდა სვანეთში უცხოელი სტუმრები, ისინი ოჯახში მოჰყავდა.

მწვერვალის დაპყრობის შემდეგ, ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ და ზეიმობდნენ. მიშას ძალიან უყვარდა მთის ყვავილი „ედელვაისი" და ლამაზი ქვები. ახლაც ვინახავ მის ნაჩუქარ ქვას.

მიშას გარდაცვალება ტრაგედია იყო. მახსენდება მისი გასვენების დღე. ზარი პირველმა მამამ წამოიწყო, თან მუჭისოდენა ცრემლები სცვიოდა.

ერთი წელი სოფელში არავის უმღერია. აქაც მამამ გაბედა, იმღერა, შემდეგ ტყეში შევიდა და მოთქმით ატირდა.

მიშას დაკრძალვა დიდუბის პანთეონში უნდოდათ, მაგრამ მამა წინ აღუდგა. „ჩემი შვილი სვანეთში უნდა დაიკრძალოსო, რომ სიკვდილის შემდეგ შვილის გვერდით ვიყოო". 8 წელი იცოცხლა მამამ მიშას გარდაცვალების შემდეგ.

ახლა კი, მამა-შვილი ერთად განისვენებენ მამა-პაპათა საძვალეში.



მიშა ხერგიანი

თინიკო ხერგიანი

მიშას და

# ის ჩემი გზის გამკვალავი იყო

ჩემი სპორტული გზა მასთანაა დაკავშირებული.

თხილამურებით სრიალში და სირბილებში წარმატებებს ვაღწევდი. კლდეზე ცოცვაში თვითონ მავარჯიშებდა. შეჯიბრებები ჯერ თბილისში, შემდეგ ყაზბეგში ჩატარდა. ორივეჯერ პირველი ადგილი ავიღე. ის დუმილით მეტს ამბობდა, ვიდრე სიტყვით. მე ბედნიერი ვიყავი, როცა ის გაღიმებულ მზერას შემაგებებდა.

რთული გამოცდა გველოდებოდა იალტაში. თვითონ წამოგვყვა. თბილისის გუნდმა შეძლო პირველი ადგილის მოპოვება. 10-ეულში მოვხვდით. პირად პირველობაში წავაგე. შევბედე: „ხომ არ მიჯავრდები-მეთქი". არაო — საქართველოში ხომ პირველი ხარო...

ერთი შემთხვევა მახსენდება. ყაბარდოდან გამომაცილა. გუმაჩის მთის ძირამდე მომიყვანა. შემდეგ მარტო გამომიშვა — უღელტეხილზე სამი-ოთხი საათი ვიარე. კლდოვანი ადგილები გადავლახე. სახლს რომ მივუახლოვდი, ცრემლები წამსკდა. გავბრაზდი, მარტო როგორ გამომიშვა მეთქი.

შემდეგ ვფიქრობდი, რამდენად თბილი იყო დედმამიშვილებთან ურთიერთობაში, იმდენად მკაცრი ხასიათები ჰქონდა. ამით ის ჩვენში აყალიბებდა მტკიცე ხასიათს, რომელსაც შიშთან, უიმედობასთან არაფერი აკავშირებდა.

ჩვენთვის გზის გამკვალავი იყო, იმედი და დიდება... მას თავისი სამშობლოს მთები ვერ გაიმეტებდნენ — მისი ბოლო სიტყვა სუ-ალტო იყო. უცხო მიწაზე დალია სული. ეს ყველაზე მწარე განსაცდელია...

მასში იყო განსაკუთრებული ღვთიური ნიჭი, მეგობრობის, ვაჟკაცობის, ურთიერთობის, ნათესაობის. ის ყოველთვის ცდილობდა ბუნებრივი ხალისი, ენერგია ირგვლივ მყოფთათვის გაენაწილებინა.

მე მეამაყება, რომ მიხეილ ხერგიანის და ვარ. მისი სახელი ყველა გზაზე ნათლის სვეტად არის აღმართული.



და-ძმები — ევა, თინა, ირა და მიშა ხერგიანები

**ანვარ ხერგიანი**

მიშას უმცროსი ძმა

# მას სულიც უიშვიათესი ჰქონდა

ჩვენ მარტო ძმები არ ვიყავით. ჩვენ მეგობრებიც ვიყავით. ჩვენ შორის საიდუმლო არ არსებობდა. ოჯახში სრული ჰარმონია სუფევდა. ყველამ იცოდა თავისი საქმე.

ალპინიზმის სიყვარული გენებში მოსდევს ჩვენს საგვარეულოს. 14 წლის ვიყავი უღელტეხილზე წამიყვანა. ჩვენთან ერთად ერთი გოგო და ოთხი ბიჭი იყო. ქედზე რომ გავდიოდით, ჩაბმაში მეოთხე ვიყავი, გოგო მეორეში — ვუყურებ იმ გოგოს და ვხედავ კარგად მიდის. მე ხან ხელებს, ხან ფეხებს ვიშველიებ — მიშამ ვერ გაუძლო ჩემს უნიათობას, მოიხსნა გოგონა და მე მიმიბა. თოკი ისე გამოსწია, კინაღამ გადამაგდო.

რომ ჩამოვედით, გაბრაზებულმა მითხრა — „შენგან მთამსვლელი არ გამოვა, ალპინიზმს ჩვენც ვეყოფით, შენ უმაღლესში ისწავლეო"...

მკაცრი იყო ჩემთან ურთიერთობაში. ჩემი წვალებაც უყვარდა. ყაბარდო-ბალყარეთიდან ერთად მივდიოდით „გუმაჩის უღელტეხილზე". დიდი ფერდობია, ძლიერ დაქანებული ყინული... ვიცი რაღაც ფანდს მიწყობდა, გაფიქრება ვერ მოვასწარი, შეგნებულად ჩასრიალდა — მე დამტოვა მაღლა... შიშმა დამძლია, მივდივარ ნელა, დავსრიალდი ჩემი ზურგჩანთიანად, სიკვდილს ჩავხედე თვალებში. აზრზე რომ მოვედი, მიშას ფეხებთან ვიყავი. — ეს მეორედ გადამარჩინა.

ერთხელ სტუმრები გვყავდა სახლში. საღამოს მიშამ დაიჩემა, ბანაკში უნდა წავიდეო — მამამ წინააღმდეგობა გაუწია — რა დროს ბანაკია, ღამდებაო — ანვარსაც წავიყვანო — დაამედა მამა. გამიხარდა, იმ წუთში გავემზადეთ. „ცაიდერი" ტყეს ჰქვია — იქვეა გამოქვაბული. ცეცხლი დავანთეთ და დავისვენეთ.

მეორე დღეს ადრე ავდექი — ველოდები მიშა როდის გაიღვიძებს... არადა გვაგვიანდება. ხათრით ვერ ვუბედავ გაღვიძებას. ბოლოს, როგორც იქნა შევკადრე — მიშა გვაგვიანდება მეთქი.

დაახლოებით 12 საათზე გავუდექით გზას. მსუბუქად ვართ. უშბის გასწვრივ უღელტეხილია „ლაჰბერი" ჰქვია. დავინახეთ ჯიხეთა რემა ქედს მიჰყვება. მიშამ დააგდო თავისი ზურგჩანთა და გაიქცა. მეგონა გაგიჟდა, მეც მივდევ... მოტრიალდა:



მიშას ძმა ანვარ ხერგიანი

— შენ დამელოდე, თოფს ამოვიტანო.

ღამდებოდა, მიხვდა, მეც თან მივყვებოდი. უკან ამობრუნდა. უხმოდ გავიარეთ გარკვეული მონაკვეთი. უღელტეხილზე ავდიოდით. წინ ყინულოვანი კლდეა — ქვევით ყბადაღებული ნაპრალი, დაახლოებით 10-11 მეტრის სიღრმით. მიშა მეუბნება:

— პირდაპირ ჩავალო.

ხუმრობით შევკადრე:

— შენ „ბებერი" ხარ, მე ახალგაზრდა და ხომ არ სჯობია, გეერდულად მოვუარო-მეთქი.

უსიტყვოდ მომაბა „კარაბინი", მხოლოდ 8 მეტრიანი თოკი გვაქვს. სანამ კლდეა, მეც მივყვები — კლდის მონაკვეთი გავიარეთ — მერე იწყება ნაპრალი. თოკი მოიხსნა, გადახტა 3-4 მეტრზე და დაგორდა... ჩვეულებრივად წამოდგა — ვფიქრობ, როგორ მოვიქცე — მინდა თოკი შევიხსნა და გავიქცე — მიმიხვდა, თოკი თავისკენ მოზიდა. მეუბნება — გადმოხტი. ძალაუნებურად გადავყევი (გადავვარდი). ავიხედე... ცის მეტს ვერაფერს ვხედავ, ქვევით მოვავლე თვალი, უფსკრულია... მყინვარივით მრისხანე მზერა „მართლა ჩასაშვები ხარ"... რამდენადაც თბილი იყო ურთიერთობაში, იმდენად მკაცრი იყო საქმეში.

ამის შემდეგ თავდახრილი მივყვევი ბანაკში. მთელი ბანაკი ფეხზე დადგა — „მიშა მოვიდაო"...

ყოველთვის სიამაყის გრძნობა მავსებდა, რომ მისი ძმა ვიყავი... ის მარტო ალპინიზმში არ იყო ლეგენდარული პიროვნება, მას სულიც უიშვიათესი ჰქონდა და ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მას მარტო ოჯახის წევრები კი არა, ვინც ერთხელ შეხვედრია, ყველა დიდი სიყვარულით იხსენებს.

მარლენ რატიანი

მიშას მეგობარი, მთამსვლელი

# ჩვენ ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით

...თუკი ცხოვრებაში ლამაზი მოგონებები შემომრჩა, რომელიც ყოველთვის თან დამყვება — ეს მიხეილ ხერგიანს უკავშირდება. ჩვენ ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული. მიშა ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო. ვიზრდებოდით დაბა მესტიის სოფ. ლანჩვალში. ახლაც თვალწინ მიდგას მშვენიერი სოფელი, თავისი მდელოებით და მასთან ერთად ჩვენი ბავშვობაც. მიშა გამბედავი ბაეშვი იყო. თუკი სადმე მივდიოდით თავგადასავლების მაძიებელი ახალგაზრდები, სახიფათო ბილიკებზე სულ წინ მიგვიძღოდა. საოცრად კეთილი იყო. მახსოვს, კამათისას, მუდამ „სუსტების" მხარეზე დგებოდა... სპორტის ნებისმიერ სახეობაში: ცურვაში, თხილამურებით სრიალში, ჭიდაობაში... მუდამ ლიდერობდა.

ცურვასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ: მოგეხსენებათ, მდ. ენგურის „მრისხანება". ერთხელ მე და მიშა ხაიშიდან-ანაკლიამდე დავყევით დინებას. ვეძებდით დაღუპულ კარლო ხერგიანს. პირველად ვერ გავბედე წყალში შესვლა, მაგრამ მიშას გამბედაობამ სტიმული მომცა...

მიშა საოცარი ენერგიის პატრონი იყო, — მახსოვს, გონიოში ვიყავით. მდინარე ჭოროხი ადიდებული იყო. მაშინ მიშაც დაუფიქრებლად გადახტა აბობოქრებულ მდინარეში — ამით იმის თქმა მინდა, რომ ის მხოლოდ ალპინიზმისთვის არ იყო დაბადებული. მან 37 წლის ასაკში სპორტული წარმატებების „პიკს" მიაღწია...

ის არა მარტო სპორტული, ხელოვნების ნიჭითაც გამოირჩეოდა — ძალიან უყვარდა სვანური სიმღერები. განსაკუთრებით „ლილეო", რომელსაც ომახიანად მღეროდა. ორი ოცნება დარჩა განუხორციელებელი — ილიკო გაბლიანის ცხედრის ჩამოსვენება ტიანშანიდან და მესტიაში „მთამსვლელთა სკოლის" გახსნა, ალპინიზმის აღორძინება. მიშამ მართლაც დაუვიწყარი სახელი დატოვა, არა მარტო მთამსვლელებში, არამედ ყველასთან, ვინც კი მას იცნობდა. ის ანდამატიეით იზიდავდა ადამიანებს. ცდილობდა, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, ამასთანავე მომთხოვნიც იყო — რომ იტყვიან „თავისი სიტყვის დარაჯი". რასაც იტყოდა, იმას აკეთებდა... არასოდეს ეშლებოდა მანდილოსნებთან დამოკიდებულება და მუდამ ჯენტლმენურად იქცეოდა. მას შეეძლო შესაშური დაძმობა გაეწია...



პირიბე ვეარლიანი, მარლენ რატიანი და მიშა ხერგიანი



მიშა ვიზუალურად სწავლობს ტრასას

ვიგონებ მიშას ცხოვრებას და სინანულის ცრემლები მახრჩობს. ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი სიყრმის მეგობარი. უკანასკნელად რომ ენახე, იტალიაში წასვლამდე, მაღალი სიცხეები ჰქონდა — ვუთხარი, ჯერ დაისვენე, გამოჯანმრთელდი და მერე წადი-მეთქი. მან ღიმილით მიპასუხა: „ჩემო ძმაო, ახლა უკეთ ვგრძნობ თავსო". მისი წასვლის შემდეგ სულ „შიში" მქონდა, რაღაც წინათგრძნობა არ მასვენებდა... აკი გამართლდა კიდეც... მთის სიყვარულით გაჯერებული ადამიანი, მთამ წაიყვანა. ჩემთვის ყველაზე ტრაგიკული დღე იყო 1969 წლის 4 ივლისი — მიშას დაღუპვის დღე... მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ „დრომ" ვერ იმოქმედა ჩემზე — დღესაც ჩამესმის მისი ომახიანი ხმა, მისი „ვაჟკაცური შემართება" და ნამდვილი ზეკაცობა. ის დაუვიწყარი სახელია რჩეულთა შორის...

**ნოდარ გვარლიანი**

ბავშვობის მეგობარი

# ის განუმეორებელი იყო

მიშა იყო პიროვნება, ყველაფერში პირველი, მაგრამ არასოდეს ამას არ გაგრძნობინებდა. მის ბუნებაში შერწყმული იყო მეგობრობის და სიყვარულის ნიჭი.

მის გარეშე ქართულ ალპინიზმს არ ექნებოდა მსოფლიო აღიარება. საუკეთესოთა შორისაც განუმეორებელი იყო. სწორედ ამიტომ უწოდა მას „კლდის ვეფხვი" ინგლისის დედოფალმა. ენატრობდით მალე დაბრუნებულიყო საზღვარგარეთიდან გამარჯვებული მიშა. მხოლოდ მას შეეძლო 45 კაცის წაყვანა მწვერვალ „უშბაზე", ეს იყო მართლაც სენსაცია.

ერთი მომენტიც იყო, იალბუზზე ხუთი კაცი გაითოშა. ერთ-ერთი ძალიან ცუდად გახდა, მოეყინა ფეხები და ხელები. მიშამ კარავი გაშალა, „პრიმუსი" აანთო, მასაჟები გაუკეთა, ჩაი დაალევინა... ჩააწვინა „საძილე ტომარაში", ხელები შემოაჭდო, თავისი სხეულის სითბოთი ფიქრობდა გაეთბო. ბოლოს მიშასაც წასთვლიმა. დილას ის მკვდარი იყო, და იმდენად ჰქონდა მიშას მხრებზე ხელები შემოკრული, რომ ძლივს მოაცილეს...

მიშამ კი იგრძნო, რომ ის მოკვდა, მაგრამ დილამდე არავინ შეაწუხა (ასეთი ფაქტი ალპინიზმის ისტორიაში არ მომხდარა). ერთი შემთხვევაც მინდა გავიხსენო. ყაბარდო-ბალყარეთში ალპინისტური სეზონის დამთავრების შემდეგ, მიხეილის მშობლიური კუთხით დაინტერესებული მეგობრები მესტიაში ჩამოდიოდნენ. მე ყველას ვიცნობდი და ვიცოდი მათი კოორდინატები.

საქორწინო მოგზაურობისას, მოსკოვში ვახშამზე შევკრიბე ყველანი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ალპინიზმი და სპორტული საზოგადოება ისე არ იცნობდა მიშას, როგორც რუსეთში, ის მათ ბანაკებში იყო გაზრდილი. მიშას სადღეგრძელო ასე თქვეს: „Вы не знаете Мишу Хергиани, Миша эта бог и царь Альпинизма". ეს რომ მითხრეს, ჟრუანტელმა დამიარა. ისინი მიშას აღმერთებდნენ. შინ დაბრუნებულმა მიშას მამას, ბესარიონს მოვუყევი ეს ამბავი, შემაჩერა „ნუ უკეთებ ამხელა რეკლამას, მიშა ამხელა პიროვნება არ არისო". ასეთი თავმდაბალი კაცი იყო, რომელმაც ასეთი ბუმბერაზი გაზარდა.

1973 წელს საქართველოში ჩატარდა ალპინიზმის დაარსების 50 წლის იუბილე. ამ იუბილეზე ჩამოვიდა ვიტალი აბლაკოვი, მიშას მეგობარი, რუსული ალპინიზმის მამამთავარი. მან ასე თქვა მიშაზე: „Вечным символом моей памяти останется Михаил Хергиани, как человек и как альпинист". ალპინიზმი მამაცთა სპორტია, ის სიკვდილს სიცოცხლით ამარცხებდა. მისი სახელი დაუვიწყარია ისე, როგორც გაბრიელის, ბექნუ ხერგიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, ილია გაბლიანის, იოსებ კახიანის, მაქსიმე გვარლიანის, გოჯი ზურებიანის და სხვების.

ლამაზი სიცოცხლით ისინი მარადიულობაში შესახლდნენ...



მიშა მამასთან და სტუმართან ერთად.

ეთერ მჭედლიანი

ბავშვობის მეგობარი

# მინაან

ლანჩვალი მესტიის ერთ-ერთი უბანია — ფერდობზე შეფენილი, მაღლა ატყორცნილი. თითქოს სიმაღლისადმი სწრაფვა დაბედებია უძველესი კოშკებით დამშვენებულ უბანს, რომლის თავზე, ზედ კოჯოლის დასაწყისში ფუსდის (უფლის) ეკლესია თეთრად ანათებს კოშკებივით ძველი და ტუფის ლამაზი ქვებით ნაშენი. უბანი ყანებს შორის აცოცებულა მაღლა ცხაკვზაგარისა და მეფთქულაშის მიმართულებით და ჩვენთვის, ბავშვებისათვის ოცნებადაა გადაქცეული ფუსვნატვიბის არც თუ ღრმა ხეობის კლდეებს შორის ცოცვა და ხეტიალი.

უბნის თავში, ქვენიერის ფლატის თავზე, იქ, სადაც გაზაფხულობით ტყემლები და უზარმაზარი მსხლის ხეები თეთრად აფეთქდებიან და პირველები გვახარებენ გაზაფხულის მოსვლას მარგიანების უბანია, სხვა გვართაგან განცალკევებული. აქაა ჩვენი ბიძის დიმიტრი მარგიანის შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრესავით გალავნიანი, მიუვალი სვანირი, ახლა რომ მუზეუმადაა გადაქცეული. ამ უბანში ცხოვრობენ ჩვენი ბიძა-ნათესავები: ჩვენი საყვარელი დედულეთი — ყველა ბავშვის სიყვარულისა და სიამაყის საგანი.

მარგიანების უბნის შუაში მთავარანგელოზის ეკლესიაა, თოვლივით თეთრი კედლებითა და ჩაშავებული კარებით. აქვეა სასაფლაო, სადაც მარადიული ძილით სძინავთ ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს, მათ წინაპრებს. ჩვენთვის კი — მარგიანების პატარა ბადიშებისათვის ეკლესიის ეზო სანუკვარი სათამაშო ადგილია.

აქედან მახსოვს მიხეილ ხერგიანი, ჩვენი ჩხვიმლიანი — შავგვრემანი, შავთვალწარბა, დიდი სევდიანი თვალებით, დინჯი და სერიოზული, ულაპარაკო, მაგრამ ყველაზე სწრაფი და ძლიერი. ჩვენ ერთი წიოკობა გვაქვს — დავრბივართ, დამალობანას თუ ასკინკილას ვთამაშობთ, სასაფლაოებს შორის ფერხულს ვუვლით, ვიღაცის საფლავის ფიქლის ფიცარზე ვსხედვართ და მთელი ხმით ვმღერით. ჩხვიმლიან კი იქვე ზის, ხანდახან ბანს შემოგვაშველებს, უმეტესად კი დუმს და მისი დიდი შავი თვალებიდან უსაშველო სევდა იღვრება — იგი ახლად დაობლებულია, დედა აღარ ჰყავს.



მიშა ხერგიანი უშბის სარკეზე

ჩვენთან არის მეორე მიხეილ ხერგიანიც (უმცროსი), რომელსაც მეტისმეტი სიანცის გამო „პერიკორას" ვეძახით და მასსავით დაუდგრომელი მარლენ რატიანი. ისინი ლანჩვალში ცხოვრობენ და თუმცა მარგიანების ბადიშები არ არიან, უფლებას ვაძლევთ ჩვენთან ითამაშონ. ისინიც, ჩვენი გულის მოსაგებად, ლანჩვალელთა ბაღებში ჭინკებივით უხმაუროდ იპარებიან და უბით ბალს, მსხალს, ქლიავს და ვაშლს მოგვიტანენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მარგიანების უბანში პრივილეგირებული, განსაკუთრებული „კასტა" ვართ, პერიკორა და მარლენი მზად არიან ყოველ წუთში დაგვეწიოკონ, დიდხანს არ შეუძლიათ თავშეკავება ამ ორ ეშმაკის ფეხს, მათგან უამრავ „დამცირებასა" და მუჯლუგუნს ვიტანთ. მინაან-მიხეილი კი ზის სერიოზულად, საკმაოდ გამაფრთხილებლად უბღვერს თავის ძმაკაცებს. საჭიროების შემთხვევა-

ში დაუყვირებს კიდეც — „ქა ჯაარხ" (გეყოფათ). და არეგულირებს ჩვენდამი მათს დამოკიდებულებას.

ასე გარბის ჩვენი ბავშვობა.

მერე სკოლის წლები.

ყველანი ისევ ერთად ვართ. ასაკთან ერთად სიდინჯეც გვემატება. მე მეგობრებს შორის საკმაოდ ავტორიტეტული ვარ — მიხეილს (უმცროსს) და მარლენს ჩუმ-ჩუმად ვკარნახობ, საშინაო და საკლასო დავალებებს გადავაწერინებ ხოლმე. თუმცა მიხეილს ვერც ეს აკავებს დიდხანს, ჩემს უკან ზის და მწინკნის თმებს, აგროვებს მათ და ჩემზე „შეყვარებულ" მის ერთ-ერთ მოგვარეს „საჩუქრად" მიართმევს. ჩხვიმლიანი ბრაზობს, ისევ მმფარველობს და უმცროს მიშას შავ დღეს აყრის.

დავამთავრეთ მერვე კლასი. ახალ სასწავლო წელს არც მინაანი და არც მარლენი სკოლაში აღარ მოსულან. ისინი ყაბარდო ბალყარეთში გადავიდნენ და თვალსაწიერიდან დროებით დაგვეკარგნენ.

სკოლის წლებმაც ელვის სისწრაფით ჩაიარეს. დავამთავრეთ საშუალო სკოლა, მივიღეთ სიმწიფის ატესტატები და შევებით ცხოვრებას. ჩვენი თაობაც ცდილობს თავისი კვალი დატოვოს ამ ქვეყნად. ცდა არც თუ უნაყოფოდ მთავრდება. დავამთავრეთ უმაღლესი სასწავლებლები, ადილარ ჩართოლანი რაიონის მთავარ ექიმად მუშაობს, ერემია რატიანი ჯერ ვოლგა-დონის არხს აშენებდა, შემდეგ რაიონის სამშენებლო ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში, ოთარ და ელგუჯა ჯაფარიძეები სოფლის მეურნეობის სპეციალისტები არიან, მე — ჟურნალისტი, ბიძინა ბარლიანი — გეოლოგი და სხვ. ისევ ყველა ერთად ვართ ჭირშიც, ლხინშიც და ყველას გვეამაყება უკვე სახელგანთქმული მიხეილ-მინაანი — მსოფლიოს მთამსვლელური სპორტის კაშკაშა ვარსკვლავი, „კლდის ვეფხვად" წოდებული. სადღაა ის ულაპარაკო, თითქმის მორცხვი მიხეილი. ჩვენს წინ დგას საშუალო სიმაღლის, დაკუნთული, მზემოკიდებული, მომღიმარი ვაჟკაცი. მისი სახელი კარგა ხანია გასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს, მას აღიარებს მსოფლიო სპორტული სამყარო. იგი სიმამაცისა და ვაჟკაცობის ეტალონია. მიშა მასპინძლობს საბჭოთა მთამსვლელთაგან ევერესტის პირველდამპყრობს, თენსინგ ნორგეის და მეგობრობს პირველი წარმატებული ექსპედიციის ხელმძღვანელთან, ჯონ ჰანტთან.

მე, ჩვენს მეგობართაგან, ისევ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვარ — მიხეილი ყველა ექსპედიციიდან მიგზავნის წერილებს, „მაზარებს" ანგარიშს და წერილებთან ერთად კონვერტში ედელვაისებია — მიუდგომელ სიმაღლეთა კეკლუცი მზეთუნახავი. ედელვაისებს მიგზავნიდა მიშას ცოლისძმა სერგო ბარლიანიც.

მე მახსოვს მიშას სევდიანი თვალები მაშინ, როცა მწვერვალ „პობედას" მყინვარებში დამარხა ილია გაბლიანი. ძლიერ განიცდიდა იმას, რომ ილიკოს არ ეღირსა მშობლიურ მიწაში დამარხვა და ოცნებობდა მის ჩამოსვენებაზე. „მართლაც მზად ვარ წავიდე და ზურგით ჩამოვასვენოო" — იძახდა ხოლმე.

მე მახსოვს იგი, როცა საავადმყოფოს პალატაში ვემშვიდობებოდით მიხეილ ხერგიანს (უმცროსს), უკურნებელი სენით დაავადებულ მის განუყრელ მეგობარს და ნათესავს. ეს კლდესავით კაცი მწარე ქვითინით ეხვეოდა მიხეილს, რომელმაც იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და მაინც გვიცინოდა, გვამშვიდებდა, თეთრ კბილებს აელვებდა და: მერე რა, განა ყველანი არ მოვკვდებითო, — გვიმსუბუქებდა თვითონვე დარდსა და სევდას.

მედლებისა და წოდებებისათვის არ იბრძოდა მიშა, არ იტაცებდა დიდება და სახელი. იგი, უბრალოდ, მთის კაცი იყო, მთაში დაბადებული და ჭიუხებს შეზრდილი, — მამა-ბიძების კვალზე წასული. მას უყვარდა სიმღერა თეთრ შუნს გაკიდებული ბეთქილისა და მამაცი მონადირე გივერგილას შესახებ, უბერებელ და უკვდავ ყანსავ ყიფიანის ლეგენდა, უყვარდა „ლილე", მზე და სიცოცხლე, უყვარდა ტოლ-სწორები, ნათესავები, ამხანაგები, იცოდა მთის წესი — არასოდეს არ უნდა უღალატო შენს გვერდით მიმავალ ვაჟკაცს, თორემ თოკი, რომელიც სიცოცხლის ერთადერთი გზაა მწვერვალთა შორის, შენი სინდისის სიმძიმეს ველარ გაუძლებს და...

მისი დაღუპვა საშინელი ტრაგედია იყო, მოულოდნელი, სიკვდილამდე რომ გჯობენს გულში და აღარ გასვენებს. დოლომიტები გვეპატარავა პამირთან და ტიან-შანთან შედარებით, თორემ ვიცოდით — მიშა მწვერვალებში უნდა დაღუპულიყო. მისი გარდაცვალება უბრალო მოკვდავის ლოგინში ცოდვაც კი იქნებოდა!

ღვთისაგან ნაბოძებ საყვარელ გარემოში დაიღუპა სრულიად ბუნებრივად და ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც ამ ქვეყნად გაელილი ლამაზი ცხოვრების შემდეგ უკვდავების თანაზიარი ხდება.

**შალიკო მარგიანი**

სპორტის საპატიო ოსტატი ალპინიზმში,
მიშას მეგობარი, პირველი მწვრთნელი

# მეგობრის ხსოვნას

მიხეილ ხერგიანი მთამსვლური ხელოვნების საოცრება იყო. ზარდამცემი და დაუჯერებელია მისი დაღუპვა.

ნაიქცა ფესვძლიერი მუხა, ფრთები დაელეწა ლაჟვარდებში მონანავე არწივს, კლდის ჩამონანგრევმა იმსხვერპლა კლდის ვეფხვი. ალპინიზმის ისტორიას იშვიათად ახსოვს მისი შესადარი დიდოსტატი. აუნაზღაურებელია ის დიდი დანაკლისი, რაც საბჭოთა ალპინიზმმა განიცადა მიხეილ ხერგიანის დაკარგვით.

მას წინ გრძელი და სახელოვანი გზა ელოდა, ცხოვრების შუაგზაზე კი შემოაღამდა. მას დიდი მიზნები ჰქონდა დასახული და უეჭველად განახორციელებდა, მაგრამ არ დასცალდა. მისი მეგობრები ვივლით მისი გზით და ვეცდებით მისი მიზნები ნაწილობრივ მაინც განვახორციელოთ.

იგი ჩვენთან ერთად, ჩვენს მხარდამხარ განაგრძობს ლეგენდად ქცეულ სიცოცხლეს.



მიშა ხერგიანი ვარჯიშის დროს



მიშა ხერგიანი, უცნობი და შალიკო მარგიანი

**გივი ნერედიანი**
*მიშას მეგობარი, სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში*

# „უშბის სარკის“ დაპყრობა



გიეი ნერედიანი

მე და მიშა ხერგიანი 1960 წლიდან ერთად დავდიოდით ექსპედიციებზე პამირში, ტიანშანში, კავკასიონის მწვერვალებზე...

საბჭოთა კავშირის ყველა ალპინისტს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ჩრდილოეთ უშბის აღმოსავლეთი, „სარკედ“ წოდებული კედლით მისი დაპყრობა, მაგრამ ვერავინ გაბედა.

1964 წელს, მიშამ გადაწყვიტა „სარკით“ უშბაზე ასვლა. შეადგინა სვანი ალპინისტებისაგან ჯგუფი, რომელშიც მეც შევდიოდი. პირველი სავარჯიშო ასვლა უშბაზე, იმ წელს ივნისში მოვახდინეთ — ერთ-ერთი ურთულესი გზით — გაბრიელ ხერგიანის კედლით, 5 ბ კატეგორიის მარშუტით. ვმონაწილეობდით მე, დიდი და პატარა მიშა ხერგიანები, პირიბე გვარლიანი, შოთა ჩართოლანი, ბაგაუ კვიციანი და შალვა მარგიანი. ამის შემდეგ გადავედით ჩრდ. კავკასიაში, იალბუზის ხეობაში, ალპინისტურ ბანაკ „სპარტაკში“. აქ მოვიყარეთ თავი ყველა მოიერიშემ, და მეთვალყურემ. აქვე სავარჯიშოდ გავაკეთეთ რამდენიმე მწვერვალი: „მენვერი“ შუროვსკი 5 ბ, ცენტრალური შხელდა 5 ბ და სხვა მწვერვალები. 40 დღის შემდეგ დავბრუნდით მესტიაში სოფელ ლალამში, მიშას სახლში მოვამზადეთ ყველა საჭურველი. 10 აგვისტოს მოიერიშე ჯგუფი მიშა ხერგიანის ხელმძღვანელობით და მოთვალთვალე ჯგუფი, სპორტის დამსახურებული ოსტატის ბექნუ ხერგიანის ხელმძღვანელობით, გავუდე-



მიშა ხერგიანი, გიეი ნერედიანი, შალიკო მარგიანი და ჯუმბერ კახიანი.

ქით გზას „უშბის სარკის" მიმართულებით... უშბის კედელთან ახლოს დავტოვეთ მოთვალთვალე ჯგუფი და მოიერიშე ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით. მივედით უშბის სარკის ძირში და იქ განვლაგდით: წინ, როგორც ყოველთვის, დიდი მიშა ხერგიანი, უმც. მ.ხერგიანი, შ. მარგიანი მე, ჯუმბერ კახიანი და ბოლოს ჯოკია გუგავა. ასეთი წყობით ვიარეთ 2 საათი. ცოტა ხნის შემდეგ მიშამ გადმოგვძახა: ერთ-ერთი თქვენგანი გადადით და ჯოკია გადმოიყვანეთ თქვენს ადგილასო. მე ჯოკიას ადგილი დავუთმე და იგი ჩემს მაგივრად, მეოთხე ჩაება თოკში.

მეექვსე დღეს ამინდი შეიცვალა. წამოვიდა სველი თოვლი, თანაც ისე შემოგვეღამდა, რომ ჰამაკების გაბმაც ვერ მოვასწარით. დავრჩით კედელზე თოკებით დაკიდებული, ერთიანად სველნი. მიშა გვამხნევებდა: „ხვალ კარგი ამინდი იქნება, გავშრებით და განვაგრძობთ წინსვლას. გვამხნევებდა და თან „ლილეოს" ღიღინებდა. ჩვენც ავყევით. იგი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ არ ჩაგვძინებოდა.

როგორც იქნა, გათენდა. ამინდი გამოკეთდა. მზემ კედელი გააშრო. მიშამ თოკები გადააბა, შალიკო დაცვაში დააყენა და თვითონ კედლის დამუშავებას შეუდგა, რომ მეორე დღეს უფრო გაგვიოლებოდა ასვლა. დანარჩენებმა კლდეზე შეყინული თოვლი შევასწორეთ და ზედ კარავი დავაფინეთ, რომ ღამით დასაჯდომი მაინც გვქონოდა. მიშამ და შალიკომ 186 მეტრზე დაამუშავეს კედელი და თოკებიც გააბეს. ღამე შედარებით მშვიდად დავისვენეთ, საჭმლის მომზადებაც მოვახერხეთ, ცოტა გამოვიძინეთ და დილით ისევ იმ წყობით შევუდექით ასვლას. მწვერვალს მივაღწიეთ... დაღამებისას მაშხალები (რაკეტები) გავუშვით და მესტიის მოსახლეობას ჩვენი წარმატება ვამცნეთ.

მეცხრე დღეს, კოკინის გზით დავეშვით და სოფელ მაზერში ჩამოვედით. მესტიის მკვიდრნი მრავალთა ნაოცნებარ გამარჯვებას გვილოცავდნენ...

მიშასნაირები იშვიათად იბადებიან და მარადიულობაში გადადიან... მისი ხანმოკლე ცხოვრება არ მიუთითებს მარტო იმაზე, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ მთამსვლელობის უბადლო ნიჭით იყო დაჯილდოებული. ის ყველაფერში უძლიერესი იყო. სწავლას რომ გაჰყოლოდა, ან ნებისმიერ პროფესიას, ის მაინც ყველა საქმეში აკადემიკოსი იქნებოდა.

ძალიან მწყდება გული, რომ მას სუალტოზე შ.მარგიანი არ ახლდა თან. ის შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო დღეს. შალიკო ერთად-ერთი კაცი იყო, ვინც მიშას თავის ნებაზე არ უშვებდა. ის მიშას 3 მეტრის სიშორეზე მეტს არ უშვებდა.

სპორტის გზა უსასრულო და მრავალფეროვანია, მაგრამ მიშაზე დიდი ადამიანი სპორტს არ ჰყოლია...



მწვერვალი „დონღუზ-ორონი"

**შოთა ჩართოლანი**

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში

საქ. მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის

ცენტრის სვანეთის რეგიონალური განყოფილების

გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

# მიხეილ ხერგიანი — ქართველი კაცის ეტალონი

მეოცე საუკუნის სამთო სპორტის განვითარებაში, მიხეილ (მიშა) ხერგიანის განსაკუთრებული ღვაწლი და ამაგი აისახა მის უმაღლეს სპორტულ რეგალიებსა და პრესტიჟულ საპატიო წოდებაში. იგი თანაბრად ძლიერი იყო ალპინიზმის ყველა სახეობაში: სასიმაღლო, სატრავერსო, ტექნიკურ ასვლებში და მეკლდეურობაში.

შეუდარებელი ტრიუმფატორის სახელის უკვდავსაყოფად მემორიალებია ალმართული: საფრანგეთში, უნგრეთში, იტალიაში, ყირიმში, ჩრდილო კავკასიაში. პამირში გვაქვს მ.ხერგიანის სახელობის მწვერვალი. ქ. კიევში დაარსდა „მ.ხერგიანის სახელობის ნორჩ ალპინისტთა კლუბი". ამავე ქალაქში ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მთამსვლელთა შეხვედრები — „გამარჯობა მიშა".

მსოფლიოს ნამყვანმა მთამსვლელებმა დააფუძნეს მ.ხერგიანის სინონიმები და ტიტულები: „კლდის ვეფხვი", „Альпинист СССР N1", „Кароль Крымских скал", „უშბაზე ძლიერი", მითიური „ბეთქილი" და სხვა. სანკტ-პეტერბურგის სამონეტო სახლმა გამოჭედა მ.ხერგიანის სამახსოვრო მედალი, საერთაშორისო საპლანეტო ცენტრმა ახლად აღმოჩენილ მცირე პლანეტას მ.ხერგიანის სახელი მიანიჭა და შ.რუსთაველის შემდეგ, მეორე ქართველმა დაიპყრო კოსმოსი.

მიშა ეტალონია ქართველი კაცისა: ცხოვრებაში რაინდი, თავმდაბალი, სალად მოაზროვნე, თავაზიანი და სიტყვაძვირი.

სიყმაწვილის წლებში, მიშა გამოირჩეოდა, როგორც კარგი მოჭიდავე და მოთხილამურე, მაგრამ მან მთამსვლელობა არჩია. მახსოვს, 1947 წ. სვანეთში, ს.გვალიას ხელმძღვანელობით ალპინიადა ჩატარა მწვ. ბანგურიანზე. მიშა და მე, როგორც მცირეწლოვნები, არ ჩაგვრთეს. მეორე დღეს, გავეკიდეთ. მე წინ გამიშვა და დამარიგა — „იარე აუჩქარებლად, ზომიერი ნაბიჯით". ბანგურიანის შუაწელზე დავეწიეთ. ჭიჭიკომ და ბექნუმ ჩაგვიბეს თოკში. მათი ყურადღება მიშამ მიიქცია.

ბანგურიანზე ჩემთვის ნათქვამი სიტყვები 1966 წ. ტიანშანზე გაიმეორა სამაშველო ჯგუფის წევრების: სერგო ბარლიანის, ზაქრო მუშკუდიანისა და კარლო არღელიანის მიმართ — „ნუ ჩქარობთ, იარეთ დინჯად, დაზოგეთ ძალა და ენერგია".

მიშა მწვერვალების დასალაშქრად წასვლამდე საგანგებოდ ეცნობოდა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას. ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, გეოლოგიურ აგებულებასა და სხვა საკითხებს. მწვერვალ „ვაცა-ფშაველას" ჩრდილო ფერდობზე, ყინულის გამოქვაბულში ღამისთევის დროს, ზურგჩანთიდან ამოიღო ახლად გამოცემული „ვეფხისტყაოსანი" და მთხოვა სანთლის შუქზე წამეკითხა, თან იკითხა: — „როდის დაიბადება საქართველოში მეორე შოთა რუსთაველი?" — ჩემს დუმილზე, გაიღიმა და თქვა: „ვინ იცის, იქნებ უკვე დაბადებულია". შემდეგ, საუბარი გავაგრძელეთ. როცა ვახსენე, რომ ჭუბერის ძვ.წ. მე-6 ს-ის კრემაციულ მოედანზე უძველესი წერაყინი აღმოვაჩინეთ, გაუხარდა, გადამოკცნა და მითხრა — „ხომ გეუბნებოდი, რომ მწვერვალები არსად გაგვექცევა და რომ სვანეთში არქეოლოგიური გათხრების დაწყება უფრო დიდი საქმეა". გაიხსენა 1964 წ. როცა ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ბატონმა გერმანე გობეჯიშვილმა სოფ. ბეჩოში მიშას აუხსნა, რომ ვიწყებდით სვანეთში არქეოლოგიურ გათხრებს და სთხოვა ჩემი გათავისუფლება უშბის ექსპედიიდან. მიშა დათანხმდა. მე მაშინ მეწყინა. ორი წლის შემდეგ მიშამ მითხრა: — „...იმ უშბის ოქროს მედალს ნამდვილად სჯობია შენი აღმოჩენილი წერაყინი... ალპინიზმი ჩვენი ხალხური სპორტია და ეს ტრადიცია სწრაფად უნდა განვითარდეს". მე ვკითხე — „კრიტიკულ მომენტში მართლა მღერიხარ ლილეს?" — გაიცინა და მითხრა — „სიმღერის თავი ვისა აქვს, მაგრამ წავიღიღინებ ხოლმე — „ჰოდა ლილეო ისგვამი დიდაბიო"... ან „ჯგურაგიშს" ვდუდუნებ. მე მგონი ღმერთი მეხმარება".

წიგნები მიხეილ ხერგიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, დიდიხანია გამოიცა, მაგრამ ეს ლიტერატურა მაინც ვერ ასახავს სრულად ამ ბუმბერაზი ქართველი კაცის ბუნებას, მაღალ ინდივიდუალურ თვისებებსა და სულიერ სამყაროს.

**პირიბე გვარლიანი**

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში

# „მთის არწივი"

საუკუნეს მიტანებული იყო ბაბუა ანტონი, გვერდით მოისვამდა პატარა მიხეილს და შუაღამემდე ესაუბრებოდა მთაში გატარებულ დღეებზე, ნადირობაზე. სვანეთში განთქმული კაცი იყო ბაბუა, შესანიშნავი მონადირე, გამჭრიახი, მარჯვე, არ შეიძლებოდა აუღელვებლად მოესმინა მისი ნაამბობი. პატარა მიხეილიც ყურადღებით უსმენდა, იმახსოვრებდა, ოცნებით მისდევდა კლდიდან კლდეზე მხტომარე ჯიხვებს, არჩვებს და სულ იმას ნატრობდა, როდესმე მონადირე გამხდარიყო. ნადირობის ტრფიალთან ერთად მწვერვალების დაპყრობაც იტაცებდა.

ნამოიზარდა და უკვე მამის ორლულიანი თოფით მთელი დღე უთვალთვალებდა მთიდან მთაზე გადაფრენილ შურთხებს. ნადირობიდან ხელცარიელ დაბრუნებას არჩევდა სადმე გამოქვაბულში დაეფინა ბალახი და მთვარის შუქზე, გაბრწყინებული მწვერვალები ერთხელ კიდევ შემოერბინა ოცნებით. იგი ხომ მათ დაპყრობასაც ნატრობდა ისევე, როგორც პირველი მთამსვლელები ბესარიონი, გაბრიელი, ბექნუ, მაქსიმე და ჭიჭიკო. ისინი ხომ რამოდენიმე დღეს ანდომებდნენ მწვერვალის აღებას. ამ ოცნებაში აღვიძებდა მზის ამოსვლა და შურთხის მომხიბლავი სტვენა.

ცამეტი წლის იყო მიხეილი, როცა პირველი ალპინისტური ნათლობა მიიღო მწვერვალ ბანგურიანზე. პირველი გამარჯვება, პირველი მილოცვები. მეხსიერებაში დარჩა წარუშლელი შთაბეჭდილება, რამაც სამუდამოდ დაატყვევა ნორჩი ალპინისტი.

...გამარჯვებული ხუთეული ამთავრებდა შხელდა-უშბის უმაგალითო ტრავერსს. იქ ხომ მიხეილის საყვარელი ბიძები იყვნენ, შეხვედრაა საჭირო, მაგრამ დღეს ვერ მივაღწევთ, ხვალ კი ვერ მივუსწრებთ. მთვარიან ღამეში მივდიეართ ორნი. სიმინდის ტაროებით მოვიტყუილეთ ცხენები, ვსხდებით უუნაგირო ბედაურებზე. ალეირებად ქამრები მოვაბით. შუაღამეს გადაშორდა, ცხენებით მეტი სვლა შეუძლებელი იყო. მიზანთან ახლოს ვართ. დარჩენილი გზა ხვალ ფეხით უნდა გავიაროთ დღის სინათლეზე, ეხედავთ მთვარის შუქზე ალაპლაპებულ უშბას. ახლოს ვართ მასთან, ქედის ძირში. მიშას იმედი აქვს, რომ არ ასცდება გზას. იგი ხომ მთამსვლელია, სამი წლის წინათ აეიდა მწვერვალზე, ახლა უკვე ვაჟკაცია და მეც მამხნევებს.

შუადღემ მოატანა. მოულოდნელად შეეიპარეთ დამხმარე ჯგუფის ბანაკში იმ მხრიდან, საიდანაც ადამიანს არავინ ელოდებოდა. პირვე-



სხედან: პირიბე გვარლიანი, ნოდარ გოშთელიანი, ..., შამილ ფალიანი, კარლო ქოჩქიანი, ბუთული მჭედლიანი, ჯობე მუშკუდიანი. დგანან: ერემია რატიანი, ვალიკო სალლიანი, გიორგი ნაკანი, მიშა კვანჭიანი, მიხეილ ხერგიანი, მათე გვიჩიანი, შოთა ჯაფარიძე, მურადი უშხვანი, შოთა კვიციანი, კარლო ხერგიანი, სერგო გულედანი, ლევან გულბანი.

ლად მაინც ბიძია ბესარიონმა შეგვამჩნია, შემოგვეგება თავისი ჯგუფით. ჭოგრიტები მწვერვალისაკენ მიემართათ და თვალმოუშორებლივ უყურებდნენ რაღაცას. ბიძიას დანახვაზე სიმხნევე მოგვემატა. მუდამ კოხტად აგრეხილ ულვაშებში ღიმილი შევატყვეთ, გაუხარდა ჩვენი ნახვა, თანაც გაგვიწყრა „ჭინკების საქმე მთაში სიარული ჯერ არ არისო".

მყინვარებში ყოფნისაგან სახეშეცვლილმა ბესარიონმა პირველმა გვაჩვენა, თუ როგორ ეშვებოდნენ უშბიდან მრისხანე სტიქიონთან 24 დღის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამარჯვებული კაკო მარი, გოჯი ზურებიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, ბექნუ ხერგიანი და მაქსიმე გვარლიანი. მივიღეთ შეპირება, რომ მომავალში ჩვენც წაგვიყვანდნენ მთაში.

უკვე დავაჟკაცებული მიხეილი კავკასიონის იქით იხედება შუა-აზიის მწვერვალების დასაპყრობად. საქართველოს ალპინისტური კლუბის მეორე ექსპედიცია პამირს ესტუმრა. იერიში მიაქვთ საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს მწვერვალზე — კომუნიზმის პიკზე. მოიერიშე ჯგუფში ხუთი კაცია — მაქსიმე გვარლიანი (ხელმძღვანელი), ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან ახვლედიანი, იოსებ კახიანი და მიხეილ ხერგიანი, მიზანი ახლოა, საჭიროა სწორი გადაწყვეტილების მიღება, მწვერვალზე ხუთი კაცის წასვლა არ შეიძლება, მთელი ჯგუფი ხიფათის წინაშე აღმოჩნდება. საჭიროა დათმობა, მაგრამ ვინ დათმობს მწვერვალს.

ჯგუფის ზურგის გამაგრება ხელმძღვანელმა დაივალა, მამაც ოთხეულს გზა დაულოცა იმ იმედით, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენდა. ექსპედიცია წარმატებით დამთავრდა. მიხეილმა მიიღო სპორტის ოსტატის საპატიო წოდება და სხვებთან ერთად სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ისევ გრძელდება შეტევა კავკასიონის მწვერვალებზე. ინტერნაციონალური ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ უკრაინელი, ყაბარდოელი, ბალყარელი და ქართველი ალპინისტები, მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით უტევს თუთუბაშის ჯერ კიდევ ფეხდაუდგმელ ურთულეს კედელს. მისი დაპყრობისათვის ოთხმა მთამსვლელმა მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. ეს იყო მეშვიდე უმაღლესი კატეგორიის მწვერვალი მიხეილისათვის.

მთამსვლელთა უძლიერესი ჯგუფი ემზადება პირქუში დონლუზ-ორუნის კედლის დასაპყრობად.

ბაქსანის მთელმა ხეობამ იცის, რომ ხვალ იერიში დაიწყება. ათასობით მაყურებელი ჭოგრიტებით, მეცნიერებათა აკადემიის ტელესკოპებით შესცქერის დონლუზ-ორუნის ჩრდილოეთ კედელს, რომლის დანახვაც ტანში ჟრუანტელს ჰგვრის ადამიანს. მწვერვალს თავზე კეპივით გადმოწეული ყინულის გუმბათი ახურავს და შეუბრალებელი მზერით დაჰყურებს უფსკრულს, დროდადრო უშვებს ყინულის ნამსხვრევებს, ინვევს ქვის ცვენას იმ უფსკრულებში, საიდანაც ორი წერტილი ნელა მიიწევს გუმბათისაკენ. ორი დღის „ბეწვზე ქანაობის" შემდეგ მიხეილ ხერგიანმა და იოსებ კახიანმა გუმბათს გული გაუფატრეს და ხვრელში აძვრნენ, ეს მართლაც უმაგალითო გამარჯვება იყო.

გრძელდება შეტევა თუთუ-ბაშის მთავარი მწვერვალის ჩრდილოეთ კედელზე. ცუდმა ამინდმა სწორედ ურთულეს მონაკვეთზე მოუსწრო, სამი დღეღამე ეკიდა თოკებზე ექვსი ვაჟკაცი. მტკიცე ნებისყოფამ გაიმარჯვა, იერიში წარმატებით დამთავრდა, შეტევის მონაწილენი ბრინჯაოს მედლებით დააჯილდოვეს.

იგი ამის შემდეგ რამდენიმე ალპინისტურ ექსპედიციაში მონაწილეობს, ყველგან ავლენს შესანიშნავ ოსტატობას, შეუპოვრობას. მიხეილ ხერგიანი კვლავ პირველი ნომერია საბჭოთა ალპინისტებს შორის, რომლებსაც სპორტის ამ სახეობის საკავშირო ფედერაცია ყველაზე ძნელადდასაპყრობი მწვერვალების აღებას ანდობს.

მალე მას მოჰყვა იერიში პამირის მწვერვალებზე. საბჭოთა კავშირის უძლიერეს ალპინისტთა ექსპედიცია ადის ლენინის სახელობის მწვერვალზე. მიხეილ ხერგიანი საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში პირველ ნომრად არის შეყვანილი.

მიხეილი კავკასიონზე აწყობს რამდენიმე ასვლას ევროპელ მთამსვლელებთან ერთად. შემდეგ კი შალვა მარგიანის, უმცროსი მიხეილ ხერგიანის, იგორ პოლევოის და იგორ ლეონტიევის თანხლებით მიხეილი ჯერ კიდევ გაუვლელი, სრულიად ახალი გზით უტევს შხელდის ჩრდილოეთ კედელს, რომლის სიმაღლე 1500 მეტრამდეა. სეზონის ეს ურთულესი ასვლა დღესაც ერთ-ერთი საინტერესო მარშრუტია. მიხეილს მარტო ტექნიკური კლასი არ აკმაყოფილებს. იმავე ჯგუფით ახდენს ასვლას მწვერვალ გესტოლაზე დაუპყრობელი კედლით. ზვავებისა და ქვათა ცვენის თავიდან ასაცილებლად კედელი უნდა გაევლოთ ღამით, როცა ირგვლივ ყველაფერი გაყინული იყო. გამოცდილებამ და გამბე-

დაობამ ესეც შეაძლებინა მიხეილის ჯგუფს. იგი მთელი ძალით ებრძოდა ყინულის ურჩხულს და სძლია კიდევაც. შემდეგ დაიწყო ბეზინგის დიდი მასივის ცხრა მწვერვალის ტრავერსირება. ჯგუფმა ოთხ დღეში მოახდინა ტრავერსი, რომელსაც წინამორბედი ჯგუფები თორმეტ-თექვსმეტ დღეს ანდომებდნენ.

ინყება უცხოელ მთამსვლელებთან კავკასიონზე დაწყებული მეგობრობის განმტკიცება. ინგლისის ალპინისტურმა საზოგადოებამ თავის ქვეყანაში მიიპატიჟა მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი. მათ შესთავაზეს შოტლანდიის პიტალო კლდეების გავლა ინგლისელ „კლდის ვეფხვებთან" ერთად. მიხეილი მიამაგრეს ეგრეთნოდებულ ინგლისის „მეფეს" კლდეზე ცოცვაში. რამდენიმე მარშრუტის გავლის შემდეგ მიხეილმა თვითონ სთხოვა გაეშვათ იგი წინ, უფრო ძნელ მარშრუტზე, ვიდრე ადრე გადიოდნენ; უნდა გამოეყენებინათ ალპინიზმის უმაღლესი ტექნიკა და მოხერხებულობა, რაც ევროპას მთამსვლელების დარგში მოეპოვება. მიხეილი ჩვეული სიდინჯით მიიწევდა წინ „მწვერვალისაკენ". მას გაკვირვებული მიჰყვებოდა ინგლისის „მეფე".

სარეკორდო დროში, ოთხ საათში გაიარეს ურთულესი მონაკვეთი — 500 მეტრიანი კედელი. მიხეილის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მწვერვალის ნაცვლად იგი რკინიგზის სადგურზე აღმოჩნდა, სადაც დახვდა ყველა მაყურებელი და გამყოლი, რომლებიც 4 საათის წინ კლდის ძირში დატოვა. ელმავლის ვაგონებიდან ახლად გამოსულებმა აქვე მიულოცეს ხერგიანს. ინგლისის დედოფალმა მას უბოძა „კლდის ვეფხვის" საპატიო წოდება. ეს იყო 1960 წელს.

ამავე შემოდგომაზე მიხეილი მეორედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში.

მთელი საქართველო შეძრა გამარჯვების პიკზე დატრიალებულმა ტრაგედიამ. მოიერიშე ჯგუფი ასე დაკომპლექტდა: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, ილია გაბლიანი, უმცროსი მიხეილ ხერგიანი, უფროსი მიხეილ ხერგიანი და მოსკოველი კირილე კუზმინი. ისინი ფეხმიუკარებელი გზით ავიდნენ 7300 მეტრის სიმაღლეზე, სადაც უმცროსი მიხეილი ავად გახდა. საჭირო შეიქმნა ბრძოლა ადამიანის გადასარჩენად. მიხეილმა მეგობარი სიკვდილს გამოსტაცა და ცოცხალი ჩამოიყვანა მწვერვალიდან. ზვიადმა მთამ მაინც იმსხვერპლა სამი ქართველი არწივი — ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე და ჯუმბერ მეძმარიაშვილი.

„მთის არწივი" დიდმა უბედურებამ ვერ გატეხა.. ორი წლის შემდეგ მიხეილ ხერგიანმა ახალი გზით გაიარა შუროვსკის სახელობის მწვერვალის ურთულესი კედელი, რისთვისაც მისმა ჯგუფმა მიიღო ვერცხლის მედლები. ზაფხულში იგი ისევ პამირის, ამჯერად სსრ კავშირ-ინგლისის გაერთიანებულ ექსპედიციაში მონაწილეობს. კომუნიზმის პიკის რაიონში რუს მთამსვლელებთან ერთად შეიდი წლის შემდეგ მიხეილ ხერგიანმა მეორედ შედგა ფეხი ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალზე. ამავე წელს მან მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ოქროს მედალი კლდეზე ცოცვაში.

— ყველაზე შედეგიანი ალპინისტური სეზონი, — ამბობს მიხეილ ხერგიანი, — ჩემთვის 1963 წლის ზაფხული იყო. წელს საშუალება მომეცა მენახა დასავლეთ ევროპის უძლიერესი ალპინისტები, საზღვარგარეთელ ალპინისტებთან პირისპირ შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ჩვენი ალპინისტური სკოლა მსოფლიოში მოწინავეა, დავრწმუნდი, რომ საბჭოთა სპორტსმენებს ყველაზე ნაკლები კონკურენტები ჰყავთ სპორტის ისეთ ურთულეს სახეობაში, როგორიც არის ალპინიზმი.



მიშა ხერგიანი უშბის სარკეზე

**ჯუმბერ კახიანი**

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში,

უშბის სარკის მონაწილე

# ის ჩემში მუდამ იცოცხლებს

მიშაზე საუბრისას გიმძიმს რომელი შემთხვევა გაიხსენო. ის, რაც მას ბუნებისგან ჰქონდა მომადლებული, ჩრდილო კავკასიაში თავაუღებელი ნვრთნითა და მუშაობით კიდევ უფრო განავითარა.

1962 წელს ყაბარდო-ბალყარეთში ჩამოყალიბდა ძლიერი ნაკრები. ჰუსეინ ზალიხანოვის (საერთო ხელმძღვანელი), მიშა ხერგიანის (გუნდის კაპიტანი), იოსებ კახიანის (გუნდის ტექნიკური ხელმძღვანელი), აბუ ამბოკოვის, გენადი სტეპანოვის, მიშა ზალიხანოვის, ჯუმბერ კახიანის მონაწილეობით.

1962 წლის 5 ივლისს ჩვენს მიერ გავლილი იქნა შუროვსკის პიკის ურთულესი კედელი, რამაც საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები გვარგუნა. ამ ასვლას მოჰყვა მოულოდნელი დეპეშა საკავშირო ფედერაციიდან: „მიხეილ ხერგიანი და ჯუმბერ კახიანი შეყვანილი არიან ინგლის-საბჭოთა კავშირის სასიმაღლო ექსპედიციაში".

მე და მიშა ხელად გავჩნდით გარმოს მყინვართან, სადაც ექსპედიციის მონაწილეებს მოენყოთ ბაზა.

ჩვენ გავეცანით უძლიერეს ინგლისელ მთამსვლელებს -- 1953 წლის ექსპედიციის ხელმძღვანელს — ჯონ ჰანტს, რომლის ხელმძღვანელობით ინგლისის ექსპედიციის წევრებმა, — ედმუნდ ჰილარიმ და თენსინგ ნორგეიმ შესძლეს დაეპყროთ პლანეტის უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი 8848 მ. მას თან ახლდა უძლიერესი ინგლისელი მეკლდეური — ჯო ბრაუნი, რომელსაც „უელსის კლდეების მეფე" შეარქვეს.

დავგეგმეთ საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალის, – „სტალინის პიკის" 2,5 კმ-იანი სამხრეთ ცენტრალური კედლის გავლა. რთული კედლის გავლას აძნელებდა მწვერვალის სიმაღლეც 7495 მ.

გუნდი შემდეგი მთამსვლელებით დაკომპლექტდა: ვიტალი აბალაკოვი (გუნდის კაპიტანი), კონსტანტინე კლეცკო, მიხეილ ხერგიანი, იასონ დიაჩენკო, ჯუმბერ კახიანი.

მწვერვალს, რომელიც ჩვენ დავძლიეთ, მოგვიანებით „კომუნიზმის პიკი" ეწოდა.

განზრახული გვქონდა იგივე მწვერვალზე გაგვევლო ურთულესი მარშუტით, მაგრამ ამინდმა გვიმტყუნა. მახსოვს, როცა დამწუხრებული



ტიანშანი, საბაზო ბანაკი. მორიგი გამარჯვების შემდეგ - მიშა ხერგიანი, ჯუმბერ კახიანი და ????????

ვბრუნდებოდით „ბელიაევის მყინვარიდან", მიშამ კიდევ ერთხელ შეავლო მწვერვალს ამღვრეული თვალები და მომმართა: „ჯუმბერ, რა სარეკორდო მარშუტს ვტოვებთ"-ო.

მიშა ხერგიანის ყოველი გახსენება ასოცირდება „უშბის სარკესთან".

1964 წელს მე ჯერ კიდევ ყაბარდო-ბალყარეთში ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დადგენილი გვქონდა მწვერვალი „ჩათინის" დაპყრობა, ჩვენმა ხელმძღვანელმა შაკირი ტენიშევმა რომ გაიგო ქართველი მთამსვლელები „უშბის" ჩრდილოეთ კედლის დალაშქვრას აპირებენო, გამათავისუფლა. რომ არა მისი კეთილშობილური საქციელი, მე ისტორიული მნიშვნელობის კედლის — „უშბის სარკის" დაძლევაში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. ამ მარშუტის გავლა, ეს იყო თვითეული მონაწილის შესაძლებლობის მთლიანი გამოვლენა, ხიფათთან ჭიდილი და ურთიერთსიყვარული.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პირიბე გვარლიანისა და ბორის კრეპსის დიდი დამსახურება, რომელთაც კინოფირზე აღბეჭდეს ჩვენი ასვლა და შთამომავლობას დაუტოვეს შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი „უშბაზე ძლიერნი".

ეს სარეკორდო მარშუტი გავიარეთ 5-6 დღეში და საკავშირო ფედერაციამ ოქროს მედალი მიანიჭა მას. აი, ის ექვსეული, რომელმაც უშბის ურთულესი მარშუტი განვლო: მიხეილ ხერგიანი (გუნდის ხელმძღვანელი), შალვა მარგიანი, გივი ნერედიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი), ჯოკია გუგავა და ჯუმბერ კახიანი.

1966 წელი უბედნიერესი ხანაა ჩემს ცხოვრებაში. ტურბაზა „იტკოლში" მესტუმრა მიშა. მთელი ზამთარი ვემზადებოდით. 3500-3700 მ სიმაღლიდან ჩეგეტისა და იალბუზის სათხილამურო ტრასაზე დღეში 4-ჯერ ვეშვებოდით.

მაშინ გამიმჟღავნა თავისი უმთავრესი წუხილი: „ჯუმბერ, ხომ იცი სხეულში ჩარჩენილი ლურსმანივით მაწამებს ილიკო".

სამწუხაროდ, ამინდმა არ მოგვცა საშუალება მაშინ, „გამარჯვების პიკიდან" ილიას ცხედარი ჩამოგვესვენებინა.

1969 წელს „კომუნიზმის პიკის" დალაშქვრას ვგეგმავდით. ვურჩიე მიშას, გადაედო იტალიაში წასვლა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონი გიორგი სიხარულიძის მაშინდელი ყურადღება ჩვენდამი.

პრჟევალსკის აეროპორტში მე და მიტო ობოლაძემ მოვაგვარეთ ვერტმფრენის საქმე. სასტუმროში მოსულთ ჩაგვეიშხამდა ეს სიხარული. ბიჭების მტირალ სახეებს რომ შევხედე, ელდა მეცა „მიშა დაიღუპაო", ჟრუანტელმა დამიარა ტანში.



მიშა ხერგიანი უშბის სარკეზე

ასე ჩაიშალა ეს ექსპედიცია. მიშას მრავალ დადებით თვისებათაგან ერთ-ერთია მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი.

მრავალმა წელმა გაიარა, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში, წარუშლელია მისი სახელი. შევეცდები, ღირსეულად მოვიხადო ჩემი ვალი მისი ხსოვნის წინაშე.

**ლაერტ ჩართოლანი**

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში,
მიშას თანაგუნდელი

# მიხეილ ხერგიანი სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში

დაბა მესტიაში, ერთიმეორისგან საკმაო მანძილით დაშორებულ უბნებში გავიზარდეთ. ის ჩემზე ოთხი წლით უფროსი იყო. როგორც პროფესიონალი მთამსვლელი, ჩრდილოეთ კავკასიის ალპინისტურ ბანაკებში გამოიწრთო და დავაჟკაცდა, ამიტომ 1961 წლამდე მასთან ახლო ურთიერთობა არ მქონია. 1960 წელს საქართველოს მთამსვლელთა ნაკრებ გუნდთან ერთად მოვანყვეთ ასვლა პამირში „ლენინის პიკზე" (7136 მ), ხოლო მომდევნო წელს კი ტიანშანის ექსპედიციაში მივიღე მონაწილეობა. სწორედ იქ დავუახლოვდი მიხეილ ხერგიანს. ის „გამარჯვების" პიკის მოიერიშე ჯგუფის ჭეშმარიტი ლიდერი იყო. ურთულეს კლიმატურ პირობებში, როცა უკვე ყველა წინაღობა უნდა გადაელახათ და მწვერვალია დაპყრობას მცირე მანძილი აშორებდათ, მოიერიშე ჯგუფის ერთ-ერთი წევრის შეუძლოდ ყოფნამ, ის ჯგუფს ჩამოაშორა. მთის ავადმყოფობით დასუსტებულ ადამიანთან დარჩენა და დახმარების გაწევა არჩია. ლიდერის გარეშე დარჩენილმა ჯგუფმა კი ტრაგიკული მარცხი განიცადა. ამ ასვლამ იმ სამი ქართველი მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა, რომლებიც იმ დროს ქართული ალპინისტური სკოლის ფლაგმანად ითვლებოდნენ. როგორც ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილე, ვადასტურებ, რომ ამ მარცხში მიხეილ ხერგიანს თითისოდენა ბრალიც კი არ მიუძღვის.

მიხეილმა მრავალჯერ გვიჩვენა კაცთმოყვარეობის და ჰუმანურობის მისაბაძი მაგალითი. მისი დევიზი იყო გაჭირვებული ადამიანისთვის დახმარების აღმოჩენა, შემდეგ კი მწვერვალის დალაშქვრა.

მიხეილ ხერგიანმა დაადგმევინა ფეხი ორმოცდახუთ კაცს უშბის მწვერვალზე. მათ შორის 72 წლის ალმაცგირ კვიციანს, რომელსაც სწორუპოვარი მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ის მეგობრობდა ჩვენს მამებთან ბესარიონ ხერგიანთან და ქიჟიკო ჩართოლანთან. ახალგაზრდობიდან ოცნებობდა უშბის დაპყრობას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო სურვი-



სხედან: ბიტო მუსელიანი, ქიჟიკა ჩართოლანი, ბექნუ ხერგიანი, სოზარ გუგავა
დგანან: შოთა ჩართოლთნი, ლაიერტ ჩართოლანი, ჯოკია გუგავა, ილიკო გაბლიანი, გივი ნერედიანი

ლი ვერ აისრულა. მიხეილი მას თვალისჩინივით გაუფრთხილდა და ერთ თოკში ჩაბმულებმა მშვიდობიანად გადალახეს ყველა წინაღობა, ალმაცგირი თითქოს გაახალგაზრდავდა, მხრებგაშლილი, წელგამართული ამაყად დაიარებოდა. იმ კაცის ბედნიერების ტაძარს ერთი ლამაზი სართული დააშენა.

1966 წელს კვლავ ტიანშანს ვეწვიეთ. ამჯერად იმ ხუთ კაცში ეირიცხებოდი, რომლებიც მიშამ გამარჯვების პიკის მოიერიშე ჯგუფის წევრებად დაასახელა. ბანაკი მყინვარ „დიკის" მისადგომებთან გვქონდა მოწყობილი. ერთ დილას მიხეილმა შემომთავაზა, რომ სანადიროდ წავსულიყავით. ჩვენს ბანაკს ხუთიოდ კილომეტრით ვიყავით დაშორებული. ის იყო ერთ-ერთ კლდოვან გორაკზე ავედით, წყლიანი ხევისკენ გავიარეთ, რომ ყურადღება დაბალმა ბუჩქნარმა მიიქცია. გამიკვირდა, ამ სიმაღლეზე ბუჩქნარს რა უნდა მეთქი. ჩემი გაოცება მიშამაც გაიზიარა და ხევში ჩავედით. ასობით წყვილი (გარეული თხის) აშხვართული რქა, თვით ლამში იყო დამაგრებული და შორიდან დაბალი ბუჩქნარის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ამდენი ცხოველი ერთად რამ დახოცა? — გამიჩნდა კანონზომიერი კითხვა.

– ხედავ, რამხელა ფერდობია აქ ჩამოკიდებული. დიდ თოვლში მოხვედრილნი, დელგმად მოსულ ზვავს წაულეკია.

იმ ადგილიდან, სადაც ცხოველთა ეს ტრაგიკული ადგილი ვიხილეთ, 500 მეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ შეჯერდი კლდის ქიმს ამოვეფარეთ. მიშას ვანიშნე შეჩერებულიყო. ხუთი ხარიჯიხვი კლდის ძირში იწვა და იცოხნებოდა. მდედრი კი თავის ორ ნაშიერს ძუძუს აწოვებდა. ციკნებმა გული იჯერეს მსუყე რძის ჭამით და თამაშზე გადაეიდნენ. არც იმ პატარა ჯოგის წინამძღოლს ეპუებოდნენ, თითქოს საასპარეზოდ იწვევდნენ, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა. კვლავ შეუჩერებლად იცოხნებოდა.

დიდებული სანახავია ტიანშანის მთების ეს მშვენიერება... ნიავქარივით ლაღი, ფრთხილი, სწრაფი ცხოველები ათასგვარი გასართობით ერთობოდნენ.

ჩვენ კლდეს ამოფარებული, გატრუნული ვიდექით და ვტკბებოდით ამ სანახაობით. მიშამ მსუბუქად დაუსტვინა. ცხოველები ერთბაშად დაიძაბნენ, ფეხზე წამოხტნენ, წამის უსწრაფესი მზერა მოგვაპყრეს, მიშამ უფრო ხმამაღლა დაუსტვინა. ჯოგი ჩვენი თვალთახედვიდან გაუჩინარდა. მცირე ხნის შემდეგ, ისინი, ჩვენგან შორს მაღალი ქედის თავში დავლანდეთ. უკვე დინჯი ნაბიჯებით მიდიოდნენ...

— რა მოხდა, როდის აქეთ გახდი ასეთი გულჩვილი? — ვუსაყვედურე დაბნეულმა.

— ეს იმ დიდი ჯოგის ნაშთია, ხევში რომ ვნახეთ ჩანთქმული, ზვავსა და მტაცებელ ხროვას გადაურჩნენ, ეხლა ჩვენ რომ დაგვეხოცა, არ ვიქნებოდით მართალი. იარსებონ მშვიდობიანად, თავისთვის... იქნებ გამრავლდნენ კიდევ...

— კი, მაგრამ შენ საიდან იცი, ისინი რომელი ჯგუფის ჩამომავლები არიან?

— დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ასეა, გარეული ცხოველები ადამიანებივით არიან, სადაც იბადებიან და იზრდებიან, იმ ადგილს ძნელად ელევიან და ტოვებენ.



მიშა ხერგიანი



მიშა ხერგიანი

ხანგრძლივი დროის შემდეგ დავბრუნდით საქართველოში. მაგრამ ეს განწყობა, ბუნების უმშვენიერეს ფერებთან შერწყმა, დღემდე მომყვება...

ერთი-ორჯერ კიდევ შეგვეფეთა ჯიხვთა ჯოგი, მაგრამ ბანაკში ისე დავბრუნდით, თოფიც არ გაგვეისროლია...

...ოთხი დღე და ღამე ყინულის გამოქვაბულში ვართ გამოკეტილი. განუწყვეტლივ თოვს და ისეთი ქარია, ლამის ადამიანი თან გაიტაცოს. ზურგჩანთიდან კარავი ამოვიღე და გივი წერედიანთან ერთად კარვის გაშლის თადარიგს შევუდექით. მიშამ დაიყვირა, მაგარ თოვლსა და ყინულში გამოქვაბული მოგვენყო. ზოგჯერ უამინდობა მთელი კვირა გრძელდება, ამიტომ კარავში ყოფნა უფრო სახიფათოა. ამ სიმაღლე კარავში ყოფნა მართლაც ნერვების მომშლელია. ასე რომ, საზრუნავი არ გამოილევა. ყინულის გამოქვაბულში კი სიწყნარეა, გაცილებით თბილა და მშვიდად გრძნობ თავს.

მეოთხე დღე თენდება. სიარული, მოძრაობა მენატრება. საძილე ტომარაში წოლისგან გვერდები მტკივა. გარეთ გავხედე, ისევ სიბნელეა. ქარი თითქოს ჩადგა, ამჯერად მხოლოდ მსუბუქად უბერავს. წამოვწექი, ჩამთვლიმა. არ მახსოვს, რამდენ ხანს მეძინა... სუნთქვა ყველას გახშირებული გვაქვს, გარეთ გამოსვლა გვინდა — გაირკვა, რომ ჩვენი ყინულის სადგომს მცირე ძალის ზვავმა თავზე გადაუარა. ზვავი ყინულმა აისხლიტა და უვნებელი გადავრჩით. გასასვლელი ამოგმანულია — მიშამ თოვლი ისე გადაწმინდა, ჩვენ არაფერი გაგვიგია.

მწვერვალიდან ვეშვებით, კლდოვან ქარაფებსა და დანგრეული ყინულვარდნილების მარწუხებში ვართ გამომწყვდეული. კლდოვან ქედს ჩამოვყევით და დაკიდულ თოვლიან ფერდობს მივადექით. გამოსავალს ვეძებ, მინდა იმ ფერდობს, როგორმე გვერდი ავუქციო, მაგრამ ჩვენს ქვემოთ ისეთი შეეული კლდეებია, ჩიტიც ვერ ჩაფრინდება. სხვა გზა არც არის. ამ ფერდობზე უნდა გავკვეალო თოვლი. მიშაც ჩაფიქრებული მომეჩვენა. თოვლის საფარი წელამდე მწვდება, თოკს ზომიერად მანვდიან, ცდილობენ არ შემაფერხონ, ალბათ 20-30 მეტრი მექნება გავლილი.

— ლაერტ შეჩერდი! — მეძახის მიშა, ზომიერი მკვეთრი ხმით.

თოვლი დაიძრა, ფეხქვეშ საყრდენი გამომეცალა, თოკი დაიჭიმა. და აქ მოხდა სასწაული, ზვავი გაჩერდა, თოვლი ფერდობის მთელ სიგრძეზე გაიპო, შუაზე გაიხლიჩა და დარჩა 30 მეტრის სიგრძის ღარი. მე კი ისევ ფეხზე ვდგევარ და უკან ვიხედები.

ასეთი დაძაბული, თვალებანთებული და მობილიზებული მიხეილ ხერგიანი სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

მიხეილ ხერგიანი, თავისი თაობის ქართველ მთამსვლელთა ყველაზე სწორუპოვარი წარმომადგენელია. როგორც ჩვენ გვახარებდა მისი სპორტული წარმატებები, ასევე თვითონაც ღირსეულად აფასებდა მის წინამორბედ მთამსვლელებს. ქართულ ალპინიზმში თაობათა მემკვიდრეობითობის პროცესი არ გამწყდარა. წინა თაობების მიღწევებს ღირსეულად აგრძელებენ აფი გიგანი, ბენო ქაშაკაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე, გელა ოთარაშვილი და ამ თაობის სხვა სპორტსმენები. ეჭვგარეშეა, კავკასიონის მთავარ ქედზე, მუდამ დაიზრდებიან მთებზე შეყვარებული გულიანი ვაჟკაცები.

თამარ ერისთავი

# სიმღერა მთების რაინდზე

შენ ვეფხვი იყავი ხერგიანო
და ვეფხვზე უფრო უმალესი,
შენ მთები გიყვარდა, ხერგიანო,
მთები ყველაზე უმაღლესი.
შენ მთებმა გაგწირეს, ხერგიანო
მთებმა მოღალატე დოლომიტის,
შენს ქებას მოიტანს, ხერგიანო,
შენს ქებას ნაილებს, დრო რომ მიდის.
შენ გადაგივლია, ხერგიანო,
მთები, ღრუბლებშიაც რომ არ ჩანან,
მთები ყინულების ფერდიანი
დიდი პამირის და ტიანშანის.
კვლაე მოენატრები ხერგიანო,
უშბას, მყინვარების ბანდულიანს,
შენი სოფლის თავზე გადმოკიდულ
მარად ნისლებიან ბანგურიანს;
კვლაე მოენატრები ხერგიანო,
მაღალ ციხე-კოშკებს ლაღამისას,
და შენს სამარეზე ვარსკვლაეები
ცეცხლს დაანთებენ შუაღამისას.
შენ ეეფხვი იყავი ხერგიანო
და ვეფხეზე უფრო უმალესი,
შენ ლილე გიყვარდა, ხერგიანო,
ლილეს სიმღერა და მზის ალერსი.
შენ კაცი იყაე ხერგიანო,
სხეა კაცზე უფრო უკაცესი,
ეს დიდი მნეერვალიც დაგიპყრია,
ყველა სხვა მნეერვალზე უმკაცრესი.



მიშა ხერგიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე და ევგენი გიპერნეიტერი



მიშას სახლ-მუზეუმი

რეზო ავალიანი

# თმაჩამოშლილი დაგეძებს დალი

უშბას და თეთნულდს, გულუტეხ ქედებს,
შენთან შეხვედრა სნადიათ ისევ,
მყინვარზე წერენ შენთან ბარათებს
და ბარად მოაქვთ თოვლისფერ ნისლებს.

სუ-ალტოს მთები ილრუბლებიან,
შხელდას და შხარას მკერდებზე ათოვთ
კვლავ დაგეძებენ სალ კლდეთა რაინდს,
შენი სახე და სახელი ახსოვთ.

შენი თეთნულდი ისევ მოგელის,
თმაჩამოშლილი დაგეძებს დალი.
დოლომიტებში კლდე დაიშალა,
სვანეთის მთებში ჩამოწვა ზვავი...

ჭიჭიკო ჩართოლანი
სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ალპინიზმში

# ჩვენი მიშა

საქართველო გმირების ქვეყანააო, მართლაც რამდენი გმირი გვყოლია, რამდენი ვაჟკაცი და ვფიქრობ, გადაჭარბებულად არ ეიტყვი, რომ მიხეილ ხერგიანს, „კლდის ვეფხვს" მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი უკავია. ნათქვამია: „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ ჯობდეს მამასაო". ჩვენ, მთამსვლელ ვეტერანებს გვახარებდა მისი ყოველი ნაბიჯი, წარმატება, ვამაყობდით მისით. იგი ხომ ჩვენი მემკვიდრე იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.



მიშა ხერგიანი

გული ბოღმით ივსება. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მიშა აღარ არის. მან ხომ დაღუპვამდე ოთხი დღით ადრე კიდევ მოასწრო განეცვიფრებინა ალპინიზმის უძლიერესნი. სარეკორდო დროში აიღო ორი ტექნიკურად ურთულესი მწვერვალი, მესამე მწვერვალზე ასვლისას საბედისწეროდ დაუცდა ფეხი...

მიხეილ ხერგიანი სიმამაცის, ვაჟკაცობის განსახიერება იყო. მისი სახით გვყავდა ადამიანი, რომელშიც შერწყმული იყო გულადობა და სიფრთხილე, მამაცობა და სისწრაფე. მის მაგალითზე მრავალნი აღიზარდებიან.

და დღეს, უკანასკნელი გამოთხოვების დღეს, მინდა ვუთხრა მას: მშვიდობით, მიშა, ღმერთმა ქნას შენი მსგავსი კვლავაც გაჩნდეს შენს მიწაწყალზე.



შეხვედრა პიონერთა სასახლეში

**თამაზ ბაქანიძე**

სსრკ. სპორტის ოსტატი ალპინიზმში,
მიშას თანაგუნდელი

# «მთებმა ყველაფერი დიდებული იციან»...

მთის სილამაზემ წარმოშვა, უკვდავებად ქცეული მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი. მას ჭარბად გააჩნდა ალპინიზმისთვის დამახასიათებელი ყველა ღირსეული თვისება — სიფრთხილე, გადაწყვეტილების სწორი მიღება, სიმამაცე... მან ღირსეულად მოიპოვა „კლდის ვეფხვის“ სახელი. კავკასიონის ურთულეს მწვერვალებზე, მიშას და მისი თანამებრძოლების გავლილი გზები დღესაც საუკეთესოდ ითვლება. მისი ასვლები ბულგარეთის, საფრანგეთის და იტალიის მწვერვალებზე გავლის სტილით დღესაც შეუდარებელია.

მიშასთან მეგობრობა მაკავშირებდა 1964 წლიდან. მასთან ერთად ვვარჯიშობდი კლდეზე ცოცვაში, გამოვდიოდი მეკლდეურთა შეჯიბრებებზე: საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საკავშირო პროფკავშირების პირველობაზე. და 1965 წელს მე, წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი იმ გუნდის წევრი, რომელმაც მიხეილ ხერგიანის თაოსნობით პირველი ადგილი მოიპოვა იალტაში მეორე საკავშირო შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მასთან ერთად ვიყავი კავკასიონის და ტიანშანის მწვერვალებზე...

მიშა იყო ერთპიროვნული ლიდერი, მთელ საბჭოთა სივრცეში. მისმა განუმეორებელმა ცოცვამ, საფუძველი ჩაუყარა მეკლდეურობას, როგორც სპორტის დამოუკიდებელ სახეობის ჩამოყალიბებას. როგორც ერთ-ერთმა ძლიერმა მთამსვლელმა, თავისი ასვლებით მან მძლავრი ბიძგი მისცა ალპინიზმის განვითარებას.

მიშამ ქართული ალპინიზმის სახელი მსოფლიო არენაზე გაიტანა და უმაღლეს კვარცხლბეკზე დაამკვიდრა... ასეთი გმირი, მხოლოდ მთას შეეძლო აღეზარდა. მთაში ყველაფერი დიდებული იციან...



შოთა ჩართოლანი და თამაზ ბაქანიძე. ტიანშანი. 1966 წ.

შ.შაველაშვილი

# კლდის ვეფხვი

სალი კლდის კედელზე მიცოცავდი ვეფხვო, —
შენ ასეთ კედელზე ბევრჯერ გიცოცია,
თან მომსკდარ ლოდების გსმენია ექოც
მაინც გაგიძლია, მაინც გიცოცხლია!
მაინც დაგიპყრია მწვერვალი ზვიადი,
ლაჟვარდის ჯილა და ლაჟვარდის მშვენება.
ჰაერში დაკიდულს გეძინა წყვდიადში, —
მზემ ბევრჯერ გახარა დილის გათენება.
უშბა და თეთნულდი — ღმერთების სავანე
დაიპყარ — აღმართე ალამი დიდების,
ლილეოს გუგუნით ცას გაესალამე
ვარსკვლავებს გასძახე კრძალვით და რიდებით.
ბევრი მთა და ქედი მწვერვალთა სიუხვით —
გეძახდა, — გიხმობდა სალი კლდის რაინდო,
შენც გაჰყე ალპების ბილიკს და ჭიუხებს
და ბედმა მუხთალმა — ვახ, აღარ დაგინდო!
ვახ, ველარ გახედავ მთას ანვდილს პირქუშად,
ვახ, ეელარ იხილავ ნააკვნარს — სად იშვი,
ძძები ჩაიცვა მყინვარმა — თეით უშბამ,
დაგტირის ლალამი, ხალდე და ადიში!
დაგტირის სილურჯე კამკამა წყნარ ცისა,
ლეგენდად იქცევი, გიძღვნიან ბალადას,
წვიმს მთაში, წვიმს ბარში, წვიმს გულში კაცისა...
საფლავზე გინთია ყვავილი ალადა.



მიშა უშბაზე

გადიდებს თაობა ვაჟკაცურ მხრებიანს,
სიცოცხლე შენი რომ მომაელის ბეთ დასდე,
— „მარად უკვდავება მიხეილ ხერგიანს"
დავწეროთ თეთნულდის ყინულის ბექთარზე.



მიშა ხერგიანი

ვანო ყვავილაშვილი

1 თანრიგოსანი ალპინიზმში, სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონატის 1966 წლის ჩემპიონი და პრიზიორი

# პირველი შეხვედრა და უკანასკნელი განშორება

მიხეილ ხერგიანზე, როგორც დიდ მთამსვლელზე და „კლდის ვეფხვზე" ბევრი დაწერილა და კიდევაც დაიწერება, მაგრამ ამ პატარა მოგონებაში მინდა მოგითხროთ ერთი ამბავი, რომელიც მის პიროვნებას სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს.

1964 წლის ზამთარში ოთხი ქართველი მთამსვლელი ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ბაქსანის ხეობაში მდებარე ალპინისტურ ბანაკ „ადილ-სუში" ვიმყოფებოდით. იმ ხანებში ეს ხეობა საბჭოთა კავშირის მთამსვლელობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა. ნახსენები ბანაკის გარდა, იქ კიდევ რამდენიმე ბანაკი იყო და იქაურობა ზამთარ-ზაფხულ ალპინისტებით და სამთო ტურისტებით იყო სავსე. ბანაკებში ინსტრუქტორებად ცნობილი მთამსვლელები მუშაობდნენ. მათ შორის განსაკუთრებული პატივისცემით და თაყვანისცემით მიხეილ ხერგიანი, იოსებ და ჯუმბერ კახიანები გამოირჩეოდნენ. რამდენიმე წლით ადრე მიხეილმა და იოსებმა იმ დროისათვის უნიკალური ასვლა განახორციელეს მწვერვალ დონღუზ-ორუნზე. ამ მწვერვალის კალთებზე ჩამოდის მყინვარი, რომელსაც შვიდიანის ფორმა აქვს, რის გამოც მასზე გამავალი მარშრუტი დონღუზის „семерка"-ს სახელითაა შესული ალპინიზმის ისტორიაში. ეს მარშრუტი მისი სირთულის და საშიშროების გამო გაუვლელი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მწვერვალს თავზე ქუდივით ახურავს 120-150 მ სიმაღლის და 250-300 მ სიგანის ლავგარდანი (ე.წ. დონღუზის „шапка"). ეს „ქუდი" დროდადრო ჩამოინგრევა ხოლმე და ადვილი წარმოსადგენია, ეს გრანდიოზული თოვლ-ყინულიანი მასა რა ჯოჯოხეთს ქმნის მთის კალთებზე ზვავებისა და ქვათაცვენების სახით! ხსენებული მარშრუტი ამ თავზე გადმომხობილი ლავგარდანის ქვეშ გადის და ამიტომ, ტექნიკური სირთულეების გარდა, მისი გავლა დიდი რისკის ფასად თუ შეიძლება. აი, სწორედ ეს მარშრუტი ჰქონდათ გავლილი მიხეილს და იოსებს, თანაც ნახსენები ლავგარდანი მათ პირდაპირ „შუბლში" აიღეს: რაღაც სასწაულით მონახეს შიგ გასაძრომი, სადაც გასაძრომი ვერ მოინახა, წერაყინებით გახვრიტეს „ქუდი" და ისე ავიდნენ მწვერვალზე.

ცნობილია, რომ სპორტის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, ალპინიზმს მაყურებელი არ



მიშა ხერგიანი, მარლენ რატიანი, ლაერტ ჩართოლანი, ჯოკია გუგავა. ტიანშანი.

ჰყავს. ეს ასვლა იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ „თავზეხელაღებულ" მთამსვლელებს მთელი ბაქსანის ხეობა თვალს ადევნებდა, ვინაიდან დონღუზის მწვერვალი საკმაოდ ახლოა საავტომობილო გზასთან. ამ ასვლის შემდეგ მიხეილი და იოსები ბაქსანის ხეობის ალპინისტური სამყაროს ნამდვილ კერპებად გადაიქცნენ. იოსებთან მე ადრეც მქონდა შეხვედრა შხელდის მყინვარზე, მაგრამ მიშასთან — არა.

საბჭოთა პერიოდში ალპინისტურ ბანაკებში მკაცრი დისციპლინა იყო გამეფებული. რასაკვირველია, ნებისმიერ სპორტულ ბანაკში ეს აუცილებელია, მაგრამ დისციპლინა ყაზარმულ რეჟიმს არ უნდა ემსგავსებოდეს. შეკრების ყველა მონაწილე ვალდებული იყო „დღის განრიგს" უცილობლად დამორჩილებოდა. რაღა თქმა უნდა, რომ ქეიფზე და სხვა რამ დროსტარებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან მოქმედებდა ლოზუნგი „советские альпинисты не пьют". ამგვარ ვითარებაში, ერთ მშვენიერ დღეს, ბანაკიდან გასული ერთ-ერთი ჩვენთაგანი, გიგლა ნიკლაური, შეხვედრია თავის ძველ მეგობარ ალპინისტებს და ეს შეხვედრა დაბა ელბრუსის ლუდხანაში აღუნიშნავთ. ასე რომ, გიგლა სადილზე ცოტა შეზარხოშებულ მდგომარეობაში გამოცხადდა! ბანაკის ხელმძღვანელობას, რა თქმა უნდა, ეს არ გამორჩა და ჩვენი გიგლა „გასკეანჩეს", — თითქოსდა სისხლის სამართლის დანაშაულზე წაასწრესო. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსი (начальник учебной части — შემოკლებით „ნაჩუჩ") ვინმე დურნოვი (მიაქციეთ ამ გვარს ყურადღება!). დაიბარა ამ „ნაჩუჩმა" თავის კაბინეტში გიგლა და განუცხადა, რომ მისი, ანუ გიგლას, როგორც საბჭოთა ალპინისტისათვის შეუფერებელი და უმსგავსო საქციელის შესახებ აუცილებლად შეატყობინებდა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციას. მაშინდელი წესების თანახმად, ამას მოჰყვებოდა გიგლას დისკვალიფიკაცია და აეკრძალებოდა ზაფხულის სეზონში მწვერვალებზე ასვლა.

გიგლა საგონებელში ჩავარდა, აღარ იცოდა როგორ დაეღწია თავი ამ განსაცდელისგან. ანაზდად გაახსენდა, რომ შორიდან იცნობდა მიშას და იმედი მოეცა, იქნებ მან მიშველოსო. ამ იმედით მიაშურა დაბა თერსკოლს, სადაც მიშა ეგულებოდა. დაბრუნებულმა მიშას პასუხი გადმოგვეცა: „თქვენ გაემზადეთ და ამ საღამოს ჩვენ, სამივენი, ბანაკში ჩამოვალთო". ეს „გამზადება" რაშიც მდგომარეობდა, ძალიან კარგად მივხვდით და გავექანდით დაბა ელბრუსის მაღაზიაში (სწორედ იქ, საიდანაც გიგლას უბედურება დაიწყო) და შევიძინეთ რაც კი იქ იშოვებოდა — დიდი არჩევანი არც იყო: ძეხვი, ყველი, პური,



უშბას იერიშზე გასვლის წინ ბოლო დაზვერვა

კონსერვები და, რაღა თქმა უნდა, არაყი, — სხვა სასმელი იქ არ მოიძევებოდა.

დაპირებისამებრ, საღამო ხანს ხეობის სამივე ასი ბანაკს ესტუმრა; თანაც, მანქანა გაფუჭებოდათ და სხვა რომ ველარ ეშოვნათ, თოვლიან გზაზე უკვე სიბნელეში 10 კმ ფეხით გამოევლოთ! შევეგებეთ. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მიშასთან. სამივე შევიდა „ნაჩუჩ" დურნოვის კაბინეტში და იქ სულ რაღაც ხუთი წუთი დაჰყო. როცა გამოვიდნენ, გვითხრეს, ყველაფერი მოგვარებულია და ახლა ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთო! ჩვენც მეტი რაღა გვინდოდა, სიხარულით ცას ვეწიეთ, — უნდა მოგვველხინა და თანაც ვისთან ერთად?! მივიწვიეთ სახელდახელოდ გაშლილ მწირ სუფრასთან, მაგრამ მთავარი იყო ის განწყობა, რაც სუფრასთან თავიდანვე სუფევდა — თითქოსდა არავითარი განსხვავება არ იყო ჩვენსა და სახელოვან სტუმრებს შორის. გაჩაღდა ლაზათიანი ქართული ლხინი — მთისა და ბარის სადღეგრძელოებით, მთაში დაღუპული ალპინისტების გახსენებით და რაც მთავარია — ქართული სიმღერებით. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მიშას უბრალოება და გულღიაობა. ის მშვენივრად მღეროდა, სვანურ თუ მრავალ სხვა სიმღერასთან ერთად ძალიან უყვარდა „კარკუჩით ჩამოიყვანეს" სიმღერა. ბანაკში დაძინების დრო ანუ „რიქრლ" ღამის 11 საათზე იყო ხოლმე, მაგრამ ამას ვინღა აქცევდა ყურადღებას და ჩვენც ბარე 1 თუ 2 საათამდე მოვულხინეთ, — ხეობის ასებთან ერთად ვქეიფობდით და ვინ გაგვიბედავდა ხმის გაცემას ან სიმღერის აკრძალვას!

მეორე დილით ბანაკის ინსტრუქტორები და მათ შორის „ნაჩუჩიც" მონინებით გვეკითხებოდნენ: „ნუ, კთკ ვძ ყექჭ ჩუვყივულიე არყოე ვჩეპთშნელ არარლკმ?"-ო. ვილას ახსოვდა ჩვენი გიგლას გუშინდელი „შეცოდება!" გამოვიდა ისე, რომ მისი ქეიფით „გაფუჭებული" საქმე ისევ ქეიფით გამოსწორდა.

აი, ასეთ საოცარ ვითარებაში გავიცანი მიშა ხერგიანი და დავრწმუნდი მის დიდ ადამიანობაში: მას, სახელგანთქმულ მთამსვლელს, არ დაეზარა, თავის მეგობრებთან ერთად გვესტუმრა და თითქმის უცნობ ქართველ მთამსვლელს დახმარება გაუწია, რითაც მისი ალპინისტური „კარიერა" გადაარჩინა.

იმავე დღეებში მომსწრე გავხდი, თუ როგორ ლამაზ ვირაჟებს „ხაზავდა" მიშა თხილამურებით ჩეგეტის მთის ტრასაზე. თხილამურებით სრიალშიც ისეთივე ვირტუოზი და თვითმყობადი იყო, როგორც კლდეზე ცოცვაში.

შემდგომშიც მრავალი შეხვედრა მქონდა მიშასთან, — მთაშიც, თბილისშიც, ჩემს დაბადების დღეზეც უთამადია; ბედნიერება მქონდა მონაწილეობა მიმეღო 1968 წელს მის მიერ განხორციელებულ მასობრივ ასვლაში უშბაზე, მაგრამ ის პირველი შეხვედრა მაინც სულ სხვაგვარად ჩამრჩა მეხსიერებაში.

და ბოლოს, თხრობა მინდა დავასრულო ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვული ორი ტკბილ-მწარე მოგონებით.

1968 წლის აგვისტო. დამთავრდა უშბის ეპოპეა. 64 მონაწილე ავედით მწვერვალზე. იზეიმა მთელმა სვანეთმა. დაცარიელდა ბანაკი. ყველას გული გვწყდება, — ვგრძნობთ, რომ დამთავრდა რაღაც დიადი... მიშა და მე ერთმანეთს ვემშვიდობებით. მიღიმის. ერთმანეთს ხელს ვართმევთ. ვხედავ და ვგრძნობ მის დაკუნთულ, ღონიერ ხელს, ძმურად ვეხვევით ერთმანეთს და ვშორდებით...

1969 წლის ივლისი. მესტიაში ვარ. ვდგავარ პატარა მიწის ბორცვთან. ესაა მიშა. აქ მარხია. ეს ბორცვიღა დარჩა იმ დიდი კაციდან. ვფიქრობ და ვერ გამიგია, თუ როგორ უნდა შევუთავსო ერთმანეთს ცოცხალი, მომღიმარი მიშას სახე და ეს პატარა მიწის ბორცვი...

და ვერც შევუთავსებ ვერასოდეს!...



მიშა ხერგიანი და იოსებ კახიანი

**ლუიზა ნარიმანაშვილი**

1968 წლის უშბის ალპინიადის მონაწილე

# სიჩუმე და ფიქრი

ვუძღვნი მიშა ხერგიანის ხსოვნას

ტყეში საოცარი სიჩუმე დგას.

უზარმაზარი ნაძვების კენწეროები ღრუბლებს მიბჯენია. დილის ნისლი რძესავით იღვრება ხეობაში. ნაძვის ტოტებში გახლართული მთვარე ხან მიიმალება, ხან გამოჩნდება.

ალმართი ალმართს ცვლის.

შენს ნაბიჯს, აუჩქარებელსა და შეუნელებელს მივყვებით ყველა. ირგვლივ სიჩუმეა, გულებში კი რამდენი ხმაური დგას.

სიჩუმეს ყველა თავის სამყაროში გადაყავს. ცივი, სუფთა ჰაერი სიხალისით ავსებს ფილტვებს. ბილიკი მუქ ზოლად მიყვება ამწვანებულ ფერდობს. ხეები დგანან მაღლა აწეული თავებით და შეჰყურებენ თეთრ მწვერვალებს. ასე შეჰყურებენ ყოველდღე და არ იღლებიან მათი ცქერით. დიდ მწვანე ნამწამებს აფახულებენ ნაძვები.



მიხეილ ხერგიანი და ლუიზა ნარიმანაშვილი. უშბის პლატო.

შენს დიდ, დაფიქრებულ თვალებში გამოუცნობი სევდა კრთის.

იდუმალია მთელი სამყარო.

იდუმალი ხარ შენც, რაღაც გამოუცნობი, შორეული და თან ახლობელი, როგორც ეს ბუმბერაზი კავკასიონი. უხმოდ მოგყვება ყველა ყოველთვის. მეც მოვდევ შენს ნაბიჯებს, ანგარიშმიუცემლად მე მოგდევ გამოუცნობი, უცნაური სამყაროსაკენ და უცნაურ წინათგრძნობას შეუპყრია ჩემი არსება.

ასე მოგდევდნენ შენ მრავალი წლების მანძილზე მრავალნი. ასე უჩუმრად, დიდი ნდობით, დიდი მოკრძალებით, დიდი სიყვარულით მოგდევდნენ დიდი სიხარულისაკენ, ნამდვილი გამარჯვებისაკენ. ასე ინყებდნენ მთების სიყვარულს და ბრუნდებოდნენ მთიდან დიდი ადამიანები, ბედნიერები, გმირადქცეულნი.

ტყეში საოცარი სიჩუმეა. დილის რიჟრაჟზე იცრიცება მუქი ტყე. დილის ძილს მისცემიან ტყის ბინადარნი.

მწვანე სამოსიან ტყეში დახვეულ, ვიწრო ბილიკს მიყვევართ ყინულის სამყაროსაკენ, მთების გულისაკენ. ორმოცდაათი ადამიანი მიგყვება დასახული მიზნისაკენ და ორმოცდაათი გული ინთება შენი ცეცხლით.

ცივ წყაროსთან შევისვენეთ. დილის რიჟრაჟმა თანდათან გაფანტა ნისლი. სიჩუმეს პატარა ნაკადულის ხმაური აღვიძებს. განმარტოებით მჯდარი ყველას გვათვალიერებ, მზრუნველი თვალებით იხედები ყველას სულში, გესმის ჩვენი გულისთქმა.

დილის სიმშვიდით გარინდებულნი, უცნაურად ჩაცმულნი, ოცნებით გაცისკროვნებული თვალებით მომზირალნი ლამაზი ზღაპრების გმირებს ჩამოვგავართ თვითოეული ჩვენთაგანი. სიმშვიდეა, სიჩუმეა, თუმცა რამდენი რამ გვაღელვებს ამ წუთში, რამდენი განსაცდელი გველოდება, რამდენი სიხარული, სიძნელე.

ხუთი წელი მე თქვენ სილამაზეს შორიდან ვეტრფოდი.

მე უჩუმრად ვზეიმობ თქვენთან დაბრუნებას ლამაზო მთებო, თქვენს სამყაროში მეორედ დაბადებას... მე ვხვდები ჩემი გულისტკივილის, ჩემი ნაღველის მიზეზს ხუთი წლის განმავლობაში.

მე ვარ ქარივით მჩატე, უშბასავით ლამაზი, ამ ტყესავით მიმზიდველი — შენი სიყვარულით განდიდებული ჩემო მთებო. ჩემს არსებაში შემოვიდა დიდი სიყვარული, რომელიც ხუთი წლის

წინათ დავტოვე ამ ტყეში, ამ მთებს შუა, ამ კლდეებს შორის.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ავყევით შენი ფეხის ხმას.

გზაზე შემოგვეფეთა თეთრად აქაფებული მდინარე. დიდ თეთრ კლდეებს ეხეთქება წყალი და შემდეგ მარგალიტებად იშლება ქაფადქცეული. უზარმაზარი ხეების შეკვრა საცალფეხო ხიდად გადებულა მდინარის ორ ნაპირს შორის. ტყე განუზომლად დიდი და არაჩვეულებრივად ლამაზია.

მივყვებით შენს ნაბიჯების და მხოლოდ ფიქრითაა სავსე თვითოეული ჩვენთაგანი.

საოცარი რამ არის ფიქრი.

შეგიპყრობს, ჩაგითრევს, ერთ წამში გაგიყენებს შორეთს, საოცნებოს ახლობლად აქცევს, ახლობელს შორეთში გადაიყვანს.

ფიქრი არ ემორჩილება არც ადამიანს, არც დროს. ფიქრი ადამიანის სულის სილამაზეა, რომლის გარეშე ერთ წუთს არ შეიძლება სიცოცხლე.

ჩემი განცდები ჩემს არსებას სცილდება, ისინი უფრო ფართონი არიან, უფრო მაღალნი, უფრო წმინდანი. მე ეტოვებ ჩემს არსებას და ეხდები სხვა, ისეთი, როგორიც ვიყავი ხოლმე წინათ, როდესაც მთებში დავდიოდი.

მე მიხარია, რომ მივაბიჯებთ ბევრნი და არ გვეშინია არაფრის, რადგან შენ მიგვიძღვი წინამძღოლად. ჩვენ ვართ ბევრნი და ძლიერნი, სულმაღალნი და არაჩვეულებრივნი, გამძლენი და ბუმბერაზნი, ქალაქისა და მთების მკვიდრნი, თვით მთების სიდიადე მოგვდევს გვერდით. ჩვენ ბევრი ვართ: ჩართოლანები და რატიანები, ჯაფარიძეები და გვარლიანები. ჩვენი გულები ბევრთანაა დაკავშირებული. ბევრის ფიქრი მომართულია ჩვენთან, რადგან ასე ბევრნი არასოდეს სწევევია მთის მეფეს უშბას.

საცალფეხო ბილიკი ორად გაიყო, მარცხნივ გადაუხვიეთ და აუჩქარებელი ნაბიჯით შევუდექით აღმართს. მე ბევრჯერ ამივლია ამ აღმართზე და დავბრუნებულვარ გამარჯვებული, მაგრამ ახლანდელი გზა სხვა მიზნისაკენ, დიდი ოცნებისაკენ მიდის. რამოდენიმე საათის შემდეგ მოეხედები სულ სხვა ბილიკზე, სულ სხვა მყინვარზე, სადაც არასოდეს დამიდგამს ფეხი.

მწველავების ქოხიდან სვანი გოგონების თვალები ანათებენ. ისინი შემკრთალნი იყურებიან და ჩვეული მორიდებით გვაყოლებენ მზერას. მე ვულიმი მათ, რადგან ვიცი, ისინი მე გამიწევენ ყველაზე მეტად გულშემატკიერობას, როგორც ერთადერთ ქალს ამდენ მამაკაცებს შორის.

არცერთი ჩვენთაგანი არ იხედება უკან, არ არღვევს მთამსვლელების ტრადიციას. მივდივართ და მხოლოდ წინ ვიხედებით, ვიწრო ბილიკი მხოლოდ წინ მიდის.

მთავრდება ტყე და როდოდენდრინის ბუჩქები ერთმანეთს ეხლართება. არ გვიშვებენ, გვეღობებიან გზაზე. მაღალი ბალახი ყელამდე გვფარავს.

უცებ ავიმაღლეთ. შორიდან დანახული დიდი ჩანჩქერი გვერდით გვრჩება.

ბუჩქებს შორის მივიკვლევთ გზას. ტოტებზე შერჩენილი წვიმის წვეთები მასველებს. თავიდან ბოლომდე დასველებული ვარ, მაგრამ სიცივეს როდი ვგრძნობ.

შენ მიდიხარ აუჩქარებლად, დინჯად, სწევ ბუჩქებს აქეთ-იქით, წერაყინით ცდილობ წვეთები ჩამოპყარო დაბლა, ფიქრობ შენ უკან მომავალზე, რომ არ დასველდეს.

მიდიხარ უტყვად, უთქმელად, მიაბიჯებ მტკიცე, დინჯი ნაბიჯით და ხარ გამოუცნობი, მიუწვდომელი ჩემთვის და ყველასათვის. არავინ იცის სად დაისვენებ, რა გაქვს ჩაფიქრებული. ორი საათია მიდიხარ ასე უსიტყვოდ. სიჩუმე, ვით ამ ბუმბერაზ მთებს, გხდის ძლიერსა და მიუწვდომელს.

მთავრდება ბუჩქნარი და მწვანე ქედის ძირში, პატარა მდინარის პირას, უზარმაზარი ქვების ნაყარზე ვჩერდებით.

ჩვენ საკმაოდ მაღლა ვართ, ჩანჩქერის სათავე, რომელიც დაბლიდან მიუწვდომლად გვეჩვენებოდა, დაბლა დავტოვეთ.

მზემ მდინარის პირას მოგვისწრო. საოცარია მთაში მზე. როგორც კი ამოანათებს, ათბობს, ადნობს ყველაფერს, საღამოს კი როგორც კი თვალს მიეფარება, თან მიაქვს სითბო და სიცხოველე, ტოვებს სუსხსა და ყინვას.

მზეს ვეფიცხები. მწყურია, მაგრამ ვცდილობ წყალი არ დავლიო რადგან ზევით აღარ იქნება წყალი და გამიჭირდება.

ყველა მე მკითხულობს, მეფერება, ცდილობენ გამამხნევონ. მიფრთხილდებიან, ლამის ხელის გულზე მატარონ.

მე ვგრძნობ სიმაღლეს, სიმსუბუქეს, დიდ ყურადღებას ადამიანების და ვარ ბედნიერი ყველაზე მეტად.

ზურგჩანთას მიყრდნობილი შევყურებ ცას

უზომოდ ცისფერს, სუფთას, გამჭვირვალეს. ღრუბლის ნასახი არ ჩანს არსად. ჩემში გადმოდის ცის სიხასხასე, თვალები მევსება ცრემლებით, გული — მადლიერების გრძნობით, მე თვით ვარ ბედნიერება.

ჩვენს წინ მწვანე ქედებია. ტყის კალთებზე ნაგლეჯებად ყრია ნისლები, თითქოს ტყე ინვისო, კვამლივით ეხვევა ნისლი ტყის სიმწვანეს. ეს ტყე სუნთქავს, ეს ტყეს ამოდის ოხშივარი ფილტვებიდან.

ყველაზე მაღლა ვზივარ, რომ ყველას ვუყურო. ფუსფუსებენ ბიჭები. ზოგი ფეხსაცმელს ისწორებს, ზოგი ზურგჩანთაში ეძებს რაღაცას. ხშირად მორბენენ ჩემთან, მთავაზობენ საჭმელს, ტკბილეულს.

მე მადლიერებით სავსე ვარ. მე თქვენი სიყვარულით სავსე ვარ ადამიანებო. მე თქვენი ნდობით ცამდე ვარ ამაღლებული, მე თქვენი ძლიერებით მხარში ვუდგავარ ბუმბერაზ მთებს, მე თქვენი გულებით ვთბები, მე თქვენი სუნთქვით ვსუნთქავ კარგო ადამიანებო.

ახლა იხსნება ჩემთვის გამოუცნობი ამოცანა. ქალაქში თითქოს ყველაფრით კმაყოფილს, მაინც სევდა მიპყრობს ხშირად. მე მაკლია რაღაც, ვერ მახარებს ჩვეულებრივი სიხარული. გულს ვერ აღელვებს ჩვეულებრივი განცდები.

მე თქვენ მაკლიხართ ყოველდღიურ ცხოვრებაში ლამაზო მთებო, თქვენზე დამნაღვლებია სული, თქვენი სიდიადე, თქვენი პირქუშობა, თქვენი სილამაზე არის ჩემი ნამდვილი ბედნიერება.

შენ კი დგახარ სიჩუმესთან დაძმობილებული, ფიქრებში გახვეული და თვით სიმშვიდე გქვია შენ.



წინა რიგში: ხიტო მუსელიანი, გივი წერედიანი, ლულუ ხეცურიანი, მარლენ რატიანი, ლუიზა ნარიმანაშვილი, ლუდა მიროშენკო, ნოდარ კანკავა, ჯოკია გუგავა, ..., ლადო გურჩიანი, თენგიზ ბერიშვილი.
მეორე რიგში: კარლო არღვლიანი, ავლან ქალდანი, ჯენერ გვარლიანი, ვალერ რატიანი, გაიოზ ჩართოლანი, კარლო ხერგიანი, ალმაცგირ კვიციანი, მურადი მჭედლიანი, ვოლზდორფი, სერგი შაპოვალოვი, გელა გუგავა, ბაგაულ კვიციანი, ზაურ მიქაძე, ..., რომა ცაგარელი, კოტე ასლანიდი.

**ნოდარ კანკავა**

ალპური კლუბის ყოფილი დირექტორი

# კლდეზე მფრინავი მიშა!



ნოდარ კანკავა

მიხეილ ხერგიანს პირველად 1953 წელს შევხვდი. თბილისთან ახლოს, ლეღვთა ხევში ტარდებოდა ამიერკავკასიის სამატჩო შეხვედრა კლდეზე ცოცვაში. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

გამაოგნებელი სანახაობა გახლდათ მისი მოძრაობა კლდეზე. ის მართლაც კლდის ვეფხვს ჩამოჰგავდა. რთული მონაკვეთების გავლისას, თითქოს საყრდენს კი არ ეძებდა, არამედ მიფრინავდა, მიილტვოდა სიმაღლისაკენ. ისე მოხდენილად მოძრაობდა, ისეთი ემხითა და გზნებით, თითქოს ქართულს ცეკვავდა სცენაზე. საოცარი ის იყო, რომ სახეზე ღიმილი არ შორდებოდა, ეს ალბათ იმ დიდი სიამოვნების ნიშანი იყო, რასაც კლდესთან, სიმაღლესთან ჭიდილი ჰგვრიდა ამ დიდ ვაჟკაცს.

მიშა ხერგიანი ჩემზე ერთი წლით უმცროსი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს უკვე სახელმოხვეჭილი სპორტსმენი იყო, ყოველთვის ილებდა შენიშვნას და არასოდეს ახასიათებდა ქედმაღლობა. ვინც მიშას ახლოს იცნობდა, ყველა დამიდასტურებს მის მიერ საქმისადმი უსაზღვროდ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. იგი ზედმიწევნით იცავდა ყველა იმ პირობას და წესს, რომელიც უნდა ჰქონდეს დიდ სპორტსმენს. გულღია, კუნთმაგარი, მომცინარი მიშა კეთილგანწყობილი იყო ყველას მიმართ. თვით თავის მეტოქეებსაც კი აძლევდა რჩევას თუ როგორ სჯობდა გაევლოთ ესა თუ ის რთული მონაკვეთი. ეს კი მხოლოდ მაღალი ზნეობის მქონე ადამიანს შეუძლია. სწორედ ამ თვისების გამო მიშა ხერგიანი იყო იმ მთამსვლელთა რიცხვში, რომელთაც ელიტარულ ალპინისტებს უწოდებდნენ არა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში. მან ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მოასწრო დაეპყრო კავკასიონის, ალპების, პამირისა და ტიან-შანის ურთულესი მწვერვალები.

კლდეზე ცოცვას, როგორც სპორტის სახეს, საფუძველი ჩაეყარა 1947 წელს, შესანიშნავი მთამსვლელის ივანე ანტონოვიჩის თაოსნობით. შეჯიბრებები პირველ წლებში ალპურ ბანაკებში გახდა პოპულარული, ხოლო შემდეგ წლებში შეჯიბრებები კლდეზე ცოცვაში იმართებოდა იმ დროინდელი სსრკ-ს მოსახლეობის ფართე მასებისთვისაც, რაც ხელს უწყობდა ალპინიზმის პოპულარიზაციას მოსახლეობაში.

1965 წელს ჩატარდა სსრკ-ს პირველობა ქალაქ იალტაში, სადაც თავი მოიყარეს ყოფილი საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა, მათ შორის საქართველოს სახელით გამოდიოდა ქ. თბილისის ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში შეყვანილი იყო მიხეილ ხერგიანი. მან დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა ოქროს მედალი, როგორც პირად ჩათვლაში, ასევე გუნდური პირველობისათვის. მას ესალმებოდა რამდენიმე ათასი ადამიანი, რომლებიც უყურებდნენ მიშას არტისტულ მოძრაობას ასმეტრიან კედელზე. მას ტაშს უკრავდა ათასობით გულშემატკივარი, რომელთა შორისაც იყვნენ საკავშირო სახელმწიფოს ხელმძღვანელი მუშაკები.

ეს მცირე ექსკურსი მიხეილ ხერგიანის წარმატებისა იმისათვის დამჭირდა, რომ გამეხსენებინა 1967 წელი, საბჭოთა კავშირის პირველობა კლდეზე ცოცვაში და მაშინდელი გულის ტკივილი, არა იმიტომ, რომ ჩვენ ვითვლებოდით ფავორიტებად და ჩვენს მოწინააღმდეგეებს აფრთხობდათ ჩვენი გუნდის სიძლიერე ინდივიდუალურ სახეებში, არამედ იმიტომ, რომ 1967 წლის მარცხის მიზეზად ე.წ. წყვილთა ცოცვაში, სუფთა ალპინისტური თვალსაზრისით ურთულეს სახეში წარუმატებელმა გამოსვლამ, ჩემის აზ-

რით თავი იჩინა 1969 წელს იტალიის ალპებში, სუალტოს მასივის დალაშქვრის დროს, რაც ტრაგიკულად დამთავრდა არა მარტო მიშასათვის, არამედ მისი მეგობრებისა და ქართული სპორტისათვის.

და მაინც რა მოხდა 1967 წელს იალტაში? რატომ განვიცადეთ საშინელი კრახი? საქმე კი ასე ნარიმართა: სტარტზე იძახებენ ჩვენი გუნდის წარმომადგენლებს მიხეილ ხერგიანს და მის მეწყვილეს, შესანიშნავ ალპინისტს თამაზ ბაქანიძეს. წყვილს ეძლეოდა ოცი წუთი და ამ დროში მას უნდა გაევლო რაც შეიძლება დიდი მანძილი ვერტიკალურად ალპინისტური ტექნიკისა და წესების შესაბამისად. კლდის მონაკვეთი გავლილად ითვლებოდა, როცა მეორე სპორტსმენი შეუერთდებოდა თავის მეწყვილეს. სხვა ფავორიტებმა დროის ამ მონაკვეთში გაიარეს 10; 15; 20 მეტრამდე მანძილი. პირველად სტარტს იღებს მიშა და ათ წუთში გაიარა მთელი თოკი (40 მეტრი). ეხლა საჭიროა, რომ მან დარჩენილ 10 წუთში მიიღოს თავისი მეწყვილე. წესები არ ზღუდავდა ისე, როგორც მთაში ხდება, ერთმანეთის მოძრაობის კორექტირებას თუ რა უნდა გააკეთონ ამა თუ იმ პუნქტზე კარაბინის, კიბის მოხსნა და ა.შ. რადგანაც მარშუტზე დატოვებული აღჭურვილობისთვის გუნდი ისჯებოდა საჯარიმო ქულებით. მწვრთნელებს კი შეჯიბრებისდროს ჩარევის უფლება არ ჰქონდათ წესების თანახმად. თამაზ ბაქანიძე იდგა სტარტის ხაზზე და უყურებდა, თუ როგორ თავდებოდა თოკი მის ხელში, მიშას შემხედვარე მაყურებელი მას ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ, ამ ყვირილით ვისარგებლე და 10-12 მეტრში მდგომ თამაზს შევახსენე, ან დაეძახა და ისე შეეჩერებინა მიშა, ან არ მიეცა თოკი წინ წასასვლელად, სანამ თამაზი არ შეუერთდებოდა მას. მაგრამ არაფერი გამოვიდა. იძულებული გავხდით, მიშასათვის შეგვეხსენებინა, რომ წინ წასვლა უაზრობა იყო და მეგაფონით შევძახე, ხან სვანურად, ხან ქართულად შეჩერებულიყო და მიეღო თამაზი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მიშა ისე მოძრაობდა, თითქოს მშვენიერ ქალიშვილთან მიისწრაფოდა პაემანზე და არ აინტერესებდა მის გარშემო არაფერი, თამაზს თოკის ბოლო მეტრი დარჩა ხელში. უცებ ათასობით ადამიანს აღმოხდა შეშფოთების შეძახილი. მიშა მსაჯის თოკზე ეკიდა, მას საყრდენმა უღალატა, მოწყდა კლდის ნაწილი, რამაც გამოიწვია წონასწორობის დაკარგვა. სპორტში ყველაფერია მოსალოდნელი, გამარჯვებას შეიძლება მოჰყვეს დამარცხება და პირიქით. მაგრამ მთას სხვა წესები აქვს, მთამსვლელმა სიფრთხილე არ უნდა დაკარგოს, აკაკი წერეთლის არ იყოს:

„შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე, როგორც სხვადასხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა".

კლდეზე მფრინავი მიშა კი წერას ატანილიეით მიილტვოდა სულ ზემოთ და ზემოთ. იქნებ სწორედ ეს გიჟური ლტოლვა და დაუოკებელი ენერგია გახდა მიზეზი მისი დაღუპვისაც. ვინ იცის... მე კი, რატომღაც, სულ იალტის მარცხი მახსენდება, როგორც იტალიაში დატრიალებულ ტრაგედიას ვიხსენებ.

სიმართლე გითხრათ, მაშინ ისე დავტოვეთ შეჯიბრის ადგილი, ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ამ მოწყვეტის შესახებ. მიშა, როგორც გითხარით, იყო არა მარტო შესანიშნავი სპორტსმენი, ასევე შესანიშნავი ადამიანი. აი, რა მითხრა მან რამდენიმე საათის შემდეგ: „ნოდარ, მე მესმოდა შენი შეშფოთებული ხმა, მაგრამ იმდენად ადვილი იყო ტრასა, რომ შეჩერება ვერ შევძელი". ადვილს ეძახდა ტრასას, რომლის 20-25 მეტრიც ვერ დასძლიეს მაშინდელი სსრკ-ს ნამყვანმა სპორტსმენებმა. რაღა დამრჩენოდა, მხოლოდ ეს ვუთხარი, მთაში ასეთი გაუფრთხილებლობა შეიძლება საბედისწეროდ დამთავრდეს. დამპირდა, რომ ასეთი რამ მეორეჯერ არ განმეორდებოდა, მაგრამ ალბათ ესეც ბედისწერა იყო.

ყველა დიდ ადამიანს აქვს თავისი „შავი ვატერლოო". ასეთი ადგილი მიშასთვის გახდა სუალტოს მწვერვალი.



მიშა ხერგიანი

მარინე უთმელიძე

ვეტერანი მთამსვლელი,
სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში

# მტკივნეული მოგონება მიშაზე

როგორც კი მიშა რთული ასვლებისა და კლდეზე ცოცვაში გამარჯვებული მედლებითა და ღირსეული ჯილდოებით სახელდებული თბილისში ფეხს შემოდგამდა, მაშინვე მივაშურებდი ალპინისტთა კლუბს მასთან შესახვედრად, გამარჯვებას მივულოცავდი. პირმომღიმარე, ნათელი თვალებით შემომხვდებოდა.

თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის წევრები, რომლებიც წლის განმავლობაში სწავლობდნენ საქართველოს ბუნებას და გამოცდილ მოგზაურთა ბიოგრაფიას, ვცდილობდით ახლოს გაგვეცნო მათთვის ღირსეული ვაჟკაცები.

მიშა სიამოვნებით მთანხმდებოდა ხოლმე და საინტერესოდ უამბობდა ბავშვებს მთების ბუნებაზე, მთაში ამინდის მოულოდნელ ცვალებადობაზე, ჯგუფის სამზადისზე და მთამსვლელების ურთიერთობებზე. გარინდულნი უსმენდნენ მოსწავლეები და კითხვებს კითხვებზე უსვამდნენ საპატიო სტუმარს.

1960, 1963, 1965, 1967 წლები იყო მიშასთვის ძნელად და რთულად გასავლელი. ამ წლებმა მოუტანა სახელი და დიდება მას. ძალიან ახალგაზრდამ დაიმსახურა სპორტის დამსახურებული ოსტატის და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება კლდეზე ცოცვაში. აკი, კიდეც შეარქვეს „კლდის ვეფხვი".

ჩვენი კაბინეტის მოსწავლეებმა რომ გაიგეს დარიალის ხეობაში — გველეთის ხიდთან ტარდებოდა კლდეზე ცოცვაში საკავშირო შეჯიბრება მიხეილ ხერგიანის მონაწილეობით, წაყვანა მთხოვეს. ეს სურვილი შევუსრულე და თვით იხილეს მიშას სვლა კლდეებზე.

იტალიაში გამგზავრების წინ, მიკროფონთან მდგარმა აღუთქვა ბავშვებს, გაძლევთ პირობას, პირველობას არავის დავუთმობო.

დაისმა დაბინდა მისი ნათელი და მომღიმარე სახე.

დაგვეტოვა დიდი სახელი და ტკივილიანი მოგონება.



მიშა ხერგიანს „აზღვევს" 5 წლის ზაზა კანკავა.

**გივი ქართველიშვილი**

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში,
საქართველოს მთამსვლელთა
ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

# კაცი — ლეგენდა

„კლდის ვეფხვად" წოდებული, ლეგენდარული ქართველი მეკლდეურისა და მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის ხანმოკლე და დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებაზე არაერთი წიგნი, ლექსი თუ საგაზეთო წერილი დასტამბულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შესანიშნავი ვაჟკაცის ფენომენისადმი ინტერესი და ყურადღება ჯერაც არ ამოწურულა.

1964 წლის ზაფხულში, წილად მხვდა ბედნიერება, ახლოს გამეცნო მიშა. ეს მოხდა ბაქსანის ხეობაში, სახელგანთქმულ ალპურ ბანაკ „სპარტაკში", სადაც სეზონის დროს თავს იყრიდა ხოლმე მთელი იმდროინდელი ალპინისტური ელიტა. ჩვენ, რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას, „სპორტის ოსტატის" წოდების მისაღები ნორმატივის შესასრულებლად, ალპინიზმის ინსტრუქტორთა სკოლა უნდა დაგვემთავრებინა, რომელიც აღნიშნული ბანაკის ბაზაზე ფუნქციონირებდა. მიშა ამ სკოლის ერთ-ერთ მწვრთნელად იყო მიწვეული, მან სიხარულით აიყვანა შეგირდად ჩვენი ე.წ. „ქართული ჯგუფი".



მყინვარწვერი.

ამ დროისათვის მიშას უმაღლესი სასწავლებელი ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა, ანუ, როგორც იტყვიან, კლასიკური განათლება ჯერ არ მიეღო, მაგრამ უნდა გენახათ, რა ღრმა ცოდნას ავლენდა პედაგოგიკაში, ლოგიკაში, რა გონივრულად მიჰყავდა თეორიული თუ პრაქტიკული მეცადინეობები, რა ფართო ერუდიციას ამჟღავნებდა ნებისმიერ თემაზე საუბრისას. გასაოცარი ტაქტით ავლებდა მიშა ზღვარს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის სრული ურთიერთგაგების, პატივისცემისა და, გნებავთ, სიყვარულის კონტექსტში. მსგავს სისათუთეს იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანთა ურთიერთობაში.

მახსოვს, ერთხელ, სკოლის მთელი შემადგენლობა, რამდენიმე დღით გაეედით ბანაკიდან სავარჯიშოდ. გეზი ე.წ. „კლდის ლაბორატორიისაკენ" გვეჭირა, რომელიც ავსტრიელი მთამსვლელის გუსტავ შპიცის სახელს ატარებდა. აქ ყველა ჯგუფი ცალ-ცალკე ბანაკდებოდა ხოლმე და ყოველ მათგანს „თავისი" კლდის მონაკვეთი ჰქონდა სავარჯიშოდ შერჩეული.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ იმ დროისათვის გამოჩენილი, საუცხოო მთამსვლელი პედაგოგები, რთული მონაკვეთის გავლის ტექნიკის სადემონსტრაციოდ მათ უეჭველად მიშა უნდა მიეწვიათ — ასე იყო დაუწერელი კანონივით დაწესებული. მიშასაც რა ექნა, თავისი რბილი ხასიათის გამო უარს ვერავის ეუბნებოდა. გადავიდოდა უსიტყვოდ „სხვის" მონაკვეთზე; გადაჰყვებოდნენ მას ახლოს მყოფი დანარჩენი ჯგუფებიც, ჩვენ ხომ — თავისთავად, და გაისმოდა მაყურებლის ხმამაღალი, გამამხნევებელი შეძახილი: „Давай, Миша! жми!", „Миша, давай!" მიშას გამხნევება არ სჭირდებოდა. თავისი ულამაზესი, განუმეორებელი სტილით მსუბუქად, ერთი ამოსუნთქვით გადადიოდა ურთულეს მონაკვეთებს... ბოლოს, ეს საჩვენებელი ცოცვა „სოლო კონცერტს" ემსგავსებოდა, რომელსაც ასრულებდა მიშა — ერთადერთი და განუმეორებელი შემსრულებელი.

ერთ დღეს ძალიან ჩამოცხა და სადილის შემდეგ, ცოტა მეტი დრო მოგვეცა დასასვენებლად. ერთმანეთში ავირიეთ მონაწილენი და ხელმძღვანელები, გაჩაღდა განტვირთვისათვის ესოდენ აუცილებელი ხუმრობა, ღლაბუცი, გავლაღდით, „გავჟღჟილდით"; ყაყანს და სიცილ-ხარ-



მესტია, სოფელი ლანჩვალი და მიშა ხერგიანის ნათლობის მნეერვალი „ბანგურიანი"

ხარს მიჰქონდა იქაურობა... მიშა კი, იქვე, ხის ქვეშ მიწოლილიყო და მშვიდად, ღრმა ძილით ეძინა. გავვოცდით. ეს თითქოსდა უმნიშვნელო ეპიზოდი სინამდვილეში მრავლისმეტყველია, რადგან მიშას შინაგანი ბუნების, შესაშური წესრიგის, მისი სულიერი სიმშვიდისა და მდგომარეობის უტყუარი მაჩვენებელია.

მიშა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც მთამსვლური საზომით, ძალიან ადრე მოიხვეჭა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნომერ პირველი მეკლდეურისა და მთამსვლელის სახელი; სწორედ მიშამ, თავისი სპორტული კარიერით, დაამტკიცა იმხანად გაბატონებული აზრის მცდარობა, თითქოს მთამსვლელობის დაწყება დასაშვებია არაუადრეს შუახნის მიტანებისას, ხოლო სპორტული სიმწიფე მხოლოდ 40 წლის ასაკში თუ მიიღწევა. მიხეილ ხერგიანი 30 წლისაც არ იყო, როდესაც ფეხი შედგა სპორტული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე და დაიმსახურა „სპორტის დამსახურებული ოსტატის" საპატიო წოდება.

მიუხედაეად ასეთი დიდი სპორტული მიღწევებისა, უდიდესი პოპულარობისა და უმაღლეს რეგალიათა ფლობისა, მიშა უაღრესად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი გახლდათ და თავისი პირადი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის არასოდეს უზრუნია, არასოდეს გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია სხვისადმი, სხვაზე ნაწყენი არასოდეს ყოფილა; დასანანია, მაგრამ ეს „სხვა" კი მიშას გულისთვის თავს არასოდეს იწუხებდა.

მიშასთან, სტუმრად, ნალჩიკშიც ვყოფილვარ და თბილისშიც. ასე სადად და უბრალოდ მოწყობილი ბინა არსად და არასდროს მინახავს. ესეც მრაელისმეტყველ „წვრილმანად" მიმაჩნია, რადგანაც მწამს, რომ ადამიანის ყოფითი სისადაეე მისი სულიერი სიმდიდრის გამომხატველია.

მიშას დაუვიწყარი, მომაჯადოვებელი ღიმილის უკან, მუდამ მისი პიროვნების არაჩვეულებრივობა და სიდიადე იგრძნობოდა და ცხადი ხდებოდა, რომ ამ კაცის ამქვეყნიური მისია ბევრად მეტი იყო, ვიდრე ის, რაც მან მოასწრო და რასაც მიაღწია.



მწვერვალი თეთნულდი.

ეთერ ჭელიძე

# ლეგენდად ქცეულო, მწვერვალნი გიცდიან!

„მიშა დაიღუპაო დოლომიტებში",
სივრცე შეტორტმანდა სუ-ალტოდან
ტყვია დახლილი,
ექომ შეისრუტა შემზარავი სიკვდილის ზარი,
ღრუბელმა შემოიარა ტიანშანი და პამირი.
„მიშა დაიღუპაო დოლომიტებში",
ბეთქილმა სუ-ალტოსთან შურისძიების
აღმართა მახვილი,
ბედისწერის თოკს გაპყოლიაო ქვათაცვენაში,
სიმაღლეს გაეჯიბრაო „ბანგურიანიდან"
აფრენილი არწივი.
„მიშა დაიღუპაო დოლომიტებში"...
მწუხარედ აბორგდნენ ქარაფ-ნაპრალები,
მდუღარე ცრემლები დასდინდა მთების ასულს,
გულზე დააყარა ოქროს დალალები.
„მიშა დაიღუპაო დოლომიტებში".
კრიჭაშეკრული მთები მდუმარებენ,
ზღვა მწუხარების უსიტყვოდ დამტევი
შხარა და შხელდა უბრად მძვინვარებენ.
თეთნულდს აუკეცავს სისხლიანი
კაბის კალთები
და სისხლის ცრემლი უხმოდ შეიმშრალა.
მთებმა მთებს გასძახეს.,
მწვერვალმა მწვერვალებს.,
მიშას სიკვდილით სიერცე შეიშალა.
ჭარმაგი მოხუცი ბანგურიანისკენ
შეპარულ დარდით მიჰყვება აღმართს
სეტში ღრიალებენ სვანი ვაჟკაცები
ფარსაგი დამართნია ვიღაცას, ეაგლახ.
გოდებს ლაილაში, გრგვინავს ლაღამი და
ბესარიონი მიჰყვება ცარგვალს,
ცა ჩამოქცეულა სახერგიანოში,
მთელი სვანეთი მოუცავს განგაშს.
სული შეენივთა მუხთალ ბედისწერას,
კაეკასიონზე ნისლები გაწვა.
ნაკადულებად დასდინდა ცრემლი
თეთნულდს, ვით დედას, დახოკილ ღანეთან.
დიაცთა კივილმა მურყვამი გაბზარა,
აეად შეტორტმანდნენ მთები,
უშბამ დაიგმინა: — ჩემს ბეჭზე გაზრდილო,
რატომ დამიმსხვრიე ბეჭი.
ლეგენდად ქცეულო, მწვერვალნი გიცდიან
კვლავ გასდე სავალი დირე,
მყინვართა ბეჭებზე შესდექი ჩხვიმლიან,
შენებურ დასჭექე ლილე.



შეილდაკარგული ბესარიონი ბანგურიანს გაპყურებს.

ტარიელ ლუკაშვილი
სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში

# სახელოვანი ბეთქილი

ჩემთვის, დამწყები მთამსვლელისთვის, 60-იანი წლების დასაწყისში, ჰიმალაის 8-ათასიანი მწვერვალების დამპყრობთა; მორის ერცოგის, თენსინგ ნორგეის, ჯონ ჰანტისა და სხვათა წიგნების მკითხველისათვის დიდი აღმოჩენა იყო, როცა გავიგე, ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი მთამსვლელი, „მთის ვეფხვად" წოდებული, ჩვენს ქვეყანაში, — საქართველოში ცხოვრობდა და ქართველი ყოფილა. ეს კაცი მიშა ხერგიანი იყო.

1962-63 წლებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ბაქსანის ხეობაში ყოფნის დროს დიდი მონინებით გავიცანი და მონუსხულივით შევყურებდი 30 წლის უკვე ლეგენდად ქცეულ მთამსვლელ ხერგიანების დინასტიის გამორჩეულ კაცს — მიშას.

მახსენდება 1963 წელი, როცა მიშა თბილისში გადმოსახლდა, მთამსვლელთა ახალგაზრდა თაობა, როგორი სიხარულით შეხვდა, მათ შორის მეც ვიყავი.

მისი ჩამოსვლა საქართველოში, ემთხვევა მეკლდეურობისა და ტექნიკურად რთული ასვლების ახალი ეტაპის დასაწყისს.

პირველად მთაში სიარული და მეკლდეურობაში ჩემი ურთიერთობა მიშასთან, 1964 წლიდან დაიწყო. ამავე წელს მიშას უშბაზე ასვლით, ჩვენ, ახალგაზრდებს ახალი სტიმული მოგვეცა. თითქოს გავთავისუფლდით, არ ვიცი რა დავარქვა, შიში თუ რიდი, რომელიც ტექნიკურად რთულ კედლოვან მარშრუტების ყურებისას გვეუფლებოდა. მაშინ თბილისში ვბრუნდებოდით, მესტიის აეროპორტში შევხვდით, სამხედრო „ბუშლატა" ეცვა, უფრო დიდი და გოროზი ჩანდა. ნამდვილად დიდი და სახელოვანი ბეთქილი.

კეთილი შურით შევცქეროდი... იმ წუთებში მასპინძლობა შემოგვთავაზა „აქ რატომ ხართ, ჩემთან სახლში წამოდით, თვითმფრინავი უთქვენოდ არ გაფრინდებაო". თავი სიზმარში მეგონა, მიშაზე ბევრი რამის მოყოლა შეიძლება, მის სიძლიერეზე, განუმეორებელ სიმამაცეზე, კაცთმოყვარეობაზე, ზოგჯერ ბავშვურ გულუბრყვილობაზე, სიმღერაზე... არ შეიძლება მისი ყველა ღირსება ერთი ხელის მოსმით აღწერო.

1965 წელს ზამთარში, შეკრება გვქონდა. ადილ-სუს ხეობაში ვიმყოფებოდით ბანაკში. მიშა ხერგიანი იყო ხელმძღვანელი, შალიკო მარგიანი, რომა გიუტაშვილი, თამაზ ბაქანიძე, გიგლა ნიკლაური და მე.

ჩვენი შეკრება დაემთხვა სტუდენტთა არდადეგებს და მოსკოვიდან და ლენინგრადიდან უამრავი ახალგაზრდა იმყოფებოდა. ყველას მიშა აკერია პირზე, ყველას მიშასთან ყოფნა უნდა. საღამოს საათებში იმართებოდა ცეკვები.

ერთ საღამოს, ერთმა მშვენიერმა მანდილოსანმა დამპატიჟა საცეკვაოდ. შემდეგ მე ვიაქტიურე, ის იყო შუა ცეკვაში ვართ, ჩვენს შორის ერთი გოლიათი კაცი ჩადგა და დელიკატურად ამიხსნა, რომ ეს ქალი მისია და თავი უნდა გამენებებინა.

არ ვიცი რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, მიშა რომ არ მოსულიყო — კონკრეტულად განუცხადა იმ „გოლიათს", „ეს ქალი ტარიასიაო"... იმ კაცმა მხარზე ხელი დამკრა და ღიმილით გამშორდა. მეორე დღეს ამაყად დავდიოდი ბანაკში.

რაც შეეხება ჩვენს ასვლებს, ვიყავით ერთ მწვერვალ სუარიკზე მე-4ბ კატეგორიის მწვერვალი იყო. შემდეგ ჩრდილოეთ უშბაზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ მიშამ ჩათვალა, რომ ჩვენ ჯერ მზად არ ვიყავით. თვითონ კი ჩერნასლივინის ჯგუფთან ერთად უილპატას ჩრდილოეთ კედელი დალაშქრა. მე გაეულესე წრიაპები და შევუკერე დაცვის კომბინირებული ქამარი, ეს ჩემთვის დიდი ნდობის გამომხატველი იყო.

1966 წელს მე და მიშა იალტაში ვართ და ვემზადებით პროფკავშირების საკავშირო პირველობისთვის, მე სასწრაფოდ გავხდი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" წევრი. მიშაც ამათი იყო. რა უნდა აკეთოს ორმა კაცმა ინტენსიური ვარჯიშის დროს; ერთი კედელზეა, მეორე იცავს, ასე ვეცდებით მთელი დღე. გადაღლილობისგან გამიჩერდა მარჯვენა ხელი, — რა ხდება ჩემ თავს, ვეკითხები მიშას — მპასუხობს: ბევრს ვარჯიშობ და იმიტომ დაგემართაო.

— კი მაგრამ, თუ იცოდი, რატომ არ შემაჩერე?

პასუხმა გამაოცა, როგორ, შენ ხომ მე მეჯიბრები — ეს რომ მეთქვა გეწყინებოდა, სხვანაირად გამიგებდი...

მე კი მასთან შეჯიბრს არ ვაპირებდი, თუ დამიჯერებთ. მასთან ურთიერთობა საამაყო იყო ჩემთვის. მადლობა ღმერთს, რომ მეც გამხადა ამ ურთიერთობის ღირსი.

მეხის გავრადნას ჰყაედა მიშას დალუპეის ამბაეი.

ერთი რამ შეეძელით იმის მერე — ბაქსანის ხეობაში, სადაც ჩეენი ამიერკავკასიის არმიის სპორტული კლუბის გუნდი იყო, მის მიერ გავლილი მე-3 დასავლეთ შხელდის ჩრდილოეთ კედელი, რომელიც მის მერე არავის გაევლო, ჩეენ გაეიარეთ და მის მარშრუტზე დატოეებული საკონტროლო წერილი მოეხსენით.

წაეიდა მიშა ჩვენგან და დაგეიტოეა დიდი ტკივილი და ლამაზი მოგონებები, რომელიც თითოეული ჩვენთაგანის ცხოერებას ალამაზებს.



ტარიელ ლუკაშეილი, რომა გიუტაშეილი, მიშა ხერგიანი.



ტარიელ ლუკაშეილი, კირილ კუზმინი, სერგო ბარლიანი

**შოთა მირიანაშვილი**

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის
პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

# მიხეილ ხერგიანის გახსენება

მიშა, (ასე უწოდებდნენ მას ალპინისტთა წრეში), და მე, მთამსვლელთა იმ თაობას ვეკუთვნით, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში მოვიდა მთამსვლელობაში, იმ განსხვავებით, რომ სპორტულ ასპარეზზე მიშა ჩემზე ორი-სამი წლით ადრე გამოჩნდა.

მიშას, როგორც პროფესიონალი მთამსვლელის, ჩამოყალიბება ჩრდილოეთ კავკასიის ალპინისტურ ბანაკებში ხდებოდა, თუმცალა ცხოვრების ამ გზის არჩევაში გადამწყვეტი როლი მის უშუალო გარემოცვამ ითამაშა — მამა, ბიძები და უახლოესი ნათესავები ხომ ქართველ მთამსვლელთა პირველი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ. მათი სახელების უბრალო ჩამოთვლაც საკმარისია იმის გათვითცნობიერებისათვის, თუ რატომ აირჩია ჭაბუკმა მიშამ, და არა მხოლოდ მიშამ, არამედ სვანეთის იმდროინდელი ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა, ხიფათითა და რომანტიზმით აღსავსე ალპინიზმი, ცხოვრების მთავარ მიზნად.

საქართველოს მთამსვლელთა ნაკრებში მიშა პირველად 1955 წელს გამოჩნდა.

ქართველმა მთამსვლელებმა იმ, შორეულ 1955 წელს სასიმაღლო ასვლების კლასში (პამირის მთიანეთი) ერთბაშად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

პამირის 1955 წლის ექსპედიცია, რომელსაც ბატონი ოთარ გიგინეიშვილი და ბატონი ალექსი ივანიშვილი ხელმძღვანელობდნენ, იმითაც იპყრობს სპეციალისტების ყურადღებას, რომ კავკასიონზე ტექნიკურად რთული ასვლების შემდეგ ქართველმა მთამსვლელებმა სიმაღლოვან ასვლების კლასშიც მომზადების მაღალი დონე გამოავლინეს.

სტალინის სახ. პიკზე (7495 მ.) ახალი მარშრუტის გაკვლევა და პამირის კიდევ ერთი გოლიათის (6885 მ. სიმაღლის უსახელო მწვერვალი) პირველდალაშქვრა უთუოდ ახალი სიტყვა იყო საბჭოთა სასიმაღლო ალპინიზმში. 6885 მეტრის ეს მწვერვალი დღეს „როსიას" პიკის სახელით არის ცნობილი.

ოქროს მედლები (სტალინის პიკზე ახალი მარშრუტის გაელისათვის) იმ წელს იოსებ კახიანთან, ჯუმბერ მეძმარიაშვილთან და ლევან ახვლედიანთან ერთად მიშა ხერგიანმაც მოიპოვა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მიშას ამ პირველ დიდ გამარჯვებაში, ისევე როგორც მთლიანად ექსპედიციის წარმატებაში, არც თუ მცირე წვლილი შეიტანა მიშას ბიძამ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ქართული ალპინიზმის სიამაყემ, მაქსიმე გვარლიანმა (მაქსიმე ექსპედიციის სპორტულ ნაწილს ხელმძღვანელობდა), ადამიანმა, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული მიშას, როგორც მთამსვლელის პირველი ნაბიჯები. მხედველობაში გვაქვს 19 წლის მიშა ხერგიანის ინსტრუქტორთა სკოლაში ჩარიცხვის ფაქტი, რაც მაქსიმე გვარლიანის უშუალო ჩარევისა და ალპინისტურ წრეებში მისი უდიდესი ავტორიტეტის გარეშე, გამორიცხული იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიშას კარგად ვიცნობდი, ჩვენი შეხვედრა მთაში მხოლოდ 1958 წელს მოხდა.

ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ 1958 წლის დასაწყისში სსრკ სტუმრად ჩამოსული ნეპალის მეფე საქართველოსაც ესტუმრა, თბილისში ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპინისტური კლუბიც მოინახულა და ქართველი მთამსვლელები ნეპალში ევერესტზე ასასვლელად მიიწვია.

როცა მოსკოვში ამის თაობაზე შეიტყვეს, ძლიერ აფორიაქდნენ და ყველაფერი იღონეს, რათა საბჭოთა მთამსვლელთა ნაკრები ევერესტზე მოხვედრილიყო. ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება იმით დამთავრდა, რომ 1959 წლის გაზაფხულზე დაიგეგმა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა ექსპედიცია ევერესტზე ტიბეტის მხრიდან.

ჩვენმა ნაკრებმა 1958 წელი ევერესტის ექსპედიციის სამზადისს დაუთმო. სამოქმედო რაიონად შერჩეული იქნა პამირი, ასვლის ობიექტად კი „ლენინის" პიკი (17134 მ.) (სიმაღლით სსრკ მესამე მწვერვალი) სამხრეთიდან — დიდი სიუკდარას მყინვარიდან.

მოხდა ისე, რომ რუსეთ-ჩინეთის მთამსვლელთა ნაკრებმაც ევერესტისათვის მზადება თურმე პამირში, ლენინის პიკის რაიონში დაგეგმა.

ჩვენ რომ რაიონში შევედით (კარაჯილგას ხეობა) და ოქტომბრის სახ. მყინვარს მივაღწიეთ, სადაც საბაზო ბანაკის მოწყობა გვქონდა

დაგეგმილი, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ნაკრები მთელი შემადგენლობით იქ დაგვხვდა. მათი რიცხვი, მომსახურე პერსონალითა და საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა ფედერაციის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად, 80 კაცს სჭარბობდა.

ჩვენი ბანაკი მათი „ქალაქის" გვერდით დავეცით. ჩვენი ექსპედიცია 16 კაცს ითვლიდა.

ჯერ კიდევ თბილისში ვიცოდით, რომ მიშა ხერგიანი და იოსებ კახიანი, რომლებიც საქართველოს ნაკრებში ირიცხებოდნენ, მოსამზადებელ ეტაპს ჩინელ-საბჭოთა მთამსვლელთა ნაკრების შემადგენლობაში გაივლიდნენ.

მიშას და იოსებს ბევრი მეგობარი და ახლობელი ჰყავდათ ჩვენს ნაკრებში.

მე და ოთარ ხაზარაძეს იოსებ კახიანთან ერთად 1957 წლის თებერვალში შესრულებული გვქონდა, ომის შემდგომ წლებში პირველი ზამთრის ასვლა იალბუზზე და ბევრი რამ გვქონდა მოსაგონარი. მიშა და იოსები კარგად იცნობდნენ ჩვენი ნაკრების უმეტესობას, განსაკუთრებით კი 1955 წლის ექსპედიციის მონაწილეებს ჯუმბერ მეძმარიაშვილს, ლევან და ზურაბ ახვლედიანებს.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში რამოდენიმე ახალი ნევრიც ირიცხებოდა და მათ შორის მიშას ბიძაშვილი პირიხე გვარლიანი და მთამსვლელი შოთა ჩართოლანი მესტიიდან.

იმ საღამოს ჩვენ, ქართველები, ყველანი ერთად შევიკრიბეთ და ღამე ერთმანეთის სიყვარულში გავათიეთ. სუფრას ცხადია ქართული ღვინოც ამშვენებდა, მაგრამ სასმელს არავინ ენაფებოდა.

სსრკ ნაკრებში ბევრი ჩვენი მეგობარი და ნაცნობი ირიცხებოდა. ზოგს უშუალოდ ვიცნობდით, ზოგსაც სსრკ ჩემპიონატებზე შესრულებული ბრწყინვალე ასვლებით.

მიხეილ ხერგიანში უჩვეულო არაფერი იყო, საშუალო სიმაღლის ზრდილობიანი და თავდაჭერილი ქართველი ვაჟკაცი. მე ის ზედმეტად მორიდებულად მეჩვენა.

როგორც ჩვენ, ასევე მიშამ და იოსებმაც, კარგად ვიცოდით, თუ თვითოეული ჩვენთაგანი რას წარმოადგენდა.

ორივე ნაკრებს, ჩვენ და რუსეთ-ჩინეთის, ერთი მიზანი გვქონდა — ევერესტისათვის სამზადისი. დაპირისპირებისათვის ცხადია არავითარი ობიექტური მიზეზები არ არსებობდა, ვინაიდან ასვლას ევერესტზე, ჩვენ ნეპალიდან (კრუმბუს მყინვარი), ხოლო გაერთიანებული რუსეთ-ჩინეთის ნაკრები ტიბეტიდან (ბალტორას მყინვარი) გეგმავდა.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ფარულმა დაპირისპირებამ მეორე დღიდანვე იჩინა თავი. ქვეცნობიერად წინა პლანზე დადგა საკითხი, თუ ვინ ვის დაასწრებდა ასვლას ლენინის პიკზე ჩვენ თუ რუსები.

ობიექტური სიტუაცია რუსეთ-ჩინეთის ნაკრების სასარგებლოდ გამოიყურებოდა. ჩვენ რომ ხეობაში შევედით და საბაზო ბანაკი მოვაწყეთ, აღმოჩნდა, რომ ჩინეთ-სსრკ-ს ნაკრებს მოსამზადებელი სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დასრულებული ჰქონდათ. სიტუაცია იმგვარი იყო, რომ კარაჯილგას ხეობიდან დიდი საუკდარას მყინვარის აუზში გადასვლა (ამ მყინვარის სათავეშია აზიდული ლენინის პიკის გრანდიოზული თოვლ-ყინულოვანი მასივი) და ლენინის პიკის ძირში მისვლას სულ ცოტა 5-6 დღე სჭირდებოდა და თანაც 5300 მეტრის სიმაღლის უღელტეხილის დაძლევა.

მოსიმაღლე მთამსვლელებმა კარგად იციან, აუცილებელი იყო რამოდენიმე შუალედური ბანაკის შექმნა.

ასეთი შუალედური ბანაკების და სათანადო აკლიმატიზაციის გარეშე ასვლა ლენინის პიკზე ახალი გზით მომეტებულ რისკთან იყო დაკავშირებული. არც ის იყო გამორიცხული, რომ ასვლა უშედეგოდ დამთავრებულიყო.

ვინაიდან ლენინის პიკზე სამხრეთიდან პირველი ასვლა რუსეთ-ჩინეთის მთამსვლელთა ნაკრებისათვის არ გვინდოდა დაგვეთმო, გადავწყვიტეთ ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე იერიშზე გავსულიყავით.

ჩვენი ეს, ერთი შეხედვით ავანტურისტული გეგმა ცხადია დაფუძნებული იყო ნაკრების წევრთა წინა წლების სასიმაღლო გამოცდილებაზე და ჯგუფის წევრთა ერთსულოვნებაზე.

ჩვენი ჩანაფიქრი მხოლოდ მიშა ხერგიანს და იოსებ კახიანს გავანდეთ. მართალია მიშა და იოსები მთლად ვ ერ დავარწმუნეთ ამ გადაწყვეტილების სისწორეში, მაგრამ მათი სულიერი მხარდაჭერაც ჩვენთვის ბევრ რამეს წარმოადგენდა.

როცა ჩვენ, ჩასვლიდან მესამე დღეს, მთელი შემადგენლობით ბანაკიდან გავდიოდით რუსჩინელი მთამსვლელების მთელი არმია გვაცილებდა. ყველას ეგონა, რომ ჩვენ უღელტეხილზე პირველი შუალედური ბანაკის მოსაწყობად

გავდიოდით და ორ დღეში უკანვე დავბრუნდებოდით.

ორი დღის ინტერვალით ლენინის პიკზე ასასვლელად რუს-ჩინელ მთამსვლელთა პირველი რაზმი (28 კაცი) გადიოდა და მათ შორის მიშა ხერგიანიც.

როცა მესამე დღეს ეს რაზმი უღელტეხილზე დაბანაკდა და ჩვენი პირველი ბანაკის ნიშანწყალი იქ არ დახვდათ, მხოლოდ ის ივარაუდეს, რომ მეორე ბანაკის მოსაწყობად ვიყავით საუკდარაზე, და მხოლოდ მაშინ, როცა მე-5 დღეს ლენინის პიკის ძირში ალმოჩნდნენ და იქაც რომ ვერ გვნახეს, მიხვდნენ, რომ ჩვენ მწვერვალის იერიშზე ვიყავით გასული.

მართალია გაგვიჭირდა და ზოგიერთ ჩვენთაგანს სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზეც მოუნია ყოფნა, მაგრამ მწვერვალზე მთელი შემადგენლობით ავედით (ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, რევაზ და ოთარ ხაზარაძეები, თეიმურაზ კუხიანიძე, გიორგი აბაშიძე, ომარ ბერაძე, ილო ყაველაშვილი, პირიბე გვარლიანი, შოთა ჩართოლანი, ნოდარ ნადირაშვილი, სულიკო ხაბეიშვილი, გიორგი მაჭარაშვილი, შოთა მირიანაშვილი).

როცა ორი დღის შემდეგ მწვერვალიდან დაბრუნებულები ჩინეთ-რუსეთის ნაკრების I რაზმის მონაწილეებს ლენინის პიკის ძირში შევხვდით, დაუფარავად ჩანდა, რომ მომლოცველთა შორის ჩვენი გამარჯვებით მხოლოდ მიშა იყო გულწრფელად გახარებული.

დამშვიდობებისას ისიც მითხრა, რომ საკუთარი მიღწევა ისე არ გაახარებდა, როგორც ჩვენი გუნდური გამარჯვება. ისიც დასძინა, რომ ევერესტზე მიშა და იოსები ჩვენთან იქნებოდნენ.

სამწუხაროდ, ჩინეთ-ინდოეთს შორის წარმოჩენილმა კონფლიქტმა ჩაშალა როგორც ქართველთა, ასევე რუს-ჩინეთის ექსპედიციები ევერესტზე.

1982 წელს ევერესტზე პირველ საბჭოთა ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობს ქართველი მთამსვლელი, მესტიიდან ხერგიანების გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი აკაკი ხერგიანი.

დაუსწრებლად მთაში მიშას 1964 წელს შევხვდი, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მიშამაც იმ ნაკვალევზე იარა, რომელიც მისმა წინაპრებმა 1937 წელს გაკვალეს უშბაზე (გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკა ჩართოლანი) და რომლის გამეორებაც 1962 წელს მე და ჩემ მეგობრებს გვხვდა წილად.

გაბრიელ ხერგიანის სახელით ცნობილი მარშრუტი სამხრეთ უშბაზე ყველაზე ლოგიკური და ამავდროულად ულამაზესიც არის. მისი გავლა 1937 წელს გმირობის ტოლფასი იყო.

მარშრუტის ტექნიკურ სირთულეზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მისი განმეორებით გავლა, მიუხედავად არაერთი მცდელობისა (მათ შორის ქართველთა მიერ უშბის დაპყრობის 25 წლის იუბილეს დროს — 1959 წ.) 1962 წლამდე უშედეგოდ მთავრდებოდა.

როცა მე და ჩემი მეგობრები (ოთარ ხაზარაძე, ილო ყაველაშვილი და ნოდარ ნადირაშვილი) ბექნუ ხერგიანის მარშრუტზე გავედით გზის მასწავლებლად და დამრიგებლად დიდი ბექნუ გვყავდა, რომელიც ინტერესით გამოეხმაურა ჩვენს ჩანაფიქრს და უშხვანარში — ექსპედიციაში გვესტუმრა.

სიმართლე გითხრათ, ბექნუს ნაამბობის ფონზე რაღაც ეჭვები იბადებოდა იმის თაობაზე, შევძლებდით კი იმ ციცაბო კლდის დაძლევას, რომელიც სასწაულებრივ გაბრიელმა და მისმა მეგობრებმა დაძლიეს.

თავს იმით ვინუგეშებდი, რომ 1937 წლის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ალპინიზმი განვითარდა, ახალი აღჭურვილობა გამოჩნდა. მეც და ოთარიც, შეიძლება ითქვას, უკვე მთამსვლელები ვიყავით — გამოცდილებაც თითქოს გვქონდა: შხელდა, უშბა, დასავლეთი ჯანღა, ვაჟა-ფშაველა (ტიან-შანი), გარმო (პამირი) და კიდევ ბევრი სხვა მწვერვალი.

როცა მარშრუტზე გავდიოდით, ბექნუმ მთხოვა მარშრუტიდან მათ მიერ დატოვებული (ხელით ნაჭედი) პალოები და ძველი კარაბინები დამეხსნა და მისთვის ჩამომეტანა.

როცა მარშრუტის საკვანძო უბანს მივადექით, განცვიფრებული შევცქეროდით 40 მეტრის ვერტიკალურ ბასტიონს, რომლის ცენტრში ჩანჩქერი გადმოდიოდა.

არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ კედლის პირველი ნახევარი (ბლაგვი კუთხე) უპრობლემოდ გავიარე. ვინაიდან ზედა ნაწილი უარყოფითია. ძალაუნებურად, გიხდება კედლის ტრავერსირება მარცხნივ. განსაკუთრებით გამიჭირდა ტრავერსის 5-6 მეტრის დაძლევა. მოძრაობა ფაქტობრივად ჩანჩქერის ქვეშ მომიხდა. ამ მონაკვეთზე 3 ორსაფეხურიანი კიბე დაეტოვე, რათა უკანმავალთ არ გასჭირვებოდათ მისი

დაძლევა. მარშრუტზე, სადაც კი 1937 წლის პალო დამხვდა, ყველა წამოვიღე და საგულდაგულოდ შევინახე.

ის ღამე კედლის თავზე, მწვერვალისაკენ მიმავალ ქედის ძირში გავათენეთ მომცრო ზომის ხელოვნურ ბაქანზე. 1937 წელს ამ ბაქანზე გაათენა ღამე გაბრიელის ჯგუფმა.

როცა უშხვანარში დავბრუნდით და „ნადავლი" (ძველი კარაბინები და პალოები) ბექნუს ჩავაბარე, ვატყობდი, რომ ბოლომდე არ უნდოდა დაეჯერა, ჩვენი უშბაზე ასვლა და კარგა ხანს ატრიალებდა ხელში საკუთარი ხელებით გაჭედილ რკინის შვერილებს.

ეს ასვლა იმიტომ გავიხსენე, რომ 1964 წელს უშბის „სარკეზე" იერიშის წინ, მიშა ხერგიანმა, პირიბე გვარლიანთან, გივი ნერედიანთან, ბაგაულ კვიციანთან და უმცროს მიხეილ ხერგიანთან ერთად გაიარა გაბრიელ ხერგიანის მარშრუტი, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა მან.

თბილისში დაბრუნებულმა კი, ალპიურ კლუბში შეხვედრისას, მითხრა, რომ 1962 წლის „კვალი" (პალოები, კიბეები) გაბრიელის კედელს ერთგვარად უინტერესოს ხდისო და ეიცი არ გეწყინება, თუ გეტყვი, რომ მათი დიდი ნაწილი დავხსენი და ჩამოგიტანეო. შენი დატოვებული კიბეები კი ძალიან გამომადგაო უშბის სარკეზეო, რისთვისაც მადლობას გიხდიო.

მიშას მიერ გაბრიელის კედლიდან დახსნილი პალოები კი სათუთად მაქვს დღესაც შენახული.

ასეთი დარჩა მიხეილი ჩემს მეხსიერებაში



პატარა უშბა და ჩათინი. (ფოტო ზ. ჩართოლანი)

**ვიაჩესლავ ონიშჩენკო**
სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ალპინიზმში,
ქ. მოსკოვი.

# მიხეილ ხერგიანის ხსოვნას

„მცოდნე მხიარულების უჩუმრად და რიდით,
მცოდნე ტირილისა მშრალი თვალებითა,
მცოდნე სიკვდილისა სიმამაცის ხიბლით,
ასეთია კაცის ხვედრი, დაბადებით მთებში".
**რასულ გამზათოვი**

მე არ ვიცი — იცნობდა თუ არა დაღესტნელი პოეტი რასულ გამზათოვი სახელგანთქმულ ალპინისტს მიხეილ ხერგიანს, მაგრამ როცა ეს სტრიქონები მე წავუკითხე მიშას მოსწავლესა და მეგობარს ლადო გურჩიანს, მან წამოიძახა: „ეს მიშაზეა ნათქვამი". მიმდინარე წელს, მიშას სიკვდილიდან 34 წელი გავიდა. მე არა მაქვს პრეტენზია ქრონოლოგიური სიზუსტით ვიცოდე ამ შესანიშნავი პიროვნების ბიოგრაფია, მაგრამ მინდა მოგითხროთ მისი ცხოვრების იმ მონაკვეთზე, როცა მე ბედმა მიშასთან დამაკავშირა.

ალპინიზმს 1955 წლიდან მივდევ. ამავე წელს საქართველოს ალპინისტთა გუნდმა მოაწყო ასვლა სტალინის (კომუნიზმის) პიკზე. ამ ასვლისათვის გუნდი დაჯილდოვდა სსრკ ჩემპიონობის ოქროს მედლით. ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი ამ გუნდში იყო მიხეილ ხერგიანი. მას შემდეგ კომუნიზმის პიკის დაპყრობა ჩემს ოცნებად, ხოლო მიხეილ ხერგიანი ჩემს კუმირად იქცა. გადიოდა წლები და მიშას ოსტატობა გიგანტური ნაბიჯებით მიიწევდა წინ. ამ წინსვლას არც მისი დიდება და თაყვანისცემა ჩამორჩებოდა. მიშამ მეგობრებთან ერთად განახორციელა სარეკორდო ასვლები შჩუროვსკის პიკზე, ჯაილიკზე, შხელდაზე, უშბაზე, დონღუზ-ორუნზე და კავკასიის სხვა მწვერვალებზე, ამასთან, განახორციელა ტრავერსი ბეზენგის კედელზე, მონაწილეობდა პამირისა და ტიან-შანის ექსპედიციებში.

1960 წელს ინგლისის ალპიური კლუბის მიწვევით, საბჭოთა ალპინისტების დელეგაცია ინგლისში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი. გამართული შეჯიბრებების დროს მიშას ცოცვის ტექნიკით აღფრთოვანებულმა ინგლისელებმა მას „კლდის ვეფხვი" შეარქვეს და ეს ახალი „ნათლობის" სახელი სამუდამოდ შერჩა მას.



ვიაჩესლავ ონიშჩენკო

იმავე წელს ათწლიანი შესვენების შემდეგ იალტის რაიონის კლდეებზე გაიმართა საკავშირო პროფკავშირების პირველობა მეკლდეუროობაში, სადაც აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მთიანი სვანეთის შვილი მიხეილ ხერგიანი. ამ შეჯიბრებაში ვმონაწილეობდი მეც და მოწმე გავხდი მიშას უბადლო ოსტატობისა. ერთი წლის შემდეგ იმავე შეჯიბრზე მან კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ქვეყნის უძლიერესი მეკლდეურია. წყვილთა შეჯიბრში მე მეორე ადგილი ავიღე. მიშამ მილოცვის ნიშნად გამიღიმა და ხელი მაგრად ჩამომართვა. მე ბედნიერი ვიყავი. აქედან მოყოლებული, ჩვენ ყოველწლიურად ვხვდებოდით ერთმანეთს სხვადასხვა შეჯიბრებებზე, როგორც მოპაექრე-მეგობრები. შემდგომში, მე და მიშა არაერთ მწვერვალზე ვყოფილვართ ერთად და მე ვიყავი მოწმე, ერთადერთი მაყურებელი და ამავდროულად მონაწილე მიშას დაუვიწყარი, ბრწყინვალე სპორტული გამარჯვებებისა. მე და მიშა ვიყავით წარგზავნილები საბჭოთა კავშირიდან საფრანგეთის პატარა ქალაქ შამონში 1967 წლის ივლისში გამართულ მსოფლიოს საუკეთესო ალპინისტთა შეკრებაზე, სა-



მიხელ ჰერგიანი და სლავა ონიშჩენკო უცხოელ მთამსვლელებთან ერთად.საფრანგეთი, ქალაქი შამონი. 1967 წ.

დაც ჩვენმა ნყვილმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ალპებში, ურთულეს მწვერვალთა სარეკორდო დროში დალაშქვრისათვის (გრან კაპუცინი, პტი-დრიუ, გრან-ჟორასის ჩრდილოეთის კედლით ჩვენს მიერ გავლილი ახალი მარშუტი). ვისაც საკუთარი თვალით უხილავს მიშა კლდეზე ცოცვისას და პქონია ბედნიერება მასთან ერთად კლდეებზე ასვლისა, იგი უმალ ჩასნვდება ჩემი აღტაცებისა და აღფრთოვანების მიზეზს.

მე არ შევუდგები ამ ასვლების დანვრილებით აღნერას, რადგან იგი სრული სიზუსტით აღნერეს ჩვენმა საერთო მეგობრებმა ალპინისტმამნერლებმა ალ.კუზნეცოვმა და იური ბერლაკოვმა. მე მინდა მოგითხროთ ჩემი და მიშას უკანასკნელ ერთობლივ ასვლაზე იტალიის დოლომიტებში.

1969 ნლის ივლისში იტალიის დოლომიტებში პირველად ჩავიდა ალპინისტების დელეგაცია. ჩვენ ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ იტალიელი ალპინისტები. გვიჩვენეს ჩვენთვის საინტერესო მნვერვალები, ჩაგვიტარეს დანვრილებითი კონსულტაციები. მე და მიშამ პირველი ასვლისათვის შევარჩიეთ VI კატეგორიის სირთულის 500 მეტრიანი ტურ-ვენეციის კედელი. ალპინისტები მის გავლას ჩვეულებრივ 7-9 საათს უნდებიან, ჩვენ კი იგი სამ საათსა და 15 ნუთში გავიარეთ. ასე სნრაფად აქ არავის გაუვლია. ეს იყო საუკეთესო „საეიზიტო ბარათი". ამ ასვლის შემდეგ იტალიური გაზეთები ნერდნენ, რომ საბჭოთა კავშირიდან იტალიას საუკეთესო ალპინისტები ესტუმრნენ. ჩვენს მეორე ასვლას ბანკონგზე თვალს ადევნებდნენ იტალიელი ალპინისტები, ცნობილი გამყოლისა და მრავალი მარშრუტის პირველაღმომჩენის არმანდო და როიტის მეთაურობით, რომელიც თვალთაგან ბინოკლს არ იცილებდა და შიგა და შიგ იმეორებდა „ბრნყინვალე ალპინისტები". მიუხედავად ბანკონგის კლდეების სულისშემძვრელად ხიფათიანი ნინააღმდეგობებისა, ექვსნახევარი საათის შემდეგ მნვერვალზე ვიყავით. მეორე დღეს რომიდან ჩამოვიდნენ ცენტრალური ტელევიზიის ოპერატორები და კორესპონდენტები. მათ გვთხოვეს გვეჩვენებინა ჩვენი ხელოვნება ვენეციის პიკის კლდოვან მონაკვეთზე. მე და მიშამ სნრაფად გადავიცვით სავარჯიშო კოსტი-



მწვერვალი პტი-დრიუ, საფრანგეთი

უმები და შეუუდეკით ალჭურვილობის მომზადება ასვლისათვის. უკან ოპერატორები მოგვყვებოდნენ მძიმე კინო კამერით. ერთი კი გავიფიქრე — შეიძლება მათ დახმარება სჭირდებათ? გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, მიშა თავისი ჩვეული მსუბუქი, ყველასგან გამორჩეული ნაბიჯებით, ქვიდან ქვაზე ხტუნვით ჩაირბინა ქვემოთ და ოპერატორს მიეშველა აპარატურის ამოტანაში. ეს პატარა ეპიზოდიც კი კარგად ახასიათებს მიშას სულიერ თვისებებს. იყო რა ძლიერი და მამაცი პიროვნება, იგი ყოველ წუთს მზად იყო დახმარებოდა ადამიანებს. მან ეს მრავალჯერ დაამტკიცა მთებშიც და ცხოვრებაშიც. მთაში ამინდი გაფუჭდა. ჩვენ ვცხოვრობდით მთის პატარა სასტუმროში. ასეთ დროს არაფრის კეთების სურვილი არა გაქვს, მაგრამ მიშასათვის უსაქმოდ ჯდომა სასჯელია. მან ხელად გამოუძებნა მთელ ჯგუფს საქმე — ჩვენი მასპინძლისათვის საზამთრო შეშის დამზადება. ოლეგ კოსმაჩოვი და სლავა რომანოვი ტყიდან მორებს მოათრევდნენ, მე და მიშა კი ვხერხავდით და ვაპობდით შეშას. შემდეგ კი ყველა ერთად ვისხედით მასპინძლის ბუხართან და ისმოდა ქართული, რუსული და სვანური სიმღერა. მიშას უყვარდა სიმღერა და კარგადაც მღეროდა. იგი კლდეზე ცოცვის დროსაც მღეროდა, განსაკუთრებით, როდესაც რთულ მონაკვეთებზე გადიოდა, მღეროდა სვანურ სიმღერას. ახლა ვფიქრობ, რომ თავისი სიმღერით იგი თავის თავს ფსიქოლოგიურად განაწყობდა და თავის მეწყვილესაც შთაუნერგავდა სირთულის გადალახვის რწმენას. 4 ივლისს გავედით სუ-ალტოზე. ეს არის 700 მეტრიანი მე-6 კატეგორიის სირთულის კედელი. ამ მარშრუტის პირველალმომჩენები ფრანგები ლივანოსი და გაბრიელი არიან. უკანასკნელმა გეარმა მიშას თავისი ალპინისტი ბიძა გაბრიელი გაახსენა, რომლის პატივსაცემადაც გადაწყვიტა განეხორციელებინა ასვლა.

1952 წლიდან ეს მარშრუტი მხოლოდ სამ ჯგუფს ჰქონდა გავლილი. მიშამ ზურგჩანთიდან გზამკვლევი ამოიღო. თავდაპირველად რთული კლდეებია, მათი დახრილობა თანდათან იზრდება, შემდეგ უნდა გადაელახოთ თოვლიან-ყინულიანი მონაკვეთი. მიშა გულისყურით დგას დაცვაზე, მე კი ფრთხილად ვჭრი ყინულზე საფეხურებს, შემდეგ იწყება სველი კედელი, რომელიც სიცივისაგან გაყინულია, რაც კიდევ უფრო ართულებს ცოცვას. შემდეგ კედლები მშრალია, თუმცა მათი დაქანება მკვეთრად იზრდება.

მიშა იწყებს ასვლას. ვიცნობდი რა მიშას კარგად, მისი ცოცვის ტექნიკას, თითქოსდა რას უნდა გავეოცებინე? მაგრამ მე ყოველ ჯერზე მასთან წყვილში ყოფნისას მაოგნებდა ცოცვის მისეული მანერა, პლასტიური და რბილი. ეს იყო ჭეშმარიტი ხელოვნება. ვუყურებდი და ვფიქრობდი — ნეტავ ამ გლუვ პიტალოზე როგორ, ან სად ახერხებს მოჭიდებას? ეს იყო ენით გამოუთქმელი სანახაობა. გავიარეთ ნახევარი მარშრუტი. შევისვენეთ და თითო ფილა შოკოლადითა და ორიოდე ყლუპი წყლით ძალები მოეიკრიბეთ. აქედან შესანიშნავად ჩანს სიმწვანესა და ალპიურ ყვავილებში ჩაფლული ხეობა. სადღაც ქვემოთ ნაკადულის ჩუხჩუხი, ძროხის კისერზე შებმული ზანზალაკებისა და მწყემსის შეძახილის ხმები ისმის.

„იცი? — მეუბნება მიშა, როდესაც თვალებს ვხუჭავ, ყველაფერი ეს ჩემს საყვარელ კუთხეს მაგონებს“.

შესვენების შემდეგ გავაგრძელეთ აღმასვლა. მწვერვალამდე ორასიოდე მეტრიღა დარჩა. მიშა ტრავერსით გავიდა მარცხნივ და ჩემი მხედველობის არეალს მიეფარა. ახლა კი მის სვლას თოკით ვაკვირდებოდი: ერთი მეტრი, ორი, სამი... მოულოდნელად ქვათაცვენის ხმაური შემომესმა და დაზაფრულმა დავინახე მიშას სხეული, რომელიც უფსკრულისაკენ მიექანებოდა. ერთ-ერთ ქვას თოკი გადაეჭრა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა. დავრჩი მარტო, მიშას გარეშე... ჩემს თავში ფიქრები აიშალა და ეს საშინელი კითხვა მიტრიალებდა: რატომ? რა მოხდა? წუთის უკან მომღიმარე მიშა ჩემს გვერდით იდგა, ახლა კი? დაჯერებაც არ მინდოდა, მაგრამ შორს, ქვემოთ დავინახე როგორ მირბოდნენ ადამიანები წითელი წერტილისაკენ.

ჩვენმა მეთვალყურეებმა მიხეილ ანუფრიკოემა და სლავა რომანოემა იტალიელ ჯარისკაცებთან ერთად, რომლებიც სამხედრო წვრთნას ამ ტერიტორიაზე გადიოდნენ — მიშა ქვემოთ ჩაასვენეს. შემდეგ მიყვებოდნენ, თუ როგორ დაუშვეს სამხედრო ბანაკში ნაციონალური დროშები დაბლა — ამით მათ გამოხატეს მწუხარება და პატივისცემა მამაცი ალპინისტის ნეშტის წინაშე.

ჩემთვის მძიმე წუთები გაიწელა. ცალი ფეხით ვიდექი კლდის მომცრო შვერილზე, მეორე ფეხი კი უფსკრულის თავზე ჰაერში ეკიდა. მე არც ჩამოჯდომა და არც მოძრაობა არ შემეძლო. წონასწორობის გასამტკიცებლად ზედა პა-



მწვერვალი გრან-კაპუცინი, საფრანგეთი

ლოზე მივამაგრე ჩემი თოკი. ერთ საათში მოფრინდა ვერტმფრენი, ჩემს თავს ზემოთ რამდენიმე წრე დაარტყა და უკანვე გაფრინდა, მფრინავმა ხელი დამიქნია, რითაც დამიტოვა ხვალინდელი დღის იმედი. მე მივხვდი, რომ ვერტმფრენი ვერ დამეხმარებოდა, რადგან უარყოფითი კედლის ქვეშ ვიყავი. მაშველი ჩემამდე უნდა დაშვებულიყო მწვერვალიდან ფოლადის ტროსით, ხოლო მწვერვალამდე უნდა ასულიყო მეორე, გაცილებით იოლი გზით. ჩემმა მეგობრებმა ვალოდია კავუნენკომ და სლავა რომანოვმა კედლის ძირში გაშალეს კარავი და მთელი ღამე დრო და დრო ფანარს ანათებდნენ, ამით ისინი მამხნევებდნენ. როგორც მე, ისინიც მთელი ღამე ფხიზლობდნენ. მალე სველი თოვლი წამოვიდა. კიდევ კარგი მალევე შეწყდა. ქვემოთ შარაზე მანქანები მოძრაობდნენ, სახლებში შუქი აინთო, ადამიანებს შეეძლოთ ბუხართან ცხელი ყავის მირთმევა — აფასებენ კი ყველაფერ ამას ადამიანები? -- ალბათ მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციებში. მეორე დღეს მაშველი რაზმი, რომელსაც არმანდო და როიტი ხელმძღვანელობდა, იოლი გზით მწვერვალზე ავიდა, საიდანაც მავთულის ბაგირითა და ორი დამცავი თოკით ჩამოუშვეს ჩემთან მაშველი. მე მის საათს დავხედე -- 26 საათი გამიტარებია კედელზე გაუნძრევლად.

მწვერვალზე ოლეგ კოსმაჩოვი დამხვდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ და დიდხანს გარინდული ვიდექით დაღლილი იტალიელი მაშველების გარემოცვაში.

სვანეთი ეთხოვებოდა თავის საამაყო შვილს. არც ერთი მამაკაცი არ მალავდა ცრემლს. ისმოდა სულშიჩამწვდომი სვანური ზარი.

გეთაყვანები სვანეთო, რადგან შენს წიაღში იშვა ჭეშმარიტი რაინდი, თავის სამშობლოს საამაყო შვილი. მან ცოტა ხანს, მაგრამ სრული დატვირთვით იცხოვრა. არიან ადამიანები, რომლებთან შეხვედრისთვისაც ბედს მადლობას სწირავ. ეს ადამიანები სავსენი არიან ცხოვრებისეული სიბრძნით, გასაოცარი კეთილშობილებით. ასეთი იყო მიშა. იგი დღეს ჩვენს გვერდით არ არის, მაგრამ ყოველთვის ჩემს გულშია. რომელ მწვერვალზეც არ უნდა ავიდე, დღემდე ვგრძნობ მის უდიდეს ადამიანურ სითბოსა და სულიერ სიდიადეს.



მწვერვალი გრან-ჟირასი, საფრანგეთი



პტი-დრიუ, საფრანგეთი



ტურ-ვენეცია, იტალია



ტურ-ვენეცია, იტალია



ბან-კონი, იტალია

**იური ბურლაკოვი**

სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი ალპინიზმში,
მ. ხერგიანის სახლ-მუზეუმის დამაარსებელი და
დირექტორი, მიშას მეგობარი

# სადაც არ უნდა ვიყო, გული მაინც საქართველოსკენ მომიწევს

შრომის წიგნაკში ჩანაწერების მიხედვით, მესტიაში 1980 წლის ოქტომბრიდან 1991 წლის თებერვლამდე ვიმუშავე, თუმცა სვანეთში მანამდეც და მის შემდეგაც მრავალჯერ ვყოფილვარ.

ამ კუთხის გაცნობა პირველად 1956 წლის აგვისტოს დასაწყისში მოხდა, როცა ჩვენმა ალპინისტურმა ჯგუფმა, უშბაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ერთკვირიანი ტრავერსი განახორციელა და სოფელ ბეჩოში დაეშვა.

მოგვაჯადოვა სვანეთის ბუნებამ და ხალხმა. სტუმრად გვიწვევდნენ და გვაჩვენებდნენ „ძველ" და „ახალ სახლს", გვმასპინძლობდნენ მაწვნითა და კვერით. ისეთი გემრიელი იყო, რომ რვა კაცმა მთელი ვედრო მაწონი შევჭამეთ უფასოდ. ქალებმა კატეგორიული უარი განაცხადეს გამასპინძლებისათვის ფული აეღოთ. პირველი შთაბეჭდილება საქართველოს ამ კუთხეზე გასაოცარი სტუმართმოყვარეობა იყო.

მიშასთან პირველი შეხვედრა, 1956 წელს, ჩრდილო კავკასიაში მოხდა და კინაღამ ერთი შეცდომა დავუშვი. ჩემი თოკის მეწყვილესთან – რუფ ივანოვთან ერთად, ადილსუს ხეობით ბაქსანის ველისკენ ვეშვებოდით. გზად მხარზე ცელგადებული ორი მთიელი შემოგვხვდა. ერთერთს, უფრო ახალგაზრდას, ხელში უნიკალური ალპინისტური იარაღი „აისბაილი" ეჭირა (საუცხოოა ყინულზე მოძრაობისას), რომლის შეძენა დიდი ხანია მსურდა. ივანოვს გავუზიარე ჩემი მოსაზრება — იქნებ იმ ახალგაზრდამ აისბაილი წერაყინში გაგვიცვალოს-მეთქი.

ხალხი არ გააცინო, ესენი რიგითი მთიელები კი არა, სასიმაღლო ასვლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იოსებ კახიანი და მიხეილ ხერგიანი არიანო მითხრა ივანოვმა. მათი სახელები გაგონილი კი მქონდა, მაგრამ პირადად არცერთს არ ვიცნობდი. აქ, გზაში მოხდა ჩვენი გაცნობა, ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და დავცილდით.

იოსები მაშინ თეგენეკლიში ცხოვრობდა და მიშა მასთან ჩავიდა, რათა თიბვაში მიხმარე-



მიხეილ ხერგიანს გამარჯვებას ულოცავენ იგორ პალეევი, თანაგუნდელები და მეგობრები. იალტა. 1965 წელი

ბოდა. სვანებმა კი თიბვა მართლაც კარგად იციან.

მიშას, როგორც ნაცნობს ზაფხულში, ალპინისტურ სეზონებზე ვხვდებოდი ხოლმე, თუმცა სხვადასხვა გუნდებში ვიყავით. დავმეგობრდით 1964 წელს, როცა მასზე პირველი ფილმი გადავიღე.

სვანეთში გატარებული წლები, ყველაზე საინტერესო და ნაყოფიერი იყო ჩემს ცხოვრებაში.

მიშას დაღუპვის მწუხარე დღეებში, საქართველოში ჩამოვფრინდი და ორი თვე დავრჩი. შემდეგაც არაერთხელ ჩამოვედი სვანეთში, ერთხელ კი აქ, მთელი ზაფხული გავატარე, რასაც ერთი მთავარი მიზანი ჰქონდა – გავრკვეულიყავი მიშას ბედის საწყისებში. იმდენად სვანურად ვიცხოვრე, რომ მათ თავისიანად მიმიღეს, რაც ძლიერ დამეხმარა წიგნზე მუშაობის დროს.

ჩვენმა გაუსაძლისმა და დუხჭირმა დრომ, ყველანი საკუთარ კერას მიაჯაჭვა, მაგრამ ვცდილობ, 3-4 წელიწადში, ერთხელ მაინც ჩამოვიდე საქართველოში. მენატრება საქართველო, რომელთანაც არა მარტო სემუზეუმო, ლიტერატურული და კინო საქმიანობით ვარ დაკავშირებული, არამედ მეგობრობით, ნდობითა და სიყვარულით. ჩემი სულის მელოდია, ნახევრად ქართულია, ამიტომ მანქანაში მუდმივად მაქვს ქართული სიმღერების ფირები.

ხერგიანები თავიანთი საგვარეულოს — „სამხუბის" წევრად მთელიან და ისევე, ვამაყობ მესტიის საპატიო მოქალაქეობით.

მოვინათლე ქართველი ეპისკოპოსის კალისტრატეს მიერ, საქართველოსა და შესაძლოა, ევროპის ყველაზე მაღლა მდებარე ეკლესიაში –– ლამარიაში, რომელიც უშგულს მაღლიდან დაჰყურებს. მთამსვლელი სხვაგან სად უნდა მოინათლოს?

საქართველოსთან ჩემი დაახლოების კიდევ ერთი ნიშანი ისაა, რომ დაბადებული ვარ გიორგიევსკში, სადაც ხელი მოეწერა ცნობილ ტრაქტატს. ამ დოკუმენტის მიმართ, შესაძლოა, სხვადასხვა დამოკიდებულება იყოს, მაგრამ იგი საქართველოსა და მასთან ერთად, ჩვენი ბედის განმსაზღვრელად მიმაჩნია, ამიტომ სადაც არ უნდა ვიმყოფებოდე, ჩემი გული საქართველოშია.

მთამსვლელს არა მარტო ოჯახი, საზოგადოება და ტრადიციები ზრდის, არამედ მთებიც. ისინი მეორე მშობლებივით არიან და ჩვენი არსებიდან ყოველივე უკეთურს გამოდევნიან. ისინი აყალიბებენ მთამსვლელებს ნესიერ, გაბედულ და თავგანწირულ ადამიანებად, რომლე-




მარჯვენა სამეული: მარცხნიდან შალვა მარგიანი, მიშა ხერგიანი და მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატზე

ბიც მზად არიან საკუთარი სიცოცხლე გაიღონ სხვათა გადასარჩენად.

მიშა, ჩვენს შორის საუკეთესო გახდა. მთამსვლელები მასზე აკეთებდნენ სწორებას.

2003 წლის აპრილში, იალტაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (ე.წ. „ჩეხოვისეული კითხვები"), რომელშიც ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ ამერიკელი, გერმანელი და კანადელი მეცნიერები, გავხდი ა.ჩეხოვის პრემიის ლაურეატი და გადმომცეს ჩეხოვის ბიუსტი წიგნისათვის „Восходитель", რამაც, ბუნებრივია, გამახარა და ეს ისე აღვიქვი, რომ პრემია მიშამ მომანიჭა.

მიშას დიდება წლების მანძილზე არ ფერმკრთალდება. პირიქით, მის საპატივცემულოდ ეწყობა შეჯიბრებები, იხსნება ახალი მემორიალური დაფები, იქმნება ფილმები, გამოდის წიგნები.

იალტაში, მისი სახელი, ზღვის ტალღებთან და ექსკურსიამძღოლების ხმებთან ერთად, აწყდება ხალხმრავალ პლიაჟებს, სადაც ხომალდებით მოსეირნე დამსვენებლებს მოუთხრობენ ყირიმის სამხრეთ სანაპიროს ღირსშესანიშნაობების შესახებ და ყვებიან „კრესტოვაია"-ს მთაზე, ხერგიანის კლდეზე, სადაც მიშა ყოველთვის იმარჯვებდა.

მიშას უამრავი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ ყველაზე საიმედო მეგობარი თბილისელი რამაზ ჯიშკარიანი იყო. მიშასადმი მისი ერთგულება მართლაც ლეგენდარულია. მას შეეძლო რამდენიმე საათში გადაფრენილიყო თბილისიდან მოსკოვში და უკან, რათა მიშაზე ტელეგადაცემის მოსამზადებლად, ტელევიზიაში ჩამოეტანა ფირები და ფირფიტები ქართული მელოდიების ჩანაწერებით. საერთოდ, რაც მიშას ეხებოდა, იგი ყველაფერს სწრაფად და სიხარულით აკეთებდა. მიშას სახლ-მუზეუმის შექმნის დროს, რამაზი ჩემი მარჯვენა ხელი იყო და ყველა საკითხის გადაწყვეტას მიადვილებდა. თბილისში როცა ჩამოვდიოდი, რამაზის დაჟინებული მოთხოვნით, ყოველთვის მასთან ვჩერდებოდი.

რამდენიმე სიტყვას დავამატებ მიშას მეუღლეზე — კატოზე.

დღევანდელი ვითარება ყველასთვის ძნელია, მაგრამ მისთვის ორმაგად მძიმეა. მან, როგორც ალექსანდრა ჯაფარიძემ, ორი უახლოესი ადამიანი — მიშა და სერგო (სერგო ბარლიანი, მთამსვლელი, კატოს ძმა) დაკარგა. ისინი, სიმონის და ალიოშას მსგავსად, მწვერვალზე ასვლისას დაიღუპნენ. ყველას ახსოვს, როგორი პატივისცემითა და ყურადღებით იყო გარემოცული ალექსანდრა. არავის ვსაყვედურობ, მაგრამ გთხოვთ, გახსოვდეთ კატო. მინდა ვირწმუნო, რომ მის ნებისმიერ თხოვნას ყურად იღებს საზოგადოება და ქვეყნის ხელმძღვანელობა.

მიხეილ ხერგიანის სახელი ყოველთვის ბრწყინვალედ „მუშაობდა". აფხაზეთის მოვლენების დაძაბულ პერიოდში, მრავალჯერ დამეხმარა გადავსულიყავი და გადმოვსულიყავი დონღუზ-ორუნის უღელტეხილზე, მუზეუმის ექსპონატებისა და დოკუმენტების ჩამოსატანად ან როცა ნალჩიკში მიმქონდა მთიელთა ცნობილი „მიმართვა", რათა იგი გაზეთ „ყაბარდო-ბალყარეთის პრავდა"-ში გამოქვეყნებულიყო. ვფიქრობ, სახალხო დიპლომატიის ამ დოკუმენტმა თავიდან აიცილა სისხლისღვრა ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილებზე.

დარწმუნებული ვარ, მიშა ხერგიანის, როგორც ინტერნაციონალისტის სახელი დღესაც აქტიურად მუშაობს, ხალხთა შორის მეგობრობის ხიდებს ამაგრებს და მოგვიწოდებს დიალოგისა და ურთიერთგაგებისკენ, გვეხმარება გავიდეთ იმ გზაზე, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს.



იალტის ცნობილი კლდე — „კრესტოვაია", სადაც მიშა მრავალჯერ გახდა სრკ ჩემპიონი.

ალექსანდრე კუზნეცოვი
სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში, მიშას მეგობარი

# მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანი

მიხეილ ხერგიანი, საქართველოს ეროვნული გმირი და საბჭოთა სპორტის სიამაყე, საბჭოთა ალპინიზმის მთელი ეპოქა, უნიკალური ადამიანი.

როგორ დავწერო მასზე?! აი, გადავშალე ჩემი წიგნი „ვენიზუ სვანეტია" (ახალგაზრდა გვარდია, 1971), მიშასადმი მიძღვნილი, გადავიკითხე იგი და მივხვდი, რომ უკეთესი იქნებოდა მე მასზე უკვე აღარ დავწერო. მისი განმეორება არ მინდა. ეს წიგნი მაშინ გამოიცა 100000-იანი ტირაჟით, შემდგომში განმეორებით დაიბეჭდა ჩემს კრებულში „კუპინა" („თანამედროვე", 1986)-50000 ეგზემპლიარი, ასე რომ, იგი წაიკითხა მილიონზე მეტმა მკითხველმა. იმ წლებში ითვლებოდა, რომ საშუალოდ ერთ წიგნს ათამდე მკითხველი კითხულობს. წიგნი მიშაზე მოხვდა მწვერვალ „პობედაზე" (7439 მ), ალპინისტებმა მომიტანეს 1 ეგზემპლიარი, რომელიც მოხსნილი იქნა ამ მწვერვალიდან. წიგნის ყდაზე მთამსვლელ სეიტოვის მიერ, რომელსაც მე არ ვიცნობ, იყო აღწერილი ლენინგრადელ მთამსვლელთა ჯგუფის ასვლის შესახებ: „ასვლა განხორციელდა დიკის მყინვარიდან ვაჟა ფშაველას პიკის გავლით, მიხეილ ხერგიანის მიერ 1961 წელს გავლილი მარშრუტით. ექსპედიციის შემადგენლობაში ლენინგრადის „ლოკომოტივის" ჯგუფია ჩამოთვლილი.

სალამი „გამარჯვების პიკზე" შემდგომ ამსვლელებს.

16 აგვისტო 1971 წ.

მ.სეიტოვი

P.S. გთხოვთ ეს წიგნი გადასცეთ ავტორს — ალექსანდრე კუზნეცოვს.

ასეთი რამ შეიძლება გაიგოს მხოლოდ ალპინისტმა, რომელმაც იცის რა არის გამარჯვების პიკი. ეს ჩემთვის ნებისმიერ ლაურეატობაზე ძვირფასია. ასე რომ, არა მგონია მე დამაკმაყოფილოს იმან, თუ რას გავიხსენებ მიშაზე. მიუხედავად ამისა, მაინც ვცდი.

მიშა მამამისმა ბესარიონმა გადმოიყვანა მესტიის უღელტეხილზე — ელბრუსში და მიაბარა ალპინიზმის საინსტრუქტორო სკოლაში. იგი რუსულად ძლივს ლაპარაკობდა. ალპინიზმში რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ მიშა ისე გაიზარდა, რომ გახდა არა მარტო სპორტის ოსტატი, არამედ საბჭოთა კავშირის თორმეტგზის ჩემპიონი ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში, რუსულ ენაზე ლაპარაკობდა ყოველგვარი აქცენტის გარეშე. იგი და-



მიშა ხერგიანი „კრესტოვაიას" თავზე.



მიშა ხერგიანი ვარჯიშის დროს.



სვანეთი

ჯილდოებული იყო ფენომენალური შესაძლებლობებით, და არა მარტო ფიზიკური. კლდეებზე დადიოდა ისე, როგორც ფანჯრის მინაზე ბუზი. ჩვენს ქვეყანაში მასზე უკეთესი მეკლდეური არ იყო, ბრწყინვალედ მუშაობდა ყინულზე და თოვლზე, ურთულეს კლდეებს გადიოდა. იგი კითხულობდა და პირდაპირ ისრუტავდა სხვადასხვა ინფორმაციას, ადამიანებთან ურთიერთობით, მისი ცოდნა იზრდებოდა. დაუსწრებლად დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. თუ მის შესაძლებლობებზე ვილაპარაკებთ, მაშინ საინტერესოა მისი შედარება მეორე სვანთან სპორტის დამსახურებულ ოსტატთან იოსებ კახიანთან. ისინი ზოგჯერ ერთად დადიოდნენ, გააკეთეს მაგალითად



უშგული. (ჩაჟაში ) ლია ცის ქვეშ მუზეუმი.

„დონლუზ-ორუნის" განთქმული მარშრუტი „შეიდიანზე". იოსებმა რუსული ლაპარაკი მაინც არ ისწავლა. ის საერთოდ არაფერს არ სწავლობდა, მაგრამ იყო საუკეთესო სპორტსმენი და ადამიანი. სპორტსმენის ბედი, რომელიც გასულია არენაზე, ხოლო არ შეუძლია სარეკორდო შედეგების მოცემა, ყოველთვის დასანანია. იოსებ კახიანი ჩაირიცხა ინჟინრის სტატუსით და მისცეს პატარა სახლი ტერსკოლში. ის დადიოდა და გამოდიოდა ტურისტულ ბაზებში, ყვებოდა თუ როგორ გახადა ტანზე ელვამ, მწვერვალზე ღამისთევის დროს.

მე ხშირად ვფიქრობდი იმაზე, თუ რა ელოდა მიშას 80 წლის ასაკში, ასე ახალგაზრდა რომ არ დაღუპულიყო. იგი აუცილებლად გახდებოდა ბრწყინვალე მწერთნელი, მაგრამ განუწყვეტელი უსაზღვრო დიდება, მუდმივი გაღმერთება და მოფერება თანამემამულეების ჩაბარდებოდა წარსულს. ეს კი ტოვებს სულის სიღრმეში ნაღველს და დაუკმაყოფილებლობას.

წარსული გმირები ჩვენ ყოველთვის უფრო გვახსოვს, ვიდრე ცოცხლები. და რამდენად სასიხარულო იყო ჩემთვის იმის გაგება, რომ მიშა არ დაივიწყეს და მისი 70 წლის იუბილეს სახალხოდ აღნიშნავენ.

ჩვენ ვმეგობრობდით. მიშა მე ძმას მეძახდა, მამა ბესარიონი შვილს. მე შვიდჯერ ვიყავი ზემო სვანეთში. გადმოვდიოდი ელბრუსიდან უღელტეხილებით ზამთარშიც და ზაფხულშიც, მოვდიოდი ენგურის ბილიკებით, მოვფრინავდი თვითმფრინავით. ვიყავი შვილებთან ერთად, აგრეთვე ან გარდაცვლილ ნურის ურუმბაევთან ერთად და იურა არუთინოვთან ერთად. გიპერ ნეიტერის მეუღლესთან და იოსებ კახიანთან სხვა მეგობრებთან — ამერიკელებთან ერთად. ვცხოვრობდი მამა ბესარიონის ძველ სვანურ კოშკიან სახლში, პატარა ოთახში, რომელსაც მიშა უწოდებდა ჩემს. მე შემიყვარდა ზემო სვანეთი და მისი ხალხი, მე აღტაცებული ვიყავი სვანების ეროვნული წესჩვეულებებით, მათი განსაცვიფრებელი ისტორიით, მათი მრავალხმიანი სიმღერებით და სტუმართმოყვარეობით. თუმცა, როდესაც სვანეთში უღელტეხილებიდან დაიძრა ტურისტული ნაკადები, სვანეთის სტუმარმასპინძლობა თანდათანობით მინელდა, ხოლო როცა მოვიდა ეგრეთწოდებული „დემოკრატია", დაიწყო დაბრუნება არასაუკეთესო ძველმა ტრადიციებმა.

1992 წელს ელბრუსში ტარდებოდა „ელბრუსიადა შერიგება". ჩამოვიდნენ აქ ნაბრძოლი გერმანელი და ჩვენი ჯარისკაცები. ჩვენი (ჩემი და მიშას) საერთო მეგობარი — სპორტის ოსტატი ალპინიზ-



მარცხნიდან: ლაერტ ჩართოლანი, ..., შოთა ჩართოლანი, მარლენ რატიანი, მიხელ ხერგიანი (უმცროსი) და მიშა ხერგიანი. ტიანშანის ექსპედიცია. 1966 წ.

მში ჟენია გიპენრეიტერი ინგლისელებთან ერთად უნდა გადმოსულიყო სვანეთიდან ელბრუსში. ჟენია ჩემზე მეტად იყო სვანეთში ნამყოფი და მინიჭებული ჰქონდა სვანეთის საპატიო მოქალაქის წოდება. მას უყვარდა ყოველგვარი ტიტულები და წოდებები და ამით ძალიან ამაყობდა.

როცა მე აღარ ემუშაობდი მწვერთნელად ალპინიზმსა და სამთო თხილამურებში, ეცხოვრობდი მოსკოვში სხვა ინტერესებით, ცხოვრება კი მიედინებოდა სწრაფად და სწრაფად, ისე რომ, უკან მოხედვის დროც კი აღარ მქონდა, ღამეებშიც კი ვერ გავაჩერე მისი გიჟური სვლა, უცებ როგორღაც აედექი ლოგინიდან, მოეიხურე ხალათი, დავჯექი მანქანასთან და მივწერე მიშას წერილი.

ძვირფასო მიშა!

შენ ახლა ყველაფერი გაქვს. შენ მიაღწიე ყველაფერს, რისი მიღწევაც შეიძლება სპორტში, — სპორტის ოსტატი ხარ, სპორტის საპატიო ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, შენ ხარ დამსახურებული მწვრთნელი და „კლდის ვეფხვი", შენ გახდი სსრკ-ს ნომერი პირველი ალპინისტი და ამავე დროს ხარ ეროვნული გმირი. შემდგომში რა?

არ არის დრო, რომ ჩვენ შევჯდეთ ცხენებზე, მოვიაროთ მთელი ზემო სვანეთი და დავწეროთ მასზე წიგნი? ჩვენ ყველა ხეობაში შევალთ, გავესაუბრებით მოხუცებს, შევკრიბავთ ლეგენდებს და სიმღერებს და ამის შესახებ მოვუყვებით ყველას. თუ შენ თანახმა ხარ, მე ყველაფერს მივატოვებ და გადმოვფრინდები მესტიაში. ველოდები შენს პასუხს. გეხვევი შენი საშა.

პასუხი მალე მივიღე. ის მწერდა:

გამარჯობა ძვირფასო ძმაო საშა

„შენ ჩაიფიქრე კარგი საქმე. მართალია სპორტში ყველაფერი გაკეთებულია, მე მინდა მხოლოდ, მწვერვალ „პობედიდან" ჩამოვხსნა და სვანეთში დავასაფლაო ილიკო, მეტი მე არაფერი მინდა.

წელს იგეგმება საფრანგეთ-სსრ კავშირის ერთობლივი ასვლა კომუნიზმის პიკზე და სვანების ასვლა უშბაზე, მაგრამ როგორც კი შენ იტყვი, რომ ჩვენ დროა შევჯდეთ ცხენებზე, მეც ყველაფერს მივატოვებ და გადმოვფრინდები მესტიაში".

და ჩვენ შევჯექით ცხენებზე, მოვიარეთ მთელი ზემო სვანეთი, მე ენახე ის, რაც ვერავინ სხვამ ვერ ნახა. ჩვენ ვიყავით სვანეთის თითქმის ყველა პატარა ეკლესიაში, სადაც შესვლა აკრძალულია არა მხოლოდ უცხო პირთათვის. იქ ინახება 11-13 საუკუნის ძვირფასი რელიქვია — ვერცხლზე შესრულებული ხატები, პერგამენტული წიგნები, ძველისძველი იარაღები და სხვა მრავალი პარიტეტები. ასეთ ეკლესიაში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ სამ მოხუცთან ერთად. ერთ-ერთ მათგანთან ინახება გასაღები, მას არ შეუძლია გააღოს ეკლესია ორი დანარჩენის გარეშე, მაგრამ მიშას წინაშე იღებოდა ყველა კარები. რა თქმა უნდა, უცებ არა: ჩვენ ვისხედით მოხუცებთან და ვსაუბრობდით საათობით. სვანებს სრულად არ ესმოდათ თავიანთი რელიქვიის ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა, მაგრამ მათი შენახვის და გაფრთხილების ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მათი ნახვა არ გახლდათ ადვილი.

აქ ქრისტიანობა ცოცხლობს ენასთან ერთად, ეს „პარიტეტები" ტრადიციულად დაცულია როგორც მრავალი საუკუნის უწმინდესი რელიქვიები.

— 11-13 საუკუნეებში საქართველომ მიაღწია თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ ალმავლობის უმაღლეს მწვერვალს. ქვეყანას დიდ შემოსავალს აძლევდა სამხედრო მიღწევები და კონტრიბუცია დაპყრობლი ქვეყნებისა. თამარ მეფის ეპოქის ერთ-ერთი მემატიანე ასე აღწერს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს:

— „აივსო ყველა სახელმწიფო განძსაცავები ოქროთი და ოქროულობით, როგორც ქვიშა, ისე იყრებოდა ოქრო, ძვირფასი ქვები და მარგალიტი არ ითვლებოდა საზომით, ბერძნული და სხვა ოქროს ქსოვილი, ძალიან იშვიათი, იყრებოდა გამოუსადეგარი სამოსივით.

აყვავდა „ოქროს საუკუნე" და შემოქმედებითი ხელოვნება. განსაკუთრებულ ოსტატობას მიაღწია ოქროსა და ვერცხლის ფურცლების ჭედურმა დამუშავებამ, მონუმენტურმა ფერწერამ (ფრესკები), პერგამენტული წიგნების ფერადი ილუსტრაციებით გამოშვებამ. მე ძალიან გამიმართლა, თითქმის არავის უნახავს ის, რაც გვანახეს მე და მიშას. მე კი ეს ყველაფერი ფოტოებზე გადავიღე და შემდეგ გულმოდგინედ შევისწავლე. ამრიგად, გარდა წიგნისა „ვინიზუ სვანეტია" გაჩნდა ჩემი მეორე წიგნი „ვერხნაია სვანეტია". მე ისე გავერთე სვანეთის ისტორიით, რომ ზოგიერთებმა გამომაცხადეს „სვან ნაციონალისტად". მე ვწერდი: „სვანური სიმღერები", „სვანური კოსტუმები", „სვანური ისტორია". საჭირო იყო ყველაფრისათვის მეწოდებინა „ქართული".

ჩემი წიგნი „ვერხნაია სვანეტია" გამომცემლობა „ხელოვნებამ", მიუხედავად იმისა, რომ არ ვიყავი ისტორიკოსი, არც ხელოვნებათმცოდნე, მაშინვე აიღო და გამოსცა 75000 ეგზემპლიარი.



თეთნულდი სოფელ მულახიდან



სოფელი უშგული.



[illegible] (ფოტო ზ. ჩართოლანი)



დაბა მესტიის ცენტრი. თეთნულდი. (ფოტო ზ. ჩართოლანი)

მაგრამ ეს წიგნები ჩემდა სამწუხაროდ, მიშამ ვერ ნახა. ის დაიღუპა ალპებში ჩვენი სვანეთში მოგზაურობის შემდგომ წელს.

არ შეიძლება არ გავიხსენო ის, თუ როგორ ალმერთებდნენ სვანები მიშას. ერთხელ ჩვენ გადმოვედით ბეჩოს უღელტეხილით ნურის ურუმბაევთან ერთად. მიშასთან მოვილაპარაკეთ, რომ მე ჩავიწერდი მიშას ნაამბობს მის ბავშვობაზე. მიშას დრო გაჰყავდა. ბოლოს თქვა:

— კარგი, დღეს დავიწყებთ. მხოლოდ მე ვიღაც უნდა ვნახო, დავბრუნდებით ერთ საათში და მერე დავსხდეთ.

ჩვენ გავედით ჩვენი სახლის კარებიდან, რამდენიმე მეტრის მანძილზე სახლიდან გრძელ ხის მორზე იჯდა ათამდე სვანი. ჩვენი გამოჩენისთანავე ისინი წამოდგნენ. მიშამ მე და ნურისი წარგვადგინა, ყველა მათგანს ჩამოართვა ხელი, ხოლო ნათესავები (ისინი ნახევარზე მეტი იყვნენ) გადაკოცნა. ავდექით, აუჩქარებლად გავესაუბრეთ. ყველა მათგანი მიშას რაღაცას ეკითხებოდა, ის კი მოთმინებით და ნყნარად რაღაცას პასუხობდა. მხოლოდ როცა ერთ-ერთმა ჭაღარა მოხუცმა მიშას მოკიდა ხელი და დაუწყო თავისი სახლისკენ დათრევა, ხოლო მე და ნურისს ორმა ახოვანმა ახალგაზრდამ ხელკავი გაგვიყარა, მიშამ მტკიცედ განუცხადა, რომ ჩვენ გვეჩქარება და ვერ მივიღებთ მათ მიპატიჟებას. მოხუცი ნაღვლიანად აქნევდა თავს, ჩვენ ისინი განაწყენებული დავტოვეთ, შეიძლება ითქვას ჩვენი უარით ძლიერ დავამწუხრეთ და წავედით სოფლის ცენტრისაკენ.

ფეხით ათი წუთის სავალი, ჩვენ გავიარეთ ორ საათში. ყოველ ნაბიჯზე მიშა ხელთ ართმევდა შემხვედრს, კოცნიდა ჭაღარა მოხუცებს და სახედანაოჭებულ დედაბრებს შავებში ჩაცმულებს და შავთავსაფრიანებს. ყველა მათგანთან იმართებოდა ჩვენთვის გაუგებარი საუბარი. ჩვენს გვერდით ჩერდებოდა ყველა გამვლელი ავტომანქანა, მათგან გადმოსული ადამიანები ეხვეოდნენ მიშას, კოცნიდნენ და აუცილებლად ყველა მათგანთან საჭირო იყო რაღაცის დიდხანს გარჩევა. რამდენჯერმე მე და ნურისს პატივისცემით გვექაჩებოდნენ ავტომანქანისაკენ, თუ კი ჩვენ ჩაგვისვამდნენ, მიშაც იძულებული იქნებოდა დათანხმებულიყო მიპატიჟებაზე. ჩვენ რაც შეგვეძლო ვეწინააღმდეგებოდით, მაგრამ მესტიის ცენტრში, წმინდა გიორგის ეკლესიასთან, სვანების დიდ ჯგუფთან მიშას ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ, ჩვენ უკვე სრულიად სერიოზულად „ჩაგვავლეს". მუნჯური შეკითხვით შევხედე ჩემს ძმას. მიშამ ღიმილით გადააქნია თავი თანხმობის ნიშნად. ჩვენ მანქანისკენ გაგვაქანეს. მიშა მძღოლის გვერდით დაჯდა, მაგრამ მანქანამ ვერ გვიშველა. ისიც ჩერდებოდა შავებიანი დედაბრების და გაუპარსავი მოხუცების წინ, მიშა გადმოდიოდა, კოცნიდა მათ, არ არღვევდა ტრადიციულ კანონებს და უკან ჯდებოდა მხოლოდ მაშინ, ყველა აუცილებელი სათქმელი რომ ითქმებოდა.

როცა მესტიის გარეუბანში, აეროპორტის მიმართულებით გავედით, ცოტა უფრო ჩქარა დავიწყეთ მოძრაობა, მაგრამ ჩვენმა თანამგზავრებმა, რომლებიც გვართობდნენ, დაიწყეს მანქანიდან გადახტომა, შერბოდნენ გზად შემხვედრ სახლებში, თან რაღაცაზე ენერგიულად საუბრობდნენ და ხელებს იქნევდნენ.

— მიშა, აგვიხსენი, რა ხდება? — ვერ მოვითმინე მე.

— ხორცს ვეძებთ, უფრო სწორედ ხბოს ან ცხვარს. მიპასუხა მან.

ჩვენ დაგვსვეს ღია აივანზე, სადღაც აეროპორტის რესტორანში, ჩვენთან დაჯდა კიდევ ათ კაცამდე. აქ იყვნენ კომკავშირის რაიკომის მდივანი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, სვანური სიმღერების ანსამბლის ხელმძღვანელი, პილოტი და ბავშვობის მეგობრები.

ჯერ მოიტანეს ერთი ყუთი ღვინო, შემდეგ მეორე, მესამე... დროგამოშვებით ჩვენს აივანთან ჩერდებოდა მანქანა, ან მოდიოდა კაცი, რაღაცას ამბობდა და დგამდა იატაკზე სამ-ექვს ბოთლ ღვინოს, ხან ერთ ყუთს.

— აქ ყველა ვერ დაეტევა, განუმარტა მიშამ ნურისს, რომელიც შეაშინა ბოთლების ტყემ, — იმიტომ გვიგზავნიან ღვინოს, რომ ჩვენ კარგად გავატაროთ დრო.

— მე განგებ ვუთხარი უარი ყველას ოჯახში მიპატიჟებაზე, რომ თქვენ არ გაგაწამოთ არყით. — გვითხრა მიშამ.

— ღვინოს ვინ გვიგზავნის? — ვერ გაიგო ნურისმა.

— ყველა. ღვინის მომტანი გვეუბნება ვინ გამოგვეიგზავნა — მიუგო მიშამ.

ჩვენს გვერდით ჩაატარეს ორი ხბო, უმწეოები და მიმნდობები, მე გული მისკდებოდა მათი ცოდვით.

— დააა... ამოიხვნეშა ნურისმა, ასეთი რამ მე ჯერ არ მინახავს.

როგორც გაირკვა, ის არ იზიარებდა ჩემს ინტელიგენტური სენტიმენტალობას, და საგნებს უყუ-

რებდა როგორც ყაზახი, კაცი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა შუა აზიაში.

— ნამდვილი მესაქონლე — თქვა მან, — არასოდეს არ დაკლავს ასეთ ხბოს. ეს არის „კომუნისტვა" — ბარბაროსობა, შემოდგომისთვის ის უკვე დეკეული ან სახარე იქნება.

მიშამ თავდაჭერილად გაილიმა:

— თქვენთვის, სტუმრებისათვის ჩვენთან არაფერი არ ენანებათ.

ნურისმა მხოლოდ ახლა დაიწყო სვანური ხასიათის ათვისება და ისევე ხშირად ხვდებოდა გაუგებრობაში, როგორც მე ადრე.

სადღეგრძელოები, სადღეგრძელოები... ასეთ მაგიდასთან შეუძლებელია არ დალიო, ანდა უნდა წახვიდე. როცა დალამდა, საიდანღაც გამოჩნდა მანქანა და დაიწყო ჩვენი მაგიდის განათება ფარებით...

დილით ძლივსძლიობით ავწიე თავი ბალიშიდან და დავინახე, რომ ნურისს უკვე არ სძინავს.

— დააა... — ესღა წარმოვთქვი მე.

— ალექსანდრ ალექსანდრეევიჩ, თქვენ გახსოვთ რითი მოგვიყვანეს წუხელ?

შემეკითხა ნურისი, მე თავი გავაქნიე.

ვეტერინარების მანქანით, მიპასუხა ნურისმა.

— აბა, რას ლაპარაკობ?

— ზუსტად, „გაზიკ"-ი, მასზედ აწერია: „ვეტერინარული მომსახურება".

— შესანიშნავად მოვეგორდით! ასეთ მდგომარეობაში ხალხი უნდა ატარონ მხოლოდ პირუტყვის ფურგონით.

შემოვიდა მიშა, მე მას კატეგორიულად განვუცხადე:

— დაუყოვნებლივ მივდივართ ყოშში, იქ დავიმალებით და ბოლოს და ბოლოს დავიწყებთ მუშაობას.

მაგრამ მიშამ იუარა: — მოგვიწევს კიდევ ერთი დღე მოცდა. დღეს მე ჩვენი გვარის ახალგაზრდებს ვკრიბავ, მათთან რაღაც გასაუბრება მინდა.

— და ყველაფერი თავიდან იწყება? — ავილრიჯე მე.

— არა, ნუ გეშინია. მორჩა, მეტს აღარ დავლევთ.

და, ნამდვილად, ჩვენ მეტი არ დაგვილევია. მაგრამ მოსვენებას არ გვაძლევდნენ. სვანური სტუმართმასპინძლობა გრძელდებოდა უცერემონიოდ. ყველა ჩვენ გვემსახურებოდა, ჩვენი სამეულისათვის სპეციალურად ათბობდნენ აბანოს, მარტო ჩვენთვის აჩვენებდნენ კინოს, თვითმფრინავით გვასეირნებდნენ სვანეთის თავზე და უშბის ირგვლივ. ერთხელ ვიწექით წყაროსთან აეროდრომზე, მიშა ყვებოდა, მე ვიწერდი. უცებ პირდაპირ ჩვენსკენ მოფრინავს თვითმფრინავი ან-2, გადმოდიან პილოტები:

— არ გინდათ გაფრენა სვანეთის ცაში, შევხედოთ მას ამჯერად ზემოდან?

მცირეოდენი ჩვენი სურვილი სრულდებოდა, სიგარეტიც კი არ შეგვეძლო ჩვენთვის გვეყიდა. როგორც კი მაღაზიისკენ გავემართებოდი, მაშინვე ვინმე ჩვენი მასპინძლებიდან მაჩერებდა შეკითხვით: სად? რატომ? მე აზრზე მოსვლასაც ვერ ვასწრებდი, რომ მე გადმომცემდნენ ყველაზე ძვირადღირებულ სიგარეტს, რომელსაც მე არ ვეწევი.

ყოველივე ეს ყურადღება, მე ვიტყოდი, როგორღაც წმინდანური მოფერება, რა თქმა უნდა გვეკუთვნოდა, არა ჩვენ — მე და ნურისს; მაგრამ რადგანაც ჩვენ მიშას სტუმრები ვიყავით, მისი დიდების ჩრდილი გვეცემოდა ჩვენ. მიშასთვის ეს არ იყო ადვილი. ყველას უნდოდა მიშას გამასპინძლებოდა, დაელევინებინა მისთვის, ყველა ცდილობდა გასაუბრებოდა მიშას თავის საქმეებზე და რაც ყველაზე რთულია, მათი კანონებით ამის უფლება ყველას ჰქონდა, როგორც ნათესავს, მეზობელს ან თანასოფლელს. დიდი ნებისყოფაა საჭირო, რომ ასეთ სიტუაციაში არავის არ აწყენინო, უპასუხო ყოველგვარ შეკითხვებზე და კიდევ შეინარჩუნო ფორმა, ივარჯიშო სეზონის წინ. ყველაფერ ამაში მუდმივად იმალება საშიშროება შენს მიმართ. მსგავსი დამოკიდებულება მიიღო როგორც კუთვნილი, არ ილაპარაკო ხალხთან, როცა მათ ეს სჭირდებათ; დაიწყო უკმაყოფილება არასაკმაო ყურადღების გამო შენს მიმართ; მოითხოვო შენთვის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები. მაგრამ მიშას რომ ვუყურებდი, მე მუდმივად მიხაროდა, რომ ასეთი რამ მასთან არ მოხდებოდა.

მიშას დალუპვის შემდეგ მე მომიყვნენ ჩემი მეგობრები — ვლადიმერ კავუნენკო და ვიაჩესლავ ონიშჩენკო. მე იმედი მაქვს, რომ ისინი არ განაწყენდებიან ჩემზე იმისათვის, რომ მე მოვყვები აქ იმას, რასაც ისინი ჰყვებოდნენ.

ვლადიმერ კავუნენკო:

იმ წელს (1969-A.K.) იტალიაში მიდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, მასში შეიყვანეს სლავა რომანოვი, ოლეგ კოსმაჩოვი, მიშა ხერგიანი, სლავა ონიშჩენკო და მე. ჩვენი გუნდის უფროსი იყო მიხეილ ანუფრიკოვი. ჩავედით დოლომიტებში, ყველანი ნორმალურად. ყველამ ერთად გავაკეთეთ

საცარჯიშო ასვლა ტურ-ვენეციაზე, სადლაც მე-5 კატ. სირთულის. ჩვენ გვქონდა მიზანი გაგველო ჩივეტაზე, ერთ-ერთი ყველაზე რთული და გრძელი კედელი არა მარტო დოლომიტებში, არამედ ალპებში. ყვებოდა კავუნენკო, მისი სიგრძე 2000 მეტრზე მეტიაო, ამისათვის ვემზადებოდით. მანამდე შევარჩიეთ გასავლელი კედლები ჩივეტისაგან მარცხნივ და მარჯვნივ, რომ დეტალურად შეგვესწავლა მისი კედელი. მარჯვნივ სუალტოს კედელია (მე-5-6 კატ. სირთ.) მიდიან მიშა ხერგიანი და სლავა ონიშჩენკო, ჩვენ ოლეგ კოსმაჩოვთან მარცხნივ მივდიოდით ეოლგრანდის კედელზე (მე-6 კატ. სირთ.) მიხეილ ანუფრიკოვი და სლავა რომანოვი ქვემოთ დადიან ბინოკლებით, უყურებენ თუ როგორ მუშაობენ წყვილები.

როცა ჩვენ მივდიოდით მარშრუტის ძირში, შევხვდით იტალიელ სამთო მსროლელებს, მათ ჰქონდათ სწავლება. საუკეთესო ბიჭები, გავესაუბრეთ, ვიცინეთ, მათ გვისურვეს წარმატება, მე ოლეგთან ერთად ვიყავი, ცოტა მძიმედ მივდიოდი. იქ კარნიზებია გადმოკიდებული, როგორიც 6-იანზე უნდა იყოს. დავეშვით ქვევით, მივედით სამთო მსროლელებთან და ვხედავთ: ისინი გასაოცრად იქცევიან. ჩვენ აღარ გვიყურებენ. მოვიდა ჩვენთან მათი უფროსი, იხდის ქუდს და ლაპარაკობს:

— თქვენთან კატასტროფაა, დაილუპა თქვენი ახლობელი, ჩვენ სირბილით ანუფრიკოვთან. ის გვიყვება, ამ დროს გამოდის სლავა რომანოვი ხიჟინიდან, მიდის მარშრუტის ძირში, იღებს ბინოკლს და ამბობს:

— მიშა მოწყდა.

ანუფრიკოვი ამბობს:

— შეუძლებელია, მიშა არ წყდება.

სლავა კი ბინოკლით უყურებს მთლიანად ვარდნას 300–400 მეტრი უკუდაქანების მონაკვეთზე, შემდეგ ხვდება თაროზე და მერე ვარდება მინაზე. როცა მივედით შეიძლება წარმოიდგინოთ, იქ რა დარჩა მიშასგან.

ჩვენ ყველა ვფიქრობთ, რომ მოინგრა კლდის დიდი ნაწილი, მიშა მოწყვიტა ქვებმა, და თან თოკი გადაჭრა, ის ნავიდა. ის უკვე მიდიოდა მწვერვალისწინა ქედზე, ასეთ არართულ მონაკვეთზე მას არ შეეძლო მოწყვეტილიყო. ეს ის წინასწარ გამოუცნობი ორი პროცენტია, რომელიც არ არის დამოკიდებული ალპინისტზე.

მიშას დასაფლავება თავიდან უნდოდათ თბილისში, პრესტიჟულ სასაფლაოზე, მაგრამ სვანებმა არ მოინდომეს.

სლავა ონიშჩენკომ მიაცილა სასახლე მესტიამდე. ღამით ხერგიანების სახლში მამა ბესარიონმა და ბიძია მაქსიმემ გახსნეს სასახლე — ცინკის კუბო, რომ დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ მიშა დაილუპა ასვლის დროს. სვანები ასეთი ხალხია...

ნავიდა ხმები, რომ მიშა მოკლეს, ყველამ იცოდა, რომ მიშა არ წყდება. გახსნეს და მასზე ნახეს სამკერდე ქამარი, კარაბინი, გადაწყვეტილი თოკის ნაგლეჯი... ნათელი გახდა, რომ მიშა დაილუპა ასვლის დროს.

მიშას დაკრძალვაზე მე ვერ მოვხვდი, ვიყავი ტიან შანზე და ძალიან გვიან გავიგე ამ უბედურების შესახებ. ჩამოვფრინდი მესტიაში ორმოცზე. სვანეთი შავებში იყო შემოსილი; ერთ მაგიდასთან იჯდა მთელი სვანეთი, რომელიც გაშლილი იყო ქუჩაში დაახლოებით ერთ კილომეტრზე.

მიშას სიკვდილის შემდეგ, მისი ხსენება არ შემცირებულა. სვანეთის ღირსშესანიშნაობებით მესტიაში ჩამოსული ტურისტები და ალპინისტები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, აუცილებლად მიჰყავდათ მიშას სასაფლაოზე და მის მუზეუმში. მუზეუმის მოწყობა თავის თავზე აიღო ჩვენმა საერთო მეგობარმა, სპორტის ოსტატმა იური ბურლაკოვმა. მან თავის ცხოვრების 10 წელი მიუძღვნა ამ საქმეს. მხოლოდ მაშინ, როცა სსრ კავშირი დაიშალა და სვანეთში შეწყდა ტურისტების შემოსვლა, მუზეუმი დაცარიელდა.

მიშა ხერგიანი არის ეპოქა. მისი დაღუპვიდან 20 წლის შემდეგ, ალპინიზმმა, რომლითაც მიშა მოღვაწეობდა, არსებობა შეწყვიტა. იყო 22-23 ალპინისტური ბანაკი, სადაც დადიოდნენ თითქმის უფასო პროფკავშირული საგზურებით, დღეს ისინი აღარ არსებობს; იყო ნებაყოფლობითი-სპორტული საზოგადოებები, რომლებიც ატარებდნენ პირველობებს, ექსპედიციებს, ახლა ისინი აღარ არის; ალპინიზმში 18-20 ათასი კაცი მეცადინეობდა წელიწადში. ახლა — ერთეულები. მიხეილ ხერგიანთან ერთად საბჭოთა ალპინიზმი ისტორიას ჩაბარდა და ნავიდა ის მიხეილ ბესარიონის-ძე ხერგიანის სახელით.

— კუზნეცოვი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — მწერალი, სწავლული და ალპინისტი. 40 წიგნის ავტორი; ორნიტოლოგი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი; სსრკ სპორტის ოსტატი, მრავალი წელი ალპინისტურ ბანაკებში ნამუშევარი კავკასიაში, ტიან-შანში, პამირში და ალტაიში სასწავლო ნაწილის უფროსად და სამაშველო სამსახურის უფროსად, ალპინისტური ექსპედიციის ხელმძღვანელად.

ევგენი გიპერნეიტერი

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

# კლდის ვეფხვი

1960 წელი, ჩვენ, ექვსი ალპინისტი საბჭოთა კავშირიდან ვიმყოფებოდით სტუმრად ინგლისელ კოლეგებთან. მოვხვდით ჩვენთვის მიუჩვეველ, უცხო გარემოში, სველ და სლიპინა კლდეებზე. მიშამ ბრწყინვალედ დასძლია ჩრდილოეთ უელსისა და შოტლანდიის მთების ურთულესი კატეგორიის მარშრუტები, სწორედ მისი გასაოცარი, სწრაფი და მსუბუქი მოძრაობის გამო ინგლისელებმა იგი „კლდის ვეფხვად" მონათლეს, სწორედ ამ დროიდან ეს ტიტული სამუდამოდ შერჩა მიშას.

ცენტრალური კავკასიონი. მივარღვევდით წელამდე თოვლს იალბუზის ფერდობისკენ. თან სტუმარი გვახლდა ჰიმალაიდან - „თოვლის ვეფხვი" თენსინგ ნორგეი. მიშამ ბევრი რამ იცოდა მის შესახებ, წაკითხული ჰქონდა ბევრი რამ თენსინგის ცხოვრებაზე და აუხდა კიდევაც მასთან შეხვედრის ოცნება.

ძლიერი ქარბუქია... ასეთ პირობებში იალბუზის შტურმზე ფიქრი სიგიჟის ტოლფასია. მთაში მდგარი ქოხი — „თავშესაფარი 11" გახდა ჩვენი მყუდრო ბინა ორი დღის განმავლობაში. მიშამ და თენსინგმა მალე იპოვეს საერთო ენა და გაოცებული იყვნენ ჰიმალაის შერპებისა და სვანების ცხოვრების წეს-ადათების მსგავსებით. როგორც კი გამოიდარა, მიშამ გადაუხვია მკაცრად დადგენილ წესებს. რამოდენიმე ასეულ მეტრზე მარტო ავიდა და ევროპაში ყველაზე მაღალი მთის ყინულის ჯავშანზე, წერაყინით ამოკვეთა ყველაზე უბრალო და გულითადი სიტყვები: „კეთილი იყოს შენი მობრძანება თენსინგ".

მიშა იყო ბრწყინვალე სპორტსმენი, მაგრამ კიდევ უფრო ბრწყინვალე პიროვნება თავისი კეთილშობილური ბუნებით. მას მრავალგზის, საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაურჩენია მთაში ხიფათს გადაყრილი ალპინისტები. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ქარბუქი იყო თუ წვიმა, მიდიოდა იქ, სადაც სხვას წასვლა არ შეეძლო...

ერთხელ, იოსებ კახიანთან ერთად მიშა გაეშურა ჯგუფის გადასარჩენად, რომელიც უბედურებას გადააწყდა ტრავერსის დროს. ერთ-ერთ სახიფათო ადგილზე მთამსვლელთა ჯგუფმა თოკი ჩამოუშვა და დაიწყო დაშვება. უახლოეს მოედნამდე, სადაც უნდა დაშვებულიყვნენ 50 მეტრი რჩებოდა, უკან დაბრუნება შეუძლებელი



ვალერ რატიანი, შალიკო მარგიანი, ევგენი გიპერნეიტერი, ნოფე გვარლიანი.



ლამარია შხარის ფონზე. (ფოტო გ. ჩხატარაშვილის)

იყო. გადასაბმელი თოკი კი არ აღმოაჩნდათ. ბიჭები ჰაერში გამოკიდული დარჩნენ. ოთხი დღის განმავლობაში ცივი ქარი ყინავდა მათ სხეულებს. მაშველ ჯგუფს შემოაღამდა, იძულებული გახდნენ პიტალო კლდის პატარა მოედანზე გაეთენებინათ ღამე. საძილე ტომრებში ორ-ორი მოთავსდნენ. მიშამ იცოდა, რომ ერთ-ერთი მათგანი იურა, მთლად გათოშილი იყო. მან ყველა ღონე იხმარა მის გადასარჩენად, რაც შეუძლებელი გახდა. ის გრძნობდა როგორ ეყინებოდა მეგობარს ტუჩები, სახე... ჩერდებოდა პულსი. მან დილამდე გაძლო მომაკვდავი მეგობრის გათოშილ სხეულთან ერთად...

...და კიდევ ვინ იცის, რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება მიშას სიმამაცესა და თავგანწირვაზე. 1966 წელს იგი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის" ორდენით. ამ შესანიშნავი პიროვნების ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწესდა მიშას სახელობის გარდამავალი პრიზი, რომელიც გადაეცემა საუკეთესო მეკლდეურს. ერთ-ერთი მწვერვალი კი იალტის კლდის მასივი ატარებს მიხეილ ხერგიანის სახელს.



(ცამუში) ზვავს გადარჩენილი მურყვამი.

პაველ ზახაროვი
სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში. ქ. მოსკოვი

# სევდიანი მოგონება

მიშას, მე 1966 წლიდან ვიცნობდი. ე.ი. 37 წელი. რამდენია ეს, ბევრი თუ ცოტა? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია, მიხეილ ხერგიანის ნაცნობობასთან დაკავშირებით. და თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ჩვენთან აღარ არის, მაშინ ამ საკითხის დაყენება არაკორექტულია. მაგრამ, მე რატომღაც არ მსურს ვისაუბრო ჩემს ნაცნობობაზე მიხეილ ხერგიანთან წარსულ დროში.

ყოველ ალპინისტს, ვისაც თავის დროზე ხანმოკლე დროით მაინც ჰქონია შეხება მიხეილ ხერგიანთან, ჩემის აზრით აქვს უფლება თქვას: „მე მას ვიცნობდი!" საქმე ამ ნაცნობობის ხანგრძლივობაზე კი არაა, არამედ როგორ დაიწყო ის და თავის სულში, როგორ მიგიღო, აი, რატომ გრძელდება ჩემი ნაცნობობა 37 წელი და გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც უფლის ნება იქნება.

მიშა იყო საოცრად სპორტული და ამავე დროს თავმდაბალი ადამიანი, მიუხედავად თავისი მრავალი ჯილდოებისა და ტიტულებისა. ცნობილია, რომ ყოველი მორიგი სეზონის დასასრულს მიშა ბრუნდებოდა სვანეთში, — მამისეულ სახლში, რომ შევიდოდა ზურგჩანთიდან ამოალაგებდა გასული სეზონის ჯილდოებს, სანოლზე ჩამოალაგებდა და ეუბნებოდა მამას — „ეს ყველაფერი შენია! მე შენ გამხადე ასეთი, როგორიც ვარ, მაშასადამე ეს ყველაფერი შენ გეკუთვნის". ერთხელ მე გამიმართლა და შევესწარი ასეთ სცენას, რომელმაც მოახდინა ჩემზე ამაღელვებელი შთაბეჭდილება, არცერთ მოსკოვურ ოჯახში არ მინახავს ასეთი რამ!

როდესაც ხალხი უყურებდა მის გამოსვლებს ყირიმის კლდეებზე, მაშინ მათ ძალიან ხშირად უჩნდებოდათ ცრუ წარმოდგენა, რომ რასაც იგი აკეთებდა კლდეზე, ეს იოლი და ადვილი იყო.

იმ წელს, როდესაც გავიცანი ხერგიანი, მე გავხდი ასეთი სურათის მოწმე: „კრესტოვაიას" კლდის ძირას მყოფი მაყურებელთა შორის, რომლებიც აღფრთოვანებული ადევნებდნენ თვალყურს ხერგიანის მორიგ ასვლას კავშირის



მწვერვალი „პაბედა"

ოქროს მედლისათვის, რომელილაც კაცმა წარმოსთქვა — „მე მეუბნებოდნენ — ნადი ნახე ქართველი მიშა, როგორ ცოცავს ვერტიკალზე, მაგრამ ის არ მიცოცავს! ის ცეკვავს ვერტიკალზე! და თან ღიღინებს!". სიმსუბუქის შთაბეჭდილება, რომლითაც მიხეილი ცოცავდა კლდეებზე, ნამდვილად იყო, მაგრამ არა გათვითცნობიერებულთათვის — ეს იყო სასიამოვნო თვითმოტყუება — მათ არ იცოდნენ მის ბუნებრივ ნიჭზე და იმ შრომაზე, რომელსაც მიშა სდებდა თავის ვარჯიშში.

შთაბეჭდილება სიმსუბუქისა და უბრალოებისა — რასაც იგი აკეთებდა კლდეზე, გამომდინარეობდა იქიდან, რაც იყო მისი სულის სიღრმესა და ხასიათიდან. ის არასდროს არ წარმოაჩენდა წინა პლანზე თავის ღირსებებსა და ძალას (მას ეს საკმაოდ ჰქონდა). ხერგიანის ოსტატობა დამალული იყო მის მოდგმაში, იგი იყო ღვთიური სპორტსმენი — ასე იტყვიან ვინმეს გამორჩეულობის აღსანიშნავად. მაგრამ მისთვის ეს არ იყო საკმარისი. ხერგიანი ნებისმიერ სპორტში ან საქმიანობაში — ყველგან შეძლებდა მიეღწია უმაღლესი შედეგებისთვის. გარდა ამისა, ის არ კარგავდა თავის სიმსუბუქეს შედეგების მიღწევაში. თავისი ელეგანტურობა, რომელიც ასე ძლიერად თავგზას უბნევდა მაყურებელს, რომელმაც ცოტა რამ თუ იცოდა ხერგიანის ოსტატობაზე, როგორც ალპინისტისა, სამთომოთხილამურისა, მაშველისა, მონადირისა, მწვრთნელისა და პედაგოგისა.

ჩვენი გაცნობა მიხეილ ხერგიანთან შედგა იალტაში კავშირის ჩემპიონატზე კლდეზე ცოცვაში — 1966 წელს. მე ვიყავი ერთ-ერთი მწვრთნელი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის", რომელმაც იმ წელინადს შეძლო გამხდარიყო ქვეყნის ჩემპიონი.

მე მომმართა თხოვნით ჩემმა მეგობარმა ცენტრალური ტელევიზიიდან რუდიკ რუსანოვიჩმა, რომელიც იღებდა ფილმს ამ შეჯიბრებებზე, დავხმარებოდი მას საუკეთესო ადგილების არჩევაში, გადაღებისათვის „კრესტოვაიაზე".

მორიგი ასვლის დროს, როცა გადაღების ადგილი უნდა შეგვერჩია, რუდიკასთვის კამერის დასამაგრებლად, მასთან მივიდა გარეგნულად ადამიანი, ისეთი სანდო სახით და ღიმილით, რომ იმ წუთში გინდოდა გეთქვა, „გამარჯობა კაცო! მე შენ გიცნობ, როგორ მიდის შენი საქმეები?" მაგრამ ეს არ მოხდა. მან პირველმა



მიშა ხერგიანი ვარჯიშის დროს.

მიმართა რუდიკას და ხუმრობით გადაუკრა, რომ მოწინააღმდეგე გუნდის ოფიციალურ წარმომადგენელს, უფლება არა აქვს იცოცოს ტრასის ახლომახლოს და დაათვალიეროს ის. შემდეგ გაუწოდა ხელი და უბრალოდ უთხრა — „მიშა", ერთი წამის შემდეგ დაამატა — „ხერგიანი". რუსანოვიჩმა უთხრა, მე ზახაროვის შვილი ვიყავი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ყველა ალპინისტი „პელ-ფილომს" ეძახდა. მიშამ მოკრძალებით შეხედა და თქვა: „მაპატიე, რომ აქამდე არ ვიცნობდი ჩემი მასწავლებლის შვილს". ჩვენ გადაეეხვიეთ ერთმანეთს, ვისაუბრეთ ჩვენი ოჯახების საქმეებზე, ვისაუბრეთ ალპინისტურ საქმიანობაზე. მე მაშინვე მივხვდი, რომ მიშას აქვს განსაკუთრებული თვისება მოხიბლოს და მიიზიდოს გარშემომყოფნი. მან მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშობდა, გამოგვიყო 15 წუთი, შეგვირჩია საუკეთესო გადასაღები ხედები. უნიკალური კადრები რუსანოვიჩის ფილმში იყო გადაღებული წერტილებიდან, რომლებიც მიგვითითა მიხეილ ხერგიანმა.

მე მინდა გავიხსენო მიხეილ ხერგიანთან ჩემი შეხვედრები ეპიზოდებად. 1968 წლის ზამთარში ალპბანაკ „ულუტაუში" შეიკრიბა საინტერესო და ბრწყინვალე ალპინისტების ჯგუფი. მე ნავედი იქ — ინსტრუქტორად. იმ ზამთარს „ულუტაუ" ნამდვილად ბრწყინავდა გვარებით! სლავა ონიშჩენკო, გერმან აგრანოვსკი, ვიქტორ რუსანოვი, ბორის სივცოვი, ვაცლავ რუჟევსკი, იური ჩერნოსლივინი, შალვა მარგიანი, ვილია კლიმაშინი და რა თქმა უნდა მიხეილ ხერგიანი.

...მორიგი მეცადინეობის დროს — „დაზარალებულის დაშვება" — მიშამ კიდევ ერთხელ განაცვიფრა მაყურებელი თხილამურებზე ციცაბო ფერდობიდან ჩამოჰყავდა დაზარალებული,

რომელიც ხელში ეჭირა — სლალომის ტრასის ფიგურებს შორის, ამას ის უჩვეულოდ აკეთებდა. ყველანი აღფრთოვანებული დავრჩით — მიშამ ყველას „გადააჭარბა".

იმ უჩვეულო დღეს, კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა, ინსტრუქტორმა იური კოროვინმა გადაწყვიტა მიეღო თავისი წილი აღიარება და აპლოდისმენტები — იგი აეიდა ციცაბო და ფირნულ ფერდობზე და ხმამაღლა დაიყვირა: „უყურეთ როგორ უნდა ციცაბო ფერდზე შემოტრიალება თხილამურებით! — მოსხლიტა ჯოხებით და 180O-ით შემოტრიალდა. თხილამურები ძლიერად დაეცა ფირნზე და გაისმა ხმა, რომელიც ყრუ გასროლის ხმას გავდა, ფერდობი გაიხლიჩა და ჩამონვა ზვავი, კოროვინი გაქრა თოვლის ლოდებში. ჩამონვა საშინელი სიჩუმე, როგორც კი თოვლის ლოდები შეჩერდა, მივვარდით იურას ამოსათხრელად, ძალიან სწრაფად ვიპოვეთ — პირველმა მიშამ მიაგნო. კოროვინი გონს რომ მოვიდა, იკითხა, ასე სწრაფად როგორ მიპოვეთო — მიშამ კი ხუმრობით უპასუხა — „ყნოსვით" — რომელმა სვანმა არ იცის ძროხის სუნიო.

იმ ზამთარს მიშა ინსტრუქტორულ სამუშაოს გარდა ასრულებდა შეკრების ხელმძღვანელის მოვალეობას ახალგაზრდა ქართველ ალპინისტებთან, რთული ვარჯიშების შემდეგ, მიხეილი ემზადებოდა მწვერვალ „სუარიკზე" ასასვლელად. ზამთარში თოვლი ფარავს დაშლილ კლდეებს, ასვლის მონაწილეები აღფრთოვანებული იყვნენ, რომ ხერგიანმა სწორედ ასეთი მარშრუტი აირჩია. მიუხედავად იმისა, მწვერვალის ეს კატეგორია არცერთ მონაწილეს არ აძლევდა არანაირ სპორტულ კვალიფიკაციას, მაგრამ ხერგიანის ჩანაფიქრი სულ სხვა იყო. იგი პირველი გადიოდა მარშრუტის მოცემულ მონაკვეთს, დაამაგრებდა თოკს, შემდეგ ჩამოყვებოდა ამ თოკს და მონაკვეთზე რა საჭურველიც იხმარა, ყველას მოხსნიდა. შემდეგ ერთ-ერთ მონაწილეს მისცემდა დავალებას: აი მონაკვეთი, შენ ხარ ეხლა ჯგუფის ხელმძღვანელი, გაიარე ეს და უზრუნველყავი ჯგუფის უსაფრთხოება. და ასე რიგრიგობით ყველა იყო ჯგუფის ხელმძღვანელი, დაშვებულ შეცდომებს იქვე უსწორებდა მიშა — ესეც თავისებური პედაგოგიური ნიჭი იყო.

შუა ზამთარში მიშამ მოაწყო საღამო, რომელზეც ჩვენ აღვნიშნავდით მიშას დაბადების 35 წლისთავს (მხოლოდ ახლა მივხვდი ამ ზამთარს ბანაკ „ულუტაუში", რატომ შეიკრიბა იმდენი ცნობილი მთამსვლელი). ამ ზეიმზე შეიკრიბა ყველა, ვინც აფასებდა, ესმოდა და გულით უყვარდა ეს კაცი. სუფრის თამადა იყო შალიკო მარგიანი. მან შემოატანინა გიგანტური ზომის ჯიხვის რქები, რომლებიც ტრიალებდა დამსწრეთა წრეში. იყო სადღეგრძელოები, სიტყვები მილოცვის. სიტყვები ახალი წარმატებების სურვილისა ცხოვრებასა და ალპინიზმში. იყო სიტყვებით ძნელად აღსაწერი ატმოსფერო მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემისა. მე არ მეშინია, რომ ეთქვა, ეს ატმოსფერო სუფევდა მიშას გულითადი სიყვარულისა. უფრო ხშირად გაისმოდა: „მიშა ა მიშა — გახსოვს? და მიდიოდა მოგონებები იმ დღეებისა და მოვლენებისა, რომელთა დავიწყებაც მათ არ შეეძლოთ.

...მიშას ხასიათის ერთი შტრიხიც... ბოლოს ასწია სასმისი და თქვა, რომ ყველას გვესაჭიროება ცოტა დასვენება — დილას ყველა უნდა გავიდეთ სამუშაოდ, რომ ჩვენი მოსწავლეები არ არიან დამნაშავენი, რომ ჩვენ ამ საღამოს გვქონდა ვილაცის დაბადების დღე.

...1969 წლის ზაფხული ალპბანაკ „უზუნკოლში" — .... .... ხაზია მონყობილი, გაიცა სასწავლო დავალებები, ნებართვები მწვერვალებზე გასვლისა. ბანაკი ემზადება შრომითი სასწავლო დღისთვის, ამ დროს ბანაკის რადისტი ხელებით სიგნალს აძლევს ბანაკის სასწავლო ნაწილს... და ხაზზე იქ წაკითხული რადიოგრამა — ეს იყო შეტყობინება იმისა, რომ მწვერვალ სუ-ალტოზე იტალიის მთებში დაიღუპა მიხეილ ხერგიანი. „სპარტაკელების" დროშა ნელ-ნელა ეშვება... ცრემლებს იწმენდს უფროსი სპარტაკელი ალპინისტი არკინი, იწმენდენ ცრემლებს ისინიც, ვისთვისაც ნაცნობი იყო სახელი მიხეილ ხერგიანისა.

...იყო 1989 წელი. მე მაშინ ვმუშაობდი ვალერი რატიანთან, ჩვენ დავიწყეთ ახალი სამუშაო, ახალ ალპბანაკ „სვანეთში". მესტიაში მე ვნახე მიშა უკანასკნელად, ეს იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, სადაც დგას გრანიტში გამოკვეთილი მიშა. და შემდეგ იყო ექსკურსია (როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, უკვე ექსკურსია) მიშას სახლში, უკვე მისი სახელობის მუზეუმში. საღამოს იურა ბურლაკოვთან კიდევ ერთხელ გავიხსენეთ მიშა. შუაღამემდე იყო ლაპარაკი სვანეთის სახელოვან შვილზე, ალპინისტზე, რომელსაც იცნობდა მთელი ალპინისტური სამყარო, ჩვენს კეთილ მეგობარზე და ბრწყინვალე კაცზე ჩხუმლიან ხერგიანზე.

ლ. ბელიაევი

დნეპროპეტროვსკი

# იმ მწვერვალს მიშას სახელი ეწოდა

...ულელტეხილზე გავედით. ჩვენს წინ თავისი სიმშვენიერით გადაიშალა თოვლით გადაპენტილი მთაგრეხილების უსასრულო ჯაჭვი.

თურქისტანის ქედები ჯერ ხელუხლებელნი, დაუპყრობელნი, ღრუბლებში ჩაფლულ მწვერვალებს ვუყურებთ და ძალა გვემატება, გვიათკეცდება სურვილი მათზე ფეხი დავდგათ. ამ ქვიან კენწეროებზე წერილი უნდა დაგვეტოვებინა, რათა პირველ ამსვლელთა უფლებით მათთვის სახელები გვეწოდებინა.

ნოვოსიბირსკელი ალპინისტების ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ (ერიკ რაპოპორტი (ხელმძღვანელი), ვლადიმერ და გალინა პროკოპენკოები, გენადი სტარიკოვი და ალექსი შაბატა), თურქისტანის ერთ-ერთი ასეთი მწვერვალი აირჩია დასაპყრობად. როცა შორიდან ვუყურებდით ამ მწვერვალს, გვეჩვენებოდა, რომ პიკი კი არა, ქათქათა თოვლიდან ადამიანის ჩაფხუტიანი თავი გვიყურებდა: ვაჟკაცური და მშვიდი...

ჯგუფი პიკის დასაპყრობად გაეშურა. ძნელად ასავალ კლდეებს ყინულოვანი ციცაბოები ცვლიდა. ძალიან ძნელი იყო მოძრაობა. მოლაშქრენი მეტრს მეტრზე იპყრობდნენ. მათ უცებ შემოაღამდათ, ორივე გზა წინსავალი და უკანდასახევი ჩაიკეტა. მოლაშქრეებმა ბანაკი დასცეს და ღამე გაათიეს. დილით კი შეტევა გაგრძელდა. 6 საათი დასჭირდა ჯგუფს, რომ მიეღწია მთის ყველაზე მაღალ წერტილამდე. 5070 მეტრი სიმაღლის პიკი დაპყრობილია - მოლაშქრეებმა ნიშში პირველი წერილი დატოვეს. წერილში, როგორც წესი, შერქმეული სახელიც იყო მონიშნული...

მოლაშქრეები მწვერვალიდან მეორე დღეს დაბრუნდნენ. მე მათ საიერიშო ბანაკში — შუროვსკის მყინვარზე შევხედი.

— რა დაარქვით? – შევეკითხე ჯგუფის ხელმძღვანელს.

— მიშა ხერგიანის სახელი...

ამ სიტყვებით ყველაფერი იყო ნათქვამი — ვაჟკაცი და უშიშარი ალპინისტის ხსოვნისადმი პატივისცემაც, სიყვარულიც და მისი უკვდავების ჯეროვანი დაფასებაც.

წუთიერმა დუმილმა დაისადგურა და ყველამ ერთად დასავლეთისკენ გავიხედეთ, იქითკენ, სადაც ჩამავალი მზის ოქროსფერ გვირგვინში მწვერვალი წამოჭიმულიყო. იგი გვაგონებდა უშიშარ რაინდსა და მთის არწივს, რომელიც ჩამომჯდარიყო ციურ ციე კლდეზე და სამუდამოდ გარინდულიყო.



უშბა. (ფოტო ზ. ჩართოლანი)

ს. ივანოვი

ბულგარეთი

# «...თქვენ მეტოქეები არ გეყოლებათ»

პიტალო კლდის ძირში, ბინოკლით შეიარაღებულ, ასეულობით ადამიანს მოუყრია თავი. ისინი დაძაბული ადევნებენ თვალს კლდეზე კატისებურად მცოცავ ორ სილუეტს. ათეულობით კორესპონდენტს ფოტო და კინოკამერის სამიზნეში ჰყავს ისინი. ადამიანები გაცხარებული საუბრობენ ბულგარულ, ჩეხურ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე... მათი ოვაციები ერთი და იგივე აზრს გამოხატავდა: „დიდებულია", „ყოჩაღ", მართლა „კლდის ვეფხვია".

ბულგარეთში ჩამოვიდნენ სსრკ, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, გდრ-ს, გფრ-ს, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის მთამსვლელები. ფესტივალის პრინციპის თანახმად, ორი ან სამი კაცისგან შემდგარ ნწყვილს უნდა გაევლო კედლოვანი მარშრუტი.

მიშამ და ვლადიმერმა მოთელვისათვის აირჩიეს 300 მეტრიანი, 750 დახრილობის მესამე კატეგორიის სირთულის კედელი. ბულგარეთში ამ კედლის გავლა საათნახევარში, საუკეთესო დროდ ითვლებოდა. ხერგიანმა და კაუნენკომ იგი 30 წუთში გაიარეს. ხოლო როდესაც მეხუთე კატეგორიის მეორე მარშუტი ერთ საათში გაიარეს, გიორგი ათანასოვმა თქვა, ამ მარშუტის სარეკორდო დროდ სამი საათი ითვლებოდა. „ვფიქრობ, თქვენ მეტოქეები არ გეყოლებათ"...

ორ საათზე, ორივე, მწვერვალის თავზე იდგა: ქვემოთ კი ისმოდა შეძახილები „ბრავო, ხერგიან!", „ყოჩაღ ვლადიმერ"... სპორტის დამსახურებული ოსტატის მ.ხერგიანისა და სპორტის ოსტატ ვლადიმერ კაუნენკოს ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა ალპინისტთა საერთაშორისო ფესტივალის პირველი დღე ბულგარეთში.

იმ დღეს პატარა ქალაქი ფრატა, გაცისკროვნებული იყო ფეიერვერკებითა და რაკეტებით. პროჟექტორების შუქით იყო გაჩირაღდნებული მთები. ასე გაიხსნა ალპინისტთა საერთაშორისო ფესტივალი 16 სექტემბერს. 17 სექტემბერი, დილის 9 საათზე ალპინისტები ერთ საერთო მწკრივში დგანან. ყოველ ნწყვილს აუხსნეს, ვინ რომელი მარშუტით წავა.

გიორგი ათანასოვმა სწორად გამოიცნო —



მიშა ხერგიანი ვარჯიშის დროს.



უშბა სოფელ გულიდან.



შხარა. (ფოტო ზ. ჩართოლანი)



იალბუზი. (ფოტო ზ. ჩართოლანი)



დაბა მესტია.

ხერგიანს და კაუნენკოს მეტოქეები მართლა არ ჰყავდათ. ყველა ალპინისტმა ეს წყვილი საუკეთესოდ აღიარა. 18 სექტემბერი ახალ სიურპრიზს გვპირდებოდა...

ხერგიანისა და კაუნენკოს წყვილს შესთავაზეს კვლავ თავად შეერჩიათ მარშუტი. მათაც მე-6-ე კატეგორიის სირთულის უკუდაქანების 600 მეტრიანი კედელი შეარჩიეს. აღნიშნული კედელი შეჯიბრებამდე ორმა ბულგარელმა ალპინისტმა 12 საათში გაიარა. ხერგიანმა კარგად შეათვალიერა კლდე და ჩათვალა, რომ მასზე დასაკიდი კიბეების გარეშე შეიძლებოდა ასვლა. კედლის 2 მესამედი წყვილმა ისე გაიარა, რომ მხოლოდ სამი პალო ჩაარჭო. შემდეგ კი უფრო რთული უკუდაქანების კედელზე გავიდნენ... მარშრუტი ოთხ საათში იქნა დაძლეული. ეს ჭეშმარიტი ტრიუმფი იყო! აღნიშნული მარშუტის გამეორება მოისურვეს რუმინელმა მთამსვლელებმა. მათ სამი საათი უშედეგოდ დაკარგეს იმ ადგილის ძებნაში, სადაც პალოს ჩარტყმას მოახერხებდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან კლდის ქანები მტერევადი იყო. დაბრუნებულმა ალპინისტებმა ჰკითხეს ხერგიანს და კაუნენკოს:

— რატომ არ დატოვეთ იქ პალოები? ანდა რა ადგილას ჩაარტყით ისინი?

— ჩვენ ჩვევად არა გვაქვს პალოების დატოვება, თან თქვენ თვითონაც იხილეთ, რომ მათი ჩარტყმა ამ კედელზე არსად შეიძლებოდა. რუმინელმა ალპინისტებმა საბჭოთა წყვილს ხელი მაგრად ჩამოართვეს.

შეჯიბრის შემდეგ, მიშას სთხოვეს მოეთხრო თავის თავზე და გაეზიარებინა თავისი გამოცდილება. ნინასწარ გაუთვალისწინებელ პრესკონფერენციაზე მიშამ თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: — „როდესაც ალპინიზმში მოედნების, კიბეების და სხვა რთული აღჭურვილობის გამოყენება დავიწყე, ისინი, ბიძაჩემს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მაქსიმე გვარლიანს ვუჩვენე, ჩემდა გასაკვირად მან ასე მითხრა: „შვილო, შენ თუ ამ ყველაფრის გარეშე წასვლა არ შეგიძლია, უმოჯობესია შინ დარჩე. მოედანზე და კიბეებზე დგომა ეს ალპინიზმი არ არის". სმენადგადაქცეულმა ალპინისტებმაც გაიცინეს. მიშამ კი განაგრძო — სწორად გამიგეთ, მეც და ჩემს ალპინისტ ნათესავებსაც. მომხრე ვარ ახალი აღჭურვილობისა, მათ გარეშე რთულ და გრძელ მარშუტზე იოლად ვერ გახვალ, მაგრამ მათი ისეთი ხშირი გამოყენება, როგორც ამას ბევრი თქვენგანი აკეთებს, არ ღირს. ასეთ შემთხვევაში ალპინისტი კარგავს ცოცვის ტექნიკას, ინდივიდუალურ ოსტატობას, ზოგიერთი კი, სწორედ აღჭურვილობის წყალობით, ცოცვის ტექნიკას სავსებით ვერ ეუფლება. ასეთ სპორტსმენებს ძალიან გაუჭირდებათ კავკასიონის მთებში, ტიან-შანზე, პამირში, სადაც კლდოვანი მარშუტები ორ და ზოგჯერ მეტ კმ მანძილს აღემატება, უდიდესი მონაკვეთები თოვლითა და ყინულითაა დაფარული. ასეთ მარშუტზე მძიმე აღჭურვილობის ატანა, პრაქტიკულად შეუძლებელია. მარშრუტის დაძლევის წარმატება, ძირითადად, ალპინისტის ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობით არის განპირობებული. თქვენ კი შესანიშნავი მარშრუტები გაქვთ, მათზე უნდა განავითაროთ პირადი ოსტატობა. მიშას აზრს ყველა დაეთანხმა. ეს იყო მიშას გამოცდილების გაზიარება თანამებრძოლებთან.



მიშა ემზადება უშბის სარკეზე გასასვლელად.

რომან გიუტაშვილი

სსრკ სპორტის ოსტატი, ქართველთაგან ევერესტის პირველი დამპყრობი

# მოგონება მიშაზე

ჩემი მოგონებები მიშაზე ვერ ასახავს მთლიანად ჩვენს მრავალმხრივ ურთიერთობას. ხუთი წლის მანძილზე ეპიზოდური შეხვედრები მხოლოდ ფრაგმენტებია, მათი შეკონინებით მე შევეცდები დავხატო მიშას სახე. მისი ყოველი გახსენება ასოცირდება მთასთან.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

სამოციანი წლების დასაწყისში მე მხოლოდ „შევდიოდი" დიდ ალპინიზმში, მიხეილს კი უკვე იცნობდა მთელი ალპინისტური სამყარო, როგორც „კლდის ვეფხვს" და მისი სახელი, როგორც უძლიერესი მეკლდეურისა და მთამსვლელის, იყო ზენიტში.

მე ვმუშაობდი ინსტრუქტორად ბაქსანის ხეობის ალპინისტურ ბანაკებში და დამყავდა ჯგუფები სხვადასხვა მწვერვალებზე და მარშრუტებზე. ხოლო შუალედებში — ცვლებს შორის, სხვა ინსტრუქტორებთან ერთად უფრო საინტერესო და რთულ მარშრუტებზე დავდიოდი, ამ დროს მიხეილი სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში, საზღვარგარეთის ტურნეებში და სსრკ ჩემპიონატებში მონაწილეობის გარდა, თავისუფალ დროს მუშაობდა საკავშირო ინსტრუქტორთა სკოლაში მწვრთნელად, რომელიც ალპინისტურ ბანაკ „შხელდაში" იყო მოთავსებული და გადასცემდა მომავალ ინსტრუქტორებს თავის მდიდარ გამოცდილებას.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ რაიონში ვმუშაობდით, კარგა ხანს ერთმანეთს ვერ შევხვედით, ვინაიდან სამაშველო სამსახური ზუსტი გრაფიკით მუშაობდა და ერთდროულად მარშრუტზე მხოლოდ ერთ ჯგუფს აძლევდა ასვლის უფლებას. მაგრამ ერთხელ მაინც მათ დაუშვეს შეცდომა და ერთიდაიმავე მარშრუტზე მოვხვდით: მიშა ინსტრუქტორთა სკოლის კურსანტებთან, ხოლო მე კი ალპინისტური ბანაკის თანრიგოსნებთან ერთად და როცა მწვერვალის ძირას კარვები გავშალეთ, დავინახეთ ჩვენსკენ მომა-



მიშა ხერგიანი, ტარიელ ლუკაშვილი, გიგლა ნიკლაური, რომა გიუტაშვილი, თამაზ ბაქანიძე, ანატოლი მატუა. ზამთრის ასვლა სუ-არიკზე. 1965 წ.



უშბა ჩრდილოეთიდან. მიშას 45 კაციანი ალპინიადის მარშრუტი.



ჩოლაში (ჟამუში და ლაშთხვერი).



სოფელი ლენჯერი, მწვერვალი ბანგურიანი და თავისუფლების პიკი.

ვალი ჯგუფი, ჩვენ მათ გავუმზადეთ საკარვე ადგილები, რადგან უკვე გვიანი იყო (ასეთი წესია ალპინიზმში). როცა ისინი ამოვიდნენ, აღმოჩნდა მიხეილის ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით. ჩვენ გავუმასპინძლდით ჩაით, დავეხმარეთ კარვების გაშლაში. ლაპარაკში გაირკვა, რომ საკონტროლო-სამაშველო პუნქტის შეცდომის გამო ორი ჯგუფი მოხვდა ერთიდაიმავე მარშრუტზე. უნდა გვეპოვნა გამოსავალი. მიშამ შემოგვთავაზა ნავსულიყავით მარშრუტზე ერთად და ჩვენც ასე მოვიქეცით. მე და მიშა წყვილში ჩავდექით გაერთიანებული ჯგუფის ბოლოში და ჩემდა სასიამოვნოდ მიშას ჯგუფთან ჩემმა თანრიგოსნებმა შესანიშნავად იმუშავეს და მარშრუტი საკმაოდ სწრაფად გავიარეთ. მწვერვალზე ვიყავით დილის 9 საათზე. ამინდი იყო შესანიშნავი, დაშვება არ იყო საჩქარო და ჩვენი საუბარი ბუნებრივად შედგა.

მიშამ გაკვირვებით შემომხედა რომ გაიგო თბილისელი ვიყავი და აღმოჩნდა, რომ ისიც ახალი გადმოსული იყო საცხოვრებლად თბილისში, მისთვის ბინა დიღომში მიუციათ, იქ, სადაც ძალიან ახლოს ვცხოვრობდი მე. შემდეგ ძირითადად მე ვუსმენდი მას, ის ყვებოდა ტიან-შანის ტრაგედიის შესახებ, სადაც მან შესძლო გარდაუვალი სიკვდილისგან ეხსნა უმცროსი მიხეილ ხერგიანი. როცა ყვებოდა, ის ღრმად განიცდიდა, რომ მისი მცდელობა, დაერწმუნებინა ჯგუფის სხვა წევრები უკან დაბრუნებულიყვნენ, უშედეგოდ დამთავრდა და ყველაფერი ტრაგედიით დასრულდა. მიშა მაშინ უბრალოდ ჯგუფის წევრი იყო მხოლოდ. ასეთ სულიერ მდგომარეობაში, სხვის შეცდომების განცდაში და ნებით თუ უნებლიედ მის მიმართ მიყენებული ტკივილებით (წყენებით) მიშა იწყებდა მისი ცხოვრების ახალ ეტაპს ალპინიზმში და როგორც მე მეჩვენა, სრულიად არ იყო დარწმუნებული, როგორ წარიმართებოდა მისი მომავალი. რა თქმა უნდა, მისი სურვილი იყო დაეწყო ყველაფერი თავიდან.

მანამდე კი 1962 წელს, როცა ალპინისტურ ბანაკ „ბაქსანიდან" ინსტრუქტორთა ჯგუფს უნდა გაგვევლო „კიუ-კიურტლაუს" კედელი რასაც უნდა მოჰყოლოდა ტრავერსით იალბუზის ორივე მწვერვალის დალაშქვრა. ამ გზის გავლა თავის დროზე სსრკ ჩემპიონატზე შეფასდა საპრიზო ადგილით და სერიოზულ სასიმაღლო-ტექნიკური კლასის მარშრუტად არის ცნობილი. ამ მარშრუტის მეორე გავლა მოახდინა მიხეილის ჯგუფმა. ამჯერად ჩვენი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც სხვებთან ერთად იყო ვალოდია გვარმიანი, რომელსაც სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად სჭირდებოდა ასეთი კლასის მარშრუტის გავლა. იმ დროს ბიუროკრატია მოითხოვდა სამარშრუტო ფურცელზე პასუხისმგებელი კონსულტანტის ხელმოწერას. ბუნებრივად მიშაზე უკეთეს კონსულტანტს ჩვენ ვერ მოვძებნიდით და მე მაშინვე გავიქეცი ალპიურ ბანაკ „შხელდაში", მის მოსაძებნად. ბანაკთან ახლოს გზის პირზე დავინახე უამრავი ხალხი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ალპინისტური წყვილის მუშაობას უზარმაზარ უარყოფითი დაქანების კლდეზე. მე გავჩერდი და დავინტერესდი იმ დროისათვის საბჭოთა ალპინიზმში გავრცელებული „შლიამბურის" ტექნიკით და ხელად გამოვარჩიე ავანგარდში მდგომი მიხეილ ხერგიანი. წყვილმა ძალიან სწრაფად გაიარა უკუდაქანება, დაეშვა „დიულფერის" გზით და ხელად დაიწყო მზადება ასასვლელად. დრო რომ არ დამეკარგა, მივედი და გავაცანი მიშას ჩემი თავი. მას არ გამოუხატია უკმაყოფილება იმის გამო, რომ შევაწყვეტინე ახალი ტექნოლოგიის ასათვისებლად უძნელესი რთული მონაკვეთის გავლა, რომელსაც ბევრი უძლიერესი ალპინისტი იმ დროისათვის შეუძლებლად მიიჩნევდა თავისუფალი ცოცვით.

მიშა დაინტერესდა ჯგუფის შემადგენლობით და როცა გაიგო, რომ ჯგუფში იქნებიან ვ.გვარმიანი და კ.დადეშქელიანი, კმაყოფილებით მითხრა — რთული ტექნიკური მარშრუტია და ლოგიკური, თვითონ გაერკვევით. გვისურვა წარმატება და მოგვიწერა ხელი სამარშრუტო ფურცელზე.

მე მოველოდი, რომ მოგვთხოვდა დაწვრილებით აღგვეწერა რთული მონაკვეთები, ყოველი (მონაკვეთის გავლის ტექნიკა და დრო, აღჭურვილობა და სხვ.) მაგრამ მალე მივხვდი, მიშა მთამსვლელში უპირველეს, აფასებდა საკუთარი ძალების რწმენას და ამჯობინებდა ყველა მათგანს ემოქმედა სიტუაციის შესაბამისად.

1965 წლის იანვარში მიშა, ალპინისტურ ბანაკ „ადირ-სუ"-ს ბაზაზე ორგანიზებას უკეთებს სპორტულ შეკრებას, რომლის მიზანი იყო მომავალი გუნდისათვის, რომელიც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" სახელით საკავშირო ჩემპიონატზე მონაწილეობისათვის ემზადება, შეერჩია საუკეთესო ალპინისტები. შეკრების ბოლოს გავლილი იქნა „დალაყორას" მწვერვალების ზამთრის ტრაევრსი.

ზაფხულის სეზონისათვის „კოლმეურნემ“ სსრკ ჩემპიონატისთვის განაცხადში „უშბის სარკის“ ცენტრალური მარშრუტი შეიტანა, მაგრამ „შეკრული“ გუნდი ჯერ კიდევ არ იყო. იმავე წელს მეორე ჯგუფმა, რომელიც „განთიადის“ სახელით გამოდიოდა სსრკ ჩემპიონატზე (ისინი 1965 წლის პრიზიორები გახდნენ) გ.ქართველიშვილის ხელმძღვანელობით, მიმიწვიეს გუნდში, მაგრამ მიშასთან ერთად ალპიურ ბანაკ „აილამაში“ წასვლა ვარჩიე შეკრებაზე, ვინაიდან მიშასთან შეიძლებოდა გესწავლა არა მხოლოდ მაღალი კლასის ალპინისტური ტექნიკა, არამედ ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელიც მიშას ღვთის მიერ ჰქონდა ბოძებული. ამის გარდა გუნდის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ იწყებოდა და ამაში მინდოდა დავხმარებოდი მიშას.

გუნდის შემადგენლობაში 6 მთამსვლელი შევიდა — მიშა ხერგიანი, მ.დანგაძე, ჯ.რუსიშვილი, შ.მარგიანი, პ.გვარლიანი და მე. ჯგუფი „რკინეულით“ დატვირთული გავიდა, მაგრამ წარუმატებლად დამთავრდა მარშრუტის მისადგომებამდე, სადაც არავითარი ტექნიკური სირთულე არ იყო. ჯ.რუსიშვილს ტრიკონიანმა ბატინკებმა უღალატეს, იგი ყინულზე მოცურდა, ხელი დაიზიანა და მთელი საჭურველი, რომელიც ზურგჩანთაში იყო ქვემოთ გაფრინდა, თვითონ როგორღაც შეჩერდა და ჯგუფი იძულებული შეიქნა დამავებული ჯ.რუსიშვილი სასწრაფოდ ჩამოეყვანა ძირს. ამის შემდეგ ზოგიერთი გუნდიდან წავიდა სხვადასხვა მიზეზის გამო. ჩვენ დარჩენილი მცირერიცხოვანი გუნდის წევრები გადავბარგდით მიშას სახლში — მესტიაში, რომელიც ჩვენი ბაზა გახდა, საიდანაც მალე გავედით „უშბის სარკის“ დასაზვერად.

მარშრუტი, რომელიც მიშას ჯგუფის მიერ იქნა გავლილი 1964 წელს, შეფასებული იქნა სსრკ-ს ჩემპიონატზე ოქროს მედლებით. მიშას უნდოდა წარმატების განმტკიცება და შესაძლებლობის შემთხვევაში „უშბის სარკის“ უფრო რთული — ცენტრის გავლა.

მოეწყო კედლის ძირში საბაზო ბანაკი, საიდანაც ხდებოდა დაკვირვება კედლის რეჟიმზე, მაგრამ ნისლი და უამინდობა. აგრეთვე თოვა არ გვაძლევდა საშუალებას შეგვერჩია მეტ-ნაკლებად უსაფრთხო მარშრუტი. ჩვენ დიდი მოთმინებით ველოდით გამოდარებას, მაგრამ ყოველდღიურად უფრო ნაკლები იმედი რჩებოდა. ლოდინი კარავში საუბრის საშუალებას იძლეოდა.

ერთხელ, როგორღაც, ძილის წინ უცებ მიშა მეკითხება: მითხარი რომან, რა გაიძულებს იარო მთებში, შენ ხომ ოჯახი გყავს, სამუშაო, სპეციალობა, შენ კი ყველაფერს ტოვებ და სიცოცხლეს საფრთხეში იგდებ. ეს იყო იმდენად მოულოდნელი, რომ მე მაშინ ვერ მოვძებნე რაიმე მოფიქრებული პასუხი, როგორც დრომ მიჩვენა, არ შემიძლია ავხსნა ეს ახლაც კი. უბრალოდ, მე არ შემიძლია წარმოვიდგინო ჩემი თავი, რომ შეიძლება ცხოვრება ასეთი ემოციონალური შეგრძნების გარეშე, როგორსაც იძლევიან მთები და ალპინიზმი. ჩემს შეკითხვაზე, თვითონ მას რა იზიდავს, ის ხომ მთაში დაიბადა და გაიზარდა, მიშამ უბრალოდ უპასუხა — დიდ მთებში ადამიანი გამოიცდება ისე, როგორც არსად სხვაგან და თუ შენ მზად ხარ წახვიდე მასთან წყვილში არა აუცილებლობის გამო, არამედ დარწმუნებული ხარ იმაში, რომ პარტნიორი არ გიღალატებს ნებისმიერ მდგომარეობაში, ცხოვრებაში შეიძლება დაეყრდნო ასეთ პარტნიორს, როგორც ალპინისტები იტყეიან — „მე მასთან წყვილში წავიდოდი“.

1966 წელი. საქართველომ სსრკ ჩემპიონატზე სასიმაღლო კლასში გამარჯვების პიკი შეუკვეთა. მიშას არ შეეძლო წაეგო ჩემპიონატზე, იგი თავის მოვალეობად თვლიდა გაევლო ის მარშრუტი, საიდანაც მოუნია უკან დახევა, მეგობრის სიცოცხლის გადასარჩენად, მოვალედ თვლიდა თავს ჩამოესვენებინა ილიკო გაბლიანი.

მას უნდა გადაეწყვიტა რთული საკითხი, დაეკომპლექტებინა გუნდი გამოცდილი მოსიმაღლეებისაგან. ხოლო იმ წელს ბევრი მოსიმაღლე ქართველი ალპინისტი იაპონიაში იყო წასული. გუნდში შეეიდნენ მხოლოდ ენთუზიასტები და მიშას მეგობრები: სამი თბილისელი — მიშა ხერგიანი, თამაზ ბაქანიძე და მე. დანარჩენები იყვნენ ქუთაისლები და მესტიელები.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე იმ რაიონში ჩამოვიდა კიდევ ორი გუნდი, რომლებიც იგივე მარშრუტით აპირებდნენ ასვლას, რამაც ძალიან დაძაბა სიტუაცია.

ვაჟა ფშაველას ქედის გავლის დროს უამინდობამ გამოიჭირა ერთ-ერთი გუნდის ვოროჟეიშჩევის ჯგუფი. ისინი ძირს ეშვებოდნენ. რადიოკავშირით მივიღეთ შეტყობინება, რომ ვოროჟეიშჩევი გარდაიცვალა მოყინვის და ცივი ღამისთევის გამო. მიშა უსიტყვოდ ადგა და პირველმა დაიწყო ჩაცმა და მზადება წასასვ-

ლელად. მას შევუერთდით — ზაქრო მუშკუდიანი, სერგო ბარლიანი, თამაზ ბაქანიძე და მე. ჩვენ ვიყავით სათავო სამაშველო ჯგუფი. საჭირო იყო ღრმა თოვლში სიარული, ზვავსაშიში ადგილების გავლა, მოძრაობა არა მარტო ჭირდა, არამედ ძალზე საშიშიც იყო. მიშამ ეს ყველაფერი იცოდა ყველაზე უკეთ, ზუსტად სამი წლის წინ მან ამავე ქედზე გამოცადა ამ რაიონის ამინდის ჭირვეულობა და სიმუხთლე, მაგრამ მან არა მხოლოდ გაუძლო ანალოგიურ სიტუაციას, არამედ შეძლო გადაერჩინა უმცროსი მიხეილი. მან ყველაზე კარგად იცოდა, რომ დროული დახმარება ერთადერთი შანსია გადაარჩინო ადამიანები, რომლებიც ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად განადგურებულები არიან. მაგრამ ამჯერად მიშამ კიდევ ერთხელ გამაკვირვა. როცა მივედით ქედის ძალიან დამრეც ზვავსაშიშ ფერდობზე, მითხრა თოკი ჩამეხსნა ჯგუფის სხვა წევრებთან, ამეკრიფა თოკი და არ გავნძრეულიყავი მანამ, სანამ თვითონ იმ ადგილს არ გაივლიდა და მომცემდა ნიშანს. მე გავუგე მას, ჯერ ერთი, რისკს ერთი ადამიანი სწევს და ზვავის მოწყვეტის შემთხვევაში მეწყვილეს შეუძლია თვალყური ადევნოს და თოვლში სწრაფად იპოვნოს და ამოთხაროს პარტნიორი, მეორე ის არის, რომ ღრმა თოვლში და ასეთ ფერდობზე საიმედო დაცვის ორგანიზება მაინც შეუძლებელია. თოკი და სხვა საჭურველი ზღუდავს და თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ აძლევს და მდგომარეობას უფრო ართულებს. ასე თითო-თითო გავდიოდით სახიფათო მონაკვეთებს, სადაც პირველი მიდიოდა მიშა.

ჩვენი დახმარება მათთვის, რომლებიც ძალიან მძიმე სიტუაციაში, ღონემიხდილები იყვნენ, დროული აღმოჩნდა. დალუპულის ტრანსპორტირება ჩვენ ავიღეთ ჩვენ თავზე, ამით დაშვების ტემპი გაიზარდა დანარჩენებისთვის, რომლებიც ჩვენს ნაკვალევზე საღამოსთვის უკვე „დიკის" მყინვარზე დაეშვნენ, სადაც მათ კვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა ჩვენი ექსპედიციის ექიმმა მუსელიანმა. ამის შემდეგ უკვე აღარ მოესწრო იმ სეზონში საშუალედო ბანაკებისა და სხვა დამატებითი სურსათით ტრასის უზრუნველყოფა და ექსპედიცია უკან წამოვიდა.

1968 წლისათვის საკავშირო ჩემპიონატზე სერიოზული განაცხადი იყო ჩრდილოეთ უშბის დასავლეთი კედელი, ჩვენ მთელი ზამთარი ვემზადებოდით და ვამზადებდით სათანადო საჭურველს. ასვლა იგეგმებოდა აგვისტოში და ჩვენ შეკრება უნდა ჩაგვეტარებინა ივლისში. მე ამ პერიოდში ვიმყოფებოდი ალპიურ ბანაკ „ადილ-სუ"-ში, ძირითადად იმის გამო, რომ შემეძლო იქ წამეყვანა ოჯახი. მიშასთან შეთანხმებული ვიყავი, რომ გამომიძახებდა იერიშამდე ერთი კვირით ადრე. მიშასგან დეპეშა მივიღე 18 ივლისს. მე ბანაკში დავტოვე ცოლ-შვილი და ბეჩოს უღელტეხილით გადმოვედი სვანეთში. იქ კი მაზერში დავინახე ლამაზად, ფერადი კარვებით და დროშებით კოხტად მოწყობილი ბანაკი. სადაც მზადდებოდა მწვერვალ უშბაზე მასობრივი ალპინიადა. მწვერვალზე 50 მთამსვლელი უნდა ასულიყო. ყოველივე ამ ღონისძიებაზე პასუხისმგებლობას თავისთავზე მიშა იღებდა. ალპინიადა წარმატებით დამთავრდა, მაგრამ ჩემპიონატზე ჩვენ უკვე ვერ ვასწრებდით მონაწილეობის მიღებას, მე უკან უნდა წავსულიყავი „ადილ-სუ"-ში. ამ დროს მიშამ ბაქსანის სამაშველო პუნქტიდან მიიღო რადიოგრამა. იტყობინებოდნენ, რომ მწვერვალ ჩათინიდან სამაშველო ჯგუფის ორი წევრი მოწყდა და სამხრეთის მხარეს ჩამოცვივდნენ. მიშას სთხოვდნენ საძიებო სამუშაოებში მონაწილეობას.

მან დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯგუფი და გავედით საძებნელად, მაგრამ რამდენიმე დღის ძებნა უშედეგოდ დასრულდა. ჩვენ დავბრუნდით მესტიაში. მე იქ ძალიან თბილი გაცილება მომიწყვეს და მეორე დღეს ბეჩოს უღელტეხილით დავბრუნდი „ადილ-სუ"-ში.

მომავალი სეზონისათვის მიშას დაგეგმილი ჰქონდა იმ დროისათვის ყველაზე პრობლემატიური — კომუნიზმის პიკის სამხრეთი კედლის გავლა, რომლის სიგრძე 3 კმ-ს აღწევს. ხოლო ტექნიკური სირთულე სიმაღლესთან ერთად იზრდება.

ექსპედიცია უნდა ჩაფრენილიყო პამირში მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებში, რადგან მიშა სსრკ ნაკრებთან ერთად ივნისში იტალიის დოლომიტებში იმყოფებოდა...

ინფორმაციამ მისი დაღუპვის შესახებ, „სუალტოს" კედელზე (იტალია) ღრმად შეძრა ყველა... წავიდა უდიდესი ალპინისტი და ადამიანი თბილი სულით და კეთილი ღიმილით სახეზე... მე დავკარგე მასწავლებელი და მეგობარი... ამბობენ, დრო კურნავს ჭრილობებსო, შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ტკივილი სულის სიღრმეში მუდამ რჩება.

ჯანსუღ ჩარკვიანი

# მიხეილ ხერგიანს

ჰკითხე ნისლებს,
ჰკითხე ღრუბლებს, —
შენი სულის ძმაბიჭებს,
კავკასიონს,
როგორც გუბეს
ისე გადააბიჯე.
ზეციურში სულთა მზე ხარ,
სინათლიდან მოდიხარ,
შხარაზე ხარ,
შხელდაზე ხარ,
შენ ნასული როდი ხარ.
ახლაც უშბის
თავზე ზიხარ, —
არ გეშვება, რა გიყო,
დასაპყრობი
მწვერვალი ხარ,
მაგრამ ვერვინ დაგიპყრო.
ეუმზერ
საქართველოს სახეს,
მის ყანებს და ვენახებს,
სასწაული
ბევრი ვნახე,
შენნაირი ვერ ვნახე.
ციდან უფლის
ლოცვას გვაღვრი —
მტრისა დამანწყევარი,
შენ, სულ სხვა ხარ,
სხვა სიმაღლის
დასაპყრობი მწვერვალი.

2003 წ.



შხელდა.

Евгений Евтушенко

# „ВЕРЕВКА ХЕРГИАНИ“

Есть в доме Михаила Хергиани
веревка та, что предала его,
звеня струней, натянутой на грони
добра и зла,
всего и ничего.
Он только высотою утолялся,
но сам себя он высотой не спас,
и треск нейлона в скалах итальянских
все окна в сванских домиках затряс.
Я трогаю лохматины волокон,
обманчивых,
на вид почти стальных...
Как можно верить людям,
и веревкам
с предателской,
прячущейся в них!
И все — таки,
мрачнея потаенко,
не скорблю сравненьем никоким
случайное предательство нейлона
с обдуманным предательством людским.
В нас разбивает веру и отвагу
холодное, как скалы, сволочье.
но к высоте таинственную тягу
не разобьет предательство ничье.
И струи дождевые в небе мгнлистам
не подведут,
надежны и просты,
веревками погибших альпинистов
протянутые к людям с высоты...

# „СВАНЫ“

Каждый сван подобен сванской башне,
будто сердце — в каменной рубашке.
В сдержанности, замкнутости свана
скрыта историческая рана.
Столько было крови здесь и боли, —
так что башней стоанешь поневоле.

книга
„Тяжелее земли“,
издательство „Мерани“,
Тбилиси, 1979.

**ალექსანდრე ბოროვიკოვი**

სსრკ ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე

# ჩვენი მიშა

ყველა ჩვენი ალპინისტისათვის, როგორც გამოცდილების, ასევე ახალგაზრდობისათვის, მიშა იყო ეტალონი არა მარტო მაღალი კლასის ოსტატობისა, არამედ ადამიანურობისა, რომელიც ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა მას, ვისაც ეს დახმარება ესაჭიროებოდა. ყველაფერს შუაზე ყოფდა, რაც ებადა. მთელი მისი ცხოვრება იყო ხორცშესხმა ქართველი პოეტის ნათქვამისა „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია".

ის იყო მაღალ კაცობის ჭეშმარიტი მაგალითი, სულით და ხორცით რაინდი.

**ი. არკინი**

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

# ის იყო მოვლენა

მიხეილ ხერგიანი უეჭველად განუმეორებელი მოვლენაა არა მარტო საბჭოთა ალპინიზმში, არამედ საერთაშორისო მთამსვლელობის ისტორიაშიც.

მარტოოდენ „უშბის სარკის" დამორჩილება რომ გავიხსენოთ, ისიც კი საკმარისია ერთი ადამიანის უკვდავებისთვის. ეს ასელა ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, მისი ორგზის შედგომა პიკზე საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე, უდიდეს სპორტულ ტრიუმფად.

ანდა მიხეილის სამაშველო საქმიანობა? როცა იგი ბენეის ხიდზე გადიოდა, რათა უცნობი ადამიანის სიცოცხლე ეხსნა საფრთხისგან.

დაუვიწყარია მიხეილის ხელმძღვანელობით ორმოცდახუთ კაციანი ძლევამოსილი მსვლელობა უშბაზე — სვანეთის წმინდათა-წმინდა მურყვამზე, როცა მან შესანიშნავი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი თვისებები გამოამჟღავნა.

მიხეილის, ამ შესანიშნავი ადამიანის სპორტული ბიოგრაფია, ფიზიკური და სპეციალური მომზადების თავისებური სისტემა, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, მისი ადამიანური თვისებები, ერთობ საინტერესო და ჭკუისსასწავლებელია ყველასათვის...

**ი.რუიეცევა**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში

# კლდის ვეფხვი სვანეთიდან

მისი სახელი გარემოცულია ლეგენდებით... განუმეორებელი ხელოვნება უბადლო მთამსვლელისა, უნახავთ კავკასიონს და პამირს, ალპებსა და ტიანშანს.

ინგლისსა და შოტლანდიაში ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მიხეილ ბესარიონის-ძე ხერგიანს უნიკალური სირთულის კედლების დაძლევისთვის, იქ ნაჩვენები უმაღლესი კლასისთვის მიენიჭა წოდება „კლდის ვეფხვი".

ეს მოხდა იტალიის ჩრდილოეთში, დოლომიტებში...

დაიღუპა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული, განუმეორებელი მთამსვლელი... 1969 წელს დაწესდა სახელოვანი ალპინისტის სახელობის გარდამავალი პრიზი, რომლითაც ჯილდოვდებიან კლდეზე ცოცვაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე საუკეთესო პირადი შედეგისთვის...



მიშა ხერგიანი.

**ლორდი ჯონ ჰანტი**

ევერესტის პირველი წარმატებული
ინგლისური ექსპედიციის ხელმძღვანელი

# „თენსინგი ვაჟკაცთა შორის“

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს — მიხეილ ხერგიანს, მის გულითად მეგობარ იოსებ კახიანთან ერთად პირველად შევხვედი იალბუზის ძირას, ადილსუს ხეობის სანერთნელ ბანაკ „სპარტაკში" — 1958 წელს. მშვენიერი გარეგნობის, ჩაფსკვნილ, მეგობრული გრძნობით გამსჭვალულ პიროვნებაში მყისვე შევიცანი ტიპიური ქართველი, მაღალი ზნეობის კაცი. მე და ჩემი მეგობარი მთელი 10 დღე ვცხოვრობდით ამ შესანიშნავ ნყვილთან. ამ ხნის განმავლობაში ავედით შუროვსკის პიკზე, ქარბუქის გამო, დაუვინყარი სამი დღე ერთად გავატარეთ უშბის „უნაგირაზე". მიხეილი და იოსები სვანეთიდან იყვნენ — „თეთრი ღვინის“, რძისა და თაფლის კუთხიდან. ზაფხულის თვეებში ისინი მუშაობდნენ მთამსვლელობის ინსტრუქტორებად. ჩვენი სტუმრობის დროს მიხეილი და იოსები გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, ოთხი წლის შემდეგ, როცა ჩვენ პამირში შევხვდით ერთმანეთს, მიხეილს უკვე მიეღწია კლდეზე ცოცვაში ჩემპიონის სანუკვარი ტიტულისათვის. ჩვენი მრავალი მთამსვლელი მონმე გახდა იმ ძალისა და მოხერხებისა, რაც მიშამ გამოამჟღავნა, როცა იგი 1960 წელს ჩამოვიდა დიდ ბრიტანეთში, საბჭოთა მთამსვლელების ჯგუფთან ერთად კავკასიონზე ასვლების მონანილეთა მიპატიჟებით. მან ბრიტანეთში ბევრი მეგობარი შეიძინა.

1962 წელს ჩვენ შევხვდით ერთმანეთს ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის მთავარ ბანაკში, პამირზე — პიკ „გარმოს“ ძირში. მიშა აქ ჩამოვიდა ახალი დიდებით მოსილი, რაც მან დაიმსახურა შჩუროვსკის პიკზე ჩრდილოეთიდან პირველი ასვლით. მიუხედავად დიდებისა და სახელისა, მათ, ვინც მას იცნობდა, კვლავ იგივე ძვირფასი მიშა ნახეს, კვლავ საყვარელი და უბრალო ადამიანი. მე მაქვს მისი იქ გადაღებული სურათი — ხელში უჭირავს თოფი და მოკლული კაკაბი, რომელიც ჩვენთვის მოეტანა.

მაშინ ჩვენ დავცილდით „გარმოს“ მნვერვალიდან დაშვების დროს უილფრიდ ნოისისა და რობინ სმიტის დაღუპვით დამნუხრებულნი. 7 წლის შემდეგ კი მიშაც დაიღუპა სუალტოზე მეექვსე კატეგორიის სირთულის მარშრუტის გავლის დროს. ეს დიდი დანაკარგია ჩვენთვის. ყოველი ნანილაკით იგი იყო ნამდვილი ვაჟკაცი, იგი იყო „თენსინგი ვაჟკაცთა შორის“.



მიშა ხერგიანი, ჯონ ჰანტი და იოსებ კახიანი.

არმანდო და როიტი

იტალია

# ის იყო საოცრება

მიშა გავიცანი 1969 წელს. ვაცოლერის მთის ქოხში, სადაც იგი იმყოფებოდა რუს ალპინისტებთან ერთად, ეს იყო ჩივეტას რაიონში არსებული საბაზო ბანაკი. მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, ჩვენ არ გაგვძნელებია გვემეგობრა და როდესაც იგი დაიღუპა, დიდი მწუხარება განვიცადე, რადგან დავკარგე ძვირფასი ახლობელი. ახლაც თვალნათლივ ვხედავ 2 ივლისის დღეს, მიშას და ონიშჩენკოს წყვილის ასვლას ბანკონგის მარშრუტზე, რომელიც განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. ექსპედიციის ხელმძღვანელ ანუფრიკოვთან ერთად, მრავალი საათის განმავლობაში ვადევნებდი თვალს მათ ასვლას. წყვილი იყო ბრწყინვალე! ხერგიანი სწრაფად მიიწევდა წინ და ეს იყო ცოცვის მაღალი ტექნიკის დემონსტრირება. მის ხელ-ფეხის შეხებით თითქოს კლდე გაცოცხლდა. მისი თვითრწმენა სძლევდა ყოველგვარ სირთულეს. 30 წელზე მეტი წლის მანძილზე ბევრი მეკლდეური მინახავს. მქონდა აგრეთვე შესაძლებლობა ვეზიარებოდი მსოფლიოს საუკეთესო ალპინისტებთან ცოცვის ტექნიკას, მაგრამ ხერგიანი ყველას აღემატებოდა. გარდა ალპინისტის თვისებებისა, მასში გამაოცა მშვენიერების შეგრძნების განსაკუთრებულმა განცდამ, ადამიანურობამ და თავისი მიწისა და ხალხის დიდმა სიყვარულმა.

ჟან ფრანკო

საფრანგეთი

# ნაღვლიანი მოგონება

როდესაც თბილისში ჩამოეედი, ქართველი მოსიმაღლეები მიშაზე საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ. წილად გვხვდა პატივი 1967 წელს მოგვეწვია ხერგიანი ქ. შამონის ნაციონალურ სკოლაში, ჩვენ გაგვაოცა მისმა სისხარტემ, ელეგანტურობამ და თავდაჯერებულობამ. ეს მან უჩვენა ონიშჩენკოსთან ერთად წყვილში — ყველაზე ურთულეს ასვლებში მონბლანის მასივში: მათ გაიარეს გრან-ჟორასის ჩრდილოეთ კედელი, გრან-კაპუცინის აღმოსავლეთი კედელი, პტი-დრიუს დასავლეთი კედელი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თავისუფალ ცოცვაში ხერგიანი იყო ერთ-ერთი უძლიერესთაგანი ყველა დროის მთამსვლელთა შორის.

ცნობამ მისი დაღუპვის შესახებ დიდი ნაღველი მოგვგვარა. ის მუდამ არის ჩვენს მოგონებებში და მისი დიდი სახელი დარჩება საერთაშორისო შეკრებების ისტორიაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო ალპინისტები. მას ჩვენ ვიგონებთ სიხარულნარევი ნაღეელით. სიხარულით იმიტომ, რომ მასზე ყველა აღტაცებით საუბრობს, ნაღელიანად იმიტომ, რომ მას წარსულ დროში ეახსენებთ.



არმანდო და როიტი.



მიშა ხერგიანი.

ვლადიმერ ვისოცკი

მსახიობი, პოეტი, მომღერალი

# ეძღვნება მიხეილ ხერგიანის ხსოვნას

მთებით მოხიბლულმა დავწერე ეს სიმღერა ფილმისათვის „თეთრი აფეთქება". სამწუხაროდ, იგი ფილმში არ შევიდა.

სიმღერა მივუძღვენი ახლახან ალპებში დაღუპულ ჩვენს შესანიშნავ მეკლდეურს — მიხეილ ხერგიანს. იგი მსოფლიოში საუკეთესო, უდიდესი მთამსვლელი იყო, ყველა მთამსვლელის კერპი, რომელსაც მთელ დედამიწაზე იცნობდნენ.

იგი ყველა ჩაბმისა და ჯგუფისათვის საიმედო მეგობარი იყო, რომელსაც ინგლისში ყოფნის დროს, თვით ინგლისის დედოფალმა უწოდა „კლდის ვეფხვი".

იგი იყო მკვირცხლი, მხიარული, გულთბილი ადამიანი და ნამდვილი ვაჟკაცი. მას ვხვდებოდი და ავყავდი მწვერვალებზე, რომელზეც ფილმი უნდა გადაგვეღო. ის იყო კაცი, რომელიც სიმღერით ძლევდა მწვერვალთა ურთულეს მონაკვეთებს.

თქვენ იცით, რომ თოკი, რომლითაც მთამსვლელები წყვილში არიან ჩაბმულნი, უბრალო თოკი არაა, რომელზეც 700 კგ-მდე ტვირთი შეიძლება ჩამოჰკიდო და გაუძლებს. ესაა სიცოცხლის ძაფი და შენზე ან შენს მეგობარზეა ყველაფერი დამოკიდებული, სხვა ვერავინ დაგეხმარება, ვერც მილიცია, ვერც ექიმი... აქ მხოლოდ შენ ხარ და მთები. მას ეს კარგად ესმოდა. ძალზე ჰუმანურად ექცეოდა ახალბედებს, ეხმარებოდა მათ.

საერთო გლოვა იყო, როცა იგი დაიღუპა.

ბრწყინვალე ბიჭი იყო!

მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ამ სიმღერას.

# К ВЕРШИНЕ

Памяти Михаила Хергиани

Ты идёшь по кромке ледника,
Взгляд не отрывая от вершины.
Горы спят, вдыхая облака,
Выдыхая снежные лавины.

Но они с тебя не сводят глаз,
Будто бы тебе покой обещан,
Предостерегая всякий раз
Камнепадом и оскалом трещин.

Горы знают — к ним пришла беда.
Дымом затянуло перевалы.
Ты не отличал ещё тогда
От разрывов горные обвалы.

Если ты о помощи просил,
Громким эхо отзывались скалы,
Ветер по ущельям разносил
Эхо гор, как радиосигналы.

И когда шёл бой за перевал,
Чтобы не был ты врагом замечен,
Каждый камень грудью прикрывал,
Скалы сами подставляли плечи.

Ложь, что умный в горы не пойдёт!
Ты пошёл, ты не поверил слухам —
И мягчал гранит, и таял лёд,
И туман у ног стелился пухом.

Если в вечный снег навеки ты
Ляжешь, — над тобою, как над близким,
Наклонятся горные хребты Самым
прочным в мире обелиском.



მიშა ხერგიანი უშბის სარკეზე.

# სწორუპოვარი მთამსვლელი

ერთ-ერთ მიმართვაში, საქართველოს ულამაზეს და უკეთილშობილეს კუთხეს, ჩვენს სვანეთს "ლომგულ არწივთა ბუდე ეუწოდე ". ისტორია და თანამედროვეობა ადასტურებს ამ მეტაფორის მართებულობას. მიხეილ ხერგიანი კი სვანეთის შესანიშნავი ფენომენის უბრწყინვალესი გამოხატულება და განსხეულება იყო.

მთის ხალხის სულიერი მისწრაფება მხოლოდ მწვერვალთა დალაშქვრის სურვილში როდი გამოიხატება. ამაზე მეტყველებს სვანეთის უნიკალური ქართული კულტურა, გენიალური სადიდებლები და ხუროთმოძღვრებისა თუ ხატწერის ძეგლები.

მაგრამ მთასვლელები, განსაკუთრებით მიხეილ ხერგიანი, საოცარი სიღრმით განსახიარებდნენ ქართველ მთიელთა, - სვანთა უმთავრეს თვისებებს: სიმამაცეს, შეუპოვრობას, კეთილშობილებასა და რკინის ნებისყოფას.

ქართული ალპინიზმის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება. მისი ფუძემდებლები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები - გიორგი ნიკოლაძე და ალექსანდრე დიდებულიძე. თვით საბჭოთა ალპინიზმსაც ხომ ძირითადად ქართველმა მთასვლელებმა ჩაუყარეს საფუძველი. ამ სკოლას უკავშირდება მისი უდიდესი წარმატებები.

საკმარისია დავასახელოთ ალიოშა და ალეხანდრა ჯაფარიძეები, გიო ნიგურიანი და იაგორ კაზალიკაშვილი, რომლებმაც 1934 წელს უშბა დალაშქრეს იმ დროისათვის ურთულესი მარშრუტით.

1937 წლიდან, კვლავ ქართველმა მთასვლელებმა, უშბაზე სამხრეთის კედლიდან ასვლით, საფუძველი ჩაუყარეს კედლოვან ასვლებს. გავიხსენოთ გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკა ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი.

მრავალი ქართველი მთასვლელი შეჭიდებია სიკვდილსიცოცხლეს. მრავალ დიდებულ მწვერვალზე ანთებულა, ქართული ხელით, გამარჯვების ჩირაღდანი. ჩვენს თვალწინ ერთმანეთს ცვლიდნენ ლეგენდარული თაობები.

იყო გამარჯვება... იყო მსხვერპლი... და მაინც ქუხდა გამარჯვების ყიჟინა ახალი მწვერვალების, ახალ სიმაღლეთა დაპყრობის აღსანიშნავად.

ამ ბუმბერაზი მთების წიაღში და ესოდენ მაღალი სულიერების გარემოში დაიბადა მიხეილ ხერგიანი, რომელსაც უფალმა უდიდესი მთასვლელის მისია არგუნა.

მიშა ცამეტიოდე წლისა მოეკიდა ამ გზას. მისი ნათლობის პირველი მწვერვალი ბანგურიანი იყო, რომელიც ზემოდან გადმოჰყურებს მესტიას.

მშობლიური სვანეთის შემდგომ, ყაბარდო-ბალყარეთის ალპინისტური ბანაკებიდან ახორციელებდა იმ დროისათვის შეუძლებლად მიჩნეულ ასვლებს ურთულეს მწვერვალებზე. წარმატებით მონაწილეობდა მეკლდეურთა საკავშირო შეჯიბრებებში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე სწორუპოვარი იყო.

1964 წელს მიხეილ ხერგიანმა გაიარა ჩრდილოეთ უშბის აღმოსავლეთის კედელი. ე.წ. "უშბის სარკე". ეს ნამდვილი გმირობა იყო!

მიხეილ ხერგიანი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს მთასვლელად ალპინიზმის ისტორიაში. მას აღიარებდნენ მსოფლიოს საუკეთესო ალპინისტები. დიდი ბრიტანეთის დედოფალმა და აღტაცებულმა მაყურებელმა უწოდეს მას "კლდის ვეფხვი". მან განაცვიფრა საფრანგეთი, მთელი ევროპა, სადაც "დაუმარცხებელი" შეარქვეს.

ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში, მიხეილ ხერგიანმა 400-ზე მეტი ურთულესი მწვერვალი დაიპყრო. მოიპოვა თორმეტი ოქროს მედალი. მათგან ოთხი მთასვლელობაში.

ჩემთვის ცნობილია, რომ ალპინიზმის სამყარო მრავალ უბადლო მთასვლელს მოითვლის. მაგრამ, ჩვენი თანამემამულე, მიხეილ ხერგიანი, სავსებით განსაკუთრებული ღირსებებით გამირჩეოდა როგორც სპორტსმენი და როგორც პატრიოტი, - თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი. იგი ერთადერთი და განუმეორებელია, - საქართველოს სიამაყე და ქვეყნის უძლეველობის სიმბოლოა.

მწვერვალი იყო მისი სულის აპოთეოზი და მშობლიური სტიქია. სწორედ ამიტომ შეისისხლხორცეს მწვერვალებმა ლეგენდად ქცეული სიცოცხლე. მთის სისპეტაკეში დასრულდა მისი მშვენიერი ცხოვრება. სხვაგვარი სიკვდილი არც შეიძლებოდა რგებოდა "კლდის ვეფხვს".

ამავდროულად, სავსებით სამართლიანია, რომ უდიდეს ქართველ მთასვლელად სწორედ სვანეთის შვილი იქცა.

უხსოვარი დროიდან სვანი კაცი ბეთქილს უმღეროდა. აწ და მარადის მისი სახით დიდ მიხეილ ხერგიანსაც უმღერის!

იეერი ჭელიძე

# მისი გზა მწვერვალებზე გადის...

საქართველოს არ მოჰკლებია დროის არც ერთ მონაკვეთში სახელოვანი შვილები, ღირსეული შემომქმედები; ეს იქნება სპორტი, ხელოვნება, მწერლობა თუ სხვადასხვა დარგები.

მიხეილ ხერგიანის სპორტული შემოქმედება ერთ-ერთი შედევრია მეოცე საუკუნის ალპინიზმის ისტორიაში.

მე მქონდა ბედნიერება, დროის გარკვეული პერიოდი, ბაკურიანში მასთან ერთად გამეტარებინა მაშინ, როდესაც მე საქართველოს პირველობისთვის ვემზადებოდი თხილამურებში, ის კი მორიგი შეკრებისთვის ემზადებოდა. ეს იყო 1964 წელს. ის კი უშბის დასალაშქრად ემზადებოდა.

ის გვანებივრებდა უმცროს თაობას მასთან ურთიერთობით, ყოველთვის ცდილობდა უშუალო და უბრალო ყოფილიყო, რომ შენც თავისუფლად გეგრძნო თავი.

მასთან გატარებული დღეები ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი და საუკეთესო მოგონებებია.

მიშა იყო ჩვენი სპორტული ცხოვრების გზის გამკვალავი. თავისი არსებობით ის ყველა ჩვენთაგანის ცხოვრებას ალამაზებდა.

მას ჰქონდა საოცარი ნიჭი, არა მარტო მთამსვლელობის, არამარტო კლდეზე ცოცვის, ის იყო საუკეთესო მოჭიდავე, მოთხილამურე, მომღერალი და მოცეკვავე.

მიშა მთაში დაიბადა და ლანჩვალის თეთრმა ბილიკებმა შორს წაიყვანა, შორს, მწვერვალების სიმაღლეებისკენ...

იგი ბუმბერაზ მთებმა შვეს, მათსავით ზვიად და სუფთა ადამიანად.

მე მეამაყება, რომ მიშა ჩემი კუთხის, ჩემი ერის ღირსეული მამულიშვილია.

სწორედ ამან განაპირობა, უფლება მიმეცა ჩემი თავისთვის, რომ კიდევ ერთხელ, მისი ხანმოკლე, მაგრამ ლეგენდად ქცეული სიცოცხლე წარმოგვეჩინა ამ ფოტო-ალბომის საშუალებით, რომლითაც მომავალი თაობები გააცნობიერებენ, რომ არსებობდა ერთი მესტიელი ჭაბუკი, ბანგურიანის კალთებზე დაფრთიანებული, რომელიც თავისი პიროვნული და ფიზიკური შესაძლებლობის სიმაღლეებით, მწვერვალთა სიმაღლეებს გაუთანაბრდა... მან უკვდავჰყო ქართველი ერის სახე ალპინიზმის ისტორიაში და ამით მსოფლიოს დაანახა ქართველი კაცის ბუნება, მისი შესაძლებლობა.

მიხეილ ხერგიანის სახე ყველა მწვერვალზეა ამოკვეთილი, მისი სულის სიდიადე, შეუპოვრობა, სიმამაცე, და ის რჩება ისტორიაში, კაცი სიკვდილთან მორკინალი, სიკვდილთან გამარჯვებული. მე მჯერა, მოვლენ თაობები, რომლებიც მიშას ღირსეულ გზას გააგრძელებენ...



სოფელი უშგული.

**ივანე ჯაფარიძე**

*საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდიუმის წევრი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი*

# ალპინიზმის უბადლო ოსტატი

მიხეილ ხერგიანის სახელთან ქართული მთამსვლელობის ლეგენდარული ფურცლებია დაკავშირებული.

მოგეხსენებათ, ალპინიზმი უმაყურებლო სპორტია და ბევრისთვის უცხოა ის განცდა, რაც მწვერვალზე ასვლისას ეუფლება მთამსვლელს, მაგრამ მიხეილ ხერგიანმა, კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატმა, მოახერხა თვალსაჩინო და გასაგები გაეხადა მაყურებლისათვის მთაზე სვლის ტექნიკა და ის დაუოკებელი ჟინი, რაც მთასთან შეჭიდებულ ადამიანს გააჩნია.

34 წელი გავიდა მიხეილის გარდაცვალებიდან, მაგრამ რაც დრო გადის, მისი სახელი უფრო მასშტაბური და ლეგენდარული ხდება.

ქართველ მთამსვლელთა დღევანდელი თაობა, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო მიხეილ ხერგიანს, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მათ მხოლოდ წიგნებიდან და მიშას თანამედროვეთა მონათხრობიდან იციან, მაგრამ როგორც კი ახალგაზრდებმა მიხეილის მიერ გავლილ მარშრუტებზე მოსინჯეს საკუთარი ძალა, მათთვის გასაგები გახდა მიხეილ ხერგიანის პიროვნებაც და მისი ოსტატობის დონეც.

ცხოვრების ლოგიკა ასეთია: თაობა მიდის, მოდის ახალი, რომელიც წინა თაობის ღვაწლისა და დამსახურების პირუთვნელი შემფასებელია. ამ შეფასებებსა და ანალიზში, ბუნებრივია, ახალი თაობის სახეც იკვეთება და თუ ოდნავ ჩავუღრმავდებით, უთუოდ დავინახავთ თაობათა შორის უწყვეტ სულიერ კავშირს.

ამის თქმის საფუძველს კი ის გარემოება მაძლევს, რომ 2001 წელს სამმა ქართველმა მთამსვლელმა ბენო ქაშაკაშვილმა, აფი გიგანმა და გელა ოთარაშვილმა იტალიაში, დოლომიტის ალპებში, მწვერვალ სულატოზე მიხეილ ხერგიანის დაუმთავრებელი მარშრუტი გაიარეს, რითაც პატივი მიაგეს სახელოვანი წინაპრის ხსოვნას და ერთგვარად ვალიც მოიხადეს მის წინაშე.

სუალტოდან დაბრუნების შემდეგ, ჩვენი მთამსვლელები გაკვირვებას ვერ მალავდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ 32 წლის წინ, იმდროინდელი საჭურველითა და აღკაზმულობით, როგორ შეძლო მიშამ უსწრაფესი ტემპით გაევლო სუალტოს ურთულესი მონაკვეთი.

დროის მდინარება, ხშირად, დავიწყების ბურუსში ახვევს მრავალთა სახელს, მაგრამ იგი ვერაფერს აკლებს ჭეშმარიტ გმირებს, ისეთებს, როგორიც მიხეილ ხერგიანი იყო, რადგან მისი უკვდავი სული სამუდამოდ შეეხიზნა თოვლიან მწვერვალებს.



იოსებ კახიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) და მიშა ხერგიანი.

ანზორ ბურჯანაძე

## სვანეთი ქართული ალპინიზმის სახელოვანი თავფურცელია!

1960 წელს ამირჩიეს ქუთაისის საქალაქო კომიტეტის კომკავშირის პირველ მდივნად.

იმავე წელს ჩემთან მოვიდნენ ლევან და ზურაბ ახვლედიანები გივი ყალაბეგიშვილთან ერთად.

ისინი იმ პერიოდში მიხეილ ხერგიანთან ერთად, უძლიერეს მთამსვლელებად ითვლებოდნენ. დიდი იყო მათი წუხილი იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის სპორტულმა კომიტეტმა, — მისმა ხელმძღვანელობამ, არ შეუწყო ხელი ქართველ მთამსვლელთა ჯგუფს, დაელაშქრათ ევერესტი.

რომ არა ეს ფაქტორი, ჩვენს მთამსვლელებს ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ დედამიწის უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა.

გულისწუხილის გამჟღავნებას მოჰყვა საქმიანი წინადადება, აგვეყვანა მწვერვალ „დოლომისზე" — 500-ზე მეტი ადამიანი და ამით მოგვეხსნა ყოველი რეკორდი მასიურ ასვლაში, რაც განხორციელებული იყო საბჭოთა კავშირში.

იმ დროს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა პატრიოტი, ყოველი სასიკეთო საქმის მოთავე — ემენ ტაკიძე.

მისი დახმარებით მოვაგვარეთ და უზრუნველვყავით ტრანსპორტირების და კვების ხარჯები.

მიხეილ ხერგიანი იმ პერიოდში არ იყო საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიაში ხვეწდა თავის ხელოვნებას. პირველი კითხვა, რაც დავუსვი მეგობრებს, იყო ის, რომ „თუ შეძლებდნენ მიშას ჩამოყვანას და ამ საქმეში ჩართვას?"

როგორ არაო, — მიპასუხეს, ამავე დროს შემპირდნენ „უმცროსი" მიხეილ ხერგიანის მონაწილეობის მიღებასაც.

მე სიფრთხილეს ვიჩენდი, რადგან მსურველთა რიცხვი უკვე 800 ადამიანი იყო და ჯგუფი ძირითადად სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული.

მთამსვლელთა ჯგუფი შეიკრიბა ცენტრალურ სტადიონზე. გეგმა ითვალისწინებდა „შოვში" დაბანაკებას და იქიდან მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას მწვერვალის დასაპყრობად.

უცებ ჩემთან, ლევან ახვლედიანთან და გივი ყალაბეგიშვილთან მოვიდა ატირებული ქალი და გვითხრა: „შვილი გამომეპარა სახლიდან და მოხსენით ჯგუფიდანო".

ჩვენ გავესაუბრეთ ამ წარმოსადეგ ახალგაზრდას, რომელსაც ვერ შევაცვლევინეთ სურვილი. ეს იყო მისი პირველი ნათლობა, თითქოს ცეკვა-თამაშით ავიდა მწვერვალზე.

შემდეგ ქართულ ალპინიზმს მისი სახით ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი შეემატა. ეს იყო მურად ჭიჭინაძე. ორივე მიშამ დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. ისინი ახალგაზრდებს აიმედებდნენ, აჩვევდნენ მთასთან ურთიერთობას. ამ ასვლამ სასიკეთო როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაშიც. გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, რომელმაც ჩემზე ადრე შესძლო მწვერვალზე ასვლა.

დღეს, როცა ამ ასვლას ვიხსენებ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ურთიერთობა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან გვაკავშირებდა. იყო სიძნელეები, იყო გაჭირვებაც, მაგრამ ამავე დროს, იყო ურთიერთნდობა, სიყვარული. მიშა ამ მხრივაც გამორჩეული იყო სხვათაგან.

1960 წელს მისი წყალობით ჩვენ დავამყარეთ საბჭოთა კავშირის რეკორდი მასობრივ ასვლაში, მწვერვალზე ავიდა 750 ადამიანი.

მიხეილ ხერგიანი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. ვიყავი მის დაკრძალვაზეც, სადაც შევხვდი შალვა მარგიანსა და მარლენ რატიანს. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მიშას სახლ-მუზეუმმა.

მიშას სახე მარად უნდა ცოცხლობდეს თაობიდან თაობაში.

ნოდარ ანდღულაძე

## მიშა ხერგიანი სვანური გონის სიმბოლო

ყოველი ხალხის ცხოვრებასა და ისტორიაში არის ადამიანი, რომელიც შეიკრებს თავის თავში ხალხის უმწვერვალეს თვისებებს და თავისი პიროვნებით ხდება ამ თვისებების სრულყოფილი მატარებელი და გამომხატველი.

ფსიქოლოგ მასლოუს სიტყვა რომ გამოვიყენოთ, ესაა „პიკის" მწვერვალის ადამიანი. მიშა ხერგიანი ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის მატარებელია.

თუ თენსინგ ნორგეი იყო ნეპალის უმაღლესი

ხალხის — შერპების ადამიანური უზენაესი სიმბოლო, მართლაც, „თოვლის სამყაროს ვეფხვი", — მიშა ხერგიანი სამართლიანადაა აღიარებული ქართველ ტომთაგან გამორჩეული მწვერვალის ხალხის — შხარის, უშბის, შხელდისა და თეთნულდის კალთებზე საუკუნეებით მოსახლე ხალხის — სვანების, კავკასიის პრომეთეზე არანაკლებ გმირად მისაჩნევი „კლდის ვეფხვი".

ამაში კლდის დაპყრობის თავბრუდამხვევი ოსტატობა კი არაა მხოლოდ დასანახი, არამედ — ხალხის გმირობა ამ კლდეზე ცხოვრების შექმნისა, სიცოცხლის დამკვიდრებისა, კლდეზე და კლდესთან ბრძოლაში საკუთარი ისტორიული მეობის გამოძერწვისა.

მიშა ხერგიანის უკვდავი სახელი სვანურ მწვერვალთა სიმაგრისაა, — სვანურ მწვერვალთა სიმაგრე პირობაა სვანური გონის უკვდავებისა.

გია ბულაძე

მხატვარი

# კაცი მთების სიმაღლე

მიხეილ ხერგიანს არ ვიცნობდი, არც არასოდეს შევხვედრივარ, უბრალოდ ვიცოდი, რომ არსებობდა ლეგენდარული ტალანტის, უშიშარი ადამიანი.

მე, მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა — მიხეილ ხერგიანი განსახიერებაა თვითაღზრდისა და თვითნერთნისა. გრანდიოზულ შინაგან, თანდაყოლილ მონაცემებს უფრო დიდი და მასშტაბური თვითგანვითარების, თვითგამოცდის ყინი დაემატა. ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ თითქოს ბატონი მიშა თავის თავს ებრძვის პირველ რიგში და შემდგომ მთის სიმაღლეებს, თუ დაკიდული კლდის ციცაბოსა და მოპრიალებულ სარკეს.

თვით მთამსვლელშია თავიდანვე მოცემული, აუღებელი, მიუნვდომელი მთა თუ მწვერვალი, რომელიც მას არ ასვენებს და მოუხმობს სიმაღლეთა დაპყრობისკენ.

სწორედ მის შინაგან სულიერ სიმაღლეებს განასახიერებს, სიმბოლურად მთები და მწვერვალები.

მიხეილ ხერგიანი შინაგან სიმაღლეებს არა მხოლოდ გონების გზით იპყრობდა, როგორც ამას საბედნიეროდ ორიენტირებული გონება აკეთებს, არა მხოლოდ მგრძნობელობით იხელთებდა, როგორც ამას სახელოვნებოდ ორიენტირებული ცნობიერება აკეთებს, არამედ პირველ რიგში ნებელობით ეუფლებოდა ჭეშმარიტების სამანებს.

მიშამ შეძლო ჩვენთვის დაენახვებინა, რომ მიზანი სწრაფვად ღირს, რომ მიუხედავად სხეულებრივი მარცხისა, მიზანი თვით სწრაფვის შემართების ტოლფასია.

მარცხი სწრაფვის ინტენსივობასთან შედარებით იზომება, რაც უფრო მეტია მისწრაფება, მით უფრო ილუზისეულია მარცხი და მით უფრო განადიდა მიზნის სიდიადე.

ეს სიდიადე მიზნისა ბატონმა მიშამ მეც კი მაგრძნობინა, მაგრძნობინა იმ ადამიანს, რომელმაც ფიზიკურად მთა არც კი იცის, უბრალოდ, სვანეთში ერთხელაც არ არის ნამყოფი, რომელსაც არანორმალური შიში აქვს სიმაღლისა.

და მაინც, მეც კი მაგრძნობინა ეს სიდიადე, რადგანაც მიშა ხერგიანში ცხოვრობდა ცოცხალი ლეგენდა გმირისა, რომელიც ჭეშმარიტების და მარადიულ სიცოცხლის საიდუმლოს — განძისკენ მიილტვის და მოიპოვებს კიდევაც მას.

მურადი უშხვანი

# მასთან შეხვედრა იყო დღესასწაული

მიშას ახლოს ვიცნობდი. ის გამორჩეული პიროვნება იყო თავისი უბრალოებით, უშუალო დამოკიდებულებით ადამიანებისადმი.

მახსოვს 45 კაციანი ჯგუფი, უშბიდან მშვიდობიანად დაბრუნდა, ბანაკ „შიხრაში" მოვაწყვეთ შეხვედრა, უამრავი გულშემატკივარი იყო: მიშას ყოველგვარი დაღლილობა მოეხსნა და პირველმა დაიწყო „ლილე", შემდეგ ფერხულში ჩაება. გვიკვირდა, საიდან ჰქონდა ამდენი ენერგია. სპორტულ მონაცემებთან ერთად, ის იყო მწიგნობარი, ძალიან განათლებული და ნიჭიერი.

მასთან შეხვედრა იყო დღესასწაული. საოცარი თამადა და მომღერალი. ის მაგალითი იყო ახალგაზრდობის, თუ როგორ უნდა გაუთქვა სახელი შენს ქვეყანას.

მან სიცოცხლეშივე ჰპოვა უსაზღვრო სიყვარული, რაც სიკვდილის შემდეგაც გრძელდება.

მირონ ხერგიანი

მწერალი

# «სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს!..»

„კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო, ნათქვამის არა გრცხვენოდეს?..“ სამწუხაროდ, დასაბამიდან მოყოლებული, მრავალი „კაი ყმა“ დააკლდა საქართველოს. ამ ომახიან შემოძახილზე მახსოვრობაში მგლისმუხლება, ქვეყნის წინაშე პირნათელიანი ვაჟკაცთა ლაშქარი წამოიშლება — შაელეგოები, ყანსავე ყიფიანები და რამდენი ძველი თუ, აგერ, სულ ახლახანს, შუა გზაზე წამოქცეული ლომისფერა მამულიშვილი გაგვახსენდება, მიწას რომ ვერ ჰგუობენ და ფართე ბეჭებით საფლავის ამონგრევას ლამობენ...

როგორ აკლია მათი ანთებული გულები მამულს, მითუმეტეს, დღეს, ქართველთა საერთო განსაცდელის ჟამს, როცა ყოველის მხრით გვიტევენ მტრული ძალები და ასეთი ფასი დაედო კაი ყმის საქმესა და სარბიელს.

მიხეილ ხერგიანი... ლალი მხრებით რომ გაჰქონდა თავისი ქვეყნის სახელი და დიდება, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საერთო საბჭოურ უსახურ ერთფეროვნებაში იკარგებოდა ეროვნული მეობა, იგი თავისი განუმეორებელი ქართული ფენომენით ანცვიფრებდა ყველას. მთებს შეტოლებული რაინდი ჩვენაც გვაგრძნობინებდა ქართული სისხლის უქცეველ მდინარებას, ჩვენეული ჯიში და გენის გამორჩეულობასა და თავისთავადობას...

მიხეილ ხერგიანი... ლეგენდარული „კლდის ვეფხვი“...

ასე იცნობდნენ მას მთელ მსოფლიოში, როგორც „უმამაცეს მთამსვლელს, მთების მინდიას. კაცს, რომელიც ქარზე მსბუქია და საჩვენებელი თითით ეკიდება უფსკრულის თავზე“...

„საოცარია მთა... შეგიჩვევს და ველარც მოსცილდები — ამბობდა მიხეილი, როცა მთამსვლელურ გატაცებაზე შეეკითხებოდნენ — მერმე მთა მშობელივით ახლობელი და საყვარელი ხდება, მთა სულში იდგამს ფესვებს, ისევე, როგორც ხე — მიწაში...“

ველარ მოსცილდა. ვერ უღალატა. ველარ შეელია!

უსასრულოდ დაგრძელდა სვანეთში, მშობლიური ლაღამის მისადგომებთან გაჩენილი ბილიკები... მაინც სად მიიყვანა იგი მთების სიყვარულმა, სად განუმნესა სამუდამო სასუფეველი...

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს
მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი“...

პოეტის თქმისა არ იყოს, ასეთი ბობოქარი ყოფაცა და აღსასრულიც ერის დიდება და უკვდავებაა!

ოთარ ჭილაძე

# მარადისობის მწვერვალზე...

მიხეილ ხერგიანი იმ გამორჩეულ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, სამშობლოს სახელს არა მარტო აქტიური ცხოვრებით, არამედ თავიანთი ტრაგიკული სიკვდილითაც რომ განადიდებენ. ცივილიზებულმა მსოფლიომ, რომელიც პატარა ერების მიმართ არასოდეს გამოირჩეოდა ყურადღებითა და გულისხმიერებით, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ მიხეილ ხერგიანის დაღუპვის დღეს გაიგო პირველად საქართველოს სახელი, ანუ მიახლოებით მაინც წარმოიდგინა საბჭოთა იმპერიის ჯურღმულებში ადგილ-სამყოფელი იმ ხალხისა, რომელმაც კიდევ ერთი დიდებული მთამსვლელი მოუვლინა სპორტულ სამყაროს, ხოლო ჩვენისთანა ჩვეულებრივ ადამიანებს ერთხელ კიდევ განუმტკიცა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. რაც მთავარია, მიხეილ ხერგიანს, იმპერიის ზედამხედველთა ზურგს უკან, თუნდაც ფიქრებსა და წარმოდგენებში, უპირველეს ყოვლისა, თავისი ბედკრული სამშობლოს არარსებული, სიზმარში შეკოწიწებული დროშა ჰქონდა მარადისობის მწვერვალზე. თავად კი მოწყდა კლდეს, მაგრამ სამშობლო, რომელიც ალბათ ჯერ კიდევ დიდხანს ეკიდება უილბლობისა და უსამართლობის ციცაბო კლდეზე, ერთი ნაბიჯით მაინც გაარიდა არარაობის მარად პირღია უფსკრულს... ასეთი პიროვნების დაღუპვა, მიუხედავად დიდი ტკივილისა, უიმედობისა და უმწეობის შეგრძნებას კი არ გვიჩენს, არამედ იმედითა და სიამაყით გვავსებს და მეც სიამაყითა და იმედით მინდა დავამთავრო ეს პატარა სიტყვა: ვიდრე სვანეთის ჭაღარა მწვერვალები ფეხზე დგანან, საქართველო არ დაიღუპება. სვანეთი ის ზღაპრული ბროლის კოშკია, სადაც თოვლის დედოფალი და უგულო ბიჭი კი არა, მარად ნაუბილწავი ქართული ზნეობისა და მარად უტეხი ქართული სულის მჭედელი ხალხი ცხოვრობს.

2003 წელი.

შერმადინ ქალდანი

## «ჩხუმლიანი კლდეს რომ მოსწყდა, «ლილეოს» მღეროდა, ხელები გაშალა — გაფრენა ენადაო»

ქარები ღრიალებენ, ქარები გუგუნებენ,
ზვავებმა ამოავსეს კლდეთა ნაპრალები.
ჰეი, ჩხუმლიანო, რად ხარ უგუნებოდ,
უქმად რად ჰკიდია შენი ჯაბრალები.
დაჯარდნენ თეთნულდი, უშბა და შხარა,
გელიან ახალი გზები.
სივრცეს მიარღვევენ გრიგალზე ჩქარა
არწივთა ძლიერი ფრთები.
ფრთები, ო, ჩხუმლიან, ფრთები!
სურვილი ქროლვის და ფრენის
თეთრი მზის სხივებად ჩენის,
ზოგს ხომ თვით სიკვდილიც შვენის...
მაგრამ აქ რა უნდა სიკვდილს,
ვითა სძლევს მკერდმაგარ მურყვამს
ჩხუმლიან, თეთნულდი გიცდის,
გელიან შხარა და უშბა.
ახლა სვანეთში „ლილეს" გუგუნებენ,
ზვავებმა გადალეკეს კლდეთა ნაპრალები,
და შენც, ჩხუმლიანო, რად ხარ უგუნებოდ,
უქმად რად ჰკიდია შენი ჯაბრალები.

გიორგი გიგაური

## შენს დაშორებას მარად ვინაღვლებთ

...და აი, მოველ ხევსური კაცი,
სისხლით და გულით,
გულით და სისხლით,
გახსენებ, კვნესა დასცდება არწივს,
გაიფანტება თეთნულდზე ნისლი.
მშვიდობით, ძმაო, იყავ კაცური
და შენმა მთებმაც გიძმეს კაცურად,
პიტალო კლდენი ხელში დაწურე,
გაპკიჟინებდი მთებს მამაცურად.
მიდიხარ,
გვტოვებ,
ტოვებ სიმაღლეს
სვანეთს აუვსე ცრემლის სურები;
შენს დაშორებას მარად ვინაღვლებთ,
და ასეთ სიკვდილს მეც ვისურვებდი!

ვალერიან საღლიანი

## ვეფხი კლდით გადმოეკიდა

რად სტირის ღრუბლებში
ჩუმ-ჩუმად ნეტა მზე? —
თვალს ცხელი ცრემლი წვავს,
გულს — ნაღვერდალები...
თმებით დაკიდულან თოვლიან კეტამზე
დამხვრჩვალი დალები...
დასრულდა ზღაპარი.
მოეღო ბოლო მითებს.
უშბიდან მენამულ მაშხალებს ისვრიან...
ო, ფისიმც დასხმია მაცდურ დოლომიტებს,
ჩხვიმლიან!
თეთნულდის თეთრ წვერზე
კურცხლები დაგორდა.
ვარსკვლავნიც დნებიან, ცრემლებად ცვივიან
ვაი მე, რა ნადიმს გიმართავს აგორდა,
ჩხვიმლიან!
კივიან ზარები
და შმაგი ქარები
ყინვარებს ლოკავენ,
მთებს გაეთამაშნენ...
კვლავ მთაში დაუდის სამხვერპლო ხარები
მამაშენს...
მჯილს იცემს,
ლაღამი ცრემლებით მოალტო, —
ხვალ შენი მოძმენი ჯიხვებზე ივლიან...
ბოროტი ღიმილით გისტუმრებს სუალტო
ჩხვიმლიან!
ო, რად შლის სიკვდილი
სიცოცხლის თარილებს? —
სად შემოგვეფეთა მზაკვრულად, ფარულად,
მაგრამ შენს საქმეებს ლეგენდად წარილებს
ჟამთასვლის მარულა.
კლდეზე აღესრულე,
შმაგო ვეფხო, კლდეთა.
ტახტზე კვნესით სიკვდილს
ეს სჯობს გაცილებით...
ცაში დაფრინავდი, მიწას შეუერთდა
შენი დამსხვრეული
ტანის ნაწილები...
განყდა ბაწარი და
კლდეზე დაეკიდე.
გარს ცეცხლისფრთიანი ღრუბლები გივლიან...
ალბათ ბეთქილივით თეთრ შუნს გაეკიდე,
ჩხვიმლიან!



ეოჟა ფანგანი

# უბრალოებიდან — უკვდავებამდე

დიდი სპორტსმენები საქართველოს მუდამ ჰყავდა, მაგრამ მიხეილი განსხვავებული იყო თავისი სპორტული მიღწევებით და შინაგანი შემოქმედებით.

მე მქონდა ბედნიერება მასთან მოკრძალებული, ხანმოკლე ურთიერთობის. მიუხედავად იმისა, ის გაცილებით უფროსი იყო ჩემზე.

მიშა იყო იდეალური პიროვნება და ლეგენდარული მთამსვლელი. ის რომელ გზასაც არ უნდა გაჰყოლოდა, ეს იქნებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობა თუ მეცნიერულ-პროფესიული დარგები, ის ყოველთვის მაღალ შედეგებს მიაღწევდა, რომლის განმეორებასაც ვერავინ შესძლებდა.

მე ვყოფილვარ უცხოეთის ქვეყნებში, არისტოკრატულ წრეებში და სიამაყით მითქვია: რომ ის ჩემი კუთხის, ჩემი ერის შვილი იყო. მას საზოგადოების დიდი ნაწილი იცნობდა, როგორც კავკასიელს, გამორჩეულს თავისი სიმამაცით, შეუპოვრობით და ხელოვნებით.

ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი რემ ხოხლოვი, რომელიც ფიზიკოსიც იყო და მთამსვლელიც. ასე ამბობდა: „მე არასოდეს მინახია მიხეილის მსგავსი, მიმსგავსებულიც კი"...

მიშა ერის სიძლიერეა, ის გარდაიცვალა, არ მომკვდარა... როგორც კი ჩვენ იმ ღირსეული შვილების დავიწყებას შევძლებთ, ვინც ჩვენი ერის სახე მსოფლიოს დაანახა, მაშინ დაიწყება ეროვნული დეგრადაცია... მან ერთი მიწიერი სახე შეცვალა მეორეთი... ადამიანები თაყვანს სცემდნენ გამოგონილ კერპებს. მიშას გამოგონება არ სჭირდება. ის ბუნებრივად იყო დადებითი მუხტის მატარებელი, ამიტომ უყვარდა ყველას. მას მომხიბლავი ურთიერთობა ჰქონდა, კეთილი ღიმილით შეგაყვარებდა თავს.

მთამსვლელები განსაკუთრებული ხალხია, მიშა მათ შორის გამოკვეთილი ლიდერი იყო. მისი მწვერვალზე ასვლის და დაშვების მომენტი დღესასწაული იყო.

1995 წელს აჭარაში, ბატონ ასლან აბაშიძემ საფუძველი ჩაუყარა მ.ხერგიანის სახელობის საერთაშორისო მემორიალის გახსნას მეკლდეურობაში. ამავე წელს გაიხსნა სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად ღებულობს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატში და მოსწავლეთა პირველობაზე, 1997 წლიდან წილად მხვდა ბედნიერება, გარკვეული წვლილი შემეტანა ამ ღონისძიების ჩატარებაში, რომელიც დღემდე გრძელდება. მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რა გზა გაიარა ჩვეულებრივმა, მოკვდავმა ადამიანმა უბრალოებიდან უკვდავებამდე, რომელმაც მარტო თავისი სიცოცხლე კი არა, ადამიანი და მთები აქცია ლეგენდად.

ჩვენ ყველას გვიყვარს სამშობლო, მაგრამ მან პატრიოტიზმის გრძნობა კიდევ უფრო აამაღლა თითოეულ ჩვენთაგანში.

მთებს შეჭიდებული მიხეილი, მწვერვალთა სიმაღლეებისკენ, დაუპყრობელი სივრცეებისკენ სწრაფვამ უკვდავებად აქცია. მის სახელს ვერასოდეს გაახუნებს ჟამთა ცვლა.



შხარა დადიაშიდან. (ფოტო ზ. ჩართოლანის)

ა. გელოვანი

# არნივის დაღუპვა

მთები უხმობენ მამაც ხერგიანს,
მისი მშობელი სვანეთის მთები...
სეტის კოშკებიც დგანან,ელიან,
მაგრამ არნივმა დაკეცა ფრთები.
ვერ მოისვენა ბეთქილის ტომმა,
ეჭვიანობდა ალბათ დალიცა...
ის, როგორც ვეფხვი, ფიქრი და
ლტოლვა,
მზისკენ სნრაფვაში დადნა, დაიწვა.
ჩამოსხდებიან ახლა ქალები,
ჩამოიშლიან შავ-შავ ნაწნავებს...
შენ მეხსენიო შხარას კარები!
და სადღაც სიმწრის წყარო ნაწნკარებს.
ნუ გინდათ ცრემლი... რა გემართებათ?
კერასთან კვდება სულით ლატაკი...
მზისკენ სვანეთის ლტოლვის ხატებად
დგას ხერგიანის თეთრი ქანდაკი.

იოსებ ბაიაშვილი

# გმირის სიკვდილი

ყველას რადა ჰკლავ, სიკვდილო,
რად არ თვითონა ჰკვდებიო?!
შენ ვერც ბუნება გაშინებს,
ვერც ეს დიდრონი მთებიო,
რამდენი გმირი ჩაყლაპე,
შენ მაინც ვერა ძღებიო,
ერთიღა დაგრჩა — სახელი,
ვერაფერს ვერ უშვრებიო.
სახელს ვერ მოსპობ ვერც შენა,
ვერც საუკუნო წლებიო,
სახელი ქვეყნადა რჩება,
მინას — ლეში და ძვლებიო.
ორივესა ჰყავ პატრონი,
ვერცერთს ვერ შაეხებიო,
გმირებს ნუ შაეჭიდები,
სიკვდილო, დამარცხდებიო!

28.VII.80



უშგული.

ბუთული მჭედლიანი

უშბის ალპინიადის მონაწილე

# დიდების გვირგვინი

ბედნიერია სვანეთი იმით, რომ მიშა ხერგიანი გაზარდა. კაცი, პირველ რიგში ყოველგვარი დადებითი თვისებებით შემკული, ფენომენი სპორტის ყველა სახეობაში.

მიშას ქება-დიდებას, მისი თანდასწრებით ვერ გაბედავდი. ის ყოველთვის ცდილობდა საკუთარ თავზე წინ სხვა დაეყენებინა.

არ არსებობდა წინააღმდეგობა იქ, სადაც მიშა იყო. ყოველგვარ სირთულეს ომახიანი შეძახილით გაგიქარწყლებდა... არ გაგრძნობინებდა, რომ ის შენზე ძლიერი იყო.

ჩრდილოეთ უშბაზე 45 კაციანი მასიური ასვლა რომ განხორციელდა, მიშამ პირჯვარი გადაიწერა და სთქვა: — „გმადლობთ ღმერთო, ეს ხალხი რომ გადამირჩინე".

72 წლის ალმაცგირ კვიციანმა კი უშბის წვერზე შემდგარმა, მიშას სადღეგრძელო შესვა და უშბას ნიშნის მოგებით მიმართა: „მაინც არ მოვკვდი მანამ, სანამ თავზე ფეხი არ დაგადგი".

მიშას სიკვდილმა სულით ხორცამდე შესძრა მთელი სვანეთი. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, სვანეთში ცხოვრების დონე და ტურიზმიც სხვა საფეხურზე იქნებოდა დღეს.

მიშას სახელმა პლანეტა შემოიარა და საქართველოს დიდების გვირგვინი დაადგა.

ვაჟა ხეისტანი

# კაცი იყო და ლეგენდად იქცა

ადრე ჩვენი წინაპრები თავის შეუცნობელ ღვთაებას ეთაყვანებოდნენ, მათი სალოცავი კერპი იქნებ მუხა ან ფიჭვი ყოფილიყო, მაგრამ იგი ბუნდოვანი ძალებით აღჭურვეს, ღვთაებრივი შარავანდედით შემოსეს და თავისივე ნისლიანი ფანტაზიის ნაყოფს სცემდნენ თაყვანს.

დრონი იცვლებოდნენ, დრონი მეფობდნენ...

შემდეგ ამ ღვთაებას ღმერთკაცი დაარქვეს, წმინდა გიორგი უწოდეს და ქუდოსანთა და მაშვრალთა მფარველად იგულვეს.

დრონი იცვლებოდნენ, დრონი მეფობდნენ...

ახლა, აქ, ჩვენი წინაპრის სალოცავში, მათივე ფიქრითა და ოცნებით მებრძოლი, შემოქმედი სულის ბუნებით შექმნილი განძია დაცული. საუკუნეთა ჭიდილს გადარჩენილი, ახლა ამ განძის სანახავად დადიან სხვანი და სხვანი.

წმინდა გიორგის ეზოში ტაძრის სიმაღლემდე აზიდული ძეგლი დგას, ქვეყნის სიყვარულის და სითბოს დამტევი გულით. სხვანი და სხვანი მოდიან აქ და თაყვანს სცემენ კაცური კაცის, ლეგენდად ქცეული კლდემსვლელის დიდებულ სახელს. იგი კაცი იყო და სამშობლოს სიყვარულის საზომი გახდა...

და ეთაყვანებოდნენ მას სხვანი და სხვანი, ერი ყოველი. დგას გრანიტის მკერდფართო, ბეჭგანიერი კაცი და თბილი მზერით მწვერვალებისკენ გასაფრენ მანძილს ზომავს.

იგი კაცი იყო და ლეგენდად იქცა...



ტატაშ ხერგიანი, გოჯი გვარლიანი, მიხეილ ხერგიანი უმცროსი (ზურგით) მიშა ხერგიანი, სპარტაკ ჯეჯელავა. მესტიის აეროპორტში. შოთა ჩართოლანის ფოტო

ბორის სარალიძე

# მიხეილ ხერგიანი ვაჟკაცობისა და თავდადების სიმბოლო

პიროვნებაზე ფიქრი ჟამი-ჟამ პარადოქსულ შეფასებამდე მიიყვანს ხოლმე ადამიანს და ინყება განსჯა გარკვეულ საზომებზე და კრიტერიუმებზე (ანუ ერთგვარ ნორმაზე და ილუზიაზე), რომლებიც პიროვნების იდუმალებას როგორლაც გვიხსნიან და წვდომას გაგვიადვილებენ. ამგვარ ნორმად და იდეალად, უჩვეულობის სიმბოლოდ ალვიქვი ჩემს გულსა და ცნობიერებაში მიხეილ ხერგიანის პიროვნებაც, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე მესტიაში ჩავიდოდი პარტიის მესტიის რაიონის პირველ მდივნად.

მიხეილ ხერგიანი არ გახლავთ ერთი რაიონის, კუთხის, თუ გნებავთ, ერთი ქვეყნის სიმბოლო, იგი მსოფლიო მნიშვნელობისაა. მთამსვლელთა მრავალათასიან კოპორტაში მიხეილ ხერგიანის სახელი, მისი ოსტატობის უნიკალური მაგალითები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი და დღესაც, მსოფლიო მნიშვნელობის კლდეზე ცოცვის ოსტატებისათვის თითქმის მიუწვდომელი გახლავთ.

პირადად, ბატონ მიხეილს არ ვიცნობდი, მიხეილი, მესტიაში ჩემს ჩასვლამდე რამდენიმე თვის წინ იტალიაში, მწვერვალ სუალტოზე ასვლისას ტრაგიკულად დაიღუპა. ეს იყო საქართველოში უდიდესი მწუხარებისა და ტკივილის ჟამი. იგი სრულიად საქართველომ დაიტირა. შემდგომ წლებში, მესტიაში ჩამოსული დელეგაციებისა თუ სხვა საპატიო სტუმრებისათვის მიხეილის შესახებ გადაღებული ფილმის ჩვენებისას, (რომელიც ძალზე შთამბეჭდავია), ხშირად, სინანულის ცრემლები წამომსვლია. ასევეა დღესაც.

მიხეილ ხერგიანი იყო კაცობის, მეგობრობის, ძმობის და ვაჟკაცობის სიმბოლო. ყველა ეს თვისება მას არაერთხელ დაუმტკიცებია.

მე ძალიან ახლოს ვიცნობდი და უდიდეს პატივს ვცემდი მიხეილის მამას, ბატონ ბესარიონ ხერგიანს და მის ახლობლებს. ეს ხალხი მესტიაში გამოირჩევიან კრისტალური პატიოსნებით, სიყვარულით და სვანებს შორის განსაკუთრებული პატივისცემით. ხერგიანის გვარი ზემო სვანეთში გაულანძლავი — შეუბღალავი გვარია.

თვით მიხეილის სახელი სვანებისათვის იმდენად საპატიო და ახლობელია, რომ ბევრ ოჯახში დღესაც ახლად დაბადებულ მემკვიდრეს მიხეილს არქმევენ და ამით საკუთარ მემკვიდრეს მიხეილ ხერგიანის უნიკალურ ადამიანურ თვისებებს უწინასწარმეტყველებენ.

სვანები ალპინიზმს უდიდესი დროიდან მისდევდნენ. ეს განპირობებული იყო თვით მათი მკაცრი ყოფაცხოვრებით მთებთან და მწვერვალებთან ჭიდილში იწრთობოდა მათი სული..

მიხეილ ხერგიანმა, თავისი ხანმოკლე ცხოვრებით, იმდენად ეფექტურად და შთამბეჭდავად გაიელვა ჩვენს თვალწინ, რომ სვანეთსა და მთელს საქართველოში მის ბრწყინვალე სპორტულ და ცხოვრებისეულ მაგალითებს, ათასობით კუნთმაგარი და განსაკუთრებული ვაჟკაცობით გამორჩეული ახალგაზრდა გაჰყვა. ამიტომაცაა, რომ დღესაც საქართველოში ძალზე ძლიერია ალპინისტთა სკოლა და მისი ღირსეული წარმომადგენლობა, რომლებიც თავიანთი ოსტატობით ტოლს არ უდებენ მსოფლიოში ცნობილ მთამსვლელთა მიღწევებს. ყველა მათგანისათვის მიხეილ ხერგიანის პიროვნება არის ვაჟკაცობისა და სიმაღლისკენ სწრაფვის ნათელი სიმბოლო.

უდიდესი სურვილი მაქვს, ჩემთვის ახლობელ და საყვარელ სვანებს, სრულიად საქართველოს, ყველა ღირსეულ ახალგაზრდა ვაჟკაცს ვუსურვო, რომ ყოველთვის ღირსეულად ატარონ უდიდესი ქართველი ვაჟკაცის მიხეილ ხერგიანის სახელი.

ბატონი მიხეილის ის დამახასიათებელი მაღალადამიანური თვისებები, რომელიც მას უხვად გააჩნდა, ყველა ქართველ ახალგაზრდას დაამშვენებდა და მისცემდა მას ცხოვრების და შრომის საგზურს, რომელიც დღეს ესოდენ სჭირდება თავისუფალი — დამოუკიდებელი საქართველოს ახალგაზრდობას.

29.04.2003

ლეუშა ჯაფარიძე

სპორტის ოსტატი ჭიდაობაში

# ადამიანი-საოცრება

მიხეილ ხერგიანთან მე მაკავშირებს ბავშვობისდროინდელი მოგონებანი. ერთად ვიზრდებოდით, ერთად ვჟღურტულებოდით და თითქოს, ერთმანეთის ნაბიჯებსაც ვითვლიდით.

მიხეილი ყველასგან გამორჩეული ადამიანი იყო თავისი რაინდული ბუნებით, მეგობრები-

სადმი სიყვარულით და ერთგულებით, თავისი პატიოსნებით და სათნოებით. ადამიანი — საოცრება, კაცი — ლეგენდა...

მთაზე პირველად ფეხის დადგმისთანავე გაიღვიძა მასში მთამსვლურმა ჟინმა: სურვილმა, დაეპყრო უდიდესი მწვერვალები. სიცოცხლის ბოლომდე ალპინიზმის სიყვარულით ცხოვრობდა და ამ სიყვარულს შეეწირა კიდეც...

ერთმანეთს ცვლიდნენ წარმატებები კავკასიონის მწვერვალებზე, იალტაში, ტიანშანსა თუ პამირში.

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლები სპორტის დამსახურებული ოსტატისა და ჩემპიონის სახელი და „კლდის ვეფხვის" საპატიო წოდება...

მიშამ ნატვრაც განსაკუთრებული იცოდა. ოცნებობდა „გამარჯვების პიკზე" დალუპული მოძმის, ილიკო გაბლიანის ცხედარი, მწვერვალიდან ჩამოესვენებინა, მაგრამ ამ ოცნების განხორციელება მას არ ეწერა...

დოლომიტებში, „სუალტოს" მწვერვალზე ასვლისას უმუხთლა ბედმა, ქვათაცვენის დროს თოკი გაუწყდა და მარადისობაში გადაეშვა, მაგრამ იცოცხლა ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მომკვდარა, მან თავისი უკვდავი სახელით თვითონ სიკვდილი მოკლა.

ღმერთმა ქნას, სვანეთს ბევრი დაეზარდოს მისნაირი ღირსეული ადამიანები.

გურამ გუნავა

კონტროლის პალატის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამსახურის უფროსი

## რჩეულთა ხვედრია...

წლების განმავლობაში ვმუშაობდი ლენტეხის რაიონში. სვანეთის პირობებში გავეცანი ალპინიზმს, მთამსვლელების რთულ, მაგრამ მეტად საინტერესო ცხოვრებას.

მუდამ მაოცებდა მთების სიმკაცრესთან შერწყმული სვანი ვაჟკაცების ის შემართება, რასაც ალპინიზმის სიყვარული ჰქვია.

ძალიან ბევრი რამ მსმენია ბატონ ჯოკია გუგავასგან, მიშას ცხოვრებაზე, მის სიმამაცეზე, თავგანწირულობაზე, სიკვდილთან შერკინების დაუოკებელ წყურვილზე და მაოცებდა, ნუთუ შეიძლებოდა ერთ ადამიანში ყველაფერი ასე იდეალურად ყოფილიყო შეზავებული.

მიშა ხერგიანი იყო მთამსვლელთა ხელოვნების განუმეორებელი ეტალონი. მან მთელ სამყაროს გააცნო არამარტო საქართველო, არამედ საქართველოს ულამაზესი კუთხე — მისი ბავშვობის აკვანი, სვანეთი. მსოფლიო არენაზე გაიტანა თავისი კუთხის დიდება, სახელი, რომელიც შემდგომ თაობებს, როგორც ცოცხალი მატიანე ღირსეული ადამიანისა, ისე შემორჩებათ.

მის სახელს ატარებს მრავალი ქუჩა, სკოლა... მწვერვალი. ალპინიზმი მამაცთა სპორტია — მამაცთა შორის უმამაცესი მთამსვლელი, როგორც „ლეგენდა" ისე შემორჩა სიკვდილ-სიცოცხლეს.

აკი რჩეულთა ხვედრია — სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის მარადიულობა.

ავთო ციბაძე

## «ვეფხვი კლდით გადმოეკიდა»

ქართველმა ხალხმა თავის საყვარელ მეფეს იალბუზის მთაზე შეადგმევინა ფეხი; ღმერთებთან მებრძოლი ამირანი მხოლოდ მთის ძლევამოსილებას დაემორჩილა; „მთაო გარდმიშვი, გარდმიშვი" — მღეროდნენ ადრე.

და რა გასაკვირია, თუ არიან ადამიანები, საოცარი, ბევრისთვის ამოუხსნელი ხასიათის ადამიანები, რომლებისთვისაც მთა სიცოცხლის მომნიჭებელ ანდამატად იქცა, რომლებსაც ისე ესაჭიროება მთასთან შერკინების ტკბილ-მწარე განცდები, როგორც ყოველ მუშაკს შრომაში მოპოვებული გამარჯვებების სიხარული.

მთამსვლელი — ასეთი სახელი შეურჩია ენათმეცნიერებამ მთაზე შეყვარებულ ადამიანებს: „მახსოვს, — მითხრა ერთხელ ცნობილმა მთამსვლელმა, — გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი, გადარჩენის იმედი გადამიწყდა. თუ ახლა გადავრჩი, ვთქვი გულში, მორჩა, დავემშვიდობები მთას! დავაღწიე ხიფათს თავი, ჩამოვედი ბარში. ერთი კვირის შემდეგ უკვე უარესი სიძნელის მწვერვალზე ასვლას ვგეგმავდი ამხანაგებთან ერთად!"

მთამსვლელის სიყვარული სიკვდილის შიშის დამთრგუნავი სიყვარულია. ძნელია მას გაუგო ეს სიყვარული, თუ თვითონაც არ დაგიდგამს ფეხი მთაზე, არ განგიცდია გამარჯვებით გამოწვეული უჩვეულო სიმსუბუქე — მწვერვალზე ასვლის სიხარული, სიმაღლიდან რომ გადმოჰყურებს ბარს.

**სიმონ ჯაფარიძე**

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ინსპექციის სწრაფი რეაგირების სამსახურის უფროსი

# დამშვიდობება სვანეთის ლეგენდასთან

1969 წლის 4 ივლისს შემზარავი ცნობა მოვიდა თბილისში. იტალიაში, დოლომიტის ალპებში, მწვერვალ სუ-ალტოზე ასვლისას დაიღუპა ქართული ალპინიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი, მსოფლიოში „კლდის ვეფხვის" სახელით ცნობილი, განუმეორებელი პიროვნება და მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი.

მთელი საქართველო შესძრა ამ მოულოდნელმა ტრაგედიამ. მათ შორის, ვინც ამ მსხვერპლს არა მხოლოდ ქართული ალპინიზმის აუნაზღაურებელ დანაკლისად, არამედ პირად ტრაგედიად თვლიდა, იყო ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელმაც მთებს მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება. იგი ამაყობდა ქართული ალპინიზმის ტრადიციების ღირსეულ მემკვიდრეთა წარმატებებით, რომლის უბრწყინვალესი წარმომადგენელი მიხეილ ხერგიანი იყო.

ხერგიანების დიდ წინამორბედებთან, და-ძმა ჯაფარიძეებს მრავალი სასახელო ასვლა აკავშირებდათ. მიხეილ ხერგიანის მოულოდნელმა დაღუპვამ კიდევ ერთხელ განუახლა სულიერი ტკივილები ალექსანდრას, რომელსაც 10 წელზე მეტი იყო, რაც სვანეთის მთები აღარ უხილავს. უკანასკნელად ალიოშას ნეშტი გამოსტაცა უშბას 12 წლის ყინულეთის ტყვეობიდან. ახლა, ამ მოულოდნელი მსხვერპლით გამოწვეული მწუხარების დროს, თავს მოვალედ თვლიდა დამწუხრებული სვანეთისა და მთელი საქართველოს ჭირის თანამოზიარე ყოფილიყო.

მესტიაში გასამგზავრებლად ქუთაისში ჩასვლა გადავწყვიტეთ. აქ, უამინდობის გამო სვანეთისკენ ფრენა არ იყო და ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს — ლევან ახვლედიანს ავტობუსი გაემზადებინა ჩამოსული სტუმრების მესტიისკენ გასამგზავრებლად. ავტობუსს, ჩვენთან ერთად, თვითონაც გამოჰყვა. მთელი ღამის მგზავრობის შემდეგ, მესტიაში ჩავედით. სვანეთი საყოველთაო გლოვას მოეცვა. უამრავ ხალხს მოეყარა თავი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ალექსანდრა თავს ვალდებულად თვლიდა სამძიმარი გამოეხატა ილიკო გაბლიანის მგლოვიარე ოჯახის მიმართაც. ოჯახის ძაძებით მოსილმა დიასახლისმა შორი გზიდან მოსული თმადათოვლილი ჭირისუფალი გულში ჩაიკრა. ორი მწუხარე მანდილოსანი საკუთარ და საერთო მწუხარებას სიტყვის უთქმელად შესტიროდა ერთმანეთს. შაოსანმა მასპინძელმა მადლიერება გამოხატა თანაგრძნობისათვის და დაუმატა: — მიშასთან ერთად, დღეს, ილიკოს გლოვის დღეცაა, რადგან მიშას აუხდენელი დარჩა სურვილი — ტიან-შანიდან ჩამოესვენებინა ილიკოს ნეშტი.

ლაღამში, ხერგიანების სახლისაკენ დილიდანვე უამრავმა ხალხმა დაიწყო დენა. თავმოყრილი ხალხის საუბარში იგრძნობოდა, რომ, თითქმის, ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინათ ტრაგედიის სიმძაფრე, ვერ შეგუებოდნენ აზრს, რომ შესაძლებელი იყო სიკვდილზე მრავალჯერ გამარჯვებული მთამსვლელისათვის ბედისწერას ასე უღვთოდ ემუხთლა.

ჩვეულებრივ, მოკვდავთა ყოველდღიური ცხოვრება, შეუცნობლად თუ ქვეშეცნეულად, სიკვდილისაგან განრიდებისა და გაქცევის ცდაა, მიშა კი სიკვდილს პირისპირ შებმულიც არ უკრთოდა. გმირის ღირსებებს სიკვდილი უფრო ამაღლებულად და ალმატებულად წარმოაჩენს, ვიდრე ის სიცოცხლეში ჩანდა. მიშას სწრაფვა მთებისაკენ, სურვილი მათთან ორთაბრძოლისა, არ იყო აღებული მწვერვალის დათრგუნვისა და დამდაბლების ჟინით, პირიქით, მისი მისწრაფება საზრდოობდა სურვილით, თვითონვე ამაღლებულიყო ამ მთათა სიმაღლეებამდე.

„ბედნიერია ის, ვინც სიკვდილით სიკვდილს ამარცხებს" — უთქვამს გიორგი შატბერაშვილს და ეს გამონათქვამი მიხეილ ხერგიანის ცხოვრებას ყველაზე მეტად მიესადაგება.

გმირების მშობელი ერია, ხოლო გმირის ცხოვრება ერის სულიერ მისწრაფებებს გამოხატავს. მიხეილ ხერგიანი თავისი ერის ღირსეული შვილი იყო და მის ღირსებას ემსახურა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. აქ კი, ხერგიანის ეზო-კარმიდამოსაკენ, სამძიმრისა და თანაგრძნობის გამოსახატავად, მომსვლელთა დინება არ წყდება. ერთმანეთს მოსდევენ მესტიის ახლომახლო უბნებიდან თუ სვანეთის შორეული სოფლებიდან დაკრძალვაზე მოსულ ადამიანთა ჯგუფები. მამაკაცები დამწუხრებული, კუშტი და უძრავი სახეების სულიერი მღელვარების შინაგან მოძრაობას, მხოლოდ ცრემლით და სვა-

ნური ზარით გამოხატავდნენ. აქვე, მწუხარებისა და სიკვდილზე ამაღლების ატმოსფეროში იქმნებოდა ლეგენდა, რომელიც ახლოა სინამდვილესთან.

„მივფრინავ!" — ასეთი ყოფილა მიშას უკანასკნელი შეძახილი. მან იცოდა, რომ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ამ შეძახილით იგი აფრთხილებდა კლდეზე შერჩენილ თანამეწყვილეს, თავდაცვისათვის საჭირო ზომები მიეღო, რათა მისი ბედი არ გაეზიარებინა.

მთაში ბევრი მოულოდნელობა ხდება. ამ მოულოდნელობის ფინალი, ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლად გაღებული სიცოცხლეა. „ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია" — როგორც წინასწარმეტყველება, ისე აუხდა ამ სიტყვებით გამოხატული ტრაგიკული ჭეშმარიტება უდროოდ დაღუპულ გურამ თიკანაძესაც.

უკვე მომხდარი მარცხის შემდეგ, საზოგადოების ერთი ნაწილი მიზეზის საფუძველს ეძებს და ცდილობს ახსნა მოუძებნოს მას. ასეთ დროს ჩნდება ეჭვი, უნდობლობა, უკმარისობის განცდა მომხდარი მოვლენის მიმართ. ამჯერადაც ვერ შეგუებოდა აზრი დაღუპვას ადამიანისა, სიკვდილთან ჭიდილში მუდამ რომ იმარჯვებდა.

ალპინიზმი მამაცთა სპორტია და მას მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულები ეზიარებიან. მთებთან ჭიდილში დაღუპული მთამსვლელის ცხოვრების შეფასების კრიტერიუმად, მისი განვლილი სიცოცხლის გზაზე მიღწეული გამარჯვებები განიხილება და არა სიკვდილის მიზეზები.

სვანების ცხოვრებაში დამკვიდრებული წესისა და ადათის კვალად, მთებში დაღუპული ყოველი მთამსვლელის გლოვის ჟამს, ისინი იგონებენ და პატივს მიაგებენ ყველა მანამდე დაღუპული მთამსვლელის ხსოვნას. ამ დიდი მწუხარების ჟამს, იქ მყოფთა ყურადღება მიიქცია თმადათოვლილი მანდილოსნის გამოჩენამ, რომლის სახეს ემჩნეოდა კავკასიონის მთებთან დაკავშირებული განცდების კვალი. ალექსანდრას სახელთან იყო დაკავშირებული როგორც დიდი მიღწევები ალპინიზმში, ისე უდიდესი მსხვერპლიც, რომელიც მან გაიღო ყველაზე ძვირფასის — საკუთარი ძმების სიცოცხლის სახით. ამ სამგლოვიარო დღეს, შეკრებილი ხალხის თვალში ეს ჭაღარათმიანი ქალი იყო სიმბოლო სულიერი სიმტკიცისა, რომელიც არა მხოლოდ კავკასიონის მწვერვალებზე, არამედ თვით სიკვდილზეც ამაღლებულიყო.

საუკუნოდ ინახავს ხსოვნა და შარავანდედით მოსავს დრო მათ სახელებს, ვინც სიკვდილს სიკვდილითვე ამარცხებს. ამიტომაც იქმნება ლეგენდები მათზე, ვინც მარადისობას უერთდება უკანასკნელი შეძახილით — „მივფრინავ!"

ამიტომაც დარჩა მიხეილ ხერგიანი ხალხის ხსოვნაში ლეგენდად.

ლოლა გურჩიანი

# ცად ამაღლდი...

მთები ბედნიერნი არიან, რადგან არ იციან, რა არის ბედნიერება. ზოგჯერ თუ უბედურნი არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ არ იციან, რა არის უბედურება. უტყვნი არიან და არა ესმით რა მეტყველთა, სინათლე ადგიათ და არა უწყიან რა ჩრდილისა, ცასა სწვდებიან, ცად ამაღლების სურვილი კი არასოდეს არ ჰქონიათ, ეს სურვილი ადამიანთა შორის რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. შენ როდის გეწვია იგი პირველად?

იმ დღეს იქნებ ზურმუხტისფერ სანახთა უკიდეგანო ზღვა გადაშლილიყო ყოველი კუთხივ, სადღაც შორს კი, თვალსაწიერს მიღმა, მწვანე მთათა თხემი მოჩანდა — ცისფერ სივრცეში დაკიდებული, ღვთაებრივი და ჰაეროვანი. იმ დღეს იქნებ პირთამდე ავსილიყო მთელი ცისქვეშეთი მზითა და სინათლითა და ღვინოსავით მოგეკიდა მრავალთათვის უჩვეულო, მრავალთა მიერ მივიწყებული არდასავიწყებელი სურვილი — სურვილი ცად ამაღლებისა, განწმენდისა, განსპექტაკებისა.

იქნებ მზემაც გიხმო თავის სავანეში, მხოლოდ მწვანეში ყარყუმისფრად ელავდა უშბა, თეთრი ტაძარი ცად ამაღლების. მას შემდეგ წლები გავიდა. დღესაც მკვიდრად ატყვია შენი ნაკვალევი პამირს და ტიანშანს, ალპებს და კავკასიონს. შენ იყავი გზათა პირველი გამკვლავი, ჭაღარა მყინვართა მეუფე, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ადამიანი, კაცი „კლდის ვეფხვად" ხმობილი.

დიდი საქართველო დიდი მამულიშვილებით, დიდი რწმენით გწამდა.

...არა, შენ მთების მიერ ძლეული არ ხარ, ცად ამაღლების სურვილმა გძლია მხოლოდ და ცად ამაღლდი...

ტარიელ ჩარქსელიანი

# ჩხუმლიანის მურყვამო!

უდრეკი ხარ,
მაგრამ მაინც
შენც გაგიჩნდა მკერდში ბზარი,
როცა მიშას
უკედავ რაინდს
აცილებდა სეტის ზარი.
ვარამისგან თეალდათხრილი,
ქეითინებდი ნაცემივით,
იდგნენ მთები თაედახრილი,
ხერგიანთა კაცებივით...
ვერ იშორებ ღრუბელს ეერაგს,
შუბლნაკრულო ლურჯი ნისლით,
დალი რეცხავს ვეფხვის პერანგს,
სუ-ალტოზე დასერილს სისხლით.
გაუძელი, ფუძემყარო!
ნუ მოიწყენ, ვით მსაჯული,
სიცოცხლე რომ შეიყვარო,
უნდა მოკლა თეით სიკვდილი!..

კლარენს შამფრიანი

# «კლდის ვეფხვი»

გასტეხე უშბის სიმტკიცე
სძლიე ქარაფი ფიქალი,
წინ ისე სწრაფად მიიწევ
ვერ დაგეწევა გრიგალიც.
ვკვალავ ბილიკებს ჯერ უვალს
ალსაესეს საფრთხით, მშვენებით...
სამყინვაროებს შეუვალს
არვინ შებმია შენებრი...
ჭიუხეებიდან ხმას გვაწვდენ
ორბებს სამეფო წარსტაცე
მთის ქარი მუხას წააწევენს
შენ კი ე ერც შეგაბარბაცებს.
აჰყეები კლდეს ისარივით,
ღრუბელი უკან დაიხევს
შენ გეთქმის კეისარივით:
„მოვედი, ვნახე, ავილე".
გინდ ზეაეი ზეაეზე სწყდებოდეს
ნისლს გაფარებდეს თეალებზე:
მწვერვალი ცას რომ სწედებოდეს
პირველი ახვალ მთეარეზე.



მიშა ხერგიანი და ...

მიხო მოსულიშვილი

# ცეკვა კლდეზე, ანუ ეძღვნება «კლდის ვეფხვის», მიხეილ ხერგიანის ხსოვნას

„აქეთაც ქარაფებია,
იქითაც ქარაფებია.
ვიცოცხლებთ? — არაფერია!
მოვკვდებით? — არაფერია!"
ვალერიან სალღიანი

ჩემი საწერი მაგიდის თავზე ორი გაღიმებული, ნაპერწკლიანი მზერის მქონე ვეფხვის ფოტოსურათი ჰკიდია. მარცხნიდან „კლდის ვეფხვი", მიხეილ ხერგიანი მიღიმის, მარჯვნიდან კი „თოვლის ვეფხვი", თენსინგ ნორგეი-შერპი. დაუჯერებლად ერთნაირი მოყვანილობა, ნაკვთები და მშვიდი, საკუთარ თავში დარწმუნებული ღიმილი აქვთ. სურათის ქვეშ უილიამ ბლეიკის ერთი სტრიქონი აწერია: „ვეფხვი! ვეფხვი! ნათელი ალი..."

ვუყურებ ამ ფოტოს და მახსენდება:

1968 წლის ერთ სისხამ დილას დედაქალაქის სანახავად ჩამოსული ექვსი წლის ბიჭი ბოტანიკურ ბაღში წამიყვანა ბიძაჩემმა — ასეთ რამეს სადღა ნახავ და მერე მადლობასაც კი მეტყვიო.

და მართლაც, უამრავ მაყურებელს შორის გამორჩეულ ადგილზე, ბიძაჩემის კისერზე შემოსკუპებულმა გამაოგნებელი სანახაობა ვნახე!..

არა, ამას ნამდვილად არ ერქვა კლდეზე ცოცვა.

ეს კლდეზე ცეკვა იყო, რაღაც საკვირველი, არნახული და არსმენილი. როგორი კატისებური მოქნილობით მოძრაობდა ის ერთი განსაკუთრებით, ცეკვავდა მართლაც, ცეკვა-ცეკვით ადიოდა, ისეთ შვერილებს პოულობდა, სხვები რომ ვერ ამჩნევდნენ.

ეს ვინ არის-მეთქი? — ვკითხე ბიძაჩემს.

ვინაო? — თვალებმონკურულმა ამომხედა.

აი, ის, კლდეზე რომ ცეკვავს-მეთქი.

შენც მოგეწონაო? — გაუხარდა.

ძალიან მეთქი!

ეგ მიშა ხერგიანია, მაგას ცალი თითით შეუძლია უფსკრულის თავზე დაკიდება და იქ დიდხანს გაძლებაო.

მერე უამრავი ფილმი მინახავს მიხეილ ხერგიანის მეკლდეურობის ფრაგმენტებით, მაგრამ ის პირველი მაინც ვერ დამივიწყებია — რაღაც საოცარი, გამაოგნებელი შთაბეჭდილებით ვბრუნდებოდი სახლში და მარტო მაშინ კი არა, ძალზე ხშირად მახსენდება ახლაც. ჩემ მაშინდელ გრძნობას ნინო ანანიაშვილის პირველად ნახვას თუ შევადარებ, რომლის საბალეტო გამოსვლებს ცეკვად მოიხსენიებენ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, კი არ ცეკვავს, სცენაზე დაფრინავს...

მე მაშინ ისიც კი მეამაყებოდა, რომ ამ საკვირველ ალპინისტსაც ჩემსავით „მიხეილი" ერქვა, იმისი სეხნია ვიყავი და ისე შევიყვარე, როგორც ბიძაჩემი...

მიხეილ ხერგიანის დაღუპვა რომ გამოაცხადა ტელევიზორმა, სახლის სახურავზე ავიპარე, შინაურებს რომ ვერ შეემჩნიათ და ჩუმად ვიტირე, თან ვფიქრობდი — რა ავი გამოდგა ეს იტალიის ალპები ჩემიანებისთვის — ეს ჩემი მიხეილ ხერგიანი ხომ სუ-ალტოზე ასვლისას მოწყდა, მოწყდა კი არა, გაფრინდა და იმავე ალპებში, ოღონდ მონტე-როზას მწვერვალს ხედავდა ჩემი ფორე მოსულიშვილი, სანამ თავს მოიკლავდა და ამით თოთხმეტ თანამებრძოლს იხსნიდამეთქი. ღმერთო, როგორ მაინტერესებდა, თუ რას განიცდის ადამიანი ჩამოვარდნისას; ნეტავი, რას ფიქრობდა, როცა კვდებოდა?

მერე წლები გავიდა და უკვე გაზრდილს, გეოლოგიის ფაკულტეტდამთავრებულს, მეც მომინია ჩემი წილი „ფრენა" ფშავის კავკასიონის ერთ პატარა კლდეზე, რომელიც, მართალია ვერაფრით შეედრება „ჩემი" მიხეილ ხერგიანის მეექვსე კატეგორიის სირთულის შვიდას მეტრიან სუალტოს, სადაც უკვე ხუთასი მეტრი ჰქონდა ცეკვით გავლილი, მაგრამ ის კი გავიგე, ჩამოვარდნისას რას განიცდის ადამიანი:

„ღმერთო, რა იყო ეს — რაღაც უცნაურ, ვარდისფერ სივრცეში მივფრინავდი და გული მწყდებოდა, რომ რაც უნდა დამეწერა, ველარ დავწერდი...

მერე ამ შეგრძნებამ გაიარა.

ფრენას განვაგრძობდი — არც მეშინოდა, არც ვიტანჯებოდი, არც მტკიოდა რამე. ყველაფერს ერთბაშად ვხედავდი, რაც გადამხდენია გეოლოგად მუშაობისას, უნივერსიტეტში სწავლისას, სკოლის მოწაფეობისას, საბავშვო ბაღში სიარულისას — მოკლედ, თანდათან ვპატარავდებოდი და ისიც დავინახე, თუ როგორ ვთამაშობდი პატარა ბავშვი ელექტროღუმელის შიშველ სადენებზე ჩამოცმული თეთრი რგოლებით, როგორ მომვარდა დედა და განსაცდელს მომა-

შორა; ისიც ვიხილე, ყალბი ბროლის თვალებით შემკული საათის სამაჯურიდან როგორ ამოვაგდე ერთ-ერთი მათგანი, რისთვისაც უფროსებმა დამსაჯეს...

მთელმა ცხოვრებამ თვალწინ ჩამიარა, თუ მე ჩავუარე...

მერე ეს ვარდისფერი სივრცე დამთავრდა და ლურჯად კამკამა ცაში გავედი.

შვებით ვსუნთქავდი.

სადღაც გაქრა ჩემი მტანჯველი დრო. დრო, რომელიც ერთმანეთისგან აშორებდა გილგამეშსა და ავთანდილს, ურუქსა და თბილისს, დინოზავრსა და ძროხას; და ლოგიკურად, დროს თან მიჰყვა სივრცეც — სადაც უდროობაა, იქ არც სივრცე უნდა ყოფილიყო.

ეს ჯერ ძალიან მესიამოვნა და შემდეგ რაღაცამ შემძრა — თეთრი, გაკამკაშებული ღრუბელი მოცურავდა ჩემსკენ ცის დასალიერიდან, მოდიოდა, მიახლოვდებოდა, თვალისმომჭრელად ჩამომყურებდა.

მერე არაბუნებრივი, იდუმალი ხმა გაისმა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვემორჩილებოდი თურმე და მან უკან დამაბრუნა, არ მიმიღო თავისთან.

უკან გამოვიარე ლურჯი ცა, შევედი ვარდისფერ სივრცეში — თანდათან ვიზრდებოდი, ჯერ პატარა ვიყავი, დავდიოდი საბავშვო ბაღში, ვსწავლობდი სკოლაში, უნივერსიტეტში — იქ ვიწყებდი მოთხრობების წერას, მიხაროდა, რომ კიდევ დავწერდი და ვმუშაობდი გეოლოგად, ვიდრე აქამდე..."

მკითხველთან ბოდიშის მოხდით დამოწმებული ეს პასაჟი ჩემი 1993 წელს დაწერილი მოთხრობიდან არის, რომელსაც ჰქვია „კლდედ მომევლინა ფათერაკი". სულ მეჩვენებოდა, რომ რაღაც დავაკელი ამ ნაწარმოებს და რა დავაკელი, ვერაფრით ვხედებოდი. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩემმა ძველმა მეგობარმა, ერეკლე საღლიანმა დამირეკა და ამ ლეგენდარულ მთამსვლელზე წერილის დაწერა შემომთავაზა, და რაც მიხეილ ხერგიანზე წლების განმავლობაში მოგროვილ წიგნებსა და ფოტოსურათებს ჩავუღრმავდი, თან ინტერნეტშიც მოვიძიე უამრავი ვებგვერდი (რამაც დამიდასტურა, რომ მიხეილ ხერგიანი მილიონობით ადამიანს ჰყვარებია ჩემსავით!), უკვე ვიცი...

ამიერიდან ეს მოთხრობა ეძღვნება „კლდის ვეფხვის", მიხეილ ხერგიანის ხსოვნას.

მე რომ ექვსი წლის ასაკიდანვე არ შევმცდარვარ მიხეილ ხერგიანის დაჩემებაში, ამას ის სამახსოვრო მედალიც ადასტურებს, ამ მითადქცეული კაცის საპატივესაცემოდ რომ არის გამოშვებული.

მედლის ერთ მხარეს „კლდის ვეფხვის" ამ გენიალური ალპინისტის გამოსახულება ამშვენებს, მეორე მხარეს კი თავად მ.ხერგიანის სიტყვებია ამოტვიფრული: „მე თქვენ მიყვარდით ადამიანებო".



მიშა ხერგიანი.

კოკი ნარმანია
საქართველოს დამსახურებული იურისტი,
პროკურატურის საპატიო მუშაკი, საზოგადოებრივი
მოძრაობის — „უკან დედაბუნებისაკენ" პრეზიდენტი

# ექო უკვდავებისა

ეს იყო სამი-ოთხი ათეული წლის წინათ. მაშინ ქალაქ ზუგდიდში ვმუშაობდი. საზარელმა უბედურებამ შეძრა სრულიად საქართველო. მთის მწვერვალთა სიდიადისაკენ იდუმალმა სწრაფვამ შეიწირა „კლდის ვეფხვად" წოდებული, საქართველოს ალპინიზმის სიამაყე მიხეილ ხერგიანი.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორი ალალი ცრემლით დაიტირა იგი მისმა საქართველომ — ქალმა თუ კაცმა, ახალგაზრდამ თუ მოხუცმა, უცნობმა თუ ნაცნობმა. როგორი ინტერესით ეცნობოდნენ ადამიანები გმირის ბიოგრაფიას, მისი განვლილი გზის ყოველ შტრიხს.

იმ დღეებში, ცხადია, მეც ამ სატკივარით ვიყავი შეპყრობილი. ტრაგიკულმა სიკვდილმა მიხეილ ხერგიანი ათეულ ათასობით ისეთ ადამიანს გააცნო, ვინც ადრე მის შესახებ ძალზე ცოტა რამ იცოდა. სიკვდილმა მეორედ დაბადა მთის უერთგულესი ვაჟკაცი. მისი გაჩენის მეორე თარიღად იქცა 1969 წლის 4 ივლისი.

ჭეშმარიტ პოეტსა და სხვა შემოქმედზე იტყვიან ხოლმე, რომ სიკვდილის შემდეგ იწყებაო მათი ახალი სიცოცხლე. ასევე შეიძლება ითქვას მიხეილ ხერგიანის გმირულ სიკვდილზე, რომლითაც დასაბამი მიეცა მისი სახელისა და დიდების უკვდავებას.

კინო კადრებივით გარბიან მისი ფრიად საინტერესო და რაინდული ცხოვრების წლები...

ქართული ალპინიზმის ფუძემდებელთა — გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანების, ჭიჭიკო ჩართოლანის, გოჯი ზურებიანის, მაქსიმე გვარლიანის და სხვათა გმირული საქმეებით გულანთებული და მათი ღირსეული შთამომავალი მიხეილ ხერგიანი არსთა განმრიგემ სიყრმიდანვე დამუხტა სიმაღლისკენ — მთისკენ ლტოლვის დაუოკებელი მისწრაფებით.

მისი ცხოვრების მთავარ აზრად და ლამაზი, ვაჟკაცური სიცოცხლის სიმბოლოდ იქცა სიმაღლეთა დაპყრობის დაუცხრომელი ჟინი, ნებისყოფისა და გამძლეობის უმკაცრესი გამოცდა. ხშირად იმეორებდა წინაპართა სიტყვებს: „მწვერვალი უნდა დაიპყრო, თუნდაც იმიტომ, რომ იგი აღმართულია შენს წინაშე".

უკვე სახელგანთქმული მთამსვლელი, შემდეგ ხშირად იგონებდა იმ უჩვეულო აღმაფრენასა და სიხარულს, რომელიც მას, ახალბედას არგუნა ბუნების პირველყოფილი სიმშვენიერის პირველივე ხილვამ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთას კიდევ ერთი ერთგული მოტრფიალე და მისთვის თავდადებული კაცი შეეძინა.

„მთებზე უკეთესი, მხოლოდ მთებია" — მუდამ ჩაესმოდა ყურში შეგირდს ოსტატ ბრძენკაცთა სიტყვები.

მთის იდილიისადმი უკვე ფანატიკურად გამიჯნურებულ მიხეილ ხერგიანს ერთნაირად იტაცებდა კავკასიის მწვერვალთა მეფე-უშბა, თუ მთები მუდამ პირქუში და მედიდური ცენტრალური კავკასიონისა. ზემო სვანეთზე გადმომდგარი თეთნულდი, თუ მედგარ კედლად აღმართული შხარა — უწმინდესი სათავე ქალარა ბრძენი ენგურისა.

უფრო თვალნათლივ რომ წარმოვიდგინოთ მთათა ის სილამაზე და სიდიადე, რითაც უდაოდ განებივრებული და ფრთაშესხმული იყვნენ მიხეილ ხერგიანი და მისი უერთგულესი „კლდის მეგობრები", საკმარისია ერთხელ კიდევ ჩავიკითხოთ დიდი გალაკტიონის თუნდაც ეს სტროფი:

„დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს
ივლისის ფერი ყინვის თასებით,
სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს,
ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები".

კარგად ვიცი, რა „კლდის ვეფხვის„ პოეტური ბუნება, ნათლად მაქვს წარმოდგენილი, კლდეთა ცათამბჯენი მწვერვალების და მისი ფლორის სიდიადით გაოგნებული მიხეილი, თუ როგორი აღტაცებით წარმოთქვამდა პოეტის სტრიქონებს:

„კლდის ქიმზე თეთრო ყვავილო,
სანთელო ქარაფისაო".

ვფიქრობ რა მიხეილ ხერგიანის უნიკალური პიროვნების ფენომენზე, აქ უნდა მოვიშველიო, ან გარდაცვლილი ჩემი შვილის, ზურაბ ნარმანიას ჩემთვის მეტად მტკივნეული და მარად დაუვიწყარი სტრიქონი:

„ცა ჩემში ვპოვე სამარადისოდ..."

იგი რომ წაეკითხა ლეგენდარულ მთამსვლელს, მასში მხოლოდ პირველ ერთ მარცვლიან სიტყვას შეცვლიდა და იტყოდა:

„მთა ჩემში ვპოვე სამარადისოდ"...

ზურასა და მიშას ერთნაირი ბედი არგუნა უფალმა იმ მხრივაც, რომ ისინი — ერთი, ზეცამ და მეორე მთებმა მოწყვიტა, ხშირად უფერულ

მიწიერ ცხოვრებას და გზა გაუკვალა ზეციური საუფლოსაკენ — მარადისობისაკენ.

ასეთნი არიან ბუნების ჭეშმარიტი შვილები, ასეთია მათი თვითშეწირვით დამთავრებული ხვედრი.

ნამდვილ ლეგენდად, გმირობისა და სიმამაცის, ულამაზესი ფანტაზიის წყაროდ იქცა მიხეილ ხერგიანი ქართველი კაცისათვის, რომელსაც თავისი საყვარელი გმირი ათასგვარი სახით ჰყავს წარმოდგენილი: „ადამიანი-საკვირველებად", „უფსკრულის თავზე საჩვენებელი თითით დაკიდებულად", კაცად, რომელიც „ქარზე მსუბუქია", ამიტომ იყო, რომ ბევრისთვის „მეხის გავარდნას გავდა მისი სიკვდილი".

როცა ვფიქრობ ამ კაც-ლეგენდაზე, სულ თვალწინ მიდგას „კლდის ვეფხვის" მთიდან მოწყვეტის სულის შემძვრელი სურათი და ყურში ჩამესმის გმირის სიცოცხლის უკანასკნელი ხმა — მსგავსი სვანური ზარისა, იმ განსაცდელის წამებში რომ რეკდა ქვეყნიერებისათვის. ეს იყო მიხეილ ხერგიანის უკვდავების ექო — გადაძახილი მთიდან მთაზე და უსასრულობაში დროსა და სივრცეში.

ამ ფიქრებს თავს ვერ ვართმევ: მთის უშიშარმა რაინდმა, მაინც რა წყვეტილი, თუ სრული ბგერებით, თუ სიტყვებით აუწყა დედაბუნებას, ადამიანთა მოდგმას გადასვლა მარადისობაში. ეს იყო ალბათ არა ჩვეულებრივი მოკვდავის გარდაცვალება, არამედ უმაღლეს მწვერვალთა სტრიქონის ენაზე, ჩვენთვის, მიწიერთათვის უცნობი სხვა რამ, რასაც საოცარი ბუნებრიობით ესადაგება მთის გენიოსის, დიდი ვაჟას სიტყვები: „რა ლამაზი ხარ სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა"... დასტურ, რომ მიხეილ ხერგიანის სიცოცხლეც და სიკვდილიც მარადისობასა და მშვენიერებასთან წილნაყარია.

აქ არ შემიძლია არ მოვიყვანო ჩემი დიდი ხნის მეგობრის, ნიჭიერი პოეტისა და ჭეშმარიტი მამულიშვილის ბატონ ვალიკო სალლიანის სტრიქონები, რომლებიც საოცარი სიმძაფრით ხატავენ მწვერვალთა რაინდის სიკვდილის ტრაგიკულ დღეებს სვანეთსა და მთელ საქართველოში:

„ტახტზე ალსრულებას ეს სჯობს გაცილებით,
ცაში დაფრინავდი, მიწას შეუერთდა
შენი დამსხვრეული ტანის ნაწილები".

სამ ათეულ წელზე მეტია სისხლით და ხორცით მთამსვლელის სიმამაცით გაცისკროვნებული სიცოცხლე მიხეილ ხერგიანისა, ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შთააგონებს და ასწავლის, თუ როგორ უნდა დაეუფლონ დაბრკოლებათა გადალახვის, სიძნელეთა დაძლევის, გამარჯვებათა მოპოვების ხელოვნებას. ამით მადლიერი თაობა არასოდეს დაივიწყებს რაინდული ბუნების წინაპარს, მისი ლამაზი ცხოვრების ცოცხალ მაგალითს. ისევე შეიყვარებს და მოუვლის დედაბუნებას, ვითარცა ხერგიანების, ჩართოლანების, ზურებიანების, გვარლიანების წინაპრები და შთამომავლები...

ამასწინათ, თანამოაზრეებთან, ეკოლოგიის პრობლემებზე საუბრისას მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი, აკადემიკოსი ბატონი არნოლდ გეგეჭკორი ბრძანებდა:

„მომიელია მთელი დედამიწა, მაგრამ თავისი საოცრად უნიკალური ბუნებით საქართველოს მსგავსი მეორე სამოთხე არ შემხვედრია. სწორედ აქიდან იღებს სათავეს და მისი ორგანული ნაწილია, თუ გნებავთ მისი გაგრძელება და სრულყოფილება ქართველი კაცის ფენომენი თავისი აზროვნებითა და ხასიათით, ხელოვნებითა და კულტურით. აი, რატომ ეკიდება განსაკუთრებული ინტერესით მთელი მსოფლიო ქართულ სიმღერასა და ცეკვას, ქართულ სუფრასა და თუ გნებავთ, ქორწილსა და ოჯახის ფენომენს. ასეა ამჯერადაც. მიხეილ ხერგიანი ქართული ბუნების სინამდვილის ორგანული ნაწილია, მისი ამაყი, ზვიადი მთების ღვიძლი შვილი და ღვთიური გამობრწყინებაა. ამიტომ, თუ გავუფრთხილდებით და შევინარჩუნებთ ასეთი სილამაზის, იდუმალებით მოხუც, ხშირად მდუმარე, მაგრამ უსაზღვრო შთაგონების მქონე დედაბუნებას, ჩვენი „დაბინდული ქლიავის ფერი" სამშობლოს მთები კვლავაც შობენ და აღზრდიან მიხეილ ხერგიანის სულისა და ხასიათის გმირებს. უფრო მეტიც, მამული მუდამ იმისთვისაც იღწვის „შვილი რომ ჯობდეს მამასა"...

ბუნებით გატაცებამ და მისმა სიყვარულმა ასაკი არ იცის.

ოთხი ათეული წლის მანძილზე, ჩემი მოქალაქეობრივი და პროფესიონალური შესაძლებლობანი მივუძღვენი იურისპრუდენციას, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და საქართველოს ბუნების დღევანდელმა არასახარბიელო მდგომარეობამ მიკარნახა თანამოაზრეებთან ერთად დამეფუძნებინა საზოგადოებრივი მოძრაობა „უკან დედაბუნებისაკენ". მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ბუნების გადარჩენისაკენ მიმართული ამ მოძრაობის პირველ საპატიო წევრებად ჩაირიცხონ ბუნების ქომაგთა შორის ნამდვილი

პატრიარქი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, მთის ჭეშმარიტი რაინდი და მესაიდუმლე მიხეილ ხერგიანი, დედაბუნების მშვენიერების თაყვანისმცემელი და ფოტოხელოვანი გურამ თიკანაძე. ამით ჩვენს მომავალ თაობებს შევახსენებთ ღირსეულ მამულიშვილთა ღვაწლს ბუნებისადმი უანგარო სიყვარულსა და ერთგულებაში.

ზეცაში გაუჩინარებული გმირი-რაინდის სული კვლავ ჩვენს შორისაა და როგორც მარადიული მასწავლებელი გვმოძღვრავს: უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვუერთგულოთ და გვეიყვარდეს საქართველოს მთა-ბარი, მუდამ გვახსოვდეს „ვისი გორისა ვართ".

ექო მიხეილ ხერგიანის უკვდავებისა მთიდან მთას გადაეცემა და დღესაც ჩაესმის გმირის თაყვანისმცემლებს. და ეს ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენი დიადი მთები დარაჯობენ ერის სიცოცხლეს და მშვიდობას. უფალი იყოს მისი და მის მამაც შვილთა მფარველი!

ამინ!



მიშა ოსტატობას გადასცემს მოსწავლეებს. გია საჯაია, თამაზ ბაქანიძე, ლადო გურჩიანი და შოთა ქოქოშვილი

შალვა დავითაშვილი

კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი

# კლდის დიდოსტატი

1957 წელს, პირველ კურსზე ვიყავი კონსერვატორიაში და გავიმარჯვე დახურულ კონკურსში, რომელიც ჩატარდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში. ბუნებრივია, ძალიან გამიხარდა, როგორც გამარჯვებულს კონსერვატორიამაც მომცა უფასოდ ერთთვიანი საგზური დასასვენებლად სვანეთში, ალპიურ ბანაკში — „ნაკრა".

ჩავედი და საკვირველება. იქ მხოლოდ ცნობილი მთამსვლელები იყვნენ და მე საკმაოდ დიდ უხერხულობასაც ვგრძნობდი.

ალპიური კლუბის დირექტორი გახლდათ დიმიტრი ობოლაძე და იქ ისვენებდა აგრეთვე მისი ძმა, განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი უშანგი ობოლაძეც, რომელიც კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის, როგორც დიდი პიროვნება და მოღვაწე. თუ არა ეს ადამიანები, მე იქ თითქმის ზედმეტი ვიქნებოდი.

ალპიურ ბანაკში იყო კლუბი, სადაც აღმოჩნდა ინსტრუმენტი და უკვე შემეძლო ჩემი საქმე მქონოდა. ბუნებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია... სად შეიძლება იყოს ასეთი მთების და ბუნების შემყურე ადამიანისთვის უკეთესი ადგილი და აი, მეოთხე დღეს გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ყველა უყურებდა, როგორც ლეგენდას, გმირს და პროფესიონალურ დონეს და განსაკუთრებულ ცოდნას. დავწერე სიმფონია — „უშბა".

და აი, ხუთი წლის შემდეგ, როცა დავამთავრე კონსერვატორია და გავხდი კომპოზიტორთა კავშირის წევრი, დავიწყე ამ სიმფონიაზე მუშაობაც.

ეს სიმფონია ეძღვნება მიხეილ ხერგიანს, რომელმაც სახელი გაუთქვა ქართულ სპორტს და ქართული ალპინიზმი საერთაშორისო დონეს გაუთანაბრა.

და აი, უბედური შემთხვევა, მიხეილ ხერგიანი დაიღუპა. მე მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი. არჩილ გოგელიამ სპეციალური გადაცემა მოამზადა. მუსიკალურ ფონს ქმნიდა ჩემი ნაწარმოები, რომელიც მიშას გასვენების დღესაც შესრულდა მესტიაში.

აი, ასეთი მოგონება მაქვს მიხეილ ხერგიანზე, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ალპინიზმის განვითარებაში. ეს მსოფლიო მასშტაბების სპორტსმენი მარად იქნება ცოცხალი, როგორც ლეგენდა, რომელმაც შორს გაიტანა ქართული სპორტის სახელი.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა და ის ულამაზესი მხარე, სადაც განისვენებს გმირი, ლეგენდა, კლდის დიდოსტატი და კლდის ვეფხვი.

ჯანრი კაშია

## სიკვდილით დამშვენებული სიცოცხლე

წარმოუდგენელია გაფიქრებაც კი იმისა, რომ მიშა ხერგიანი შეიძლება დაბერებულიყო და სიბერით ან ავადმყოფობით ღონემიხდილი გაცლოდა ამ ქვეყნიერებას და შეელო ის კარები, რომელსაც მწვერვალზე ყოველი ასვლისას ჭვრეტდა მისი გამჭოლი მზერა... მწვერვალებს სრულიად მატერიალური და კონკრეტული ენერგია აქვთ, არც ასვლისას და არც მთაზე დგომისას არაფერი „მისტიური" არ ხდება; მწვერვალზე დგომა მწვერვალზე გასულისათვის სრულიად ცივი ცდომილებაა... საქმე შესრულებული სათანადო ოსტატობით და, ყველა გამოწვევის დაძლევით... აღტაცებულები სხვანი არიან, ისინი, ვინც მწვერვალებზე ვერ ადის და იმ გამოწვევებს ვერ ეჭიდება, რომელთაც იდუმალად უმზადებს ბუნება... ბუნებასთან ეს შეჭიდება არ არის ბედთან ჭიდილი, არამედ განუწყვეტელი დგომა გზაზე, რომელიც იმ კარისკენ არის მიმართული, რომლის გასაღებიც ბედის გამრიგეს უპყრია ხელთ. ეს გზა ღმერთების საბრძანისის გზა არის. სწორედ ეს გზიანობა ცხოვრებისა გამოარჩევს ვაჟკაცებს, განასხვავებს „ქსლის მბეჭეელებსა" და რაინდებს, ვეფხვებსა და კუდაძუებს. მახსოვს რა დიდი ტკივილი მოგვაყენა ყველას ილიას, ჯუმბერისა და კუხოს გაფრენამ ცის საუფლოში. ღმერთმა მათ მოულოდნელად გაუხსნა კარი და ისინიც ერთიანად იქ დასახლდნენ, სადაც ტახტი განემზადა მათთვის ბედს. აბა რა მოასვენებდა მიშას და ან რომელიმე ქართველ მთამსვლელს, რომ არ ეცადა ქართველ რაინდთა ნეშტის ჩამოსვენება ტიანშანის ცივი ყინულეთიდან თბილ ქართულ მიწაზე. და ექსპედიციაც გამზადდა. მე ბედმა მარგუნა ეყოფილიყავი ამ ექსპედიციის მომზადებაში ჩართული. მიშა ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო. ჩვენ ვამზადებდით დუშანბეში ჩასვლას



მიშა ხერგიანი.

და იქიდან პამირზე ბანაკის მოწყობას. ვიდრე ყოველივეს სამზადისში ვიყავით, მიშა ევროპაში გაემგზავრა კლდეზე ცოცვაში ევროპის პირველობაზე. ეს ყველამ „კლდის ვეფხვის" უბრალო გასეირნებად ჩავთვალეთ და მშვიდად ვიკრიბებოდით დუშანბეში. მიტო დანგაძე და მე ადრე ვიყავით ჩასულები, რათა ყოველივე მოგვეგვარებინა. მართლაც, მეგობრების დახმარებით ვერტმფრენებიც ვიშოვეთ და მთელი ჯგუფიც სასტუმროში დავაბინავეთ. ხუთიოდე დღეში მიშა უნდა ჩამოსულიყო...

საშინელი დილა გაგვითენდა. სპორტკომიტეტიდან დეპეშა მოვიდა, რომ ექსპედიცია შეწყვეტილია და მთელი ჯგუფი თბილისში უნდა დაბრუნებულიყო სასწრაფოდ. ვერ ალგინერთ რას განიცდიდა ყოველი ჩვენგანი. ჯერ კარგად არც ვიცოდით მიზეზი, მაგრამ გული რაღაც უბედურებას გვამცნობდა, რადგან შეუძლებელი იყო, რომ მიშას არაფერი ელონა ამგვარი გაუგონარი მოქმედების მიმართ. ეს ხომ პირველ რიგში მას ეხებოდა და მის სახელს აყენებდა ჩრდილს. თუმცა... მეორე ცნობა უკვე გვამცნობდა (მგონი ძია მიტომ დარეკა თბილისში), რომ მიშა კლდიდან მომწყდარიყო და... იგივე კარი გახსნილიყო მის წინ, რომელშიც მანამდე ის არაჩვეულებრივი ქართველი რაინდები გავიდნენ, რომელთა შემოკრებას ნებისმიერი სამეფო ინატრებდა. როგორც იყო მოვახერხეთ მთელი ჯგუფის ჯერ ტაშკენტში და იქიდან თბილისში გამომგზავრება... დავრჩით მიტო დანგაძე და მე. რა უნდა გვექნა. არანაირი შესაძლებლობა არ ჩანდა არა თუ მესტიაში აღმოჩენის და დაკრძალვაში მონაწილეობის მიღების, არამედ ადგილიდან რომელიმე მიმართულებით დაძვრისა. როგორც ჩანს, არის ცხოვრებაში ისეთი დაძაბულობის და ნებისყოფის შემოკრების წერტილები, როდესაც შეუძლებელი ხდება (თუმცა ეს ყოველგვარ კანონზომიერებას უარყოფს და სასწაულად გვეჩვენება) სწორედ ამგვარი იყო ჩვენი განწყობა და შემოკრება ნებისყოფისა, რამაც გააჩინა თბილისის მიმართულებით მიმავალი თვითმფრინავი, რომელშიც ათასგვარი ხრიკებით დავიკავეთ ადგილები მიტომ და მე. ცხადია, გუნებას არაფერი გვისწორებდა, მაგრამ მოძრაობამ და უეცარმა დაძვრა მკვდრად მიჩნეული წერტილიდან აგვანთო... წავედით მესტიაში... ბედი, რომელმაც ერთხელ დადრიკა თავი ჩვენი მისწრაფების წინაშე, კვლავ თავჩაქინდრული მოგვყვებოდა და თბილისში დაფრენისთანავე გადავჯექით ქუთაისისკენ გასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავში — აქ უკვე ქართული გულმხურვალების მეოხებით, რადგან მფრინავებმა უკვე იცოდნენ მომხდარი და ჩვენი ამბავიც რომ გაიგეს, უყოყმანოდ აგვიყვანეს თვითმფრინავში. თუ კარგად მახსოვს, ამ თვითმფრინავით, ძირითადად, ჟურნალისტები მიფრინავდნენ მესტიაში მიხეილ ხერგიანის გასვენებაზე მისასწრებად. აქაც ვიმარჯვეთ და მესტიაში მაშინ დავეშვით, როდესაც მიშას ნეშტი უკვე გამოპქონდათ დასაკრძალავად... ახლაც ვერ ავხსნი რა იყო ეს გადაფრენა და ელვისებური გადაადგილება სივრცეში, ეს ბედისათვის თვალებში ჩახედვა, რომ პატივი მიგვეგო სრულიად არაჩვეულებრივი პიროვნებისათვის, ვაჟკაცისათვის, რომლისთვისაც სიცოცხლეც ისეთივე უბრალო საქმე იყო, როგორც სიკვდილი, რომელსაც კლდეზე ფეხის ყოველი შედგმისას ეთამაშებოდა და შესციනოდა თვალებში...

„შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა,

და შენც სიკვდილო ფასი გძევ, სიცოცხლის ნაკლებობითა".

სიკვდილით დამშვენებული სიცოცხლე აქვს მიხეილ ხერგიანს, და ამ სიცოცხლეს უკვე სიკვდილი არ უწერია.

თემო ჯაფარიძე

მხატვარი

# ზნეობრივი მწვერვალი

არიან ადამიანები, რომლებიც იმ სარბიელზე, რომელშიც მოქმედებენ ისეთი რიგის ოსტატობას აღწევენ, რომ თავიანთი მოღვაწეობის სფეროს განსაკუთრებულ ხიბლს, ანდამატს, მიმზიდველობას სძენენ. მიშა ხერგიანმა სპორტის თავისთავად მომხიბვლელ სახეობას — ალპინიზმს ინდივიდუალისტური, ადამიანურად ტიპობრივი პენი შესძინა. ამის თქმის უფლებას ის იძლევა, რომ ქართულ ყოფიერებაში მიშა ხერგიანის ხსოვნა ორი სახით შემორჩა: ერთის მხრივ მან ქართული ალპინიზმის ისტორიაში საუკეთესო სპორტსმენის სახელი დაიმკვიდრა, მეორეს მხრივ კი სახალხო, ლეგენდარული ვაჟკაცის სახელის წარმოშობის საფუძველი შექმნა თავისი პატიოსანი და ზედმიწევნით ადამიანური ხასიათით და ცხოვრებით. სახელოვან სპორტსმენსა

და ლეგენდარულ ვაჟკაცს შორის, ალბათ, ის განსხვავებაა, რომ პირველი მხოლოდ პროფესიონალიზმს აღნიშნავს, მეორე კი ხალხის საყვარელი რჩეულის, გმირის ხარისხს მიანიშნებს. ხალხი უსაფუძელოდ არ იყვარებს, უსაფუძელოდ არ ამკობს თავის რჩეულ ადამიანს. ათასი გადასინჯვის და გამოცდის შემდეგ ხალხი სიყვარულით იმ ადამიანს ასაჩუქრებს, რომელიც რეალურად გამოირჩევა მომხიბლელი ადამიანური ეთიკისა და დიდი ვაჟკაცობის სინთეზით. უამრავ კარგ ამბავს ყვებიან თბილისის ყოფაში საზოგადოების სხვადასხვა შრეებში მიშა ხერგიანის შესახებ. ამ ამბებიდან მკაფიოდ ყალიბდება მკაცრი წესრიგის მოყვარე, მოულოდნელ და შეუცნობ ვითარებებში გონიერი, დისციპლინირებული, დღედაღამ მშრომელი, კლდეზე მსუბუქად მოარული კაცის — „კლდის ვეფხვის" სახე. ამის პარალელურად მიშა ხერგიანის ამბებში ყურადღებას იპყრობს მისი ზნეობრივი, რაინდული თვისებები. იგი გასაჭირში კოლეგების მიმართ დამხმარე, მზრუნველი მეგობრის სახით მოიხსენიება ხშირად. გაუსაძლის ყინვაში და ქარბუქში, სადაც ციცაბო კლდეზე, სადაც ადამიანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს თოვლის მოძრავი ნაფშვენის მასით აღსავსე გრიგალი, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ილუპება. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჯგუფის წევრები სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, თითქოს ისინიც დასაღუპად არიან განწირულები. სწორედ ამ გამოუვალობაში და უიმედობაში იღვიძებს მიშა ხერგიანში განსაკუთრებული ტიპის ბრწყინვა, შეგნება, ქმედების ენერგია. იგი რომელიღაც იდუმალი ალღოთი მოქმედებს და სიტუაციას ცვლის, ჯგუფის წევრები დაღუპვის განწყობიდან გამოყავს. მიშა ხერგიანის შესახებ თბილისური ამბების პარალელურად არსებობს მის შესახებ სვანური ამბები. სვანეთში, საქართველოს ამ მშვენიერ, დიადად მშვენიერ კუთხეში მიშა ხერგიანი სახალხო გმირად იქცა. ეს გასაგებიცაა. არასწორი და არალოგიკური იქნებოდა სვანეთში არ წარმოშობილიყო „კლდის ვეფხვი", რადგან ნამდვილი კლდე, ანუ უშბა სწორედ აქ არის. არ იქნებოდა სწორი თეთნულდის, შხელდას და უშბას მაცქერალ ჭაბუკს მიშა ხერგიანს არ წარმორშობოდა ოცნება, უშუალო სიახლოვეში შეესუნთქა ამ მწვერვალების ზეციური სისუფთავე და მშვენიერება. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად მიშა ხერგიანისთვის აუცილებელი შეიქმნა ზნეობრივ მწვერვალზე ასვლა, კერძოდ გასაჭირში ჩავარდნილ მეგობრებზე და კოლეგებზე ზრუნვა.



მიშა ხერგიანი, ..., მიხეილ ხერგიანი (უმცროსი), გივი წერედიანი და შალვა მარგიანი.

პაატა ნაცვლიშვილი

# რამდენიმე მოგონება მიხეილ ხერგიანზე

სვანებს თხოვნა გვაქვს შენთანო, – ერეკლემ დამირეკა, სალლიანმა. მიხეილ ხერგიანზე წიგნს ვაკეთებთ და შენც რომ არ დაგვიწერო რამე, არ შეიძლებაო! ასეთ თხოვნაზე უარს როგორ ვიტყოდი. პო, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა! რა უნდა ვთქვა ახალი მიხეილ ხერგიანზე, რომელსაც არათუ არ ვიცნობდი, პირადად არასოდეს შევხვედრივარ, თვალიც კი არ მომიკრავს?!

* * *

1969 წლის ივლისში უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი 16 წლის ბიჭი. სანამ გამოცდები დაიწყებოდა, მამაჩემმა მანქანა იქირავა და მანგლისში აგვასხა მთელი ოჯახი. იმ დღეს თბილისიდან გასვლამდე გაზეთები ვიყიდე, როგორც მახსოვს, ოთხივე – „ახალგაზრდა კომუნისტიც", „ლელოც", „კომუნისტიც" და „სოფლის ცხოვრებაც". ოქროყანას რომ გავცდით, ამაეე თანმიმდევრობით დავიწყე გაზეთების კითხვა. თუმცა სწორედ იმ დღეს ჩემთვის დადგენილ ამ რეიტინგს თურმე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია – დღის მთავარ ამბავს, სამწუხარო ამბავს ყველა გაზეთი იუწყებოდა: მიხეილ ხერგიანის ნეკროლოგი ყველა გაზეთში იყო დაბეჭდილი. თუმცა იმ დროისათვის ჩემს მიერ დაპყრობილი უმაღლესი „მწვერვალები" მხოლოდ მამადავითი და ქოროღლი იყო, თეორიულად უკვე გატაცებული ვიყავი ალპინიზმით, უკვე ნაკითხული მქონდა თენსინგ ნორგეიც, მორის ერცოგიც, არდიტო დეზიოც, ჩარლზ ევანსიც... რაც შეეხება მიხეილ ხერგიანს, მისი პოპულარობა იმხანად ზენიტში იყო და მეორე მიხეილთან – მესხთან – ერთად იგი ჩემს კერპად მიმაჩნდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ მისი დაღუპვის ამბავმა შემძრა. დღევანდელი გადასახედიდან კი შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თუმცა გალაკტიონის გარდაცვალებაც მახსოვს, მიხეილ ხერგიანი იყო პირველი ჩემთვის უცნობი ადამიანი, რომლის ამქვეყნიდან წასვლა ასე განვიცადე.

იმ წელს ჩავირიცხე უნივერსიტეტში. მოგზაურობის ჟინით ვიყავი შეპყრობილი. ცალკე მთა მიტაცებდა და ცალკე ზღვა. „ოქროს საწმისის" ამბავზე გავგიჟდი: უფროსი ბიჭები საექსპედიციოდ ემზადებდნენ ძველკოლხური ხომალდით. ჩემი თხოვნა მივაწვდინე ექსპედიციის ხელმძღვანელს, მან კი – ჯერ პატარა ხარო, შემომითვალა, შეხვედრაც არ ისურვა ჩემთან! მის „ჯიბრზე" მე სვანეთში წასვლა გადავწყვიტე. რამდენიმე თვეში ყველაფერი წავიკითხე სვანეთზე, რაზედაც კი ხელი მიმიწვდა. ზუსტად წასვლის წინ, პირველი კურსის გამოცდები უკვე ჩაბარებული გვქონდა, ორი ჩემი თანაჯგუფელი გოგონა შემევედრა, ჩვენც წაგვიყვანეო. მე კი წავიყვანე, მაგრამ მათმა მშობლებმა როგორ გამატანეს, დღესაც მიკვირს.

* * *

ის იყო ჩემი პირველი შეხვედრა სვანეთთან. მესტიაში ყველას მიხეილ ხერგიანის სახელი ეკერა პირზე და ჩემთვის სვანეთი და მიხეილ ხერგიანი ლამის გაიგივდა. ჩასვლის დღესვე გავიცანით ჩვენზე ცოტათი უფროსი მესტიელი ბიჭები: ავთო ჯაფარიძე და როლანდ ქურდიანი. მესტიის იმ ერთადერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, ახლა რომ აღარ არსებობს. სასტუმროს შენობაში მეორე მხრიდან სასადილო იყო. იოსებ კახიანი ყოფილა ჩამოსული ჩრდილოეთ კავკასიიდან, ამ სასადილოში იჯდა მეინახეებთან ერთად და ვიღაცამ დამანახა. მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი საუკეთესო ალპინისტური წყვილი იყო და არაერთი ბრწყინვალე ასვლა განეხორციელებინათ. რა გული გამიძლებდა, არ მივსულიყავი! თქვენთან ერთად მინდა მიხეილ ხერგიანის ხსოვნის სადღეგრძელო დავლიო-მეთქი. გაკვირვებით კი შემომხედა, მაგრამ უარი არ უთქვამს. მერე ჩემს მაგიდას დავუბრუნდი და შორიდან ვუსმენდი იოსებ კახიანს. ხმამაღლა ლაპარაკობდა. ათასი საინტერესო ალპინისტური ამბავი გავიგე იმ საღამოს. თან იმას ვფიქრობდი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ მიხეილ ხერგიანიც აქ იქნებოდა, ალბათ მასაც გავიცნობდი-მეთქი. იქნებ ინტერვიუც კი ამეღო... სულ ერთი წლით დამაგვიანდა სვანეთში ჩასვლა! გვიან, როცა ტურბაზაში გამართული ცეკვებიდან დავბრუნდით და ჩემი თანამგზავრი გოგონები სასტუმროში მივაცილეთ, მე და ჩემი ახალგაცნობილი მეგობრები ხერგიანის საფლავზე მივედით. სხვებიც დაგვიხვდნენ. წლისთავი ახალი გასული იყო. მერე ვიღაცამ საიდანღაც რახი გააჩინა.

მას შემდეგ არაერთხელ ვყოფილვარ სვანეთში, როგორც სტუმარი, როგორც უცხოელთა მასპინძელი, როგორც ტურისტი, როგორც მთამსვლელი, როგორც ჟურნალისტი... მრავალი დღე და ღამე გამიტარებია „ზესხოსა" თუ „აილამაში", იმხანად ეს ბანაკები მთელ კავშირში იყო ცნობილი; დავსწრებივარ ახალგაზრდული კლუბის „ბეთქილის"



[illegible] ხერგიანი ([illegible]), [illegible] გუგავა, გივი წერედიანი,
[illegible] რამაზ ჯიმჯარიანი, მიშა ხერგიანი.



შოთა ჩართოლანი, ქართველი გეოლოგი გოგონა, ჩეფხან გაბულდანი (გეოლოგიური პარტიის უფროსი ტიანშანში), თეიმურაზ კუხიანიძე, იოსებ კახიანი და მიშა ხერგიანი.

გახსნას, გურამ თიკანაძის ხსოვნის საღამოს; ინტერვიუ ამილია ბექნუ ხერგიანისაგან, ბორის კახიანისაგან, იური ბურლაკოვისაგან...

იური ბურლაკოვი მიხეილ ხერგიანის მეგობარი იყო. შესანიშნავი წიგნი დაწერა მასზე. მესტიაში მიხეილ ხერგიანის მუზეუმი რომ გაიხსნა, ამაში ბურლაკოვის წვლილიც იყო. იმ წელიწადს „ზესხოში" ვიყავი, მეორე თანრიგს ვხურავდი, ჯოკია გუგავას დავეთხოვე და სპეციალურად ჩავედი მესტიაში ხერგიანის სახლ-მუზეუმის გახსნაზე. ძალიან შთამბეჭდავი იყო. დღესაც ცივი ჟრუანტელი მივლის ტანში იმ გადაჭრილი თოკის გახსენებისას, რომელმაც სუ-ალტოზე უმტყუნა მიხეილ ხერგიანს და რომელიც მთამსვლელთა თუ მეკლდეურთა ოქრო-ვერცხლთან და ბროლთან ერთად იყო გამოფენილი დიდი ტკივილით და სიყვარულით მოწყობილ მუზეუმში...

არაერთხელ მისაუბრია მიხეილ ხერგიანზე შალვა მარგიანთან თუ მიშას ცილისძმასთან – სერგო ბარლიანთან, რომელთანაც ალპინისტური, და არა მარტო ალპინისტური, მეგობრობა მაკავშირებდა.

იმ პერიოდში ბევრს ვწერდი ალპინიზმზე. მერე ის წერილები ჩემს წიგნში შევიტანე, რომელსაც „ალპინისტური" სათაური ჰქვია: „ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე!" ეს გახლავთ სათაური ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი წერილისა, რომელშიც ქართული ალპინიზმის მთელი ისტორია ჯომოლუნგმაზე ასვლის ეტაპებად წარმოვიდგინე და რომელშიც, ბუნებრივია, ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი სწორედ მიშა ხერგიანს უკავია. მისი სახელი ერთადერთია, რომელიც ქართველ ალპინისტთა მიერ ჯომოლუნგმის ფერდობზე მოწყობილი შვიდი ვირტუალური ბანაკიდან სამს გასწვდა. მათგან ერთს, მეექვსე ბანაკს გავიხსენებ:

* * *

ამ ეტაპზე წინ მიხეილ ხერგიანი მიდის, ქართული ალპინიზმის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მის განვითარებას. მან ითავა ლიდერის, ბაირახტარის როლი და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქართველ მთამსვლელთა ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა ალპინიზმის უბრწყინვალესი ფურცლებიც.

ძნელია, შეუძლებელია ჩამოთვალო მიხეილ ხერგიანის ყველა გამარჯვება.

სახელგანთქმული გრან-ჟორასი მიხეილ ხერგიანმა და სლავა ონიშჩენკომ რეკორდულ დროში – 12 საათში დაიპყრეს. ეს მარშრუტი დღემდე გაუვლელია. სლავა ონიშჩენკო ამბობს: „მიშა საოცრებას ახდენს, ადის მწვერვალზე ახალი გზით და ეს ალპებში, სადაც ყველა გზა გავლილად მიაჩნდათ". დღეს ამ მარშრუტს „რუსულ ვარიანტს" უწოდებენ. „რუსული ვარიანტი" პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად ქართველმა მიშა ხერგიანმა და უკრაინელმა სლავა ონიშჩენკომ გაიარეს! გრან-ჟორასის გარდა მიხეილ ხერგიანი თავის მეწყვილესთან ერთად იპყრობს გრან-კაპუცინს, მონბლანს, პტი-დრიუს. შემდეგ იყო იტალია, დოლომიტის ალპები, ტორე-ვენეცია, ბანკონი...

მანამდე კი, 1964 წელს, მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით დაძლეული იქნა ჩრდილოეთ უშბის აღმოსავლეთის კედელი, უშბის სარკედ წოდებული. ამ ასვლისათვის მიხეილ ხერგიანი, ჯოკია გუგავა, გივი წერედიანი, შალვა მარგიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) და ჯუმბერ კახიანი სსრკ ჩემპიონის ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

ხუთი წლის შემდეგ კი დოლომიტის ალპებში, სუ-ალტოზე დაიღუპა მიხეილ ხერგიანი, საერთაშორისო რეზონანსის მქონე სპორტსმენი, რომლის ძალასა და ოსტატობას ყველა ერთხმად აღიარებდა. 1960 წელს იგი იოსებ კახიანთან ერთად მიწვეული იყო ინგლისში ცნობილი მთამსვლელის ჯონ ჰანტის მიერ. ეს ის ჯონ ჰანტია, რომელიც მეთაურობდა ინგლისის 1953 წლის ექსპედიციას ევერესტზე, როცა ჯომოლუნგმამ პირველად მოიხარა ქედი ადამიანების წინაშე. სწორედ მისი ექსპედიციის ნაბანაკარია აქ, 7400 მეტრის სიმაღლეზე, ყვითელი თაროს ქვეშ, სადაც ახლა ქართველმა მთამსვლელებმა მეექვსე ბანაკი დასცეს. ბანაკი ითქმის, თორემ რა! ორი-სამი კარავია. მთელ გზაზე მხოლოდ ორი ბანაკია დიდი: პირველი – საბაზო და მეშვიდე – საიერიშო...

* * *

ჩემი ის წერილი 1977 წელს დაიწერა და პირველად ჟურნალ „მართვეში" გამოქვეყნდა. დიდი ვერაფერი კარგი ტონია საკუთარი ნაწერების ციტირება, მაგრამ კიდევ ერთი ძველი ნაწერი უნდა გავიხსენო: 1986 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „დიდი ჭირისუფალი", რომელიც რეზო თაბუკაშვილის კინომოღვაწეობას ანალიზს წარმოადგენს. ბუნებრივია, ამ წიგნში საუბარია მის დილოგიაზეც "მთანი მაღალნი", რომლის ერთი ფილმი მიხეილ ხერგიანს ეძღვნება. ამ წიგნზე მუშაობისას რეზო თაბუკაშვილი ბევრს მესაუბრებოდა მიხეილ ხერგიანზე



ილიკო გაბლიანი. ტრაგიკულად დაიღუპა
გამარჯვების პიკზე 1961 წელს



ჯუმბერ მეძმარიაშვილი. ტრაგიკულად დაიღუპა
გამარჯვების პიკზე 1961 წელს



თეიმურაზ კუხიანიძე. ტრაგიკულად დაიღუპა
გამარჯვების პიკზე 1961 წელს



მიხეილ ხერგიანი (უმცროსი).

და იგი ქართული ეროვნული ენერგიის ერთ-ერთ საუკეთესო გამოვლინებად მიაჩნდა. ვისაც ეს ფილმი ახსოვს, ისიც ემახსოვრება, რაოდენი სევდითა და ამავე დროს რა სიამაყით იხსენებს რეზო თაბუკაშვილი მიხეილ ხერგიანს.

დიდი ბოდიში მკითხველის წინაშე, რომ ისევ საკუთარი თავის ციტირებას მიწევს:

* * *

თუმცა ემოციური მუხტი რეზო თაბუკაშვილის ყველა ფილმში ძალუმად იგრძნობა, ყველაზე აშკარა და თვალსაჩინო იგი მაინც მიხეილ ხერგიანის შესახებ გადაღებულ ფილმშია, რადგან ხერგიანის ტრაგედია თითქოს ჩვენს თვალწინ მოხდა, ფილმის გადაღებამდე სულ რაღაც 12 წლის ადრე. ფილმსა და მასში ასახულ ამბებს შორის ფაქტიურად არ არის დროითი დისტანცია და ამით მისი ემოციური ზემოქმედების ძალა კიდევ უფრო მატულობს (ალბათ სწორედ ამ დროითი დისტანციის უქონლობის გამოა, რომ „მიხეილ ხერგიანში" ემოციურობა ზოგჯერ სენტიმენტალურობაშიც კი გადადის ამ სიტყვის საუკუნისწინანდელი გაგებით).

მიხეილ ხერგიანი ხერგიანთა მთამსვლელური კლანის უბრწყინვალესი წარმომადგენელი იყო. პირველი მწვერვალი – ბანგურიანი – მან 13 წლისამ დალაშქრა, როცა მამა-ბიძის უკითხავად აედევნა ალპინიადას, რომელსაც სანდრო გვალია, მიხეილის მამა – ბესარიონ ხერგიანი და ბიძა – მაქსიმე გვარლიანი მიუძღოდნენ წინ. ბანგურიანზე დაწყებულმა გზამ მიხეილ ხერგიანი კავკასიონის, ალპების, პამირისა თუ ტიან-შანის ურთულეს მწვერვალებთან მიიყვანა. არაერთი სასახელო გამარჯვება მოიპოვა მან ამ გზაზე. მიხეილ ხერგიანი სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მთამსვლელობაში (ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებზე აღარას ვამბობთ). იგი იყო ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში (1952 წლიდან სიკვდილამდე მიხეილ ხერგიანს სპორტის ამ სახეობაში ბადალი არ ჰყოლია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში); ამასთანავე, იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი საბჭოთა კავშირში. ეს წოდება მიხეილ ხერგიანმა 1967 წელს მიიღო; მანამდე კი, 1963 წელს იგი სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა. შეუძლებელია ჩამოვთვალოთ მიხეილ ხერგიანის ყველა სპორტული გამარჯვება, ყველა მწვერვალი, რომელიც მას დაუპყრია. ამ მწვერვალთა უმეტესობა კი, უფრო სწორად – მიხეილ ხერგიანის მიერ ამ მწვერვალებზე გავლილი მარშრუტები სირთულის უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნება. თუნდაც მხოლოდ კომუნიზმის პიკი, უშბის სარკე ან შჩუროვსკის პიკის ჩრდილო-დასავლეთის კედელი რად ღირს!

მიხეილ ხერგიანმა თავისი ფანტასტიკური ოსტატობით გააოცა მთელი ალპინისტური სამყარო. მისი ასვლების შესახებ აღფრთოვანებული წერილები დაიბეჭდა ბულგარეთისა და ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის პრესაში. ინგლისში, სადაც მიხეილ ხერგიანი იოსებ კახიანთან ერთად ჩავიდა ლორდ ჯონ ჰანტის მიწვევით, მას „კლდის ვეფხვი" შეარქვეს „თოვლის ვეფხვის" ანალოგიით. თავად „თოვლის ვეფხვი" – ჯომოლუნგმის პირველი დამპყრობი, შერპი თენსინგ ნორგეი 1962 წელს მიხეილ ხერგიანის სტუმარი იყო. ისინი ერთად უნდა ასულიყვნენ იალბუზზე, მაგრამ ამინდი გაფუჭდა და თენსინგმა ასვლაზე უარი თქვა. მაშინ მიხეილი მარტო ავიდა იალბუზის კალთაზე და ვეება ასოებით დაწერა თოვლზე: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, თენსინგ!" მიხეილ ხერგიანი პირადად იცნობდა რვაათასიანის პირველ დამპყრობს, ცნობილ ფრანგ მთამსვლელს მორის ერცოგსაც. 1967 წელს შამონიში, ალპინისტთა საერთაშორისო შეკრების დამთავრებისადმი მიძღვნილ ბანკეტზე ანაპურნის გმირმა მაგრად ჩამოართვა მიხეილ ხერგიანს თავისი უთითო ხელი. ამ შეკრებაზე მიხეილ ხერგიანი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. საფრანგეთის სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის ნაციონალური სკოლის დირექტორი ჟან ფრანკო წერს: „როცა წილად გვხვდა პატივი, გვემასპინძლა მიხეილ ხერგიანისათვის შამონიში, ჩვენ გაგვაოცა იმ სისწრაფემ, სიმტკიცემ და ელეგანტურობამ, რაც მან ონიშჩენკოსთან ერთად გამოავლინა ურთულესი ასვლებისას მონბლანის მასივში: გრან-ჟორასი ჩრდილოეთის კონტრფორსით, გრან-კაპუცინის აღმოსავლეთისა და პტიდრიუს დასავლეთის კედლები... უნდა ითქვას, რომ იგი ზედმიწევნით ფლობდა ხელოვნური ცოცვის თანამედროვე ტექნიკას და აქვე დავძენ: თავისუფალ ცოცვაში ხერგიანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყველა დროის ალპინისტთა შორის. დიდად დაგვამწუხრა ცნობამ მისი დაღუპვის შესახებ. ჩვენ იგი მუდამ გვემახსოვრება. მისი დიდებით მოსილი სახელი კი სამუდამოდ დარჩება საერთაშორისო შეკრებათა ისტორიაში, შეკრებებისა, რომლებშიც, ჩვენი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო მთამსვლელები მონაწილეობენ.

1967 წელს შამონიში ალპინისტთა მართლაც ბრწყინვალე თანავარსკვლავედი შეიკრიბა. აქ იც-



შალიკო მარგიანი. მიშას პირველი მწვრთნელი და მეწყვილე, ალპინიზმის „აკადემიკოსი"
სსრკ საპატიო სპორტის ოსტატი.



ჯუმბერ კახიანი. სსრკ სპორტის ოსტატი.



სსრკ სპორტის ოსტატები შოთა ჩართოლანი და ჯოკია გუგავა.

დაექვსმა ქვეყანამ გამოაგზავნა წარმომადგენლები; ამას გარდა, თავისი სურვილით ჩამოვიდნენ იტალიელი, ავსტრიელი, პოლონელი, ჩეხი, იაპონელი და გერმანელი მთამსვლელები. არ იყო ალბათ მხოლოდ ვალტერ ბონატი – დასავლეთის სამყაროს მიერ იმ დროისათვის მსოფლიოში უძლიერესად მიჩნეული მთამსვლელი, რომელთან შეხვედრასაც ყველაზე მეტად ესწრაფოდა მიხეილ ხერგიანი. პირადად ვერა, მაგრამ ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილი მაინც შეხვდა ბონატის: გრან-კაპუცინზე მათ მიერ გავლილი მარშრუტი პირველად სწორედ ბონატიმ გაიარა. ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილმა საუკეთესო შედეგი აჩვენა ამ მარშრუტზე – 12 საათი!

შემდეგ იყო ტრიუმფალური გამარჯვება პტიდრიუზე და ბოლოს – ფანტასტიკური ასვლა გრანჟორასზე. გრან-ჟორასი საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე მდებარეობს, ერთი ქვეყნიდან მწვერვალზე ასული მთამსვლელი მეორე ქვეყანაში ეშვება და ამიტომ საბჭოთა ალპინისტებს ერთობ საინტერესო წერილი გაატანეს თან: „რუსი ალპინისტები ბატონი ვიაჩესლავ ონიშჩენკო და ბატონი მიხეილ ხერგიანი საფრანგეთის მთავრობის მოწვევით მონაწილეობენ ალპინისტთა საერთაშორისო შეკრებაში. ისინი გრან-ჟორასზე ავლენ ჩრდილოეთის კედლით და დაეშვებიან ნორმალური გზით იტალიის მხარეს. სათხილამურო სპორტის და ალპინიზმის სკოლის დირექტორი წინასწარ მადლობას უხდის იტალიელ და ფრანგ მესაზღვრეებს ბატონ ონიშჩენკოსა და ბატონ მიხეილ უკან დაბრუნებაში დახმარების აღმოჩენისათვის".

ბოლო წლებში ონიშჩენკო ხერგიანის საუკეთესო მეწყვილე იყო. იმ წელსაც ერთად იყვნენ. ერთად განახორციელეს ორი სარეკორდო ასვლა იტალიაში, დოლომიტის ალპებში: ტორე-ვენეცია და ბანკონი. ბოლოს ჯერი სუ-ალტოზე მიდგა.

1969 წლის 4 ივლისს ხერგიან-ონიჩშენკოს წყვილი დილაადრიანად გავიდა ვაცოლერის თავშესაფრიდან. თოვლიან და ყინულიან ფერდობებზე წინ ონიშჩენკო მიდიოდა. მერე, როცა ურთულესი, მეექვსე კატეგორიის კლდეები დაიწყო, წინ ხერგიანი გავიდა. დღის პირველი საათისათვის მთამსვლელებს ნახევარი თოკილა რჩებოდათ რთულ კლდეებზე. ხერგიანს ვეება შვერილმა გადაუღობა გზა. მისი შემოვლა მარჯვნიდანაც შეიძლებოდა და მარცხნიდანაც. მიშამ უკან მიიხედა. სლავამ ამ დროს სურათი გადაუღო. ეს მიშა ხერგიანის უკანასკნელი სურათია, რომელიც ასე ოსტატურად აქვს გამოყენებული თავის ფილმში რეზო თაბუკაშვილს. მერე ხერგიანი მარჯვნივ წავიდა, სამსაფეხურიანი კიბის დახმარებით ტრავერსით გაიარა ოთხიოდე მეტრი, „ბუხარში" შევიდა და თვალს მიეფარა. ონიშჩენკო დაცვაზე იდგა. ცოტა ხნის შემდეგ მან ქვათაცვენის ხმა გაიგონა და მალე მიხეილ ხერგიანიც დაინახა, ქვებთან ერთად ქვევით რომ მიექანებოდა. ონიშჩენკომ თოკი დაქაჩა და ძლიერი ბიძგისათვის მოემზადა, მაგრამ ბიძგი არ ყოფილა: თოკი განწყვეტილიყო. ერთადერთი თოკი. დროის მოგების მიზნით, მთამსვლელები ცალფა თოკით მიდიოდნენ. მიხეილ ხერგიანს ხმა არ ამოუღია. ონიშჩენკო ხედავდა, როგორ მიფრინავდა მისი მეგობარი ქვევით: ხელ-ფეხი მართლა ვეფხვივით გაეშალა. ალბათ იმედი ჰქონდა, რომ ამით დაცემის ძალას შეამცირებდა. ყველაფერ ამას ქვემოდან ბინოკლით უყურებდნენ მეთვალყურენი – მიხაილ ანუფრიკოვი და ბორის რომანოვი. მათთან ერთად იყო „ალპინიზმის აკადემიკოსი" არმანდო დი როიტი – საბჭოთა მთამსვლელების მასპინძელი დოლომიტებში. ოთხივემ კარგად დაინახა, როგორ მიეხეთქა ხერგიანი კლდეებს და როგორ განაგრძო ფრენა, ამჯერად უკვე უკონტროლოდ. ონიშჩენკო – პროფესიით ექიმი-ტრავმატოლოგი – მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა და ერთი ხანობა კინალამ თავადაც გადაეშვა ქვევით.

მიხეილ ხერგიანის ერთ-ერთი მეგობარი იური ბურლაკოვი თავის შესანიშნავ წიგნში „მთამსვლელი" წერს: „ალპინისტის და დაღუპვა თავზარს არ სცემს ალპინისტებს. სიკვდილი თითქოს თამაშის წესებში შედის... მაგრამ ამ სიკვდილმა მართლაც თავზარი დასცა ყველას".

ამ თავზარდამცემი სიკვდილის ამბავია რეზო თაბუკაშვილის ფილმის ძირითადი თემა, თუმცა იგი მაინც სიცოცხლის ერთ მთლიან საგალობლად აღიქმება. ფილმში თითქმის არ არის ის, რაც ზემოთ იყო მოთხრობილი. ავტორი გულისხმობს, რომ მაყურებელმა, თანამედროვე ქართველმა მაყურებელმა ეს ყველაფერი უკვე იცის.

თუ მიხეილ ხერგიანის სპორტული წარმატებების ამბები კინემატოგრაფისტებს არაერთხელ აღუბეჭდავთ ფირზე, მისი ტრაგიკული აღსასრული ამ თვალსაზრისით ფაქტიურად უცნობი იყო. თუმცა ჩვენში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ვიცოდით, რომ მიხეილ ხერგიანის უკანასკნელი ასვლის დასაწყისი რომის ტელევიზიას გადაუღია ტრაგედიამდე რამდენიმე საათით ადრე. მთელი ფილმის სიუჟეტური ხაზი ამ ფირის ძიებაა. საერთოდ, რ. თაბუკაშვილმა თავის ამ ნამუშევარშიც რთული გზა აირჩია – მან გადაწყვიტა, ფილმში ძი-



[illegible] და
[illegible] მიშა ხ[illegible]იანი.



[illegible], მეგობრები და [illegible] მეგობრები
[illegible] ხერგიანი უმცროსი და მიშა ხერგიანი.



შაკირ ტენიშევი, იოსებ კახიანი, თენსინგ ნორგეი, მიშა ხერგიანი და ჯუმბერ კახიანი

რითადად უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მასალა გამოეყენებინა. ასე რომ, იმ მთავარი ფირის ძიებაში მან მაყურებელს არაერთი უნიკალური კინო- თუ ფოტო დოკუმენტი გააცნო.

მიხეილ ხერგიანის შესახებ უცნობი მასალების ძიებამ ავტორი ვიტორიო სელლამდე მიიყვანა. ვიტორიო სელლა – იტალიელი მთამსვლელი, ფოტოგრაფი და საზოგადო მოღვაწე – გასული საუკუნის 80-90-იან წლებში სამჯერ ყოფილა რაჭასა და სვანეთში. მისი პიროვნება, მისი ეს ექსპედიციები და, რაც მთავარია, მის მიერ საქართველოში გადაღებული ფოტომასალა სრულიად უცნობი იყო ჩვენთვის (რაც შეეხება ფოტომასალას, უცნობი იყო თავად იტალიელებისთვისაც).

„ვიტორიო სელლაში" ავტორი რამდენჯერმე ახსენებს ხერგიანის სახელს და ამით ერთგვარ ხიდს დებს დილოგიის მეორე ფილმთან, რომლის ძირითადი ხაზი იმ კინოფირის მოძიებაა, რომელზედაც იტალიელ ოპერატორებს ხერგიანისა და ონიშჩენკოს რეფუჯო ვაცოლერიდან გასვლა აუსახავთ. ავტორი მაყურებელთან ერთად ფილმის დასაწყისშივე იმედოვნებს, რომ ამ ფირის ძიებაში მას დაეხმარება მიხეილ ხერგიანის უკანასკნელი მასპინძელი და ჭირისუფალი, ლეგენდარული იტალიელი ალპინისტი არმანდო დი როიტი, რომელიც ფილმზე მუშაობის დაწყებისას პატარა ქალაქ აგორდოს მერად აურჩევიათ.

დროებით სწორედ აგორდოს მუნიციპალიტეტის წინ დადგა რეზო თაბუკაშვილმა ვახტანგ ონიანის მიერ შექმნილი მიხეილ ხერგიანის მემორიალი. სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ითქვას: ფილმში უხვადაა გამოყენებული ვახტანგ ონიანისა და დავით კაკაბაძის ნამუშევრები. თითქოს შეუსაბამოა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ამ ორი მხატვრის ერთი საქმის სამსახურში ჩაყენება, მაგრამ ფილმის ავტორი აქაც საოცრად ზუსტია: თუ ვახტანგ ონიანის ნახატები ლოკალურ დროს, უფრო კი – ლოკალურ გარემოს ასახავენ და ამით უშუალო კავშირში არიან ფილმის მთავარ გმირთან – მიხეილ ხერგიანთან, დავით კაკაბაძის აბსტრაქტულ ნამუშევრებს, რომლებიც დროისა და სივრცის გარეშე დგანან, ზოგადადამიანურ, საყოველთაო სიმაღლეებდე აჰყავთ ფილმში ასახული კონკრეტული ტრაგედია. რეზო თაბუკაშვილს რომ იმთავითვე მიზნად დაუსახავს სათქმელის განზოგადება, ამაზე ფილმის ეპიგრაფიც მიგვანიშნებს:

„ეს ფილმი ეძღვნება ყველა ადამიანს, შეპყრობილს მთების სიყვარულით, შეპყრობილს კაცთათვის ზეკაცური ძალის მიმნიჭებელი ჟინით, ჟინით აღმასვლისა და ამოუცნობის ამოცნობისა. იქნებ ბევრისთვისაა გაუგებარი ეს უცნაური ლტოლვა, რადგან მთებზე შეყვარებულთ მხოლოდ მათთვის გასაგონი ხმით ეძახიან დაუპყრობელი მწვერვალები. ვიგონებთ გარდასულთ, მიუვალ კლდეზე ზვავსა თუ ყინულეთში ვინც აღესრულა, ვინც არ ისურვა უსაფრთხო შარაგზაზე მარტოდ სიარული და სიკვდილ-სიცოცხლის ბაწრით გადაება მოძმეს თვისას. ვინც ზნეობის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო მაშინაც კი, როცა მთის მწვერვალის დაპყრობა არ მოხერხდა, ვისაც ფრთები ესხა, რამეთუ თვალშეუდგამ კლდეზე ცოცვა მისთვის ფრენა იყო. ეს ფილმი მოკრძალებული პატივია დამარცხებულთა გამარჯვებისა. ნათელი იყოს ხსოვნა თქვენი, ვინც სამარის ლოდებად აირჩიეთ მთანი მაღალნი"...

რომის ტელევიზიის მიერ გადაღებული ფირის ძიების პარალელურად, ფილმის მაყურებელი ეცნობა მიხეილ ხერგიანთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულ არაერთ საინტერესო უცნობ ან ნაკლებად ცნობილ მასალას, დაწყებული მიხეილ ხერგიანის დღიურებიდან და დამთავრებული ქართული ალპინიზმის პირველი ნაბიჯებით.

შემდეგ ეკრანზე ჩანს ევერესტზე პირველი წარმატებული ასვლის ხელმძღვანელი, ბრიგადის გენერალი, ლორდი ჯონ ჰანტი, რომელიც მიხეილ ხერგიანზე ლაპარაკობს. იგი მაშინვე გამოეხმაურა რეზო თაბუკაშვილის თხოვნას, მისი ფილმისათვის ფირზე გადააღებინა თავისი გამოსვლა და ლონდონიდან გამოგზავნა მეგობრების ხელით.

ამასობაში იტალიელებს არმანდო და როიტის თაოსნობით უკვე აუტანიათ ალპებში მიხეილ ხერგიანის მემორიალი და სუ-ალტოს ძირას დაუდგამთ. თავად არმანდო დი როიტი კი იმ ხანებში იტალიის რესპუბლიკის სენატორად აურჩევიათ. მან დიდად სასიხარულო ცნობა დაახვედრა საქართველოდან ჩასულ გადამღებ ჯგუფს: „როგორც გამოირკვა, ის კინოფირი რომის ან მილანის ტელევიზიას კი არა, ვენეციის ტელეოპერატორებს გადაუღიათ და, ვფიქრობ, დაცული იქნება ვენეციის არქივში. ხვალ ვენეციაში ტარდება ეგრეთ წოდებული „რეგატა სტორიკა" – „ისტორიული რეგატა". სხვა სენატორებთან ერთად მეც მიწვეული ვარ ვენეციის მერის მიერ. ბედნიერი ვიქნები, თუ შევძლებ თქვენს დახმარებას. ვეცდები მივაგნო იმ ფირს, რაც ასე გაინტერესებთ თქვენ მიხეილის ხსოვნის პატივსაცემად".

ტელევიზიის მუშაკები უკვე შედგომიან იმ ფირის ძებნას ეენეციის მერის დავალებით. მისივე ხელშენყობით რეზო თაბუკაშვილმა შეძლო ფირზე აესახა „რეგატა სტორიკას" ფერადოვანი დღესასწაული. თითქოს წარმოუდგენელია, რომ ამ საოცარი დღესასწაულის მოწმესა და მონაწილეს, გნებავთ – მის ეკრანზე მაყურებელს, შესძრავს და უსაზღვროდ გაახარებს ერთი პატარა კოლოფი, რომელიც პირდაპირ საპატიო სტუმართა ტრიბუნაზე მიართვა რეზო თაბუკაშვილს საზღვაო პოლიციის მუშაკმა, მაგრამ ეს მართლაც ასეა. ძიება დამთავრდა, ფირი ნაპოვნია, ახლა ვნახოთ იგი და ფილმიც დამთავრდება, მაგრამ ავტორი არ ჩქარობს: იტალიაში მიკელეული ფირი მეტად პატარაა და იმისათვის, რომ მან სრულყოფილი ემოციური ზეგავლენა იქონიოს მაყურებელზე, რეზო თაბუკაშვილი კიდევ ერთხელ აღადგენს ტრაგედიის წინა დღეების ამბავს მიხეილ ხერგიანის დღიურისა თუ სლავა ონიშჩენკოს მონათხრობის დახმარებით. რაც მთავარია, იტალიურ ფირს ავტორი აჩვენებს ნელა, სდექ-კადრებით, ჩართული ფოტოებითა და სხვა მასალით. იზოგავს მას, ამით ამძაფრებს თხრობას და ონიშჩენკოს მიერ გადაღებული მიხეილის უკანასკნელი ფოტოს ნყალობით ლოგიკურ კულმინაციამდე მიჰყავს იტალიელთა მიერ გადაღებული კადრები...

* * *

დავნერე (უფრო ზუსტად – გადავნერე) ეს ყველაფერს და ვფიქრობ: რას იტყვის ახლა მკითხველი?! თან თავხედურად „მოგონება" რომ დავარქვი ამ ჩემს ოპუსს! თანაც „რამდენიმე მოგონება"! თუ ჩემი ძველი ნანერების ციტირება მოუნდებოდათ, განა ამას უჩემოდ კი ვერ მოახერხებდნენ წიგნის შემდგენლები?

არადა, მართლა რა უნდა მექნა! თავადაც არ მჯერა, რომ მიხეილ ხერგიანს პირადად არ ვიცნობდი, ვიცნობდი კი არა, ერთხელად არ მომიკრავს თვალი! მე მას „სულ რაღაც" ერთი ნლით ავცდი, თორემ პირველი მთამსვლელი, ვისგანაც მე ინტერვიუს ავიღებდი, უეჭველად მიხეილ ხერგიანი იქნებოდა. აი, იმ ინტერვიუს ციტირება კი, რაგინდ ვრცელიც არ უნდა ყოფილიყო, ნამდვილად არ გამიხდებოდა საბოდიშო!



იოსებ კახიანი და მიხეილ ხერგიანი მასპინძლობენ თენსინგ ნორგეის.



პტი-დრიუ, საფრანგეთი (მიშა ხერგიანის მიერ გაელილი რუსული ვარიანტი).



დაბა მესტია, ლანჩვალი. (ფოტო ლ. გურჩიანი)



საზოგადო მოღვაწე სოლიკო ხაბეიშვილი
სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში.



უშბა მესტიიდან.



უშგული. ლამარიას ციხე-გალავნიანი კომპლექსი შხარის ფონზე.

კარლო ქოჩქიანი

# მიშა (მიხეილ) ხერგიანი

სულმთნათმა ნიკო კეცხოველმა მიშა ხერგიანის გარდაცვალებას „ლამაზი სიკვდილი" უწოდა.

მიშა ხერგიანის მიერ „უშბის სარკის" აღება, ეს იყო ამ კაცის ზებუნებრივი ძალისა და ნებისყოფის, აგრეთვე მიშას ლეგენდარული მეგობრების: შალვა მარგიანის, მიშა (უმცროსი) ხერგიანის, ჯოკია გუგავას (სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან), გივი წერედიანისა და ჯუმბერ კახიანის უდიდესი ვაჟკაცობისა და ღმერთის ნების გაერთიანება.

დიდი გმირობა ჩაიდინა მიშამ „გამარჯვების პიკზე". უამინდობისა და საერთო დეპრესიის გამო უძლიერესი მთამსვლელები დაიქსაქსნენ, დაიბნენ, დაკარგეს ურთიერთკავშირი და დახმარების უნარი, რის შედეგადაც მეძმარიაშვილი და კუხიანიძე დაიღუპნენ, ილიკო გაბლიანი 7000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე გარდაიცვალა, უმცროსი მიშა შეუძლოდ გახდა, ამ დროს, „კლდის ვეფხვმა", მართლაც, შეუძლებელი შეძლო.

ალპინიზმში მიშა ხერგიანი დარჩება მარადიულ მოკაშკაშე ვარსკვლავად. მის სახელს დრო და ჟამი ვერაფერს დააკლებს.

მიშა არაჩვეულებრივი მოცეკვავე და მომღერალიც იყო. უყვარდა: „ლილე", „რიპო". გამორჩეულად აფასებდა „მირანგულას" და „ბაილბეთქილს".

მიხეილ ხერგიანი ჩვენი თანამედროვე, რეალური პიროვნებაა, რომელიც იტალიის ცის ქვეშ დოლომიტებში, სუალტოს მწვერვალიდან გადაეშვა მარადისობაში.



მიშა ხერგიანი და ... უშბის სარკეზე.



მიშა ხერგიანი ჩინელ მთამსვლელთან ერთად.



იოსებ კახიანი, სიდროენკო (შუაში), მიშა ხერგიანი ჩინელ მთამსვლელებთან ერთად.



ისევ აგრძელებს სიცოცხლეს ზვავგადავლილი ჟამუში. (მულახი 1987 წლის სტიქიის შემდეგ).



ბეზინგის კედელი (მწვერვალი ჯანღა და მწვერვალი შხარა).



უშგულის ლამარია.



მწვერვალები დონღ-უზორინი და ნაკრა (ფოტო ზ. ჩართოლანი).

ლაშა გახარია

# სიკვდილის სისხლით...

ეს ლექსი...
მწვერვალ „სიზმრიდან“ მ-ო-წ-ყ-დ-ა
დიდხანს იფრინა,
შენზე დიდხანს და...
გულსჩაჩეხილმა, —
ყელს რომ ამოცდა, —
ველარ ივარგა
ნასაკითხადა...
დიდხანს აგროვა მუზამ
შერპივით —
სახსრები, მაგრამ...
ველარ ილექსა
და უფსკრულებში
გ-ა-დ-ა-ჟ-ვ-ე-პ-ი-ლ-ი
ენანებოდა „ზარში"
„ლილესა".
წინწკლავდა
კლდე-კლდე
წანაწერ პწკარებს
ქარი — სიკვდილის
სისხლის წვეთებით!..
ასე სწყდებიან
წარმართ მწვერვალებს
ალპინისტები
და პოეტები.
ასე შემორჩა ხსოვნას —
ბინდიანს,
ტკივილი — შენი წერაყინივით
და სუ-ალტოზე
ბწკალით ჰკიდია
უშბანაჭამი
ვეფხვის ყივილი!..



მიშა ისვენებს.

**ზურაბ კუხიანიძე**

## მიშა ხერგიანის საფლავი მესტიაში

სულ მარტო მონყდი
სუ-ალტოს ქედზე
და ჩვენში უცებ შეიძრა მთები...
როგორ ვერ შესძელ,
როგორ ვერ შესძელ
ცაში გაფრენა ღონიერ ფრთებით.
ლამარიაზე ქარი გლეჯს ეკლებს,.
ლახვრა ვერ ძლება ლოდების ლოკვით.
მოიკლაკნება ბილიკი შენსკენ,
ვით სუ-ალტოზე გამნყდარი თოკი.
ვაითუ დედის ნაქსოვი ნინდა
ფეხზე შეგაცვდა და ველარ თბები...
ღამით ჯიხვები მოდიან მთიდან
და შენს თბილ საფლავს ჩხვერავენ რქებით.
მესტია გითბობს ნესტიან მინას,
მარტო არ გტოვებს ერთგული სეტი
და საუკუნო ფარად და ფიცად
გადგას დოშდულის ნათელი სვეტი.
ხან მეხთ გრიგალი ატოკებს სერებს,
ხან მზე ბრიალით უხვ სხივებს ბარდნის
და ხერგიანებს აღარ ასვენებს
სუ-ალტოს სისხლის აღების დარდი.
ნანას გიმღერის ენგურის ნყალი,
გვალდას ნიავი შენს ბალახს ჰყოცნის
და თრთის მნვერვალთა მხარდამხარ მდგარი,
შენი საფლავის პატარა ბორცვი.

**თემურ ჩალაბაშვილი**

## ხომ შეიძლება...

ხომ შეიძლება იყო მართალი —
მავანს კი ცრუ და ყალბი ეგონო;
და შენი გული სხვისთვის დამნვარი
მას ვერ მიუხვდეს — ვერ იედონოს,
ხომ შეიძლება იყო ცოცხალი —
მავანთა ოდენ მკვდრადაც ჩაგთვალონ
და შენი სული — თეთრი მოცხარი
ააშრიალონ როგორც ფათალო.
ხომ შეიძლება იყო ერთგული
და მოღალატის ჯვარი ატარო
და შენი გრძნობის — შლეგი ენგური
ჭაობის მღვრიე ნყალს შეადარონ.
ხომ შეიძლება გერქვას ლაჩარი,
მაგრამ ნამდვილად იყო მესია,
და შენი მკერდის მნველი ნაცარი;
მნვერვალზე იდგეს ვით ეკლესია...



მიშა ემზადება.

ლ. მუსხელიძე

# დროს რომ შეეძლოს...

1967 წლის 8 ოქტომბერს იალტაში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის II ჩემპიონატი კლდეზე ცოცვაში. აქ ძალებს სცდიდა 20 ქალაქის 80-მდე სპორტსმენი. პირადი პირველობა, „კრესტოვაია" კლდეზე ჩატარდა, გასავლელი მანძილი 90 მეტრს უდრიდა. ტრასაზე მრავლად გვხვდებოდა გლუვი ადგილები, სადაც ფეხის დასადგმელს კი არა, თითის მოსაჭიდსაც ვერ ნახავდა კაცი.

მიხეილ ხერგიანი 58-ე ნომრად გამოდიოდა. ალმაატელი ოლეგ კოსმაჩოვი კი, რომელსაც მიშას ყველაზე საშიშ მეტოქედ თვლიდნენ, 53-ე ნომრად.

ტრასის სირთულის გამო მსაჯთა კოლეგია ვარაუდობდა, რომ ამ მანძილს 8 წუთზე ადრე ვერავინ გაივლიდა. პირველ ორ დღეს ეს აზრი ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა, მაგრამ მესამე დღეს ლენინგრადელმა სტუდენტმა ვ.მარკელოვმა 6 წუთსა და 46 წამში დაძლია კედელი. ეს იყო სერიოზული განაცხადი პირველი ადგილისათვის ბრძოლაში.

სტარტი მიეცა ოლეგ კოსმაჩოვს. ტრასის მონაკვეთი უფრო სწრაფად გაიარა, ვიდრე მარკელოვმა, მაგრამ მერე ტემპს ვერ გაუძლო და გამარჯვება ლენინგრადელს დარჩა.

სტარტზე დადგა მიხეილ ხერგიანი. იგი „მიფრინავდა" შიშველ კლდეზე, ეს იყო ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც მამამ და ბიძამ გადასცეს ესტაფეტასავით. სისწრაფესთან ერთად იგი ტექნიკასაც არ იეინყებდა, რადგან ერთი საჯარიმო ქულაც კი საკმარისი იყო მარცხისათვის. ისმოდა გამამხნევებელი შეძახილები, არ ცხრებოდა ტაში და როდესაც მიხეილმა ფინიშის ხაზს გადააბიჯა, წამზომები 5 წუთსა და 22,8 წამს უჩვენებდა.

ჩვენ ვნახეთ მიხეილ ხერგიანის მორიგი გამარჯვება, რომელსაც არ აკლდა არტისტული ფერები, სილამაზე და მომხიბვლელობა.

გავა დრო და იმ დღის საოცრების მაყურებლები შეილთაშვილებს მოუყვებიან ლეგენდად ქცეულ სინამდვილეს, თუ როგორ დათრგუნა მსოფლიოში აღიარებული მთამსვლელმა, საერთაშორისო კლასის ოსტატმა, სპორტის დამსახურებულმა და საპატიო ოსტატმა — მიხელ ხერგიანმა „კრესტოვაია" კლდის პიტალო მკერდით.

დროს რომ შეეძლოს ხანდახან შემოტრიალდეს...



ოთარ ხაზარაძე, ოთარ გიგინეიშვილი და მიშა ხერგიანი. ტიანშანი 1963 წ.

ბიჭი თეზელიშვილი

# მიხეილ ხერგიანი — თავისუფლებისათვის სიკვდილთან მოთამაშე

ჩვენი სიცოცხლე უბრალო ბიოლოგიური პროცესი იქნებოდა, რომ არა გმირების სიმამაცე და ადამიანი დარჩებოდა, როგორც მარად საკვების მძებნელი ველური არსება. მათი გმირობა მითოლოგიაში მოაქციეს, რომ ამ მაგალითებზე აღეზარდათ თაობები. ამიტომ წამონიეს მითოლოგიურ სიუჟეტებში ადამიანის აქტივობა.

მიხეილ ხერგიანიც ერთი მათგანი იყო, ვინც მითების და ლეგენდების გმირი ახალ დროში გამოიტყორცნა, მაგრამ მითების ეპოქა წასული იყო და მან თვითონ მოიგონა თავისი პროფესია, რომლის მომსახურეთა 30% სიკვდილით ამთავრებს სიცოცხლეს. აკი ასე დაასრულა კიდევაც.

პირველივე ნაბიჯებზე შეგარქვეს "კლდის ვეფხვი", მოქნილობისა და რბილი მოძრაობის გამო, რომელსაც მთაზე ასვლისას იყენებდი. ეს ტიტული დღემდე არავის ჰქონია, თუმცა ბევრნი იყვნენ საუკეთესონი.

სხვანაირი სიკედილი ვერც წარმომიდგენია შენი, რადგან გმირი ან ბრძოლაში უნდა კვდებოდეს, ან მწვერვალებთან ჭიდილში. ისე როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ლექციაზე და ა.შ. საკვირველი კი ის არის, რომ მთამსვლელები ან სტიქიის მსხვერპლნი ხდებიან, ან ტექნიკური შეცდომით იღუპებიან, შენ კი ერთადერთი ხარ, რომ ქვათაცვენამ თოკი გადაგიჭრა, ისე როგორც შენი საყვარელი ცოლისძმა სერგო ბარლიანი მეხმა მოძებნა სამშვიდობოზე გამოსული. მაგრამ თქვენს სიკვდილშიც განსაკუთრებული ძალები უნდა ყოფილიყო ჩარეული.

ერთი რამ იშვიათია თქვენი გვარის — ხერგიანების ცხოვრებაში; საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, ყველაზე მაღალი და სანუკვარი ოცნება ყველა სპორტსმენისათვის იყო „საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება“ და თქვენ — ხერგიანები ერთადერთი იყავით მთელ საქართველოში, ვისაც ოთხი სპორტის დამსახურებული ოსტატი ჰყავდა, ხუტა (აკაკი), გაბრიელი, ბექნუ და შენ.

ჩემი მეგობარი ხუტა მეტყოდა ხოლმე, რომ არ სურდა მის კვალს გავყოლოდიო, რადგან ამბობდა, ჩემი პროფესია დაუფასებელი და ძნელად აღსასრულებელი საქმე იყოო. ჭიდაობას რომ გავყოლოდი, ბევრად სასარგებლო იქნებოდაო ცხოვრებისთვის, რადგან ილეთებს ისე ვიგონებ, არც კი ვიცი საიდანო.



მიშა ხერგიანი ...

ერთი ასეთი ფაქტი მაგონდება დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან:

როდესაც, საისტორიო საზოგადოებაში დაუწყია მუშაობა, უკითხავთ: „რატომ მაინცდამაინც სიგელ-გუჯრების შესწავლას მოჰკიდეო ხელი და უთქვამს: შემეცოდა ისე უპატრონოდ ეყარნენ და კაცი არ იყო მათზე ხელის მომკიდეო". ნუთუ შენც გეცოდებოდა მწვერვალთა მარტოობა და უპატრონობა და სიცოცხლის რისკის ფასად, მათთან მიახლებით გინდოდა სიყვარული გამოგეხატა, მაგრამ უშბასავით ამაყს და მარტოსულს არ შეგეძლო სხვანაირად მოქცევა.

ქართველები და ყველა ერები, ზოგადად ძალიან ჰგვანან თავიანთ კუთხე-მხარეებს, ასეა სვანებიც სვანეთში და როდესაც წარმოგიდგენ სვანურ კოშკზე შემართულს, ასე მგონია გლახაკთა და უპოვართა მფარველად ძველი სვანური მითოსიდან მოგავლინეს ღმერთებმა და ეს კოშკები კი ანგელოზებმა ჩამოაშენეს ციდან.

ერთხელ, ცუდ ხასიათზე კლდეზე ამავალს, მეგობრებს ხუმრობა დაუწყიათ. შენ ხასიათზე არ ყოფილხარ და გითქვამს, თუ არ გაჩერდებით, აქედან გადავეშვებიო. ჯერ ხუმრობა ჰგონებიათ, მაგრამ როდესაც შეუხედავთ, ყველა თოკი — სამუშაოც და სარეზერვოც მოხსნილი გქონია, ბიჭებს ხვეწნა დაუწყიათ და ხუმრობაზე პატიება უთხოვიათ. მათ ნებას დაჰყოლიხარ და სიხარულისგან ყველას ერთად ლილე დაგიგუგუნებიათ. ასეთი წუთები ერთ სიცოცხლედ ღირს და ბედნიერებაა მასში მონაწილეობა.

გამუდმებით ვებრძოდი იმ აზრს, რომელმაც შენი ფენომენი უნდა შემაცნობინოს, მაგრამ არაფრით არ გამომდის, და შენ სურათში ვეძებ ხასიათის შტრიხებს, არც ის მინდა, რომ ბევრი და უაზრო ქებით გავაიაფო შენზე ფიქრი და არც სიტყვის დასრულებისთვის მეთმობი. ასეა შენზე ფიქრი, სულის კანკალს ჰყავს ატანილი და ბეწვის ხიდზე დავდივარ.

ის კი ჭეშმარიტებაა, რომ გმირობა სულის ტრიუმფია სხეულზე, რომლის დროს თუ გინდა, რომ სულის წვრთნა მოახდინო, არაფრად არ უნდა ჩააგდო შიში სიკვდილთან. მაგრამ სიკვდილთან თამაში ცხოვრების წესად გაიხადო, აქ კომენტარის გაკეთებაც კი მიჭირს.

ანტიკურ ხანაში ამბობდნენ, რომ თუ გინდა სული უზენაესად თავისუფალი იყოს, სიკვდილი არაფრად უნდა ჩააგდოო. ვინ იცის, შეუმცდარის ჟინით ატანილი ამისთვის წვრთნიდი კიდევაც სპეტაკ სულს. სიკვდილიც ასეთი გქონდა, გაფრინდი და მთებიდან პირდაპირ ცაში წახვედი.



იოსებ კახიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი), მიშა ხერგიანი მანდილოსანთან ერთად.



უმცროსი მიხეილ ხერგიანი



მიშა ხერგიანი



მიშას ძმის შვილი – გენრიხ ხერგიანი, უმცროსი მიშას ქალიშვილი — მანონი ხერგიანი,
მეუღლე – ნათელა ხოჯელანი, უფროსი ქალიშვილი — ნონა ხერგიანი

ამირიდონ ჩეგიანი

# ტინის თავზე მოსთქვამს დალი

შენი სიყრმის მამა მკაცრი
კოშკი გეძებს, ხერგიანო,
ქარი შხარას გულღვიძლს აცლის,
გესმის? ლილეც ვერ ხმიანობს.
ტინის თავზე მოსთქვამს დალი:
— სად ხარ, ვეფხო, მთების კართა?
ვინ აკვნესოს გმირის თარი,
ვინ ვინამო, მე შენს გარდა!
შენს ფიქრსა და მაღალ ლტოლვას
საგზლად გული შევაძლიე.
თუ გსუსხავდა ბედის თოვა
რად დამღუპე, რატომ მძლიე?!
მთებში მრავლობს შენი გვარი,
მთვარე რაღაც მისნად ქრება.
მამულს შენი გზა და კვალი
დაჰღიმღიმებს ცისარტყელებად.
ცრემლს ალერიან კოშკის ქონგურს,
ცადაჭრილი მნვერვალები:
ძილი როგორ გშვენის ლომგულს,
სად ხარ, ნუთუ მემალები?
მოგელოდა დედამხარე, —
საქართველოს თეთრი ბურჯი.
მაგრამ კაცის ბედის ლარებს
უმძიმთ თურმე ზეცა ლურჯი —
და წყდებიან მიზნის მთაზე
ვით იქ... დაწყდა შენი თოკი.
ხერგიანო, სილამაზე
სიკვდილსაც აქვს, ამბობს ზოგი.
იტალიის ზეცის გუმბათს
გლოვა დასწყდა, - ესმა თბილისს.
მოიღრუბლა შენი უშბა,
ელვამ გაჰკრა სვანეთს კბილი;
და შემოჰყვა ზარის კვნესას
მთებში კუბო მოსალტული;
ტოლ მეგობრებს თალხი მოსავთ,
უცხოელი გოდებს გულით.
ხერგიანო, კლდეზე ცოცვა
მოჰგავს კაცის ბედთან ჭიდილს:
ათჯერ მკვდარი არის ცოდვა,
ერთხელ სიკვდილს არვინ ჩივის!



დაზვერვა.

ვალერ რატიანი

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში,

მიხეილის მოსწავლე

# «გაგვიძეხ ბერო მინდიავ!»

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში 1965 წელს პირველად გაიხსნა სპეციალიზაცია მთამსვლელობაში. ექვსი ბიჭი მიგვიღეს, ექვსივე სვანი. მთაში ლაშქრობის დიდი გამოცდილება არ გაგვაჩნდა, მაგრამ გამომცდელმა მონაცემები მოგვიწონა, ჩვენ პირველ კურსზე ჩავირიცხეთ. ჩვენი გამომცდელი კი მიხეილ ხერგიანი იყო.

პირველ დღეებში, კუს ტბის მიდამოებში გვავარჯიშებდა, კლდის ქიმებზე გვატარებდა, თოკზე ჩამოგვეკიდებდა და უფსკრულში საქანელასავით გვაქანავებდა. ზამთრის საგამოცდო სესიების წინ შეგვკრიბა და ჩვენი პირველი საბრძოლო ნათლობის გეგმა გაგვაცნო:

— ბიჭებო, — გვითხრა მან, — დადგა მთებთან შებრძოლების დრო. იანვარში იალბუზზე მოგვიწევს ასვლა!

ჩვენ შიშნარევი თვალებით გადავხედეთ ერთმანეთს.

იალბუზზე ზამთარში!

1963 წელს, სტუმრად ჩამოსულ ნეპალელ თენსინგთან და მოსკოველ გიპერნეიტერთან ერთად, მიხეილმა სცადა იალბუზის დაპყრობა, მაგრამ მოძალებული ქარიშხლის გამო თენსინგმა უარი განაცხადა ლაშქრობაზე. წარმოგიდგენიათ?! ჯომოლუნგმის დამპყრობმა უარი განაცხადა და ჩვენ, დამწყებ მთამსვლელებს, რომლებსაც ჯერ მესამე სპორტული თანრიგიც არ გვქონდა, უნდა გაგვევლო მის მიერ გაუვლელი გზა. მაგრამ ჩვენ შიშს ნაწილობრივ იმედის სხივს ჰფენდა ჩვენი მასწავლებლის გმირული საქციელი. თენსინგისა და გიპერნეიტერის უკან დაბრუნების შემდეგ, ქარიშხლიან ღამეში, მიხეილ ხერგიანმა მარტოდმარტომ მიაღწია მწვერვალის მახლობელ ფერდობს და წითელი საღებავით უზარმაზარი ასოებით დაწერა თოვლზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თენსინგ!"

შიშს ვერ მალავდა ხალხი.

— ხომ არ გაგიჟდნენ, როგორ ბედავენ ზამთარში იალბუზზე ასვლას?

— ლაშქრობას მიშა ხერგიანი ხელმძღვანელობს!

— მაშინ გასაგებია!



ვალერ რატიანი

გეზი ავიღეთ იალბუზისკენ.

მინდა გამოგიტყდეთ და სიმართლე გითხრათ, ვიდრე თერსკოლში ჩავიდოდით, ეჭვიც კი მეპარებოდა ჩვენს წინამძღოლზე შექმნილი ლეგენდების სრულ სიმართლეში. „ნუთუ ამ ჩვეულებრივ ადამიანში შეიძლება ერთდროულად ბუდობდეს განსაცვიფრებელი ფიზიკური ძალა, სიმამაცე, თავგანწირვა და სიკვდილთან შებრძოლების დაუოკებელი წყურვილი", — ვფიქრობდი გზაში და ეს ეჭვი მიხეილ ხერგიანმა თერსკოლში დაბანაკებიდან მეორე დღესვე გამიფანტა: დილით მდინარე ბაქსანის ნაპირზე ჩავედით პირის დასაბანად. აივნის ბოძზე მიკრულ თერმომეტრში ოცდახუთ გრადუს ყინვას უჩვენებდა. პირზე წყალი შევისხით თუ არა, ყინვამ კინაღამ ცხვირ-პირი წაგვაძრო და თავქუდმოგლეჯით შევვარდით ბინაში. მიშა იდგა მდინარის პირას და დინჯად იხდიდა ტანისამოსს. ტრუსების amარა შევიდა ყინულნარევ ტალღებში და ისე ჩაწვა შიგ, თითქოს თბილისის ჭრელი აბანოს აუზში ნებივრობსო. ათი წუთის შემდეგ შემოვიდა ოთახში და გვითხრა:

— წყლის პროცედურები ყველამ მიიღეთ, ეხლა ვისაუზმოთ!

იმ დღიდან ის ჩვენს კერპად იქცა.

ერთი კვირის შემდეგ სალაშქროდ გავემზადეთ. რაიონის სამაშველო ჯგუფის უფროსმა ტროიცკიმ, მეათედ გააფრთხილა მიშა — ხელი აელო განზრახვაზე, ამ დანყველილ ამინდში ეს ახლად გამოჩეკილი მთამსვლელები არსად გადაჩეხოო, ერთი გადმოგვხედა, მაგრამ მიხვდა იალბუზის დამორჩილების სურვილი იმდენად ღრმად გვქონდა გამჯდარი, რომ ხელმძღვანელის ბრძანების მიღებამდე დავიძარით მწვერვალისკენ.

მწვერვალამდე თითქმის სულ ქარიშხალსა და ბურუსში ვიარეთ. ზოგჯერ ორ მეტრზეც არაფერი ჩანდა. რომ გეეგონა, სადაცაა უკან გაბრუნების ბრძანებას მივიღებდით, მიხეილი ნელში გაიმართებოდა, დახუჭავდა თვალებს, დაისველებდა თითებს, არნივიეით გაშლიდა ხელებს და ორიოდე წუთის დაფიქრების შემდეგ წამოიძახებდა:

— ოდნავ მარცხნივ უნდა გადავუხვიოთ, ბიჭებო, მომყევით, მწვერვალი აქეთაა!

შესვენებისას ვერ მოვითმინე და ვკითხე, როგორ იგნებ გზას ამ ბურუსში-მეთქი.

— ბევრი რამ გამოცდილებამ მასწავლა, ზოგიერთი რამ ჩემთვისაც ამოუხსნელია. ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ათ ნიშნა ციფრებს ზეპირად ამრავლებენ ერთმანეთზე. მეც ვერ გიპასუხებთ. მაგრამ ალღოს არასოდეს უღალატია ჩემთვის. გზას ყოველთვის სწორად ვაგნებ.

ორ საათში მწვერვალის თავზე მოვექეცით. ექვსივე ღვიძლ ძმასავით გადავეხვიეთ მიშას.

თავშესაფარში დაბრუნებულთ ხმაურით შემოგვეგებნენ მოსკოველი და ლენინგრადელი მთამსვლელები. გამარჯვება მოგვილოცეს და სინანულით დასძინეს: — „ხვალ შინ ებრუნდებით".

1975 წლის სეზონისათვის საკავშირო პირველობაზე, განაცხადი შევიტანეთ.

I ვარიანტი — ჩრდილო უშბა, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლით, ე.წ. „უშბის სარკე" — მ.ხერგიანის 1964 წელს გაელილი მარშრუტიდან ოდნავ მარჯვნივ.

II ვარიანტი — თვით მ.ხერგიანის მარშრუტი „უშბის სარკეზე"...

ჯგუფის შემადგენლობა

შალვა მარგიანი — ხელმძღვანელი — 1964



საკუთარი მიღწევებით ღვანლმოსილი მიშა ახალგაზრდა თაობის აღზრდას შეუდგა.

წელს „უშბის სარკე"-ზე ასვლის მონაწილე. გივი წერედიანი — 1964 წლის ასვლის მონაწილე.

ნუგზარ ნიგურიანი, ვალერ რატიანი.

ზაქრო მუშკუდიანი, ლადო გურჩიანი...

თათბირი უშბის კედლის ძირში მიმდინარეობს — ამ ორი ვარიანტიდან უნდა განხორციელდეს ერთ-ერთი.

ასვლა გადაწყდა მ.ხერგიანის ჯგუფის მიერ 1964 წელს „უშბის სარკეზე" გაელილი გზით, რადგან უკუდაქანების კედლის დაპყრობა, რაც მიშამ განახორციელა... იმ დროისთვის თითქმის შეუძლებელი იყო. ესაა 1300 მეტრიანი შვეული კედელი, რომლის ბოლო მონაკვეთი, დაახლოებით 80 მეტრი, უკუდაქანებისაა და ალაგ-ალაგ 120მ-ს აღწევს. შალიკომ თქვა — ბევრს არ სჯერა, რომ ჩვენ ეს მარშრუტი ბოლომდე დავძლიეთ, ეხლა მინდა სწორედ ისე გავიაროთ ის კედელი, როგორც 1964 წელს... 1968 წელს ჩეხმა მთამსვლელებმა თითქმის მთლიანად მოახერხეს მიშას მარშრუტის გავლა, ოღონდ კედლის ბოლო 60 მეტრიანი მონაკვეთის გავლა ვერც

იმათ გარისკეს და მარჯვნივ გაუხვიეს, მათ დააფიქსირეს მიშას გზაზე, კედლის თავზე პალო „პეტლით", რომელიც მიშას მიერ იქნა დატოვებული.

...მთელი დღე მივიწევთ წინ. ლადო გურჩიანი მიგვიძღვება, რადგან იგი გამოცდილი მეკლდეური, კლდეზე ცოცვაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი იყო. დარჩა 80 მეტრიანი, უკუდაქანების მონაკვეთი.

ლადო ნელა მიიწევს წინ, რამდენიმე ადგილას გამოიყენა „შლამბურის" პალოები. ხელოვნური საყრდენები (თოკის კიბეები, მოედნები).

კედლის დარჩენილი 50 მეტრის გაელას 4-5 დღე მაინც დასჭირდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი „შალამბურის" ჩამაგრებას 15-20 წუთი სჭირდებოდა, ერთადერთი გამოსავალი რისკზე წასვლა იყო. კედელზე არ ჩანს არც ბზარები, არც შვერილები, რაც გაგვიადვილებს სვლას. ეს მონაკვეთი ცოცვით უნდა იქნეს დაძლეული, რაც დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვასთანაა დაკავშირებული...

ლადო დაღლილია, აქ გაჩერება და ღამისთევა რთულია. გამოსავალს ვეძებთ... ლადო უნდა შეცვალოს ვინმემ. ჯერი ნუგზარ ნიგურიანზე მიდგა.

ნუგზარმა დაიწყო სვლა...

მე და შალიკომ, როგორც იქნა თოკის ბოლოს ზურგჩანთები დავამაგრეთ. გავათავისუფლეთ ზედმეტი თოკი. შალიკო ხან ნუგზარს უყურებს, ხან შებრუნდება და დაბლა იყურება, თითქოს თვალით ზომავს მანძილს, რისკის ფასად რამდენიმე წამში შეიძლება ყველაფერს წერტილი დაესვას. ნუგზარი უახლოვდება უკუდაქანების მონაკვეთს. ჩვენ სუნთქვაშეკრულები ველოდებით ბოლო წამს. გავა თუ არა „ქუდზე", იქ, სადაც 64-ში მიშას გაუჭირდა გასვლა და ქვევით ჩასძახა: „ჩქარა, შეიხსენით თოკები!"-ო.

შალიკო მარგიანის შეუვალმა პასუხმა — „არა!" მას შეუძლებელი შეაძლებინა, ან იქნებ განგება დაეხმარა და არ გასწირა. აიღია „ქუდზე" და გამარჯვების პალოც ჩაარჭო.

ისინი გადარჩნენ. ნუგზარი მიშას დამაგრებულ პალოს ჩაებღაუჭა და ჩვენ გამარჯვება ვიზეიმეთ.

აქაც მიშას მიერ დატოვებულმა პალომ გადაგვარჩინა... სიკვდილის შემდეგაც ჩვენზე ზრუნავდა. შალიკოს ცრემლები მოეძალა და ესლა წაილუღლუღა: „მიშამ აქ გაიარა, მას პალო არ დახვედრია, ჩვენ კი მისმა დატოვებულმა პალომ გვიხსნა!"

ზაქრო მუშკუდიანი

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში,

მიხეილის მოსწავლე

# ის გამარჯვების რწმენას გვინერგავდა!

ჩვენი პირველი მწვერვალი იალბუზი იყო. მიშა მაქსიმალურად ცდილობდა ფორმაში ვყოფილიყავით, ჩვენი შესაძლებლობა მოესინჯა, შევძლებდით თუ არა შუააზიაში წასვლას. იქიდან ჩამოსვლის მერე უშბაზე ავედით. საოცარი ინტუიცია ჰქონდა — პატარა ქვასაც შინაგანი ძალით შეაჩერებდა. ყოველთვის წინ მიდიოდა, საფეხურებს ჭრიდა, გვიადვილებდა ასვლას, სანამ პლატოზე ავედით, დიდი ქვა მოწყდა, პირდაპირ მიშასკენ დაიძრა, ჩვენ გასუსულები ვუყურებთ, მიშა არ გაინძრა, სანამ ქვა არ მიუახლოვდა, წამებში მოასწრო გადახტომა. ვკითხეთ, რატომ ადრე არ გადახტი — ქვის ორიენტაცია უნდა განსაზღვრო, ბოლო წამამდე უნდა დაელოდოო!..

უშბის ძირას სოფელ უშხვანარში ცხოვრობდა მაკრინე ქურდიანი, რომელსაც „უშბის



ზაქრო მუშკუდიანი.

დიასახლისს" ვეძახდით, ის იყო ყველა მთამსვლელის დედა. გასვლის წინ სეფისკვერებს დააცხობდა და მისი ლოცვა-კურთხევა, გამარჯვების რწმენა თან მიგვყვებოდა. მიშა მწვერვალზე ისე არ წავიდოდა, მაკრინესთან არ შევლო და მისი ლოცვა თან არ გაეყოლებინა.

1945 წელს უშბაზე დაიღუპნენ ქ.ონიანი, ა.ჯაფარიძე და ნ.მუხინი, რომლებიც 12 წლის შემდეგ იპოვეს გულის მყინვარზე. მათი ამოცნობა შეუძლებელი გახდა. მაკრინე მოხუცებული იყო, ამოიყვანეს ზემოთ. შავები ჩაიცვა, როგორც კი გახადა ფეხზე, ალიოშა ჯაფარიძე ამოიცნო. მერე დაიჩოქა და უშბას, რომელსაც „ძმას" ეძახდა, ცრემლიანი საყვედურით შეჰღაღადა — „არა გრცხვენია? როგორ გასწირე ჩემი ძმებიო"...

მაკრინე ამბობდა — მიშა ჩემი ლოცვა-კურთხევის გარეშე წავიდა იტალიაში, ის მას განსაცდელისგან დაიფარავდა.

მიშა ურთულეს მომენტში შიშსა და უიმედობას სიმღერით თრგუნავდა და გამარჯვების რწმენას გვინერგავდა. მის გვერდით ყოველგვარი საფრთხისგან დაცული იყავი. სვანეთი ლეგენდების სამფლობელოა, მიშა კი ლეგენდად ქცეული გმირი.

**გაიოზ ჩართოლანი**

სპორტის ოსტატობის კანდიდატი ალპინიზმში,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში,
მიხეილის მოსწავლე

# მარადისობაში გადასახლდა

მიშა ხერგიანმა ალპინიზმის ისტორიაში, ახალი კლასი შექმნა. მან მთამსვლელობაში დაამკვიდრა, კლდეზე ასვლები უარყოფითი გზებით.

სწრაფი ასვლები (დროის მცირე მონაკვეთში) ტექნიკური, სასიმაღლო და ტრავერსების კლასში. მისი მარშუტები ურთულესი და უნიკალური იყო, როგორც მისი სპორტული მოღვაწეობის, ისე შემდგომ პერიოდშიც.

1970 წელს დავამთავრე საკავშირო საინსტრუქტორო სკოლა ბაქსანის ხეობაში. იქ სისტემატურად ტარდებოდა ვარჯიშები -- იყო ასეთი ადგილი „კლდის ლაბორატორია", სადაც იყო ყველა სირთულის და სიმაღლის კლდეები. რამოდენიმე ადგილს იყო მიშას მიერ გავლილი გზა, რომელსაც ეძახდნენ „ხერგიანის" მარშუტს. თითქმის ყველა მთამსვლელის მცდელობა, გაევლო ეს გზა, უშედეგოდ მთავრდებოდა. ფაქტიურად კედლები იყო გლუვი და უარყოფითი, რომელზეც ფეხს ვერ იკიდებდა ვერავინ.



მიშა ხერგიანი უშბაზე.



გაიოზ ჩართოლანი.

მიშას, მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობდნენ არა მარტო როგორც დიდ მთამსვლელს, არამედ როგორც დიდ პიროვნებას.

მას ჰქონდა დიდი სამომავლო გეგმები. მათ შორის ალპინისტური ბანაკის მშენებლობა სვანეთში. ალპინიზმისა და ტურიზმის დიდი სკოლის შექმნა... სამწუხაროდ, ვერ მოასწრო განხორციელება.

ის 37 წლის წაეიდა ამ ქვეყნიდან და მარადისობაში გადასახლდა...

გელა გუგავა
სპორტის ოსტატობის კანდიდატი ალპინიზმში,
მიხეილის მოსწავლე

## უკვდავია მისი სახელი

მიშა ხერგიანი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული სპორტის ისეთ სახეობებთან, როგორიცაა თხილამურები, ჭიდაობა და ალპინიზმი. უშუალო და თბილი ბუნების იყო, ერთი შეხვედრით დაგატყვევებდა.

დაგეგმილი იყო უშბაზე ასვლა. საწვრთნელ პერიოდში სამკაციან ჯგუფს მიშამ დავალება მოგვცა   სამ დღეში დაგველაშქრა მწვერვალი შხელდა. ხელმძღვანელობა მე დამავალა.

ვერ გავითვალისწინეთ მოსალოდნელი ამინდის პროგნოზი და პირველსავე დღეს დავიწყეთ ასვლა. უეცრად შეიცვალა ამინდი, ყოველ წუთს ხიფათი იყო მოსალოდნელი. სვლა მაინც გავაგრძელეთ. მწვერვალი დაველაშქრეთ სტიქიის შემოტევის მიუხედავად და ღვთის წყალობით, მშვიდობიანად ჩამოვაღწიეთ ბანაკში.

ამინდის გაუარესების გამო მოსვენება დაუკარგავს. სიზმარიც უნახავს. ბიჭებს უჭირთო, ვერ გაჩერებულა და უთენია ჩვენს კარავთან მოსულა. ჩვენ რომ ნასულები დავხვდით, გვრგვინავდა თურმე. მაგრამ რომ დაგვინახა მშვიდობით დაბრუნებულები, სახე გაუნათდა.

საოცარია, როგორ იტევდა მისი გული ამხელა მრისხანებას და სიყვარულს ერთად. ვაჟკაცობა მოგვიწონა, მაგრამ შეცდომა არ გვაპატია — ერთი წლით დისკვალიფიკაცია მოგვცა.

მიშა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაშია და მისი ხსოვნა არასოდეს ჩაქრება. დაკრძალვის წინა დღეს, ბიჭებმა „ბანგურიანს" მივაშურეთ. მწვერვალს, სადაც 13 წლის მიშამ ალპინიზმში ნათლობა მიიღო. იმ ღამეს მწვერვალზე ცეცხლი დავანთეთ. მწუხარება თრგუნავდა ყოველივეს. ვგლოვობდით, მიშა რომ ჩვენს გვერდით ვეღარასოდეს იქნებოდა.

გათენებისას, მწვერვალზე, ჯერ 13 თეთრი, შემდეგ კი 37 წითელი მაშხალა გავისროლეთ. იმის აღსანიშნავად, რომ 13 წლის მიშამ ამ მწვერვალზე მიიღო ალპინისტური ნათლობა, 37 წლისამ კი დატოვა ბუმბერაზი მთების სამყარო. მხრებჩამოყრილი, დამწუხრებული გვაცილებდა ბანგურიანი ხმაჩავარდნილ ბიჭებს.

ჩვენი „მუხბე" ზღვა ხალხთან ერთად სამარემდე მივაცილეთ მწვერვალიდან დაბრუნებულმა მისმა მეგობრებმა: ვალერ რატიანმა, ზაქრო მუშკუდიანმა, გაიოზ ჩართოლანმა, მურად მჭედლიანმა, ლადო გურჩიანმა, ჯენერ გვარლიანმა, კარლო არღვლიანმა.

მისი სული ზეცამდე მაღლდებოდა, მთებში კი სიცარიელე რჩებოდა. წარმოუდგენელი იყო იმის გააზრებაც კი, რომ მიშა ახალ-ახალი გამარჯვებებით ქართულ ალპინიზმს ვეღარ გაამდიდრებდა.

დღეს მისი სახელი უკვდავია. მისი ფენომენი კი შესწავლის საგანი. მეამაყება, რომ უცხოელები საქართველოს და ქართველებს მიხეილ ხერგიანის სახით ეცნობიან.



მიშა ხერგიანი ალპინისტური
ბაზა აილამის სავარჯიშო კლდეზე

**ჯენერ გვარლიანი**
სპორტის ოსტატობის კანდიდატი ალპინიზმში,
მიხეილის მოსწავლე

## მიშა ჩვენთვის მუდამ ცოცხალი იქნება

ყაბარდოდან დაბრუნების შემდეგ, ფიზკულტურის ინსტიტუტში მიშას, კათედრაზე, ალპინიზმის ჯგუფი მისცეს. მე მისი მონაფე ვიყავი. ის იყო ჩვენი ხელმძღვანელი. გამოცდები ფიზიკურ მომზადებაში ჩაატარეს მიშამ და პირიბე გვარლიანმა. იმავე წელს იალბუზზე წაგვიყვანა. ეს იყო 1966 წელს. იალბუზზე რომ წავედით, მიშა, გენადი ტენიშევმა, საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა, თავის ნაკრებში მიიწვია, მაგრამ მიშას გაელიმა და თავაზიანი უარი უთხრა — ეს მწვარვალები ჩემთვის ყველაფერიაო.

მიშა იყო მკაცრი ხელმძღვანელი, ამავე დროს თავმდაბალი ადამიანი. თავის გამოჩენის ნაცვლად, ცდილობდა ამხანაგი წარმოეჩინა. ტყუილს ვერ იტანდა, თუმცა, ვერც გაბედავდა ვინმე.

მის გვერდით არ შეიძლებოდა შიში. თუ ვინმეს შიშს შეატყობდა, უთუოდ გაუქარწყლებდა.

მიშა ფიზიკურად გარდაიცვალა, თორემ ჩვენთვის მუდამ ცოცხალი იქნება.

მიშასნაირები არ კვდებიან.

**კარლო არღელიანი**
სპორტის ოსტატობის კანდიდატი ალპინიზმში,
მიხეილის მოსწავლე

## მასთან დაცული იყავი

მიშასთან უძლურიც კი ძლიერი ხდებოდი. იცოდი, რომ დაცული იყავი.

უძლიერეს ალპინისტზეც კი ორი საფეხურით მაღლა იდგა. მისთვის სულერთი იყო სიმაღლე, ყინული...

იალბუზიდან ებრუნდებოდით. ბინდი ჩამონვა. ნაკვალევი იშლებოდა, გზის გაგნება გვიჭირდა. მიშამ ასეთი რამ მოიფიქრა: სათხილამურო ჯოხს — ანტენის ფორმას აძლევდა და მიმართულებასაც იმით იკვლევდა. ის მარტო მთამსვლელი არ იყო, სამთო-სათხილამურო სპორტშიც მეხუთე ადგილი აიღო საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მისი სიკვდილის მერე, ასე მეგონა, ჩვენი მზეც ჩაესვენა.

არ შეიძლება აუღელვებლად ილაპარაკო მის ვაჟკაცობაზე, მის კაცურ შემოქმედებაზე.

მან თავისი გაელილი გზით დაგვანახა ერის ძალა, სისპეტაკე და ვაჟკაცობა...



მიშა ხერგიანი წუთშესვენება.

ლადო გურჩიანი

სსრკ სპორტის ოსტატი მეკლდეურობაში,
ოსტატობის კანდიდატი ალპინიზმში,
საქართველოს მეკლდეურობის
ფედერაციის პრეზიდენტი

# ის განუმეორებელი პიროვნება იყო.

1963 წელს, როდესაც მიშა თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, უკვე სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქვეყნოდ აღიარებული მთამსვლელი და მეკლდეური იყო. მისი თბილისში გადმოყვანა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გიორგი სიხარულიძის ინიციატივით მოხდა, მან მიშას არჩევანის უფლება მისცა და მიშამ დილმის მასივში ცხოვრება აირჩია, რადგან (იგი ჯერ კიდევ დაუსახლებელი ადგილი იყო) სავარჯიშოდ უფრო ხელსაყრელი იყო. ახალგაზრდებმა პრესიდან ვიცოდით, რომ 1960 წელს ინგლისში მას „კლდის ვეფხვი" უწოდეს და ძალიან გვაინტერესებდა მასთან შეხვედრა. პირველად მიხეილის ვარჯიშში ვიხილეთ ბოტანიკური ბაღის კლდეებზე. მისი ცოცვის მანერამ, სიმსუბუქემ და მოქნილობამ იქ დამსწრე მრავალი მეკლდეური და მაყურებელი აღაფრთოვანა. პირადად მე, იმ დღიდან ხშირად დავდიოდი ბოტანიკურ ბაღში,



ლადო გურჩიანი



გიგლა ნიკლაური, მიშა ხერგიანი, თინა ხერგიანი, ...

რათა მენახა მიშას ვარჯიში. ამ დროიდან საქართველოს ჩემპიონატებისა და თბილისის პირველობის ჩატარებამ სისტემატური ხასიათი მიიღო. თბილისში მიშას გამოჩენამ და შეჯიბრებებში მისმა მონაწილეობამ მასიურად მიიზიდა ახალგაზრდობა და გამოცდილი მთამსვლელებიანად ყველა ცდილობდა მიშასათვის მიებაძა. მეტეხის კლდეებზე მისი მონაწილეობით ჩატარებულ შეჯიბრებებს უამრავი მაყურებელი ადევნებდა თვალყურს და მათი უმრავლესობა პირველად ხედავდა ამ უჩვეულო სანახაობას. ყველას სურდა საკუთარი თვალით ენახა „კლდის ვეფხვი". ჩემი პირველი შეხვედრა და გაცნობა მიშასთან მოხდა 1965 წლის გაზაფხულზე, როდესაც ნავკისის ხევის კლდეებზე ტარდებოდა თბილისის პირველობა, სადაც მეც ვმონაწილეობდი. ამ შეჯიბრებას მიშაც ესწრებოდა და თვალს ადევნებდა მონაწილეებს, მას მეკლდეურები უნდა შეერჩია ქ. თბილისის ნაკრებისათვის. მარშრუტი გავიარე საუკეთესო დროში და დაშვების დროს დაშვებული შეცდომის გამო ვერ გავიმარჯვე, ძალიან განვიცადე და ავტირდი. ჩემთან მიშა მოვიდა, დამამშვიდა და მითხრა: „არა უშავს, ამ შეცდომას ადვილად გამოასწორებ, მე შენ საქართველოს ჩემპიონატზე წაგიყვან". ეს სიტყვები ჩემთვის ყოველგვარ გამარჯვებაზე მეტს ნიშნავდა, იმავე წელს, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, მიშამ, რესპუბლიკის ნაკრებში შემიყვანა და 1965 წლის შემოდგომაზე მონაწილეობა მივიღე იალტაში გამართულ სსრკ ჩემპიონატში, რომელიც ჩვენი ტრიუმფით დამთავრდა. გუნდური პირველი ადგილი და პირად პირველობაზე, სამივე სახეობაში, მიშამ ოქროს მედლები მოიპოვა, ყველა ჩვენ გვილოცავდა, მიშა კი სსრ კავშირის გუნდების წარმომადგენელთა და მონაწილეთა „ალყაში" მოხვდა და დიდ ხანს თავი ვერ დააღწია.

მწვერვალებზე მიშასთან ერთად 1968 წელს ვიყავი უშბის ექსპედიციაში. სწორედ ამ წელს, ალპინიზმის ისტორიაში პირველად, ჩატარდა უშბის ჩრდილოეთ მწვერვალზე 45-კაციანი ასვლა. არც მანამდე და არც შემდეგ, მსგავსი ალპინიადა, ტექნიკურად ასეთ რთულ მწვერვალზე არ ჩატარებულა. ბანაკი ბეჩოს ხეობის სოფ. შიხრაში იყო გაშლილი. ამ პერიოდში ბეჩოს უღელტეხილზე უამრავი მთამსვლელი და მოგზაური გადმოდიოდა, ყველამ იცოდა, რომ შიხრაში მიშას ექსპედიცია იმყოფებოდა და თავის მოვალეობად თვლიდა შემოევლო ბანაკში და საკუთარი თვალით ეხილა მიშა. ამ პერიოდს დაემთხვა ერთი ასეთი შემთხვევა: ბეჩოს უღელტეხილზე



მიშა ხერგიანი მეკლდეურობაში საუკეთესო მოსწავლეებთან, მარცხნივ ლადო გურჩიანი, მარჯვნივ ირაკლი გელდიაშვილი.

გადმოსულ მთამსვლელთა ჯგუფის ერთ-ერთმა ნევრმა მიშას ნერილი გადასცა, სადაც ატყობინებდნენ, რომ მწვერვალ „ჩათინზე" რუსების ჯგუფიდან სამხრეთის მხარეს 2 მთამსვლელი მოწყდა და სთხოვდნენ საძიებო სამუშაოში ჩართულიყო. ნერილის მიღებიდან ნახევარ საათში მიშა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად (ამ სტრიქონების ავტორი, მურადი მჭედლიანი და რომა გიუტაშვილი) ჩათინისკენ მიმავალ ბილიკებს გაუყვა. ძებნისას კინალამ ზვავში მოვყევით, მაგრამ მიშამ მოასნრო ჩვენი გაფრთხილება, თუ როგორ უნდა დავმდგარიყავით. მისი გათვლა ზუსტი გამოდგა. 2 დღე ვეძებდით დაკარგულ მთამსვლელებს, მაგრამ უშედეგოდ. მიშამ სინანულით ჩაილაპარაკა: „ის ბიჭები ნაპრალებში არიან ჩამარხული". 1969 ნლის შემოდგომაზე, მიშას დაღუპვიდან ორი თვის შემდეგ, იალტაში ტარდებოდა სსრკ ჩემპიონატი. ჯერ კიდევ იალტაში გამგზავრებამდე მიშა გვარიგებდა, თუ როგორ უნდა მოვმზადებულიყავით. ისიც იცოდა, რომ შეჯიბრება ახალ, აუთვისებელ კლდეებზე ჩატარდებოდა და გამარჯვების რნმენას გვინერგავდა. ამ ჩემპიონატისათვის სპეციალურად შეირჩა ყირიმში ერთ-ერთი ულამაზესი შვეული კედელი, რომელსაც მიხეილ ხერგიანის სახელი ენოდა და ასე ენოდება დღესაც. ჩემპიონატის გახსნისას, კლდის ძირში, უამრავმა მაყურებელმა და მონანილე გუნდმა ნუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მიხეილ ხერგიანის ხსოვნას.

ამ ჩემპიონატზე ნყვილებში პირველი ადგილი დავიკავეთ მე და ირაკლი გელდიაშვილმა. სსრკ-ს დაშლამდე ყირიმის იმ უზარმაზარი კლდის მასივზე, რომელსაც მ.ხერგიანის სახელი ჰქვია, ყოველთვის თამაშდებოდა მ.ხერგიანის სახელობის თასი, ინდივიდუალურ ცოცვაში.

როგორც მთამსვლელებში, ასევე კლდეზე ცოცვაში მრავალი ნიჭიერი და ძლიერი პიროვნება იყო, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც მიშა გამოდიოდა სარბიელზე, ვერც მთამსვლელობაში და ვერც კლდეზე ცოცვაში ვერავინ ვერ მიაღნია მიშას შედეგს. იგი იყო ერთადერთი, განუმეორებელი პიროვნება, რომელიც ყველა სამთო სახეობებს დახვეწილი ოსტატობით ფლობდა.

მიშას დაღუპვა აუნაზღაურებელი დანაკლისია, როგორც ქართული ალპინიზმისათვის, მეკლდეურობისათვის, ასევე მათთვის, ვინც მის გვერდით ვიყავით. პირადად მე მიშა დამაკლდა, როგორც მშობელი, როგორც მეგობარი. მეტად სამნუხაროა, რომ მასზე ნარსულში ვსაუბრობთ.



მიშა აღსაზრდელებთან და თანაგუნდელებთან. თამაზ ბაქანიძე, ლადო გურჩიანი, შოთა ქოქოშვილი, ირაკლი გელდიაშვილი, ვახტანგ ლაფერაშვილი, მზია მაქაცარია.

**ნუგზარ ნიგურიანი**

სსრკ სპორტის ოსტატი ალპინიზმში

# მის გმირულ სახელს დრო ვერ წაშლის

კლდეზე ცოცვაში საქართველოს ჩემპიონატი ტარდებოდა ყაზბეგში — დარიალის ხეობაში. შეჯიბრება რომ დამთავრდა, მაცნე მოვიდა, მყინვარწვერზე — რუსეთის მთამსვლელთა ჯგუფი ჩარჩა. შეიქმნა მაშველი ჯგუფი. თვითონ მიშა, უმცროსი მიშა, შალიკო მარგიანი. ვთხოვე მიშას — მეც წამიყვანე-მეთქი, მაშინ 15 წლის ვიყავი, სასტიკი უარი მივიღე.

უმცროს მიხეილს უფრო რბილი ხასიათი ჰქონდა, შევეცოდე, წამიყვანა. თვითონ ჩამაცვა „ბატინკები". უკან მივყვებოდი. რომ დამინახა მიშამ გადაიფიქრა, უკან არ დამაბრუნა. ერთი ღამე იქ გავათენეთ, მეორე დღეს, ღამის სამ საათზე უკვე მწვერვალზე გავედით. იქვე, ახლოს ვიპოვეთ ოთხივე, მშივრები და გაყინულები... რომ ჩამოვედით მითხრა: თუ ასე გააგრძელებ, ანი ჩემთან ერთად ივლიო. ეს შექება ჩემთვის დიდი ჯილდო იყო.

შეკრებაზე, შიხრაში 40 კაციან ჯგუფს გვავარჯიშებდნენ — ტურისტები ხშირად მოდიოდნენ -- მიშლიაევის ჯგუფი იყო წამოსული, დავასვენეთ, ქართული სტუმართმოყვარეობის კვალობაზე. შემდეგ უმცროსმა მიხეილმა და შალიკო მარგიანმა ჰკითხეს — როგორ იარეთ, რომელი უღელტეხილით წამოხვედითო. მათ უპასუხეს: — „მიშამ გამოგვაცილაო".

აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ისინი მიშას მიერ გაგზავნილ გამომცილებელს წამოეყვანა, რომელიც თავად მიშად აღიქვეს სტუმრებმა. ნამდვილი მიშა კი უკვე ჩვენს გვერდით იყო. დაღლილ სტუმრებს მან, ასე დაუხასიათა თავის თავი — იმ კაცს ნუ ენდობით, სანდო არ არისო.

გაბრაზებულებმა უპასუხეს — თქვენ არ გცოდნიათ ის კაცი და რაოდენ სამწუხაროაო.

გზას რომ გაუდგნენ, ჩვენ ვერ მოვითმინეთ და ჩუმად ვუთხარით:

— ეს არის მიშა-თქო.

— ყველამ გადმოხედა მაღლობზე მდგარ მიშას. ლიდერმა კინაღამ იტირა, ეს როგორ თქვა საკუთარ თავზე აუგიო...

აღელვების გარეშე არ შეიძლება ილაპარაკო მის ვაჟკაცობაზე, მის ადამიანურ ღირსებებზე — მის სულიერებაში ერთბაშად იყო ჩადებული



ნუგზარ ნიგურიანი

ერის ძალა, სისპეტაკე და ვაჟკაცობა. ამას ამბობს მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი. 1963 წელს უნდა ჩატარებულიყო საკავშირო ჩემპიონატი ალპინიზმში. „უშბის სარკეზე", მაგრამ რამდენიმე ხნის წინათ მიშლიაევის ჯგუფი (ძლიერ მთამსვლელთა ჯგუფი) დაიღუპა ჩათინის დალაშქერის დროს. დომბაიში რომანოვის ჯგუფი მინისძერაში მოჰყვა — მიშამ იმდენად განიცადა მათი დაღუპვა, ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიიღო. ამით გამოხატა მათი ხსოვნისადმი პატივისცემა.

მიშამ გაამდიდრა არამარტო ქართული ალპინიზმი, არამედ ქართველი კაცის სულიერი სამყარო. მისი ხანმოკლე ცხოვრება, გმირული ეპიზოდების კრებულია. მის გმირულ სახელს, კლდეში გამოკვეთილს, წლები ვერ წაშლიან.

აკაკი (ხუტა) ხერგიანი
სპორტის დამსახურებული ოსტატი ალპინიზმში,
სპორტის ოსტატი მეკლდეურობაში,
მიხეილის ბიძაშვილი
1982 წლის პირველი საბჭოთა ევერესტის
ექსპედიციის მონაწილე.

# ის შინაგანად იყო დიადი


აკაკი (ხუტა) ხერგიანი.

მახსოვს, ბავშვობაში წვეროსანი ანტონ ბაბუა (მიშას დიდი ბაბუა, მონადირე) ჯოხზე დაყრდნობილი გვიყვებოდა: ერთხელ საგვარეულოს სათიბებს გავცდი, ტყის ზოლი გადაველახე და მივადექი ნიაღვრით დასერილ ტაფობს, რომელიც საშუალო კაცის სიმაღლეზე ბალახით იყო დაფარული, ხოლო ქვედა ნაწილში კი ჯერ კიდევ ბლომად იყო დარჩენილი თოვლი ზამთარში ჩამოსული ზვავისა. მივედი, რომ ამჯერადაც დამეთვალიერებინა ჭოგრიტით ის ადგილები, სადაც ხშირად მიხდებოდა ჯიხვებზე ნადირობა. ტყიდან გამოსვლისთანავე, სადაც უკვე ბალახი იწყებოდა და მთელ ტაფობს ფარავდა, შემეფეთა დათვი. ადგილზე გავშეშდი მოულოდნელობისაგან, შემეშინდა, ხელი ზურგზე გადაკიდებულ ფილთა თოფისკენ წავიღე და გავჩერდი. დათვმა შემომხედა, თვალები არ მოუცილებია, ისე „გადაწყვიტა", რომ გამცლოდა. ეს ხდება ხუთი-ექვსი ნაბიჯის დაშორებით, ინსტიქტურად სწრაფად მოვიხსენი თოფი. დათვი თითქოს ამას ელოდა, ელვის სისწრაფით აღიმართა ჩემს წინ და გამოემართა ჩემსკენ, მოვასწარი თოფის ჩახმახის გამოკვრა. დათვმა უკან დაიწია და დაჭრილმა შემომიტია. მე სხვა რა გზა მქონდა, თოფი მხარზე გადავიგდე და მოვუქნიე მიჯვრა (ჯოხი, რომელსაც ბოლოში წაწვეტებული რკინა აქვს ამოცმული, მთაში მონადირეები ხმარობენ) და ჩავეკარ თავში, რითაც უკან დავახევინე. ასე საკმაო ხანს გაგრძელდა. არაფერი არ მიგრძვნია, გარდა ერთისა, — ქუდი, რომელიც თავზე მეხურა, თითქოს ვიღაცა ზევით მექაჩებოდა და თან თმა და კანი თან მიჰქონდა. საოცრად დავიღალე. ერთი მოქნევის შემდეგ, როცა ჯოხი დაბლა დავუშვი, ჩემდა გასაკვირად დათვიც უკანა ფეხებზე ჩაჯდა, მეც მივეყუდე მიწის ბექობს. დათვი მათვალიერებდა, თუ როგორ ჩამოვიღე ფილთა თოფი მხრიდან, როგორ დავტენე ტყვიით, „მეც არ ვჩქარობდი", როგორ დავაყარე დენთი კვესის დასაცემ ადგილას, შემდეგ ამ ყველაფერს რომ მოვრჩი, ისევ გადავათვალიერე და თოფი მივუშვირე. მან ეს უმალვე იგრძნო და წამოხტა. ამჯერად ტყვიამ მიზანს მიაღწია.

ასეთი საგმირო საქმეები გვარის შეკრებაზე, ჭირსა თუ ლხინში, ხშირად მესმოდა და მსიამოვნებდა. შინაგანად მეამაყებოდა, რომ ასეთი ძლიერი და ალალმართალი გვარის წარმომადგენელი ვიყავი.

გაზეთ „ლელოში" იბეჭდება მ.ხერგიანის შესახებ, რომ მან საკავშირო ჩემპიონატში დაიკავა პირველი ადგილი კლდეზე ცოცვაში. კლდეზე ცოცვა სპორტის სრულიად ახალი სახე იყო და სპეციალისტების გარდა ვერვინ ერკვეოდა მის რაობაში. მითუმეტეს, ინფორმაცია მწირი იყო. დროთა განმავლობაში გაზეთებში გამოქვეყნებული მ.ხერგიანის წარმატებები ისევე მწირი რჩებოდა, ხოლო ლეგენდად ქცეული კაცი კი ლეგენდადვე. ჩხუმლიანს (ასე ვეძახდით შინაურები) რეკლამა არ უყვარდა „შენ მთამ შენი სიძლიერით უნდა გაგიკეთოს რეკლამა"-ო, ამბობდა.

ჩხუმლიანთან მთაში არ მივლია, როგორც სისხლის ნათესავი და ალალი ბიძაშვილი, ჩვენი შეხვედრებიც ნათესაური ურთიერთობით განისაზღვრებოდა. ის თბილისიდან ან რომელიმე ექსპედიციიდან ჩამოსული მესტიაშიც იშვიათი სანახავი გვიხდებოდა, არ უყვარდა სპორტული

რიტმიდან ამოვარდნა.

1963 წელს ადრე გვესტუმრა ჩხუმლიანი. იმ წელს სახლის მშენებლობას აპირებდა. მიხეილ ბექნუს ძემ და მე ვინახულეთ და შევთავაზეთ სათევზაოდ წავსულიყავით. იგი დაგვთანხმდა. ორი სამი საათის თევზაობის შემდეგ ვერაფერი დავიჭირეთ. მე და მიშა ბექნუს ძემ ერთმანეთს გადავხედეთ და ვთქვით, ჩხუმლიანმა დაგვთარსა. ჩხუმლიანს გაეცინა, მოეწონა ბრალდება და გვიპასუხა: თქვენ მგონი სულ ასეთი დათარსულები დადიხართ სათევზაოდო.

1965 წელს შემომითვალა, ჩამებარებინა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, სადაც სათხილამურო სპორტის კათედრაზე გამოყვეს ადგილები ალპინიზმის სპეციალობით. მე უარი ვუთხარი, რადგანაც სკოლას ვამთავრებდი მომდევნო წელს. მოგვიანებით ჩხუმლიანთან საუბარში მიშა ბექნუს ძეს უთქვამს ჩემს შესახებ, ვერ გადაწყვიტეს, სპორტის რომელ სახეობაში ჩააბან, იქნებ მთაში წაგეყვანაო. დუმილის შემდეგ უპასუხა: „მი ქა ხვი" (მე საკმარისი ვარ).

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარ-ზაფხულ მთაში დავეხეტებოდი, ხან მთის ქათმებზე, ხან მურთხებზე სანადიროდ, უშბის ძირიდანაც, ქედებიდან ჭოგრიტით ხშირად შემივლია თვალი მისი დაქანებული კალთებისათვის, მაგრამ არასდროს გამჩენია მათი დალაშქვრისა და მწვერვალზე ასვლის სურვილი. ჩხუმლიანის სიტყვები კი მეწყინა. ამის შემდეგ ამაზე საუბარი შეწყდა, ხოლო „მი ქა ხვი" მთელი ცხოვრების მანძილზე მაცილებდა და ყოველ ნაბიჯზე იძენდა ახალ განმარტებებს, მთაში ხიფათისა და საშიშროების სახით.

ჩხუმლიანმა საბჭოური ალპინიზმის სიძლიერე თავისი სპორტული ცხოვრების მოკლე მანძილზე შეკრიბა და მიუწვდომელ სიმაღლეზე აიტანა. ასეთ პიროვნებას ბუნება კაცობრიობას საუკუნეში მოუვლენს ერთს ან არცერთს, მისი შინაგანი სიდიადე იყო უბრალოება და თავმდაბლობა.

ჩხუმლიანზე ბევრია მოსაგონარი, წლები რაც უფრო გაივლის, დრო მით უფრო ახალი მოგონებებით შეივსება, მისი მოკლე ცხოვრების გზა და უფრო მთამბეჭდავი და მამაცური იქნება ვიდრე დღეს.

იტალიაში გამგზავრების წინ, დილომში, მასთან, ბინაში ერთი კვირა მომიხდა ყოფნა. თეალწინ მიდგას, როგორ ეფერებოდა გამზადებულ ზურგჩანთებს, ხელს მოკიდებდა, მოსინჯავდა, ექსპედიციისათვის ცალკე რომ ჰქონდა დაწყობილი, ხომ არაფერი მავიწყდებაო...



მიშა ხერგიანი, გია საჯაია და ლადო გურჩიანი. საქურელის შერჩევა.

ფანჯარასთან ვიდექი, ხმა შემომესმა „ის კი არა, არსად არ წავალ". შემოვბრუნდი, კარებში დავინახე ჩხუმლიანი მკერდზე გადაჭდობილი მკლავებით, გაკვირვებულმა შევხედე, თვალები დახარა და საძინებელ ოთახში შევიდა.

„მაინტერესებს იტალია, ამბობენ, სვანეთის ბუნებას გავსო, იქ წავალ, ამის შემდეგ თავს ვანებებ მთამსვლელობას, შემდეგ მოვიწვევ მსოფლიოს საუკეთესო მთამსვლელებს და უშბის კალთებზე გამოვცდი მათ სიძლიერეს" — ამბობდა ხოლმე.

ჩხუმლიანი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სწავლობდა დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე.

პირველი ტანვარჯიშის გაკვეთილი. ჩხუმლიანი ღერძზე ალმა ტრიალს აკეთებს. შემოდის მასწავლებელი სამსონ თედეევი (ან განსვენებული). თედეევს, სიმკაცრე შეჩვეულს, უცნაურად მოეჩვენა სტუდენტის გამბედაობა და უხეშად დაითხოვა გაკვეთილიდან, სიის ამოკითხვისას ჯგუფხელს ეკითხება, ბოლო ბოლო არ გამოჩნდა ხერგიანი? გამოჩნდა მასწავლებელო. აბა სად არის?.. და ჩხუმლიანის გაცნობას მონატრებული ფეხზე წამოდგა. აი თქვენ რომ დაითხოვეთ, ის იყოო. სასწრაფოდ გაგზავნა სტუდენტი, მოაძებნინა... თედეევი ხშირად თავს გაიქნევდა და იტყოდა ხოლმე, რა ბიჭი იყო?..

ჩხუმლიანის ერთ-ერთი მეგობარი, მკვლევარი და მეცნიერი, ავთანდილ ციბაძე (ან განსვენებული) სპორტული ფაკულტეტის დეკანი იყო. მთიდან ახლად დაბრუნებული ჩხუმლიანი მივიდა ანატომიის საგნის ჩასაბარებლად, ავთანდილმა დაურეკა პროფესორ თვალაძეს და თან დასძინა, კარგი სტუდენტი უნდა გაგაცნოო. ჩხუმლიანმა იუარა ავთანდილის გაყოლა ფეხს ითრევდა, თვალაძესთან კაბინეტში შესული ავთანდილი მობრუნდა, რომ ჩხუმლიანი გაეცნო მისთვის. იგი იქ არ იყო, მეორე დღეს კი თვალაძე ურეკავს ავთანდილს, რომ ჩვენ უკვე გავეცანით ერთმანეთს და მან ბრწყინვალედ ჩამაბარა საგანი. ამის შემდეგ ყოველ წელს ახალ ჩაბარებულებთან (პირველ კურსელებთან) შეხვედრაზე თვალაძე სიტყვას ჩხუმლიან ხერგიანით იწყებდა და ხაზს უსვამდა მის განათლებას, ადამიანობას და სპორტულ სიძლიერეს.

მთამსვლელობა 1970 წელს დავიწყე. ემეცადინეობდი, როგორც მთამსვლელობაში, ასევე მეკლდეურობაში, ჩხუმლიანის ერთ-ერთ სპორტულ ღირსებას წარმოადგენდა ის, რომ იგი ერთნაირად ფლობდა ყინულზე, თოვლზე, კლდეზე თუ სიმაღლეზე ასვლის ტექნიკას. ასეთი სპორტსმენი მსოფლიოში სპორტის ამ სახეობაში არ მოიპოვებოდა.

ჩემი მთაში სიარულის მიზეზი, ჩვენი ნათესაური გენეტიკური ტრადიცია და ის დიდი პატივისცემა იყო, რასაც მე ჩხუმლიანის მიმართ ვგრძნობდი. ეს რომ არა, მე შედეგს ვერ მივაღწევდი.

კარგი იქნებოდა 1982 წელს ავსულიყავი მწვერვალ ევერესტზე. ამ წელს რომ ჩხუმლიანს 50 წელი შეუსრულდებოდა და ამაზე უკეთეს საჩუქარს მის მიმართ კაცი ვერც ინატრებდა, მაგრამ... გზად გადამელობა ქართული ეგოიზმი და რუსული შოვინიზმი, რომლის წინაშეც უძლური აღმოვჩნდი, დასაწერი და მოსაგონი კიდევ ბევრია... ალბათ ასე ინება უფლის განგებამ.



გიგლა წიკლაური და მიშა ხერგიანი. დემონსტრირება.

**გიგლა ნიკლაური**

თანრიგოსანი მთამსვლელი და მეკლდეურე

# ღმერთმა უნდა დაგანათლოს...



გიგლა ნიკლაური.

მიშა ხერგიანი 1960 წლის აგვისტოში გავიცანი. ჩვენ ლეხზირის მყინვარიდან ებრუნდებოდით ვარჯიშის შემდეგ. მწვანეზე რომ გამოვედით, ბილიკზე ჩვენსკენ მომავალი სამი მთამსვლელი დაინახა ჩვენმა ინსტრუქტორმა შამილ დადეშქელიანმა. წინ მომავალი მიშა იყო, დანარჩენები რუსი მთამსვლელები. ამ ორი ჯგუფის შეხვედრა იქვე მონაწნკარე ნაკადულთან შედგა. შამილი მიესალმა მიშას. იქვე ჩამოესხედით ნაკადულთან. მიშამ გამოჰკითხა შამილს ჩვენს შესახებ. შამილმაც ქება არ დაგვაკლო. ჩვენ ვისხედით და ვუსმენდით მათ საუბარს. თხუთმეტიოდე წუთის შესვენების შემდეგ, დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ისინი ადილსუში, „სპარტაკის" ბანაკში წავიდნენ, ჩვენ „უშბის" ბანაკს მივაშურეთ ლეგურგულაზე.

1961 წლის ივნისის დასაწყისში ოთხნი: ზაურ მიქაძე, ერიკ ჟვანია, ანატოლი მატუა და თქვენი მონამორჩილი ალპურმა კლუბმა გაგვაგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში „ჯანტუგანის" ალპინისტურ ბანაკში, სადაც განთავსებული იყო ალპინიზმის საკავშირო ინსტრუქტორთა სკოლა. ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ იქ ერთ-ერთი მწვრთნელი მიშა იყო და იმედი გვქონდა მის ჯგუფში მოხვედრის. მიშამ საკმაოდ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო. ბანაკის უფროსი იყო ვიტალი აბალაკოვი. მას დაგეგმილი ჰქონდა მიშასთვის სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებული ჯგუფი ჩაებარებინა, ჩვენ კი მხოლოდ მესამე თანრიგოსნები ვიყავით. საბოლოოდ მიშას ავტორიტეტმა გასჭრა და ჩვენც მიშას შეგირდები გავხდით.

დაიწყო ინტენსიური ვარჯიშები და თეორიული მომზადება, მაგრამ... მიშამ მიიღო დეპეშა თბილისიდან — საქართველოს ნაკრები „პობედის" მწვერვალზე მიდიოდა. ჩვენ მხოლოდ ორი კვირა ევარჯიშობდით მიშას ხელმძღვანელობით. მაგრამ როგორი ნაყოფიერი იყო ის ორი კვირა. ყოველ დღე დავდიოდით „Скальная лаборатория"-ში. ეს ბუნებრივი კლდეების კომპლექსია ბანაკიდან ათი წუთის სავალში.

ერთ-ერთ სურათზე სწორედ მიშაა აღბეჭდილი მორიგი მეცადინეობის დროს ჩვენს ჯგუფთან. შეუძლებელია ყველა იმ ილეთის აღწერა, რასაც მიშა კლდეზე აკეთებდა, მაგრამ ერთს მაინც გავიხსენებ. წარმოიდგინეთ, თითქმის უარყოფითი დახრის „კედელი" შეუმჩნეველი ჩაღრმავებებით. თითქმის ორსართულიანი სახლის სიმაღლეზე მოძებნიდა ორი თითით. ამგვარ ჩაღრმავებებს, დაეკიდებოდა და შემდეგ მთელი ტანით აიზიდებოდა ოთხჯერ-ხუთჯერ. იგივეს იმეორებდა მეორე ხელით და ასე რამოდენიმეჯერ. უფრო გასაგებად რომ ვთქვა — მიშას ვირტუოზობა კლდეზე შეიძლება მხოლოდ პელეს შევადაროთ ფეხბურთის მოედანზე. და ეს სულაც არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი.

შემდეგ იყო ტრაგედია „პობედაზე". ცნობილია რა სასწაული ჩაიდინა დიდმა მიშამ პატარა მიშას ჩამოყვანით „პობედის" ურთულესი მარშრუტიდან. ექსპედიციის შემდეგ მიშა თბილისში, სასტუმრო „სპორტში" გაჩერდა. მოვაკითხეთ, გვითხრეს მეორე სართულზეაო. მისი ნომრის ძებნის დროს გვერდზე ჩაუარეთ.

— გიგო, ვის ეძებო? (ასე მეძახდა შინაურობაში)

მივიხედე. ძლივს ეიცანი. ნეერმოშვებული, ძალზე გამხდარი, შეგვიძლეა თაეის ნომერში. ვისაუბრეთ. „პობედის" ტრაგედიის დეტალების გახსენების დროს შევატყეეთ, რომ უჭირდა, ამიტომ ზედმეტი შეკითხვები აღარ მიგვიცია.

1963 წელს მიშა ნალჩიკიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. დიღმის მასივში, მეორე სართულზე მისცეს პატარა ბინა. მიშას ჩამოსვლით საქართველოში ნამდვილი ოქროს ხანა დაიწყო ქართული ალპინიზმისა და მეკლდეურობის ისტორიაში.

ისეთი მონდომებით გვავარჯიშებდა, ისეთი ხალისით ვასრულებდით მის ყეელა მითითებას, ისეთი ადამიანური სითბო ტრიალებდა, რომ დღესაც ორმოცი წლის შემდეგ დიდი სიყვარულით ვიხსენებ ჩემი ცხოვრების იმ პერიოდს.

1965 წლის თებერვალ-მარტში იმხანად ალპური კლუბის დირექტორის ჟორა ბერძენიშვილის თაოსნობით მოეწყო შეკრება ზამთრის ასვლების ჩასატარებლად ალპური ბანაკის „ადირსუს" ბაზაზე. ექსპედიციის ხელმძღვანელი მიშა იყო, მონაწილენი: შალიკო მარგიანი, რომა გიუტაშვილი, თამაზ ბაქანიძე, ტარიელ ლუკაშვილი და თქეენი მონამორჩილი. ბანაკში ჩასვლის მეორე დღიდანვე დავიწყეთ ინტენსიური ვარჯიშები. დილით, მოთელვის შემდეგ, საცურაო კოსტუმებში „გამოპრანჭულები" ათგრადუსიან ყინვაში გავდიოდით თოვლში საჭიდაოდ.

მიშას პარტნიორობას ჭიდაობაში მე ვუწევდი. მიუხედავად ჭიდაობაში ჩემი გარკვეული გამოცდილებისა. მიშას ვერაფერს ვერ ვაკლებდი, მე კი ხშირად მიწევდა თოვლში კოტრიალი. იგი საოცარი ფიზიკური ძალით და ფეხების სისხარტით გამოირჩეოდა. შემდეგ ვამტვრევდით ყინულს და მდინარეში ვბანაობდით. შემდეგ იყო საუზმე და სამთო თხილამურებზე ვარჯიში სადილამდე. ერთ-ერთი ასეთი ვარჯიშის დროს მიშა და შალიკო გაუკვალავ თოვლის ფერდზე



„კლდის ვეფხვი" პრესას ეცნობა.

ავიდნენ. გამინყრა ღმერთი და მეც გავყევი. მიშა გაუკვეალავ თოვლში სრიალის დიდოსტატი იყო. ჯერ მიშა დაეშვა, მერე შალიკო. ნამოედი მე, „მოვჭერი" ფერდი და მოვნყვიტე ზვავი. ეტყობა ღმერთმა არ გამნირა და მიშამ და შალიკომ მალე მიპოვეს და ამომთხარეს.

ამ ამბიდან მესამე თუ მეოთხე დღეს გავედით მნვერვალ სუარიკზე. ეს არის მეოთხე კატეგორიის სირთულის მნვერვალი. ტრაევერსი განვახორციელეთ აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. რა თქმა უნდა, მიშა მიგვიძღოდა ნინ და არაფერი გაგვეჭირვებია. იყო კლდის დათოვლილი მონაკვეთები, რომლებსაც მიშა ჩვეული ოსტატობით გადიოდა. დილით ადრე გასულები შებინდებისას უკვე კარავში ვიყავით. ერთი დეტალი მინდა გავიხსენო ამ ტრავერსიდან. სუარიკის ჩრდილოეთი კალთა დაფარული იყო თოვლის საკმაოდ სქელი ფენით. ჩვენ ემოძრაობდით ქედის თხემზე. ერთ-ერთი შესვენების დროს მიშამ სხვათაშორის შენიშნა, რომ ჩრდილოეთი ფერდი შეიძლება მონყდესო. დაახლოებით ხუთი ნუთის შემდეგ ოთხმოცი მეტრის (ორი თოკი) სიგანის ფერდი ჯერ ჩუმი შრიალით, შემდეგ გრუხუნით გადაეშვა უფსკრულში. ამის გახსენებით იმას მინდა გავუსვა ხაზი, რომ ბრნყინვალე ფიზიკური მონაცემების გარდა, მიშას საოცარი ინტუიციაც ჰქონდა. ანდა შეიძლება ეს ინტუიცია დიდი გამოცდილების და პროფესიონალიზმის ნაყოფი იყო. მე და ჩემი მეგობრები ისე ვიყავით დარნმუნებულები მის ყოვლისშემძლეობაში, რომ ვერც კი ნარმოვიდგენდით, თუ მას მთაში რამე მარცხი შეემთხვეოდა. მე კიდევ ბევრი მაქვს მიშაზე გასახსენებელი, მაგრამ ამჯერად თავს მეტს არ შეგანყენთ. თუნდაც ჩვენი თანამშრომლობა ალპინისტური საჭურვლის დამზადებისა და გამოცდის დარგში გავიხსენოთ. მე მაშინ საავიაციო ქარხანაში ვმუშაობდი საამქროს უფროსის მოადგილედ. იმ პერიოდში საკმაოდ საინტერესო სამარჯვები დავამზადეთ, რომელთა ნანილი ალბათ დღესაც ინახება მიშას მუზეუმში.

ჩვენი საზოგადოებრიობა მიშას იცნობდა ძირითადად როგორც ლეგენდად ქცეულ დიდ სპორტსმენს, მაგრამ ცოტამ თუ იცის მისი საოცარი პიროვნული თვისებები. უდიდესი შინაგანი კულტურა და ტაქტი, თავმდაბლობისა და საკუთარი ღირსების ჰარმონიული შერნყმა. ამ თვისებებს ვერცერთ უმაღლესში ვერ ისნავლი. ღმერთმა უნდა დაგანათლოს.



სერგო ბარლიანი. სსრკ სპორტის ოსტატი. მიშას მეუღლის კატის უმცროსი ძმა.



მურადი მჭედლიანი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი მეკლდეურობაში, მიშას მოსნავლე.



მიშა ხერგიანი აღსაზრდელებს უხსნის თოვლიან ფერდობზე დაშვების ელემენტებს. (პედაგოგობასაც ოსტატობა უნდა).



თ. ბაქანიძე, ბ. თედორაძე, ე. რატიანი, მ. ხერგიანი, ჯ. გვარლიანი, ზ. მუმლაძე.

მიშა ხერგიანი მოსწავლეებთან ერთად იალბუზზე.



მიშა ხერგიანი ჯილდოებით.



ძიჭა ბერუკიანი (ჩოხით შეიმოსა მაელეგრი).



იუდეის. მწვერვალი სე-ალტი.



[illegible] გასვლის წინ.



სეედას მოუცავეს სუ-ალტოზე მიმავალი „კლდის ვეფხვი"

* * *

**რ. ავალიანი**

იმ წელს
სხეაგვარი
იყო ზაფხული
სვანეთის მთები
ადრე დათოვა,
ხარ-ჯიხვთა მახეში,
განუდგა
მწვერვალთ
და მოლიცინემ
კლდე
მიატოვა...



სუალტო. „ვეფხვი" ჩვეულ ფორმაში.



სუალტო. კარნიზების ქვეშ.



სუალტო. კედლის თავამდე ცოტაღა რჩება.



სუალტო. „ვეფხვის" ბოლო ნაბიჯები





მთელი საქართველო და სპორტული სამყარო მიაცილებს უკვდავების გზაზე, მიხეილს.




მგლოვიარე მამოლი და ბესარიონი მიშასთან ერთად (ლ. გაპონენკოს ნახატი).



თალხი გადიკრა უშბამ. (ფოტო ზ. ჩართოლანი)






მიშა ხერგიანის სამახსოვრო დაფა ალპინისტურ ბაზა „შხელდაში" ყაბარდო-ბალყარეთი (ყოფილი „სპარტაკი").

ეთერ ჭელიძე

სივრცეებისკენ სწრაფვამ, მრავალი ვაჟკაცი აზიარა იმ სიმაღლეებს, სადაც უკვდავების ზარი გუგუნებს.

ბუმბერაზ მთებმა მკერდზე დაიწერეს მათი სახელები...

კვლავ მოდიოდა ბეთქილის ტომი მწვერვალებზე საასპარეზოდ...

სევდიანი მიარბევდა კავკასიონზე გაწოლილ ქარებს.

მიდიოდა და თან მიჰქონდა წინამორბედების საუკუნოვანი წერაყინი.

მიდიოდა და მიაცილებდა მწუხრი...

მიდიოდა სიკვდილ-სიცოცხლესთან მორკინალი...

თეთრი მურყვამი ქვათაცვენის ნისლში გაეხვია...

ვერ უმასპინძლა იტალიამ გოლიათ სტუმარს.

დედის აჩრდილი გადაევლო ალპებს კივილით

ვერ დაეწია სუ-ალტოდან გაფრენილ მინაანს.

მჯიღი დაირტყა უშბამ მკერდზე, მწუხარე ცრემლი გადმოსდინდათ მბორგავ მწვერვალებს.

ტინის ნაპობი შავი კედელი, შენ ძეგლად იქცა...

ეს მონუმენტი, შენი მოძმის ხელთქმნილი ნიში,

საქართველოდან გისახსოვრეს

დოლომიტებში დაღუპულ მინაანს!



სუალტოს კლდის ძირას დადგმული მონუმენტი

ავტორი ვახტანგ ონიანი



შხარის მასივი



უშგული. ლამარიას კოშკი.



მწვერვალები – აილამა და ნურუნგალა.



მიშა ხერგიანი და გივი ყალიბეგაშვილი. ტიანშანი.



მიშას მეგობრებმა გააგრძელეს მიშას ჩაფიერებული და ერთად განსახორციელებელი საქმე. გიეი ნერედიანი მესტიის სამაშველო სამსახურის უფროსი, კოკია გუგავა ალპინისტური ბაზების აილამის და ზესხოს დირექტორი, შალიკო მარგიანი – ალპინისტური ბაზა აილამის უფროსი ინსტრუქტორი, შემდგომში ალპინისტური ბაზა „სვანეთის" სამაშველო სამსახურის უფროსი და გამშვები. რამოდენიმე ალპინისტური თაობის ალმზრდელი .


შენ არ გინახავს...
შენ არ გინახავს შხელდას,
შენ არ გინახავს ნაკრას,
ფერი ეცერის ველთას,
ჩემი მარადი ნატვრის?
შენ არ გინახავს შხარას,
ზეცის ნათელი სვეტი,
კლდეში გაჭრილი შარას,
შენ არ გინახავს ზვავის
შეხლა მდინარე წყალთან,
უშბის ჭაღარა თავი,
ველის ცეკვების კალთას?
სვანეთის ზეცა ლურჯი,
შმაგი ენგურის ქაფი,
ცხენი, სადავის ურჩი,
ელვის ენაზე სწრაფი?
შენ არ გინახავს ჭიხვის
მთით გადმომდგარი სახე, —
და ამის შემდეგ ითქმის,
რომ საქართველო ნახე?



ისევ ინთება უშბის მისადგომებთან კოცონები, ისევ მთისაკენ მიილტვის ახალგაზრდა თაობა.



ზაურ ჩართოლანი აღმზრდელთან, მალიკო მარგიანთან და მოსია ჩართოლანთან ერთად. მალიკოს ბოლო გასეირნება მთაში.



ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მისიმაღლე საქართველოდან აფი გიგანი.



ბენო ქაშაკაშვილი და აფი გიგანი მწვერვალ ევერესტზე.

ზენო ქაშაკაშვილი

# სუალტოს «გავხედნეთ» და მიშას ვალი დავუბრუნეთ

მიხეილ ხერგიანის შესახებ ლეგენდებს ბავშვობიდან მიყვებოდნენ და ბევრი თავადაც წამიკითხავს, ანდა დოკუმენტურ ქრონიკებში მინახავს. ვიცოდი, რომ ერთ ქართველ ბიჭს სვანეთიდან, ისეთ სახელოვანი ალპინისტებიც კი აღფრთოვანებაში მოუყვანია, როგორებიც ჯონ ჰანტი, ჟან ფრანკო, არმანდო და როიტი იყვნენ.

ყოველთვის მინდოდა იმ შეჯიბრებების მომსწრე ვყოფილიყავი, რომლებიც უელსში სნოუდონის კედლებზე, სარანგეთში გრან-კაპუცინისა და პტი-დრიუს მიდამოებში იმართებოდა. იქ ხომ მიშამ მსოფლიოს უძლიერესი მთამსვლელის ტიტულიც დაიმსახურა და თანაც ისტორიაში „კლდის ვეფხვის" სახელითაც შევიდა.

მახსოვს, როდესაც იური ბურლაკოვის „მთის რაინდს" ვკითხულობდი, სასტიკად განვიცდიდი იმ გვერდზე აღწერილ ამბავს, სადაც მიშას სუალტოს, მისთვის ტრაგიკული და თანაც ბოლო მწვერვალის გავლა უნევდა. თითქოს თვალწინ მედგა კადრი, როცა მიშა ბუხარს ღიღინით ეფარება და შემდეგ შემაძრწუნებელი ქვათაცვენის ხმა მესმის...

ხშირად მიფიქრია, როგორი სავლელი იქნებოდა ეს მწვერვალი. მწვერვალი, რომელმაც მსოფლიოს დასწყვიტა გული. თავადაც ვხვდებოდი და ჩემზე უფროსი თაობის ქართველი მთამსვლელებისაგან გამიგია, რომ არ იქნებოდა ურიგო, თუკი სუალტო „ვალს" დაგვიბრუნებდა. დაგვიბრუნებდა ჩვენ — მთამსვლელებს, საქართველოს, სვანეთს და რაღა თქმა უნდა, თავად მიშას.

მწვერვალი კი, ვალს მაშინ აბრუნებს, როცა ნებას გაძლევს მიაღწიო მის თავსახურს. მოკლედ, დიდი ფიქრისა და მრავალი საკითხის ანონ-დანონის შემდეგ, როგორც იქნა გავბედე და ჯერ თავს, ხოლო შემდეგ ჩემს მეგობრებს აფი გიგანსა და გელა ოთარაშვილსაც გამოვუტყდი, რომ არ იქნებოდა ურიგო, თუკი სუალტოს გზას დავადგებოდით. ალბათ, ამ წინადადებას ბიჭებიც ელოდნენ და მალე ჩვენი სამეული იტალიისაკენ გაეშურა.

2001 წლის 1 ივლისს ჩვენ ბერგამოში ჩავედით, საიდანაც ცნობილი იტალიური დოლომიტებისაკენ გადავინაცვლეთ. სუალტოს მწვერვალი ჩივეტას ულამაზეს მასივში მდებარეობს. „ტისის" თავშესაფარამდე, რომელიც 2200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ჩვენ ფეხით მივუყვებით ალმართს და მომავალ მარშრუტზე ვფიქრობთ.

თავად ჩივეტას მასივი თვალისმომჭრელად ლამაზია. აქ ძირითადად 3000-იანი მწვერვალებია, რომელთა რიცხვი 25-ს აღწევს. თითქმის ყველა მწვერვალს ყველა კატეგორიის მარშრუტი უდგება. სუალტო კი ამ მასივის ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალია. ეს მწვერვალი ქართული ალპინიზმისათვის მართლაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამაში, იტალიაში ჩასულები კიდევ უფრო დავრწმუნდით. საოცარია, მაგრამ სწორედ ამ მშვენიერმა მწვერვალმა იმსხვერპლა მიშა ხერგიანი, კაცი და მთამსვლელი, რომელსაც საქართველო დღემდე დასტირის.

სუალტოს დანახვისას კვლავ ბურლაკოვის წიგნში ამოკითხული მახსენდება. აი, ის ადგილი, სადაც იტალიური გაზეთი „უნიტა" დოლომიტებში დატრიალებულ ტრაგედიას ქვეყნიერებას ამცნობს. „საბჭოთა ალპინისტი, ვისი ვინაობაც ჯერჯერობით არ არის დადგენილი, დღეს, დაახლოებით 13 საათზე დაიღუპა ჩივეტას მასივზე ასვლის დროს. ის გადაიჩეხა სუალტოს მწვერვალზე ალეგას მხრიდან ასვლისას. მხედველობაში გვაქვს მეტისმეტად რთული კედელი თაროების და მოსაჭიდების გარეშე..." — წერდა იტალიური გაზეთი.

ნეტა ჩვენ როგორ გავივლით ამ მწვერვალს? მიშა რას გვირჩევდა ახლა, რომ ცოცხალი იყოს? უნდა ითქვას, რომ ტისის თავშესაფარში მიშაზე გამუდმებით ვფიქრობდით. აქ, დოლომიტებში კიდევ უფრო გამიმძაფრდა ის შეგრძნება, ასე გვარიანად წლების მანძილზე რომ მოსვენებას არ მაძლევს — ნეტა, საკუთარი თვალით მენახა, როგორ გადიოდა ხერგიანი-ონიშჩენკოს წყვილი ამ მარშრუტს. დოლომიტებში ხერგიანის სხვა ასვლებს ხომ, ბევრი მაყურებელი ჰყავდა...

მიხეილ ხერგიანის გაუვლელ მარშრუტზე, ჩვენ ცნობებს რამოდენიმე დღე ვაგროვებდით. გვინდა გულდასმით შევისწავლოთ ლივანოს-გაბრიელის მარშრუტი, რადგან ჩვენ, მიშას შთამომავლებს ამ გზიდან გადახვევის უფლება არა გვაქვს. მორჩა!

ეს მარშრუტი პირველად ლივანოსისა და გაბრიელის წყვილმა გაიარა და 800 მეტრიან საცოც კედელს შეადგენს. თურმე ნუ იტყვი და ამ მარშ-

რუტის გავლას ბევრი ალპინისტი დღესაც არიდებს თავს, რადგან რთულია. მარშრუტი დურბინდებითაც დავათვალიერეთ და როცა მივხვდით, რომ მარშრუტზე გასვლას აღარაფერი აფერხებს, გზას დავადექით.

ტისიდან მარშრუტის დასაწყისამდე თითქმის საათის სავალია. ალბათ, მიშაც ასე იწყებდა ამ გზას.

შემდეგ თოვლიან ფერდს თოკში ჩაბმულები ნაშალზე გადავედივართ. ნაშალის დამთავრების შემდეგ ალპინისტურ აღჭურვილობასაც ვირგებთ და უშუალოდ მარშრუტის დასაწყისამდე ბერგშრუნდსაც ვლახავთ.

ლიევანოს-გაბრიელის მარშრუტის ძირში კვლავ მიშაზე ფიქრები გვეძალება. შესაძლოა თავს არავინ ვუტყდებით, მაგრამ ყველა ვნერვიულობთ. ნელ-ნელა კლდოვან ბუხარს გავდივართ. ეს საშუალო სირთულის კლდოვანი მონაკვეთია, რომლის ავლასაც დაახლოებით ორი საათი ვუნდებით. ვმოძრაობთ ერთდროულად, თოკში ჩაბმულები. შესაძლოა ვმოძრაობთ იმაზე ნელი ტემპით, ვიდრე ამას 31 წლის წინათ ხერგიანი და ონიშჩენკო აკეთებდნენ, მაგრამ ჩვენ არ გაგვემტყუნება — ვცდილობთ თითოეულ პალოში მიშას პალო ამოვიცნოთ და თანაც, ყოველივე ვიდეოფირზე აღვბეჭდოთ.

რაც უფრო ზევით მივიწევთ, მით უფრო რთულდება მოძრაობა. შუა კედელზე ტრავერსის გაკეთება გვიწევს და პირდაპირ 500 მეტრიანი ვერტიკალური კედლის დასაწყისში გავდივართ... შესაძლოა ვინმეს დამღლელადაც კი ეჩვენოს ლიევანოს-გაბრიელის მარშრუტზე ჩვენი მოძრაობის ასე დეტალური აღწერა, მაგრამ ამ მარშრუტზე ასევე უხდებოდა მოძრაობა „კლდის ვეფხვსაც".

სუალტოს ამ მონაკვეთზე არის ყველაფერი, რასაც ისურვებ — ბზარები, კარნიზები, ბუხრები. ყველა მოძრაობა სიზუსტეს და დაკვირვებას მოითხოვს. გზა და გზა ვხედებით უამრავ დაჟანგულ, რკინის და ხის შუალედურ პალოებს და ძალაუნებურად წარსულზე გიწევს ფიქრი. მართლაც და ნეტავი როგორ ცოცავდნენ ამ ადგილას ძველად? ვინ იცის, იქნებ სიძველით გაჟღენთილ ამ პალოებს შორის ერთი მაინც არის მიშასი?

ამასობაში, ღამისათევის ადგილსაც მივუახლოვდით. მცირე მოცულობის ნიშაა, რომელიც გამოქვაბულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სიბნელეში ვარჩევთ ძველ, ჟანგიან რკინის ქილებს და ვცდილობთ წარწერების ამოკითხვას, იქნებ სადმე საბჭოეთის სიმბოლიკა მაინც აღმოვაჩინოთ, მაგრამ ამაოდ... დროს ყველა წარწერა წაშლილი აქვს.

გამოქვაბულიდან მალევე გამოვდივართ და კარნიზების მთელი კასკადის შეტევას ვიწყებთ. დაძაბულობაც ნელ-ნელა მატულობს. აქ ხომ არ მოწყდა მიშა? ვეკითხები საკუთარ თავს. თურმე ნუ იტყვი და მთელი მარშრუტის განმავლობაში, აფიც და გელაც იგივეს ფიქრობდნენ. ამაში ერთმანეთს ღამისსათევზე გამოვუტყდით.

დილით სიცივემ გამოგვაღვიძა და საოცრება — ჩივეჩტას მასივი ხელისგულივით მოჩანს. მოძრაობას ვაგრძელებთ. აი, კიდევ ერთი ბუხარი და ჩვენც თავიდან ბოლომდე სველები და გაყინულები ვართ. გავცურებთ კარნიზებს და გვგონია აი, დამთავრდა, მაგრამ ერთს მეორე მოჰყვება. მარშრუტი კი უფრო და უფრო რთულდება.

ალბათ, მიშა ამ ადგილას დაიღუპა, ნამდვილად ასე იქნება. ნაშალი იწყება და დრო და დრო ქვებიც ცვივა. ჩაფხუტი გვშველის! „ქვა", „ქვა" — ასეთი შეძახილები ხშირად გვესმის და ის საბედისწერო ქვაც თვალწინ მიდგას, მიშას რომ თოკი გადაუჭრა.

ამასობაში მწვერვალიც გამოჩნდა. კიდევ 50 მეტრი და სუალტოს წვერსაც მივაღწევთ... აი, მწვერვალიც! უცბად განელდა დაძაბულობაც და დაღლილობაც! ჩვენ მწვერვალზე ვართ! მიშას ვალი დავუბრუნეთ! თანაც იტალიურ მწვერვალზე ნამდვილი ქართული სუფრა — პური, ყველი, ჭაჭის არაყი გავშალეთ და დიდ წინაპარს, მიხეილ ხერგიანს, ჩვენებურად ჭიქაც წავუქციეთ. ეს ხომ ჩვენი წესია...

მწვერვალიდან იმ ადგილას მივედით, სადაც გადატეხილი წერაყინი, ყველას, დოლომიტებში ჩასულს, ატყობინებს, რომ 1969 წელს ამ მხარემ ქართველი კაცი და უძლიერესი მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი იმსხვერპლა. ჩვენ ამ ადგილასაც ერთ შესანდობარს ვიძახით და სამშობლოში ვბრუნდებით. მესტიაში მიშას მუზეუმისათვის სუალტოდან წამოღებული პალოები მოგვაქვს.

თბილისში კი სუალტოზე გადაღებული ვიდეომასალით მიხეილ ხერგიანზე ახალი ფილმი უნდა მომზადდეს. ვამზადებთ ის ხალხი, ვინც არ შევხვედრივართ მიშა ხერგიანს, მაგრამ ვთვლით, რომ მას კარგად ვიცნობთ და ალბათ ასევე კარგად გაიცნობენ მომავალი თაობები.

**აფი გიგანი**

მოსიმაღლე მთამსვლელი,
5 რვაათასიანის დამპყრობი

# შენი კვალი წარუშლელია

ბუნებაში შემთხვევით არაფერი არ ხდება. დღევანდელი გადასახედიდან როდესაც ვაკვირდები ალპინიზმით ჩემს გატაცებას, ფსიქოლოგიური საფუძველი პატარაობაში ჩაეყარა, რადგან ბიძაჩემის ილიკო გაბლიანის სახელთან ერთად ჩვენს ოჯახში ხშირად ისმოდა მიხეილ ხერგიანისა და ჩვენი ცნობილი ალპინისტების სახელები, მას შემდეგ, როდესაც ტიან-შანზე დაიღუპა ილიკო გაბლიანი, გადავწყვიტე გავმხდარიყავი ალპინისტი. ჩემი გადაწყვეტილება კიდევ უფრო ურყევი გახდა, როდესაც ვგებულობდი ამბებს მიშა ხერგიანის სპორტული წარმატებების შესახებ. იგი ჩემთვის ვაჟკაცობისა და რაინდობის ეტალონი გახდა. მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ მისი ხსოვნის პატივსაცემად ბანგურიანზე ავსულიყავით. ჩვენს ოცნებას მხოლოდ 1971 წელს შევასხით ფრთები, როდესაც ბანგურიანზე ავედით და მიშას მოსწავლეების წერილები ჩამოვიტანეთ დიდი სიამაყის გრძნობა დამეუფლა. ახლაც თვალწინ მიდგას მწვერვალი და ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი. მას შემდეგ ალპინიზმის ტყვე ვარ. შემდგომში პამირზე, ტიან-შანზე და ჰიმალაებში ექსპედიციებისას ხშირად მხვდებოდნენ მიშას მეგობრები და რა თქმა უნდა, ჩვენი საუბრის მთავარი თემა მიშა იყო. ისინი განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსენებდნენ მის პიროვნულ თვისებებს: განუმეორებელ ხიბლს, იუმორის გრძნობას, ადამიანურ სითბოს, თავმდაბლობას, მუდმივ მზადყოფნას, რომ დახმარება გაეწია მის ირგვლივ მყოფი ადამიანებისათვის. იხსენებდნენ მის ცოცვის განსაკუთრებულ მანერას, სისხარტეს, სიმსუბუქეს. მიხეილის ოცნება იყო ტიან-შანიდან მშობლიურ კუთხეში ჩამოესვენებინა ილიკო გაბლიანის ნეშტი. სამწუხაროდ, სიკვდილმა არ დააცალა ჩანაფიქრის ასრულება.

ისევე, როგორც ყველა მთამსვლელს, მეც მიზიდავდა „გამარჯვების პიკი", მაგრამ მე ამ მწვერვალისაკენ განსაკუთრებული ლტოლვა მქონდა. მენახა ბიძაჩემის ილიკო გაბლიანის საფლავი და შური მეძია გამარჯვების პიკზე. 1991 წელს ეს ოცნებაც განვახორციელე და ქართულ ექსპედიციასთან ერთად ნავედი, სამი ღამე გავათენეთ იმ ადგილზე (7100 მ სიმაღლეზე), სადაც ილიკოს ნეშტია დაკრძალული. იმ ტრაგიკული დღიდან, როდესაც „გამარჯვების პიკმა" ამდენი ალპინისტი შეიწირა, წლების შემდეგ, პირველი ქართველები ვიყავით, ვინც მასზე შური იძია და დალაშქრა.

თავისთავად ჩვენი კუთხის ყველა ალპინისტს დიდი სურვილი აქვს გაიაროს მიშას ნაკ-



● ამ ადგილიდან გადაეშვა მიშა მარადისობაში.
სუ-ალტო.

ვალევზე, არ ჩატეხოს ის ხიდი, რომელიც მიშამ და ჩვენმა წინამორბედმა ალპინისტებმა გადეს. აბა რა გასაკვირია, მეც მქონოდა მოკრძალებული სურვილი შევჭიდებოდი სუ-ალტოს. ერთხელ ამ მწვერვალზე, ბენო ქაშაკაშვილმა მოაწყო ექსპედიცია. სურვილი გვქონდა გაგვევლო მიშას მარშუტი. სულ-ალტოზე გასვლამდე ავდიოდით პატარა მწვერვალებზე და უკან დაბრუნებისას ვცდილობდით გაგვევლო იმ ადგილას, სადაც მიშას მემორიალია. 2001 წლის 5 ივლისს გავუდექით გზას მწვერვალისაკენ, კედელი სიმაღლით დიდი არაა, 800 მეტრია, მაგრამ ურთულესი, 95% დახრილობის, მშრალი, გლუვი, შვერილების გარეშე. იმ ადგილიდან მწვერვალამდე, სადაც მიშა მოწყდა, 90 მეტრია. ყოველ მტკაველს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ყურადღებით ვაკვირდებით.

აი, ძველი პალოც. ნეტავ მიშამ ხომ არ ჩაარტყა? პალო მოვხსენი, მინდა სამახსოვროდ მიშას სახლ-მუზეუმს გადავცე. მწვერვალი დავიპყარით, ამით თითქოს სუ-ალტოს ვერაგობაზე ვიძიეთ შური.

ჩემო მიშა, შენ ჩემი გზამკვლევი, ეტალონი და მისაბაძი მაგალითი ხარ როგორც სპორტში, ასევე ადამიანურ ურთიერთობებში. წლები გავიდნენ, შენი ნაკვალევი კვლავ ატყვია უშბას, ტიანშანს და პამირს... ეს კვალი კი წარუშლელია მომავალი თაობებისთვის.

გია თორთლაძე

მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის (IMA) პრეზიდენტი

# ბანგურიანიდან-უკვდავებამდე

„უკვდავებაა სიცოცხლეზე რომ ისეირებს"...

ნ. სამადაშვილი

მახსოვს, სულ ახალგაზრდები ვიყავით, 22-23 წლის ბიჭები, როცა პირველად გავემგზავრეთ დამოუკიდებლად ჩრდილო კავკასიაში — ეს იყო 1982 წლის ზაფხული, მაშინ მიშას 50 წელი შეუსრულდა.

უბედნიერესები ვბრუნდებოდით უშბიდან. დღესაც შენახული მაქვს ის საგაზეთო სტატია „Посвящается Михаилу Хергиани", რომელიც იუწყებოდა, რომ ოთხმა ახალგაზრდა მთამსვლელმა დალაშქრა უშბა ჩრდილოეთიდან და მიხეილ ხერგიანის ხსოვნას მიუძღვნა.

მას მერე ოცი წელი გავიდა. მიშა 70 წლის გახდებოდა.

როდესაც კინოსერიალ „საქართველოს მთამსვლელობის ქრონიკებზე" ვმუშაობდი, დაწვრილებით გავეცანი საარქივო მასალებს, რაც კი შემორჩა მიშაზე. საოცარია, ეს იყო ღმრთისგან უხვად დაჯილდოებული ადამიანი. ის სიმსუბუქე, დახვეწილი მოძრაობა, ნატიფი აღნაგობა დღესაც თვალწინ მიდგას. უნიკალურია ის კადრები, სადაც მიშა ცეკვავს, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო, ასე მხოლოდ დიდი პროფესიონალი მოცეკვავეები ცეკვავენ.

ძნელია დაიჯერო, რასაც მასზე ჰყვებიან. მთელ ჩრდილო კავკასიის ალპურ ბანაკებში ვერავინ უგებდა მაგიდის ჩოგბურთში; იმდენად კარგად იდგა თხილამურზე, რომ საკავშირო პირველობებზე საპრიზო ადგილიც კი დაუკავებია. საბჭოთა მეკლდეურობის ისტორიაში, არავინ გამხდარა 8-ჯერ ჩემპიონი. იყო 4-გზის სსრკ-ს ჩემპიონი მთამსვლელობაში. ეს სპორტული შედეგები რამდენიმე ადამიანს ეყოფოდა სატრაბახოდ. ის კი, თავისი კეთილი მზერითა და თავმდაბლობით აოცებდა ნაცნობებს.

მიშა პირველი ქართველი მთამსვლელია, ვინც მე-6 კატეგორიის მარშრუტი წყვილში გაიარა და დღემდე მსგავსი რამ არავის გაუკეთებია.

ძნელი წარმოსადგენია, რა უნდა ექნათ მიშას და იოსებ კახიანს ისეთი ბრიტანეთის კლდეებზე, რომ მუდამ თავშეკავებულმა ინგლისის დედოფალმა „კლდის ვეფხვები" შეარქვა მათ.

როცა დიდი პიროვნება მიდის ცხოვრებიდან, პირველ რიგში მის განვლილ გზას და დანატოვარს აფასებენ ხოლმე. ამ მხრივაც შეუდარებელია მიშა. დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ, მისი მონაფეები — ირაკლი გელდიაშვილი და ლადო გურჩიანი გახდნენ სსრკ-ს ჩემპიონები კლდეზე ცოცვაში.

მიშამ გაუსწრო თანამედროვეობას და სწორედ ამიტომაც სამართლიანად ითვლება საქართველოს და სსრკ-ს ყველა დროის საუკეთესო მთამსვლელად, ხერგიანი და ალპინიზმი — ეს ორი განუცალკევებელი მცნებაა ქართველი კაცის აზროვნებაში.



ნიკოლაი ჩერნიხი. მცირე პლანეტის 3234 ხერგიანი აღმომჩენი.

# МАЛАЯ ПЛАНЕТА 3234 ХЕРГИАНИ

Открыта 31 августа 1978 г. Николаем Степановичем Черных в Крымской астрофизической обсерватории АН СССР.

По предложению первооткрывателя названа в память выдающегося советского альпиниста МИХАИЛА ВИССАРИОНОВИЧА ХЕРГИАНЙ (1932-1969). Название утверждено Международным Центром по малым планетам ;

(Смитсоновская астрофизическая обсерватория, США) II июля 1987 г.

Малая планета 3234 ХЕРГИАНЙ относится к числу объектов главного пояса астероидов.

Параметры орбиты малой планеты 3234 ХЕРГИАНЙ: Среднее расстояние от Солнца 3,112 астрономической единицы, или 466 млн. км. Эксцентриситет 0,180

Наклон орбиты к плоскости эклиптики 0,97 градуса. Период обращения вокруг Солнца 5 лет 6 месяцев. По предварительным данным, поперечник малой планеты 3234 ХЕРГИАНЙ около 10 км. Звездная величина малой планеты в средней оппозиции 16,8. Сближение с Землей ( оппозиция с Солнцем ) повторяется с периодом I год 3 месяца.



მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანი.

АКАДЕМИЯ НАУК СССР

# ПОЧЕТНОЕ СВИДЕТЕЛЬСТВО

о присвоении названия малой планете 3234

Институт теоретической астрономии, возглавляющий в Советском Союзе работы по малым планетам, настоящим свидетельствует, что малая планета № 3234, открытая советскими астрономами, получила название в честь

МИХАИЛА ВИССАРИОНОВИЧА ХЕРГИАНИ

Отныне эта неотъемлемая частица Солнечной системы будет именоваться малая планета (3234) HERGIANI

Ниже приводится текст официального сообщения об утверждении Центром по малым планетам (Смитсоновская астрофизическая обсерватория, США) названия малой планеты (3234) HERGIANI = 1978 QO2

DISCOVERED 1978 AUG. 31 BY N.S.CHERNYKH AT THE CRIMEAN ASTROPHYSICAL OBSERVATORY.

NAMED IN MEMORY OF MIKHAIL VISSARIONOVICH HERGIANI (1932-1969), OUTSTANDING SOVIET MOUNTAINEER.

Minor Planet Circular 12015 July 11 19 87

*Директор [illegible] теорети[illegible] АН СССР* (Ю.В.Батраков)

*Первоо[illegible]* (Н.С.Черных)

Ленинград

„ 23 " [illegible] 19 88г.




малая планета
3234 Хергиани
земля
солнце
юпитер
марс

**ზაურ ჩართოლანი**

საქართველოს მეკლდეურობის ფედერაციის
ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის ოსტატობის
კანდიდატი ალპინიზმში

# «კეთილშობილება მემკვიდრეობით არ გადადის, ის საქციელით განისაზღვრება»

ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომელზედაც ყველაფერი ითქვა, მეტადრე მაშინ, როცა მისი თანამედროვე არ ხარ და მას არ იცნობდი.

მიშას პიროვნების ცნობიერად აღქმის შემდეგ, გრჩება შთაბეჭდილება, რომ მასთან ერთად მთელი ცხოვრება გაქვს გატარებული.

ალპინიზმი ინტელექტით დაჯილდოებული და ინტელიგენტი ადამიანების სპორტია. ეს საზოგადოება, როგორც მთა, ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სისუსტეს, ადამიანის აღზრდისა და ჩვევების დადებით და უარყოფით მხარეებს აელენს. მიშა, როგორც მთის კალთებზე, ისე ლაღად გრძნობდა თავს ინგლისელ თუ სხვა დიდგვაროვანთა შორის, ამის საშუალებას მას თავმდაბლობა და შინაგანი ბუნება აძლევდა.

მას კეთილი აურა მოსავდა, რაც მისდამი კეთილგანწყობასა და ხიბლს იწვევდა. ყველა მთამსვლელი, ყველა ადამიანი უნდა ცდილობდეს იცხოვროს მისნაირად.

„ადამიანში მხოლოდ კეთილშობილება მხიბლავს".



შხელდა.